კვირის პალიტრა

გზა

N30 (4… …08 ფასი 80 თეთრი

არ გამოგრჩეთ ¡„ცხოვრება" „გზაში"!

თიკა კანდელაკი: „სად, ვისთან, როდის და დღეში რამდენჯერ"...

ოთარ ტატიშვილი: „ადვილია, 7 ქალს ერთდროულად შეაყვარო თავი"...

სიცილის დედოფალი საქართველოდან მიდის

რა დაუბარა „საქართველოს პრეზიდენტს"

მადლი

სხვისი შვილებისთვის გაწირული პირადი ბედნიერება

„12-მეტრიანი გველი დავიმორჩილე. თან „ბიჭია" და მგონი, შევუყვარდი"...

ISSN 1987-5029

ცხელი ზაფხული, ზღვა და... ბევრი ფული?!

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათძაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

კაპრის ასპიტრა
№30 (424)
24 - 30 ივლისი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

ოთარ ტატიშვილი ანუ თეთრხალათიანი ინტელექტუალი

– დაასრულეთ ცნობილი გამონათქვამი: „უფროა ადვილია, 7 ქალს შეაყვაროთავი, ვიდრე...“

– „...ვიდრე ერთს“, არა?

– „...ვიდრე ერთისგან თავი დაიხსნა“.

22

პირველობის მსურველი პირველი კონკურსანტი

მისი გამოსვლა ყველგან და ყოველთვის წარმატებული ყოფილა. ახლაც იმედი აქვს, რომ სამშობლოს ღირსეულად წარმოადგენს და პრიზით ხელდამშვენებული დაგვიბრუნდება.

24

ნადირობა საპირისპირო სქესზე

ვნებანი

მამხიარულებს ყიალები ამ ამბავს, ყმაწვილებო – ჯანიები.

სასარგებლო ინფორმაცია

39-70

■ მინიატიურები
მილიონერების ქვეყანა ანუ „ფულები ცვივა და ლარები მღერიან“ 5
■ ფაქტი და კომენტარი
„სომეხი დამსვენებლების სიმდიდრით გაჭირვებული ხალხი სარგებლობს“ 6
■ რეპორტაჟი
სად „ამოწმებენ“ პოლიტიკოსები „მის საქართველოს“ კონკურსანტებს 7
■ პოლიტიკა
რა შეუძლია გაეროს და რა „შეაშინებს“ რუსეთს 8
■ დაიჯესტი 10
■ ჟურნალისტის როლში
უდედოფლოდ დარჩენილი ქართული სცენა და ვისთან აპირებს ხელის მოწერას მამუკა ლომაშვილი 12
■ კრიმინალი
მაზლმა ქმრის მოღალატე რძალზე შური იძია 14
■ სერვისი
ბილეთის შეძენა სახლიდან გაუსვლელად, კომფორტული ფრენა და დუბაიდან ჩამოსული მზარეულის მენიუ 16
■ წარმატება
„ჩემს წარმატებაში ქართულმა სიმღერამ დიდი როლი ითამაშა“ 17
■ არდადეგები
პოლიტიკოსთა საშვებულებო მიდრეკილებები და დაძაბული წლიდან გამოყოლილი საზრუნავი 18
■ პოდიუმი
წარმატებული ქალების შოუ, აღელვებული პუბლიკა და 12-მეტრიანი პითონი პოდიუმზე 20
■ ერუდიტი
ოთარ ტატიშვილი ანუ თეთრხალათიანი ინტელექტუალი 22
■ კონკურსი
პირველობის მსურველი პირველი კონკურსანტი 24
■ ადამიანი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება
„...ლამაზი იყო მისი სულიერი სამყაროც“ 25
■ ანტიდეპრესანტი 26



– სკოლაც მოხუცო პატიოსან ხალხს აცყეებ და ამაზე ალაპს იფიცებ!

– რას ამბობ, ბატონო?! მაგ ცოდვას როგორ ჩავიდენ?! მეც მსმენია, რომ მოყვართი, ყალბ ქვას აბუჯაკის მურმუსტად ასაღებს, მაგრამ მე ასეთი რამ არასოდეს ჩამიდენია. მაგას არც ჩემს ჭაღარას ვაკადრებ და არც თქვენნაირ პატიოსან ბატონებს! – სწრაფად მიუგო მოხუცმა.

– მაშინ, სანთელი მომიტანე. მინდა, შენს პატიოსნებაში დაეერწმუნდე! – ბრძანა ჰასანმა.

82

■ ფოტოგრაფი
დაკარგული თხის, ომში გაშვებული ქმრისა და ნავით მოტაცებული უკრაინელი ქალის ამბავი 26
■ პრობლემა
სწავლა, სწავლა და სწავლა ანუ რაში გვჭირდება ნანატრი დიპლომი?! 28
■ ხელოვანი
პლანეტის უდიდესი რექისორი და პაატა ბურჭულაძის დაუვიწყარი საიუბილეო საღამო 30
■ სტუმარი
ორნელა მუხის სტილისტი ქართველი ქალებით მოიხიბლა 32
■ თინეიჯერული პრობლემები
✓ „თმით დათრეული“ და „ძმურად გაყოფილი“ გოგონები 33
✓ „თუ შენ არ გიყვარს, მის გრძნობას მაინც ეცი პატივი...“ 35
■ ჯანმრთელობა
როგორ მოვიქცეთ, თუ გვიკბინეს 37
■ ქურნალი ქურნალში
✓ცხოვრება 39
✓გზავნილები 55
■ აღსარება
შეურიგებელი ანა (გაგრძელება) 71
■ ნამდვილი ამბავი
ლუდით თქმული საღლეგრძელო 73
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓როგორ მამაკაცს უნდა ერიდოს ქალი 80
✓სარეცხი ფხვნილი და ალერგიული რეაქცია 81
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ კარიერა
თიკა კანდელაკი: „სად, ვისთან, როდის და ღღეში რამდენჯერ“... 84
■ ვარსკვლავები
✓არასექსუალური ჯესიკა ალბა სექსუალურობასა და ჩვეულ ფორმას იბრუნებს 88
✓დებიუტანტი სკარლეტ იოჰანსონი 89
✓მუსიკოსები უზრუნველყოფილი სიბერისთვის იბრძვიან 89
✓თანამედროვე კასანდრა 90
■ ემიგრანტი
„ჭიპილიას მარშით“ ქუთაისიდან — მოსკოვში 91
■ სასიძო
დიპლომიან სასიძოს ეზხიანი გოგოები მოსწონს 93
■ წმინდანები
ღვთის დიდებითა და ცათა სარგებელად გაანელო წუთისოფელი 94
■ ქართველი მილიონერები
უმდიდრესი ემიგრანტები 96
■ მისია
3-4-დოლარიანი ხელფასი, ოქროს იარაღის არსენალი და ტერაქტებით განთქმული ქალაქი 98
■ ჩვენი ოლიმპიელები
წარმატების საძიებლად პეკინში მიმავალი „კონკია“ და მომავალი ჩემპიონის ავტოგრაფი სიგარეტის კოლოფზე 100
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„...ღამაზი იმი მისი სულიმრი სამშაროც“

„წლების მატებასთან ერთად, არაერთ საყვარელ ადამიანთან მიწევს განშორება. ყველას არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ ახლობლების გულსა და გონებაში წარუშლელი კვალი დატოვოს. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია“.

25

რაში გვჭირდება ნანატრი დიპლომი?!

„ერთი ლექტორი დაგვპირდა, ოპერაციებსაც დაგვასწრებთო, მაგრამ ამ სასწავლო წელმა ისე ჩაიარა, პირობა არ შეუსრულებია...“

28

როგორ მოვიქცეთ, თუ გვიკბინეს

თუ ცხოველმა გიკბინათ — ძაღლი იქნება ეს, კატა, ვირთხა, მღრნელი, ცოცხი თუ სხვა, — პირველ რიგში, საგულდაგულოდ ჩამოიბანეთ ჭრილობა გამდინარე წყლითა და სარეცხი საპნით, დაიდეთ სტერილური ნახვევი და დაუყოვნებლივ მიაშურეთ სამედიცინო დაწესებულებას.

36

მორიელის ნიშანი

— მე შენ უბრალოდ მიყვარხარ, თვითონაც არ ვიცი, რატომ.

— რას მელაპარაკები!

— ჰო, რატომღაც ასე მოხდა. ადამიანებს ყოველთვის რაღაცის გამო უყვარდებათ სხვა ადამიანები. სილამაზის, ინტელექტის, მიმზიდველობის, წარმატების, სიმდიდრის, სიძლიერის გამო.

— ამ თვისებათაგან მე არც ერთი არ გამაჩნია, ასე რომ, წადი, მოისვენე.

74

მილიონერების ქვეყანა ანუ „ფულები ცვივა და ლარები მღერიან"

გეოგრაფიაში გვასწავლიდნენ, საქართველო ზომიერ კლიმატურ სარტყელში მდებარეობსო და მეხსიერება მატყუებს თუ გეოგრაფიის მასწავლებელი მატყუებდა, ვეღარ გავიგე. ფაქტი კი ისაა, რომ ბოლო წლებია, საქართველოში ზამთარი ციმბირულია და ზაფხული — აფრიკული. ა, ბატონო, შეიხედეთ მოპირდაპირე კორპუსის ფანჯრებში, ვენტილატორის პროპელერს ჩახუტებული რამდენი „კარლსონი" დადის ოთახში. გარეთ გახვალ და, სანთებელა არ გჭირდება, ისე ეკიდება სიგარეტს ცეცხლი. ესაა ცხოვრება?

ვიცი, იტყვით, მერე ვერ წავა დასასვენებლადო?.. მაგრამ წასასვლელად მარტო სურვილი არ კმარა, კიდევ რაღაცაა საჭირო და ის „რაღაცა" იმდენად ცოტა აქვს (ან არ აქვს), რომ არათუ დასასვენებლად წასვლა, ქალებს ყავაზეც ვერ ეპატიჟება და ამიტომაც, სიგიჟემდე შეუყვარდა „ოდნოკლასნიკებში" გაცნობილი ქალი, რომელიც მართალია, ჯერ თვალითაც არ უნახავს, მაგრამ მათ უკვე შვილიც ჰყავთ, ვირტუალურად...

გაიხარებს ამ საიტის მომგონი! ვის არ ნახავ აქ, პრეზიდენტიდან დაწყებული და პარლამენტარით დამთავრებული! მე მგონი, ეს „სათამაშო" მთავრობამ გამოიგონა იმისათვის, რომ ხალხი ოპოზიციის მიტინგებზე არ წავიდეს — ზის ვიღაც კომპიუტერთან და პირდაპირ სააკაშვილს სწერს: წადი, წადიო! „მიშაც" პასუხობს, — კი, მივდივარო. ჰოდა, იმ კაცს ახლა შენ გაიყვან ქუჩაში?!

ასეა, რა ქნას მეტი მთავრობამ? ერთადერთი, ფული გაკლია სრული ბედნიერებისთვის და ისიც მან გაშოვნინოს? არ აგიდგა გვერდები! ჩვენს ქვეყანაში ახლა ფული ყველაზე იოლი საშოვნელია: თუ სადმე ბანკი, ლატარია და მსხვილი სავაჭრო ცენტრია, ყველაში მოგებები თამაშდება — უთოს იყიდი და მანქანას მოიგებ (სარეცხს ან ხორცის საკეპს), მობილურით რეკავ და ავტომობილი შენია, „ორ კაპიკს" ბანკში შეაგდებ და თვითონ კახი კავსაძეს მოაქვს მილიონი — მეტი რაღა გიქნას მთავრობამ?! შენ კი მაინც გაიძახი, — ცუდი ხელისუფლებაო. ჰოდა, იჯექი „ოდნოკლასნიკებში" და ესიყვარულე ვირტუალურ ცოლ-შვილს, უკაპიკოდ, თორემ ვინც მთავრობას აქებს, ღარიბი ჯერ არ მინახავს(!), გაკეთდა სულყველა...

ასე რომ, სასაყვედურო არაფერი გვაქვს — დღეს მილიონი უფრო იშოვება, ვიდრე არაჩინური ადიდასის ბოტასები. ხომ გაიგონეთ, რა თქვა პრეზიდენტმა? — ვინც პეკინიდან ოქროს ჩამოიტანს, მილიონ ლარს მიიღებსო... არ გჯერათ, ხომ? საიტზე რაღაცას რომ მისწერ და მისი სახელით ვიღაც მოგწერს, ის გჯერა და ტელევიზორში რასაც ამბობს — არა. წადი, თუ ბიჭი ხარ, ჩამოიტანე ოქრო და მოგცემენ მილიონს, არ გინდა? ხომ ხედავ, ცვივა ფული.

რაც მართალია, მართალია — ასეთი სტიმული და დაინტერესება ჯერ არ ჰქონიათ ქართველ სპორტსმენებს. ადამიანები მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები არიან, მაგრამ დღემდე ქირით ცხოვრობენ და ვინაიდან მილიონი ლარის მიღების შანსი გაუჩნდათ, შტანგას კი არა, ჩინეთის კედელს ასწევენ. ისე, გაითვალისწინეთ, რომ აქ მხოლოდ ოლიმპიური ოქროს ჩამოტანა იგულისხმება, თორემ ისე, პეკინიდან თბილისში დღეში ასი ათასი ჩინელი ჩამოდის და თითო ტონა ოქრო-ვერცხლი ჩამოაქვს, მაგრამ ვის რად უნდა?!

მოკლედ, ოლიმპიადის შემდეგ ქართველ მილიონერთა რიცხვი რამდენიმეთი მოიმატებს, მაგრამ ალბათ, ცოტა ხნით, რადგან მის გამდიდრებას გაიგებს მთელი საქართველო და პეკინიდან ჩამოსულს ჭიშკართან დახვდება მთელი სანათესაო, ძმაბიჭები და გახარებული მევალეები. ამიტომ, შიშით, მოგებასაც ვერ გაამხელ კაცი და ესაა ცხოვრება?

ახლა, ქართველი კაცი ვარ და ჩემი თანამემამულეების გამარჯვება როგორ არ მინდა, მაგრამ ჩემი ქვეყნის გამარჯვებაც რომ მინდა, რა ვქნა ახლა?!. ვერ გაიგეთ, ხომ? ახლავე აგიხსნით: რაც მეტი სპორტსმენი გახდება ოლიმპიური ჩემპიონი, ხომ მით მეტი ოქროს მედალი ჩამოვა საქართველოში და ხომ მით მეტი გამარჯვებაა ჩვენთვის? მაგრამ რაც მეტი ოქროს მედალი ჩამოვა, მით მეტი მილიონი არ გავა ბიუჯეტიდან? რა, არა?! არა, ბიჭო, ჯიბიდან ამოიღებს მთავრობა! სად აქვს მთავრობას ფული? ის კი არა, ჩემი გაზის, წყლის და შუქის გადასახადებს მთხოვს, თავი რომ გაიტანოს არჩევნებიდან არჩევნებამდე...

თუმცა, რატომაც არა? ჩემი გადასახადების ფული მაინც არ ვიცი, სად მიდის: კაი, ბატონო, გაზის ფულით ასფალტი დაიგო, შუქით — ფასადი შეიღება, წყლით — შადრევანი აჩუხჩუხდა, მაგრამ დასუფთავების ფული სად წავიდა?! არ ვიცი! ჰოდა, ახლა მეცოდინება, რომ იმ ძიუდოისტს უდევს ჯიბეში, პეკინიდან ოქრო რომ ჩამოიტანა და თამამად მაინც მივულოცავ და ლუდსაც ვაკისრებინებ. ასე რომ, მიდით, ბიჭებო, დასცხეთ და ზიდეთ, რაც პეკინში ოქროა. მე კი აგერ, ახლავე შევალ „ოდნოკლასნიკებში" და ვთხოვ პრეზიდენტს, თითო კი არა, ორ-ორი მილიონი მოგცეთ, ალალია თქვენზე...

პრინციპში, ბატონი პრეზიდენტი რომ არ შევაწუხო, აგერ არაა მთელი მთავრობა? ვერ გეტყვით, მართლა თვითონ არიან თუ სხვები დარეგისტრირდნენ მათი სურათებით, მაგრამ ისეთი კომუნიკაბელურები არიან და ისე გთანხმდებიან ყველაფერზე, რომ „საღოლ", ძმაო — აი, მთავრობა!!!

P.S. ბრძანება: — სპორტსმენი, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზე მოიპოვებს ოქროს მედალს და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს, საჩუქრად მიიღებს 1 მილიონ ლარს, ვერცხლის მედლის მფლობელი — ნახევარ მილიონ ლარს, ბრინჯაოს მედალოსანი — 250 ათას ლარს, ხოლო ის ვინც მედალს ვერ დაიმსახურებს, მიიღებს 10%-იანი ფასდაკლების ბარათს ჩინურ მაღაზიაში.

პროვოკატორი

„სომეხი დამსვენებლების სიმდიდრით გაჭირვებული ხალხი სარგებლობს“

ალბათ, ზაფხულისა და ცხელი ამინდების ბრალიცაა, რომ საქართველოში პოლიტიკური აქტივობა დიდად აღარ შეიმჩნევა. ამ ბოლო დროს, თითქმის ყველა პოლიტიკური სიახლე კონფლიქტის რეგიონებს უკავშირდება. სწორედ ამიტომ, ქართველი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მოვლენად სწორედ იქ არსებული სიტუაცია მიიჩნევა...

„ახლა იმედი მომეცა, რომ საქართველოში ომი აღარ იქნება...“

ნათია ჟვიტიძე

ნუნუ აბესაძე, *დიასახლისი, 45 წლის:*

— აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ვიცე-პრემიერის, ალექსანდრე ანქვაბის განცხადებამ განსაკუთრებულად აღმაშფოთა. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ მოსკოვი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. საქართველოს აღარაფერს ეკითხებიან? რატომ უნდა გაბედოს რუსეთმა აფხაზეთის ან თუნდაც, ცხინვალის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარება? საქართველომ კოსოვოს დამოუკიდებლობას რომ დაუჭირა მხარი, იმ შეცდომისთვის ახლა აგებს პასუხს. იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლება რაიმეს იღონებს და არც აფხაზეთს და არც ცხინვალს არ დათმობს. სისხლის ღვრა არავის სიამოვნებს, მაგრამ თუ ყველაფერს უბრძოლველად დავთმობთ, დღეს აფხაზეთს წაგვართმევენ, ხვალ — ცხინვალს, ზეგ კი ალბათ, კოდორის ხეობასაც და მარტო თბილისიღა დაგვრჩება, თუ რა თქმა უნდა, ამას მაინც შეგვარჩენენ...

ნიკოლოზ ვაშაკიძე, *ბიზნესმენი, 48 წლის:*

— მნიშვნელოვან მოვლენად აფხაზების მიერ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვა მიმაჩნია. თან, იმედს გამოთქვამენ, რომ რუსეთი აფხაზეთს საბოლოოდ აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ვიმედოვნებ, რუსეთი ამ საქმეს არ ჩაიდენს. წესით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა მათაც არ უნდა აძლევდეს ხელს — მერე ხომ ვეღარ მართავენ ამ სახელმწიფოს და ჩვენ წინააღმდეგ ვეღარ აამხედრებენ. ვფიქრობ, რუსეთი საქართველოზე კონტროლს არასდროს შეწყვეტს — მეზობელი ქვეყანა ვართ და ამიტომაც, ყოველთვის მათი ინტერესის ობიექტი ვიქნებით. ერთადერთი კარგი ფაქტი, რაც ამ კვირაში მოხდა, ის იყო, რომ აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონიდან რუსებმა სარკინიგზო ჯარი გაიყვანეს. ახლა იმედი მომეცა, რომ საქართველოში ომი აღარ იქნება...

დემეტრე ბართაია, *პენსიონერი, 70 წლის:*

— გამიხარდა, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა, სერგეი ბაღაფშმა რომ თქვა, — საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტი ძალის გამოყენების გარეშე მოგვარდებაო. კიდევ კარგი, ამ დასკვნამდე მივიდა და ომს არ აპირებს. ამის დასამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ სეპარატისტული რეგიონიდან რუსეთის ჯარი გაიყვანეს. მაგრამ ახლა, სამხრეთ ოსეთში დაიწყეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის შეირაღებული წვრთნა. ოსები საქვეყნოდ, დიდი სიამაყით აცხადებენ, რომ მათი თანამემამულენი კარგად არიან გაწვრთნილი მძევლების გათავისუფლების საქმეში, ხელჩართულ ორთაბრძოლაში და ტერორისტების გაუვნებლებასაც არაჩვეულებრივად მოახერხებენ. როგორც ჩანს, ახლა ოსები ემზადებიან ომისთვის. ღმერთმა ნუ ქნას, ომი დაიწყოს...

მარინა სალაყაია, *მდივანი-რეფერენტი, 35 წლის:*

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ბუბა კიკაბიძემ და ნანი ბრეგვაძემ იუბილე აღნიშნეს. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ორივე და სულ ასეთი შემართებით მდგარიყვნენ სცენაზე. მიმაჩნია, რომ ქალბატონი ნანიც და ბატონი ბუბაც უნიჭიერესი ადამიანები არიან. სხვა მხრივ, მათ მთელი ქვეყანა არ დააფასებდა. გული მწყდება იმის გამო, რომ ძირითადად, რუსეთში იმყოფებიან. მიუხედავად რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული ვითარებისა, ამ ორ ადამიანს იქ დიდ პატივს სცემენ. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ისინი არაჩვეულებრივი მომღერლები არიან. მიხარია, მათი სახელები ახალგაზრდა თაობამაც რომ იცის და ბევრი მათგანი, რეპის ნაცვლად, ამ ორი დიდი ადამიანის შემოქმედებას უსმენს. ისიც სასიხარულო ფაქტია, რომ „მიმინოს“ მთავარი გმირების ძეგლი საქართველოში უნდა დაიდგას...

ანი კაპანაძე, *სტუდენტი, 20 წლის:*

— გასული კვირის კი არა, ამ სეზონის მნიშვნელოვან მოვლენად საკურორტო ზონაში არსებული სიტუაცია მიმაჩნია. მთელი აჭარა სომეხი დამსვენებლებითაა სავსე. კი, ბატონო, საქართველოში ტურიზმი უნდა განვითარდეს, მაგრამ მხოლოდ სომხებისთვის ვართ ტურისტულად განვითარებული ქვეყანა? მათ ბევრი ფული აქვთ, რის გამოც, აჭარაში ყველაფერი გაძვირდა ანუ სომეხი დამსვენებლების სიმდიდრით გაჭირვებული ხალხი სარგებლობს. მოკლედ, დასასვენებლად თურქეთში რომ წავიდეთ, ზუსტად იმდენი დაგვიჯდება, რაც აჭარის ნებისმიერ კურორტზე დასვენება და ახლა, ქართველების 90 პროცენტი სწორედ ასე იქცევა. ამის გამო გული მწყდება — ქართველები ერთმანეთს თურქეთის პლაჟზე უნდა ვხვდებოდეთ და საქართველოს სანაპიროზე სომხები ნებივრობდნენ?..

■

სად „ამოწმებენ“ პოლიტიკოსები „მის საქართველოს“ კონკურსანტებს

ანუ ელექტრონული მუსიკა, მხიარული ღამეები და შძილოზისგან თვალგადასივსებული მოსახლეობა

ხათუნა ბახტურიძე

ღამის კლუბიდან შავი ზღვის სანაპიროსკენ გადავინაცვლე. ელექტრონული მუსიკის შემდეგ, კაფე-ბარებიდან გამოსულმა სომხურმა ჰანგებმა ყური „მომჭრა“. ისე, სიმღერებს ვინ ჩივის, გზად მიმავალს, ქართულზე ხშირად, სომხური ლაპარაკი მესმოდა. მართალია, ტოლერანტი ერი ვართ და ჩვენს ქვეყანაში უცხოელების გამოჩენა სულაც არ გვაღიზიანებს, მით უმეტეს, თუ ისინი თავიანთ ფულს აქ ხარჯავენ, მაგრამ ბულვარში, მოძმე კავკასიელების მისამართით, ქართველი დამსვენებლების უკმაყოფილო შეძახილები მაინც ისმოდა. თბილისელ გოგონებს განსაკუთრებით ის აღიზიანებდათ, რომ სომხები ზღვაზე უკვე გარუჯულები ჩამოდიოდნენ და ჩვენების მსგავსად, მზის სხივების ქვეშ საათობით წოლა არ სჭირდებოდათ. ბათუმის სანაპიროზე გარუჯვის ერთობ უცნაური მეთოდიც აღმოვაჩინე — ერთი ქალბატონი მზის აბაზანებს გულდახურულ, გრძელმკლავიან და მუხლებამდე კაბაში გამოწყობილი იღებდა. ძალიან მომინდა, დავლაპარაკებოდი, მაგრამ მასთან ახლოს მისულმა აღმოვაჩინე, რომ ღრმად ეძინა და რადგან მასთან საუბარი ვერ მოვახერხე, ცნობისმოყვარეობა ვერ დავიკმაყოფილე, ვიფიქრე, — სურათს მაინც გადავუღებ-მეთქი. ასეც მოვიქეცი და გზა განვაგრძე. ცოტა ხანში კიდევ ერთი „საოცრება“ დავინახე — ბოტასებში, ჯინსის შარვალსა და სამაშველო მაისურში გამოწყობილი მაშველი, თავის კოლეგასთან ერთად სანაპიროს ათვალიერებდა. მალე, ჩემი გაკვირვება აღშფოთებამ შეცვალა და ძალიან მომინდა, მეკითხა, ასე ჩაცმულ-დახურული, საჭიროების შემთხვევაში, თავის მოვალეობას როგორ შეასრულებდა? ამიტომაც, აჩქარებული ნაბიჯით მისკენ გავემართე, მაგრამ ის თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. იძულებული გავხდი, მასთან მოსაუბრე, თავისი პროფესიის შესაფერისად ჩაცმულ მაშველს დავლაპარაკებოდი. მართალია, ამ უკანასკნელმა განმიმარტა, — ჩემი მეგობარი სანაპიროზე ახლახან მოვიდა და ასე ჩაცმული ამიტომაც იყოო, მაგრამ ის მაინც ვერ გავიგე, სამოქალაქო სამოსი და მაშველის ფორმა ერთდროულად რატომ ეცვა...

დამსვენებლებს, რომლებიც საზაფხულო შვებულებისა თუ არდადეგების ბათუმში გატარებას აპირებენ, მრავალი სიურპრიზი ელით. წელს აჭარის დედაქალაქი ისეთი ლამაზი და შთამბეჭდავია, როგორიც არასოდეს ყოფილა. ზღვისპირა ქალაქის დათვალიერება ახალგახსნილ კლუბ „ვინტაჟიდან“ დავიწყე. აღმოჩნდა, რომ ამ კლუბით, სადაც ელექტრონული მუსიკა ჟღერდა, ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებიც დაინტერესებულან. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ „ვინტაჟში“ დავით ბაქრაძე, პეტრე ცისკარიშვილი, ზურაბ მელიქიშვილი, ლევან ვარშალომიძე და ზურაბ არსოშვილი ბათუმის მერიის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდნენ. ვერ გეტყვით, ელექტრონული მუსიკის მოსასმენად მოვიდნენ თუ „მის საქართველოს“ კონკურსანტების „შესამოწმებლად“, მაგრამ ცხადია, რომ კარგად მოილხინეს და „რედბულ-ვოტკაც“ ბლომად მიირთვეს. ახალგაზრდა პოლიტიკოსების ეშხით, ქართველი „მისები“ გაუჩერებლად ცეკვავდნენ და მხიარულებაში ყველას ჩათრევას ცდილობდნენ. მათ მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია — სტუმრებმა და მასპინძლებმა ისე იხალისეს, თანაც, იმდენ ხანს და ისე ხმაურიანად, რომ გამთენიისას, ადგილობრივი მცხოვრებლები ქუჩაში უძილობისაგან დასივებული თვალებით და თავზე ხილაბანდწაკრულები დადიოდნენ...

*შემთხვევით ვისარგებლე და ახალგაცნობილ მაშველს — **ლაშა გაბაიძეს** ინტერვიუ ჩამოვართვი.*

— ლაშა, დიდი ხანია, რაც მაშველი ხართ?

— არა, ახალბედა ვარ. აქ მუშაობა წელს დავიწყე.

— დამსვენებლებზე რას იტყვით, რამდენად ადვილია მათთან მუშაობა?

— ქართველებთან მუშაობა ძალიან რთულია, რადგან არც ზღვაზე ბანაობის წესებს იცავენ და არც ჩვენს მითითებებს ითვალისწინებენ. ხშირად, მათთან კამათიც კი მომდის. შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ სომხები ძალიან მორჩილები არიან და რასაც ვეტყვით, ყველაფერს გვიჯერებენ.

— ზღვაზე ბანაობისას დამსვენებელმა რა წესები უნდა დაიცვას?

— თუ პლაჟზე, ჩვენს საგუშაგოსთან ახლოს წითელი ალამია აღმართული, ეს იმას ნიშნავს, რომ წყალში შესვლა სახიფათოა, ხოლო თუ ალამი თეთრია, მაშინ ბანაობა ნებადართულია. შეიძლება, ეს წესები არც სომხებმა იციან და არც სხვა ერის წარმომადგენლებმა, მაგრამ როდესაც მათ რჩევას ვაძლევთ, გვიჯერებენ, ქართველები კი გვეჩხუბებიან. როდესაც მაღალბალიანი ტალღებია, ვცდილობთ, ზღვას ბავშვები მაინც გამოვარიდოთ, მაგრამ მათი მშობლების მხრიდან წინააღმდეგობას ვაწყდებით. ისინი გვეუბნებიან, — თქვენ ვინ გკითხავთ, ჩვენს შვილებს თავადვე მივხედავთო. ხშირად, ახალგაზრდები ნასვამ მდგომარეობაში ჩადიან წყალში, ეს კი სახიფათოა. მოკლედ, იძულებულნი ვართ, დაძაბულ რეჟიმში ვიმუშაოთ და სანაპიროს თვალი ყურადღებით ვადევნოთ. გარდა იმისა, რომ არაფერს გვიჯერებენ, დამსვენებლები შარზეც არიან.

— რას გულისხმობთ?

— გვეჩხუბებიან, — პლაჟზე ნაგავი რატომ ყრია? ნუთუ, ვერ დაალაგებთო?.. ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ ჩვენ მაშველები ვართ, დამლაგებლები კი არა.

— ამ მხრივ უცხოელებს პრე-

ქალბატონი მზის აბაზანებს გულდახურულ, გრძელმკლავიან და მუხლებამდე კაბაში გამოწყობილი იღებდა

დასაწყისი იხ. გვ. 16

ტენზია არ აქვთ?

— ისინი ხმასაც არ იღებენ, მაგრამ ხშირად, უცნაურ კითხვებს სვამენ.

— მაგალითად?

— ერთმა სომეხმა მკითხა, — აქედან ქუთაისში გემი ან კატერი თუ მიდისო (*იცინის*)?

— დამსვენებლებთან ჩხუბი თუ მოგსვლიათ?

— ვცდილობთ, საქმე აქამდე არ მივიდეს, მაგრამ ზოგჯერ, ამის გაკეთება მაინც გვიწევს.

— ჩხუბის მიზეზი უმთავრესად, რა არის?

— ჩხუბის მიზეზი ძირითადად, ალკოჰოლური სასმელია. დამსვენებლებს ხშირად უჩნდებათ სურვილი, სანაპიროზე დალიონ და მერე ზღვაში შევიდნენ. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ამის აღსაკვეთად ყველა ზომას მივმართოთ.

— ლაშა, დახრჩობას თუ გადაგირჩენიათ ვინმე?

— როგორ არა! მაგალითად, გუშინ ორი გოგონა გადავარჩინე. ორბალიანი ტალღები მოდიოდა, მაგრამ ორივენი, გაფრთხილების მიუხედავად, წყალში მაინც შევიდნენ და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნეს.

— ორივე ერთდროულად გადაარჩინეთ?

— არა, ერთი დილას, მეორე — შუადღეს.

— გადარჩენილები მადლობას რა ფორმით გიხდიან?

— სხვადასხვანაირად (*იცინის*). მაგალითად, იმ გოგონებიდან, რომლებიც გუშინ გადავარჩინე, ერთმა მადლობაც არ გადამიხადა, მეორე კი თან გადამყვა — ჯერ მადლობებით ამავსო, მერე მოვიდა და ჩემთან დაჯდა, დღე მხიარულად გამატარებინა.

— გოგონები არ გეპრანჭებიან?

— ხანდახან.

— დამსვენებლებს რას ურჩევთ?

— ხალხო, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები!..

■

გუშინ გადავარჩინე, მადლობაც არ გადამიხადა

რა შეუძლია გაეროს და რა „შეაშინებს“ რუსეთს

გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან რუსეთის აგრესიული ქმედებების კრიტიკა ქართველმა პოლიტოლოგებმა არაერთგვაროვნად შეაფასეს. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ისინი სულაც არ ფიქრობენ, რომ აღნიშნული ფაქტის შემდეგ, რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცევა და საქართველოს მიმართ ნაკლებად აგრესიული გახდება...

ხათუნა ბახტურიძე

— რატომ ფიქრობთ, რომ უშიშროების საბჭოს 21 ივლისის სხდომა რუსეთზე სერიოზულ გავლენას არ მოახდენს?

კახა კაციტაძე, *პოლიტოლოგი:*

— იმიტომ, რომ ამ კრიტიკას არანაირი დადგენილება არ მოჰყოლია. ჩვენი ხელისუფლება ამჯერადაც, პიარკამპანიას ეწევა. გაეროს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით, მორალური კმაყოფილების მეტს ვერაფერს მივიღებთ. რუსეთი საკმარისზე მეტად აკრიტიკეს და კონფლიქტების მოგვარების გეგმებიც შემოგვთავაზეს, მაგრამ რეალურ შედეგებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

— კონფლიქტის მოგვარების გერმანულ გეგმას როგორ აფასებთ?

— კარგია ის, რომ გეგმა სეპარატისტების ნდობის მოპოვებაზეა გათვლილი, მაგრამ გარკვეულწილად, ხიფათის შემცველიცაა, ვინაიდან იმის გარანტია არ გვაქვს, რომ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას ჩვენ გვანდობენ...

— გერმანული პროექტი აფხაზური და რუსული მხარისათვის რატომ გახდა მიუღებელი?

— საქართველოში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, რუსული და აფხაზური მხარისათვის ეს გეგმა იმიტომ გახდა მიუღებელი, რომ მასში დევნილების დაბრუნების საკითხია დასმული. მერწმუნეთ, ისინი დევნილების დაბრუნებას პრინციპულად არ ეწინააღმდეგებიან, უბრალოდ, მოლაპარაკების წინა პირობად, კოდორის ხეობიდან ჩვენი ფორმირებების გაყვანას მოითხოვენ. დევნილებზე კი ამბობენ, რომ მათი დაბრუნება ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

კახა გოგოლაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— სამწუხაროდ, ამ სხდომაზე რეზოლუციას ვერ მიიღებდნენ, იმიტომ, რომ რუსეთი, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ამ დოკუმენტს აუცილებლად ვეტოს დაადებდა. ის ფაქტი, რომ სხდომა საქართველოს მიერ შეტანილი თხოვნით ჩატარდა და რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტი განიხილა, ძალზე მნიშვნელოვანია: ამის შედეგად მოსკოვმა დაინახა, რომ მის თითოეულ აგრესიულ ნაბიჯს მსოფლიო საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს.

— თქვენი კოლეგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთზე ასეთი კრიტიკა დიდ გავლენას ვერ ახდენს.

— აქამდე ეს კრიტიკა ფაქტებით არ იყო გამყარებული. ამჯერად მოსკოვმა თავად აღიარა, რომ საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია. თვით ეს ფაქტი მნიშვნელოვანია და მას სერიოზული რეზულტატიც მოჰყვება.

— კონფლიქტის მოგვარების გერმანულ გეგმაზე თქვენი შეხედულება როგორია?

— ძალიან კარგია, რომ ამ გეგმის თანახმად, ქართულ მხარეს, ცეცხლის განუახლებლობა და კოდორიდან შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანა მხოლოდ დევნილების დაბრუნების შემთხვევაში მოეთხოვება. იქ ძალიან ფრთხილი ფორმითაა ნახსენები უსაფრთხოების გარანტიების შექმნის აუცილებლობა აფხაზეთში, კოდორის ჩათვლით, რაც ამ ტერიტორიაზე საერთაშორისო პოლიციის განლაგებას გულისხმობს. გეგმის მეორე ეტაპი აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენას, დიდი თანხების მოძიებას და დაზიანებული რეგიონების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. მესამე ეტაპზე აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა უნდა მოხდეს და სწორედ აქ გვმართებს სიფრთხილის გამოჩენა, რადგან გეგმაში არ არის ნათქვამი, რომ საქართველოს მიეცემა უფლება, მონაწილეობა მიიღოს სტატუსის განსაზღვრაში. შესაძლოა, აქ გარკვეული ლოგიკაც არსებობს: გეგმაში პირდაპირ რომ ყოფილიყო ნახსენები — სტატუსის განსაზღვრაში გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ეკუთვნისო, აფხაზები პირველი და მეორე ეტაპის განხორციელებაზე აღარ დათანხმდებოდნენ. არადა, ჩვენთვის პირველი და მეორე ეტაპის განხორციელება ძალზე მნიშვნელოვანია.

■

დასაწყისი იხ. გვ. 16

არ ანაღვლებთ. დავიჯერო, თბილისში არ იციან, რომ აქ კულტურული ცენტრები არ არის? ჩვენს მუნიციპალიტეტს ძალზე მცირე ბიუჯეტი აქვს და ვერაფერს აკეთებს. სერიოზულ დაწესებულებებზე აღარაფერს ვამბობ, ელემენტარულს გეტყვით: ზამთარში გულით რომ მოინდომოთ, ერთ კაფეს ვერ იპოვით. ხომ შეიძლება, ბისტრო ან უბრალო სახაჭაპურე მაინც გვქონდეს?! მით უმეტეს, რომ ზაფხულში, კაფე-ბარებისა და ბუნგალოებისგან სიცოცხლე გვაქვს მობეზრებული: არავის ანაღვლებს, რომ ოჯახებში ბავშვები და მოხუცები გვყავს და მათ შუაღამისას მაინც უნდათ ძილი და მოსვენება.

— ზღვის სეზონისათვის როგორ მოემზადეთ?

— როგორც შეგვეძლო, მოვემზადეთ. ახლა მთავარია, ქალაქის მუნიციპალიტეტმა შეგვიწყოს ხელი. წყლის პრობლემა ჯერ ისევ მოსაგვარებელია, ქუჩები და სანაპირო დასასუფთავებელია, ჯებირები გასამაგრებლია. შტორმის დროს ზღვას, მიწასთან ერთად, დიდი რაოდენობით ხეებიც მოაქვს. ზღვისპირზე მისასვლელებიც მოსაწესრიგებელია. მესმის, რომ სანაპირო ზოგჯერ სუფთავდება, მაგრამ მერე იწვიმებს და ისევ ნაგვიანდება. არადა, გამოსავალი ხომ უნდა მოინახოს?! არ შეიძლება, სანაპირო ყოველდღე დასუფთავდეს?.. თუ ეს პრობლემები არ მოგვარდება, დამსვენებელი ქობულეთის ნაცვლად, თურქეთში წავა და ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

— წელს გასაქირავებელი ბინის ფასები როგორია?

— 7-დან 25 ლარამდე. ეს კომფორტსა და ადგილმდებარეობაზეცაა დამოკიდებული.

მოსახლეობასთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, თენგიზ ცივაძეს შევხვედროდი. მან თავაზიანად მიმიღო და განაცხადა, რომ ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ, მზად იყო. ალბათ დამეთანხმებით, რომ ქობულეთელთა სოციალური პრობლემების მოგვარება მის პრეროგატივას არ წარმოადგენს. აი, მოუწესრიგებელ წყალმომარაგებაზე, დაულაგებელ სანაპირო ზოლსა და გასამაგრებელ ჯებირებზე კი საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა; რაც მთავარია, აღნიშნა, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად, თანხებიც გამოყოფილია და სარემონტო სამუშაოებიც — დაწყებული.

სიმართლე გითხრათ, ქობულეთი ფეხით მოვიარე, მაგრამ იქ სარემონტო სამუშაოები ვერსად შევნიშნე. აი, ნაგვის პოვნა კი ნამდვილად, არ გამჭირვებია. ქართული ქალაქების ამ განუყრელ „ატრიბუტს“, ქუჩებსა და დასასვენებელ პარკში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებოდი. მართალია, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ლამის ხატზე დაიფიცა — ქუჩები შუადღემდე ორჯერ იგვებაო და ქალაქის დანაგვიანება მთლიანად მოსახლეობის დაუდევრობას მიაწერა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ქობულეთი საკურორტო სეზონს, ყოფითი პრობლემებით დამძიმებული მასპინძლებით, მოუწესრიგებელი სანაპიროთი და დასასუფთავებელი ქუჩებით ხვდება...

■

ომი თუ დასაშინებლად გამიზნული პროვოკაციები?

საქართველოსა და რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას ქართველი პოლიტოლოგები გამორიცხავენ და მიიჩნევენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტი არც თბილისის და არც მოსკოვის ინტერესებში არ შედის, მაგრამ ფაქტია — ჩვენი დიდი მეზობელი დღითი დღე უფრო აგრესიული ხდება, თვითაღიარებულ რეგიონებში კი პროვოკაცია სულ უფრო ხშირ მოვლენად იქცა. ვინ არიან ომის ინიციატორები და რა საფრთხეა მოსალოდნელი კავკასიაში? — ამ კითხვებზე პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გვიპასუხებს.

ვის აძლევს ხელს ომი კავკასიაში

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, ვის ინტერესებში შედის საქართველოსა და რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღება?

— ასეთი ფართომასშტაბიანი ომის წამოწყება დღეს მხოლოდ კოკოითსა და ბაღაფშს აძლევს ხელს: ისინი დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიო, რუსეთს საქართველოსთან ანგარიშსწორების საშუალებას მისცემს და მათაც ხელფეხი გაეხსნებათ, მაგრამ არა მგონია, ასეთ სულელურ გათვლას მოსკოვიც იზიარებდეს. კრემლში გაცილებით სერიოზული და ჭკვიანი ხალხი ზის, ვიდრე კოკოითი და ბაღაფში არიან.

— სწორედ კრემლის მითითებით გაიზარდა ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო კონტინგენტი, რუსეთის ავიაგამანადგურებლები შემოიჭრნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში და მოსკოვში დაიგეგმა კოდორის ხეობაში შეჭრის ოპერაცია.

— ეს მხოლოდ სამხედრო პროვოკაციებია. კოდორის ხეობაში ფართომასშტაბიანი ბლიცკრიგის განხორციელება შეუძლებელია. დღეს საქართველოს ნამდვილად აქვს ისეთი სამხედრო ძალა, რომ კოდორის ხეობის გეოგრაფიული რელიეფის (ძნელად მისასვლელი გზების) გამოყენებით, ნებისმიერ მომხდურს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. რაც შეეხება სამხედრო პროვოკაციის მოხშირებას, — ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ რუსეთი ძალზე გაღიზიანებულია ევროპის გააქტიურებით.

— რას გულისხმობთ?

— ადრე ევროკავშირი ძალიან პასიურობდა საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ეუთო თავის მისიებს კი გვიგზავნიდა, მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. დღეს ევროკავშირი გაცილებით აქტიურია.

— საქართველოსა და რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში, თვით სეპარატისტული რეგიონები რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან?

— ასეთ შემთხვევაში, მათ გადაგვარების საფრთხე ემუქრებათ. კოკოითს ეს სულაც არ ადარდებს, მისი ოცნება — რუსეთის „გუბერნიის“ გუბერნატორობაა და ამისათვის ის ნებისმიერ საფასურს გადაიხდის. მისგან განსხვავებით, ბაღაფშს დამოუკიდებელი აფხაზეთის შექმნა სურს. რუსეთი აფხაზებს მხოლოდ საქართველოსგან თავდასაცავად სჭირდებათ, მაგრამ არ იციან, რა საფრთხე ელით თავიანთი „მფარველისაგან“, ამიტომ კარგი იქნება, თუ ციმბირის ისტორიას გაეცნობიან: ნახონ ერთი, ვიდრე იქ ერმაკი (რუსი სარდალი) შეიჭრებოდა, რამდენი ადგილობრივი ტომი ცხოვრობდა და დღეს რამდენია — სრულიად დაიკარგა და გადაჯიშდა იმ ხალხის ეთნოსი...

— რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა ჩვენი საჰაერო სივრცე მაშინ დაარღვიეს, როდესაც თბილისს კონდოლიზა რაისი სტუმრობდა. რისი მიმანიშნებელი იყო კრემლის ეს დემარში?

— რუსეთმა ამით, საქართველოს და მთელ მსოფლიოს აგრძნობინა, რომ დასავლეთის სიტყვიერი კრიტიკა მისთვის არაფერს ნიშნავს. სააკაშვილმა ერთ რამეს მართლაც, მიაღწია — ხელი შეუწყო რუსეთის საერთაშორისო იზოლაციას. საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად, მოსკოვის კრიტიკა მთელმა მსოფლიომ დაიწყო, მაგრამ ამასთანავე, რუსეთი უფრო გაღიზიანდა და „ნერვიულად“ იქცევა.

— ეს ყველაფერი ჩვენთვისაა უფრო სახიფათო თუ რუსეთისათვის?

— ორივე ქვეყნისთვის ერთანირად სახიფათოა.

— თბილისში სტუმრობისას, კონდოლიზა რაისმა განაცხადა: ძალადობა, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის, უნდა დასრულდესო. შეერთებული შტატებისგან უფრო ქმედით ნაბიჯებს ხომ არ უნდა ველოდეთ?

— ეს პოლიტიკური მოწოდება იყო და მეტი არაფერი. ჩვენ გვინდა, რომ ამ

როგორ გამოვთვალოთ ვარსკვლავური ბავშვის ღირებულება?

როგორც ინგლისური The Guardian იტყობინება, სახელგანთქმულ ადამიანთა შვილების ფოტოგადაღებებთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებისას, ზოგჯერ, ცნობილ ჟურნალებს შორის ხელჩართული ომიც კი იმართება. სწორედ ასე მოხდა საფრანგეთში, „ბრანჯელინის“ ტყუპის — კნოქს ლეონისა და ვივიენ მარჩელის დაბადების შემდეგ. წყვილთან კონტრაქტის გაფორმების მსურველებს შორის გამართული გაცხოველებული ვაჭრობისას, ფასმა, არც მეტი, არც ნაკლები, 11 მილიონ დოლარს მიაღწია და ეს მაშინ, როცა ბრედმა და ანჯელინამ შვილის პირველ ფოტოებში სულ რაღაც, 4,1 მილიონი დოლარი აიღეს. რაც შეეხება ჯენიფერ ლოპესს, მას თავისი ტყუპის ფოტოებში 5 მილიონი დოლარი მისცეს, ხოლო ტომ კრუზისა და კეიტ ჰოლმსისთვის ქალიშვილის პირველ ფოტოებში ჯერ არაფერი შეუთავაზებიათ.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვარსკვლავური ბავშვის ფოტოების ღირებულება მკაცრი ფორმულით განისაზღვრება: ფეხმძიმობისას მისი დედიკოს მომხიბვლელობა და ორივე მშობლის საერთო მიმზიდველობა, გამრავლებული მათ ვარსკვლავურ დიდებაზე, რასაც უთუოდ, რაიმე ხმაურიანი სკანდალი (რომელშიც ერთ-ერთი მათგანი წარსულში გაეხვია) და თავად ბავშვის სახელიც უნდა დაუმატოთ.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ნაშვილებია, ზემოთ მიღებულ თანხას ორი მესამედი უნდა გამოაკლოთ, რადგან სახელგანთქმული ადამიანების შვილების ფოტოებზე ნადირობისას, საინფორმაციო საშუალებებისთვის თავად ამ ადამიანების გენების განვითარებაზე დაკვირვებაც არანაკლებ საინტერესოა. მეტიც, თუ ეს გენები რაღაც-რაღაც მიზეზების გამო შესუსტებულია, მაშინ

უკვე, ე.წ. „პერიფერიულ“ სახელგანთქმულთა შვილებსაც ედებათ ფასი. მაგალითად, ბრიტნი სპირსის დამ — ჯემი ლინ სპირსმა თავისი შვილის ფოტოებში 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი აიღო.

ვარსკვლავური ბავშვის ფასის განსაზღვრისას ყველაზე დიდ პრობლემას მეკობრული ფოტოები წარმოადგენს. მაგალითად, ნიკოლ რიჩი, თავისი გოგონას ფოტოების გამოქვეყნების თაობაზე ჟურნალ Insyle-ს გაურიგდა, მაგრამ ვიღაცამ ქალაქში ახალშობილის რამდენიმე მეკობრული ფოტო გაავრცელა და ამით Insyle-ში გამოსაქვეყნებელი ფოტოების ღირებულების საგრძნობლად შემცირებას შეუწყო ხელი...

ამერიკაში სამომხმარებლო ფასებმა 26-წლიან მაქსიმუმს მიაღწია

ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს მონაცემებით, უკანასკნელი 12 თვის მანძილზე, ქვეყანაში სამომხმარებლო ფასებმა 5%-ით მოიმატა, რაც ბოლო 17 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გახლდათ. ესოდენ მაღალი ინფლაციის მიზეზი ენერგომატარებლების გაძვირებაა (6,6%-ით). აღსანიშნავია, რომ ბენზინის ფასმა 10,1, ხოლო ნავთობისამ 10,4 პროცენტით მოიმატა. 2008 წლის 11 ივნისს, ნიუიორკის NYMEX -ის სასაქონლო ბირჟაზე WTI მარკის ნავთობის ფასმა 147-დოლარიანი ნიშნული გადალახა და ბარელი ნავთობი 147,27 დოლარად გაიყიდა, მაგრამ 2008 წლის 15 ივლისს, მსოფლიო ბირჟებზე ნავთობის ფასი საშუალოდ 6 დოლარით დაეცა, ხოლო 16 ივლისს, იმავე NYMEX-სის ბირჟაზე, აგვისტოში მისაწოდებელი ბარელი ნავთობის ფასზე ვაჭრობა 138,07 დოლარიდან დაიწყო.

ნავთობზე ფასის დაცემის მიზეზად ექსპერტები აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის — ბენ ბერნანკეს განცხადებას ასახელებენ, რომლის თანახმადაც: „ენერგომატარებლებსა და კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა ძლიერ გავლენას ახდენს ამერიკის ეკონომიკაზე, რომელიც ამჟამად იპოთეკური კრიზისის წინაშე დგას“.

ელენა ბატურინამ ლონდონში სასახლე იყიდა

ელენა ბატურინა და იური ლუჟკოვი

უძრავ ქონებაზე ფასების სერიოზული რყევის მიუხედავად, გასულ წელს, 32 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაყიდული ბუკინგემის სასახლის შემდეგ, ლონდონში ყველაზე დიდ კერძო სახლს მყიდველი მაინც გამოუჩნდა და მასში 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა — ჰაიგეიტში მდებარე 90-ოთახიანი სახლი — უიტანჰერსტი მოსკოვის მერის მეუღლის, ელენა ბატურინას (რუსეთის ამ უმდიდრესი ქალის ქონება უკვე მილიარდობით დოლარს შეადგენს) საკუთრება გახდა.

წარსულში ამ სახლს (რომელსაც ჰაიგეიტ ვესტ ჰილის სანაკრძალო ზონის შვიდი აკრი უკავია და რომლის მთავარი შენობის ისტორიაც XVIII საუკუნიდან იწყება) BBC, proeqt Fame Akademy-სთვის იყენებდა, ინგლისის დედოფალი ელისაბედი კი ახალგაზრდობაში, უიტანჰერსტის უწინდელი მეპატრონის მიერ უიმბლდონის ტურნირის წინ გამართული წვეულებების დროს, ამ სახლში ჩოგბურთს თამაშობდა. ამავე სახლშია გადაღებული დრამები: „ნიკოლას ნიკლბი“, „მომაკვდინებლად ლამაზი“ და „ხავერდოვანი ფეხები“.

ამჟამად, სახლი სანახევროდ დანგრეულია. გასული წლის ივლისიდან ანუ მას შემდეგ, რაც დეველოპერმა მარკუს კუპერმა ის ერთ-ერთი არაბული ოჯახისგან გამოისყიდა, იქ არანაირი სარემონტო სამუშაო არ ჩატარებულა, მაგრამ 45 წლის ელენა ბატურინასა და პოსტსაბჭოური ეპოქის ყველაზე წარმატებულ სამშენებლო კონგლომერატ „ინტეკოს“, რომელიც სწორედ ამ ქალბატონის საკუთრებაა, უიტანჰერსტისთვის უწინდელი ბრწყინვალების დაბრუნება ნამდვილად არ გაუჭირდებათ. ამბობენ, რომ ახირებულმა ბატურინამ ეს სახლი ბევრად უფრო სარფიან, არაერთ მოსკოვურ პროექტს ამჯობინა. წელს მან და მისმა ქმარმა, რომელსაც ლონდონის ყოფილ მერთან — ქენ ლივინგსტოუნთან კარგი კავშირები აქვს, სახლი ჰოლანდ-პარკშიც იყიდეს.

ბატურინას უკან დახევა არ სჩვევია და ალბათ, ამ ახალი შენაძენის რესტავრაციაც სწრაფი და მასშტაბური იქნება. სხვათა შორის, ერთხელ, როცა მან და ლუჟკოვმა თავიანთი ორი ქალიშვილისთვის შესაფერისი სკოლა ვერ შეარჩიეს, ქალმა უსაფრთხოების ულტრათანამედროვე სისტემის მქონე საკუთარი სკოლის აშენება გადაწყვიტა.

1913 წელს უიტანჰერსტი „საპნის“ მაგნატმა — სერ არტურ კროსფილდმა შეიძინა. მას სურდა, ამ სახლის წყალობით ბრიტანეთის მაღალ საზოგადოებაზე შთაბეჭდილება მოეხ-



დინა. კროსფილდმა დაიქირავა არქიტექტორი ჯორჯ ჰაბარდი, რომელსაც სახლისთვის დედოფალ ანას სტილის ექსტრავაგანტურობა უნდა მიენიჭებინა. ჰაბარდმა სახლის მოპირკეთება 1920 წელს დაასრულა. უიტანჰერსტის მდიდრული ჭიშკრიდან სახლში შესული სტუმრები ძვირფასი ხით მოპირკეთებულ, იმდენად მასშტაბურ და მდიდრულად გაწყობილ დარბაზში ხვდებოდნენ, რომ მათგან ყველაზე თავხედსა და მომთხოვნსაც კი გაოცებისგან პირი ღია რჩებოდა.

სახლს მუხის პარკეტი, კაკლის ხის კედლები და ოქროთი მოვარაყებული კარნიზები ამშვენებდა. სერ არტურის ცოლი სახლს დანიშნულებისამებრ იყენებდა და იქ ყოველ წელს, უიმბლდონის ტურნირის წინ წვეულებასაც მართავდა.

თავდავიწყებულმა დეველოპერმა — მარკუს კუპერმა უიტანჰერსტი გასული წლის 18 ივლისს გამოისყიდა, შვიდი კვირის შემდეგ კი გასაყიდად გაიტანა, 75 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასა და თან, ჯიუტად ირწმუნებოდა, — რესტავრაციის შემდეგ სახლი 150 მილიონ გირვანქა სტერლინგად მაინც გაიყიდებაო. ■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ

თამუნა კვინიკაძე

უღელთფლობილი ქართული სცენა

ჟურნალისტი – მამუკა ლომაშვილი
რესპონდენტი – მზია კვირიკაშვილი

— რას ნიშნავს შენთვის ტიტული — „სიცილის დედოფალი“?

— „სიცილის დედოფალი“ პირველად, სცენიდან ქართლოს კასრაძემ მიწოდა და ხალხმაც აიტაცა. 25 წელია, ამ ტიტულს ვატარებ. მართალია, გვირგვინი არ მაქვს, მაგრამ დედოფლობა დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

— დარეჯანის შემდეგ საქართველოში დედოფალი აღარ გვყოლია...

— არა, ბატონო, მე მაგნაირ დედოფლობას არ ვიჩემებ...

— ანუ ბაგრატიონთა შთამომავალი არ ხარ და მონარქიული წყობილების აღდგენის შემთხვევაში, პრეტენზია არ გექნება (იცინის)?

— პირობას ვდებ, რომ ტახტზე პრეტენზიას არ განვაცხადებ.

— ახლა თბილისში ყველა ვიწვებით, მაგრამ მე შემოქმედებითი წვის პროცესზე მინდა გკითხო...

— (*აწყვეტინებს*) მამუკა, ისეთი წვის პროცესი მაქვს, როგორიც არასდროს. თბილისში უსაქმოდ ჯდომით დავიღალე, უმუშევრობა ცუდია. მე კარგად ვარ მაშინ, როცა ვშრომობ...

— არა მარტო შენ, არამედ შენი მეგობრებიც...

— უსაქმობა ტრაგედიაა. ვერ ვიხარჯები და შესაბამისად, აღარ ვიცი, ენერგია სად წავიღო. გაზაფხულზე „იუმორინა“ არ ჩატარდა და არც სხვა კონცერტები იმართება. შეიძლება, 3 თვეში ერთხელ რეგიონებში გასვლამ მომიწიოს, მაგრამ უხეშად რომ ვთქვა, იმ ჰონორარით თავს ვერ ვირჩენ.

— შენს ცხოვრებაში „ლომისის“ და ჯემალ ბაღაშვილის როლზე რას მეტყვი?

— ჯემალ ბაღაშვილისგან ბევრი რამ ვისწავლე. მან ჩემი კვალიფიკაცია საგრძნობლად აამაღლა და ამიტომაც, მისი მადლიერი ვარ. სხვათა შორის, რომ არა „იუმორინა“, ალბათ, საქართველოდან უფრო ადრე წავიდოდი.

— 25 ოქტომბერს „იუმორინა 2008“ ეწ. პროფკავშირების კულტურის სახლის შენობაში ჩატარდება. მონაწილეობას არ მიიღებ?

— ვერა, რადგან აგვისტოში მოსკოვში მივემგზავრები. იქიდან მიწვევა ადრეც არაერთხელ მიმიღია. ახლა გამგზავრება გადაწყვეტილი მაქვს. „მოსკონცერტში“ ვიქნები და ვიცი, რომ გასტროლებით ბევრს ვიმოგზაურებ. თუ მოსკოვში ყველაფერი კარგად აეწყო, „იუმორინის“ კონცერტებზე მოწვევით ჩამოვალ. აბა, სხვა პლანეტაზე კი არ მივდივარ.

— უკვე არაერთი ნიჭიერი ადამიანი წავიდა ქვეყნიდან. ახლა შენც იძულებული ხარ, სამშობლო დატოვო. ეს ძალიან ცუდია. ვფიქრობ, საქართველოში ნორმალური, ჯანსაღი იუმორი დეფიციტი გახდა, ეს სფერო განუვითარებელია.

— გაცილებით სამწუხარო ის არის, რომ ეს ნოდარ დუმბაძის ქვეყანაში ხდება...

— მოდი, „კულტურულ პოლიტიკაზე“ ვისაუბროთ...

— თუ ღმერთი გწამს, მე ასეთი პოლიტიკა არ გამიგია. საერთოდაც, პოლიტიკაზე ნუ მალაპარაკებ, ამაში გათვითცნობიერებული არ ვარ. მიუხედავად ცხვირის სიდიდისა, მას ამ სფეროში არასდროს ვყოფ.

— სწორედ პოლიტიკის შედეგია ის, რომ იძულებული ხარ, ქვეყნიდან წახვიდე.

— ამაში გეთანხმები. წარმოიდგინე, ყველა ის ადამიანი, რომელიც დღეს საქართველოს ფარგლებს მიღმა ცხოვრობს და საქმიანობს, სამშობლოში რომ დაბრუნდეს, როგორი ძლიერები ვიქნებით. კულტურა ხომ ერის სახეა. სამწუხაროდ, ახლა ეს კულტურა თვალსა და ხელს შუა დნება. ერთი დიდი საკონცერტო დარბაზი გვქონდა და კარგია, რომ რემონტდება, მაგრამ იმ ერთის გარდა, დედაქალაქში დარბაზი არ უნდა იყოს? მომღერლები, მსახიობები 3-4 წლის განმავლობაში უსაქმოდ უნდა იყვნენ და ელოდონ, რემონტი როდის დამთავრდება?!

— მოსკოვში წლინახევრის წინ იყავი და რუს მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოგიხდენია...

— (*აწყვეტინებს*) როგორ გგონია,



ბევრისგან განსხვავებით, მე პოლიტიკაში 1999 წლიდან ვარ და არა – 2004 წლიდან...

„რუსეთის დედოფალიც“ გავხდები?

— გახდები, აბა, რა იქნება!

— რომ იცოდე, ფატაც მიმაქვს (*იცინის*). ისე, ამას საიდუმლოდ გეუბნები.

— მიდიხარ და სახლში ორ შვილიშვილს ტოვებ. როგორი ბებია ხარ?

— გიჟი, გადარეული და დაცენტრილი. გიორგი 9 თვისაა და როცა მუსიკის ხმას გაიგონებს, ცეკვას იწყებს, ხოლო როცა მუსიკა მთავრდება, ვერ ჩერდება; მერე ტირილს იწყებს, — ჩამირთეთო. მარი ცეკვაზე დაგვყავს, კარგი მონაცემები აქვს. მინდა, სექტემბრიდან შენს სტუდიაში — „სახლი თეატრში“ მოვიყვანო.

— ძალიან კარგი. მოსკოვში ისე მიდიხარ, დასვენებას ვერ ასწრებ?

— რა დროს დასვენებაა?! ამისთვის დრო არ მრჩება.

— გახსოვს, ქობულეთში რომ ვიყავით?

— როგორ არა?! ზღვაში ვჭყუმპალაობდით... ერთხელ შეხვედრა მქონდა დანიშნული. სასტუმრო „ინტურისტიდან“ კარგ დროს გავედი, მაგრამ ის ადამიანი 2 საათი მაინც ვალოდინე: გზად ვინც კი მხვდებოდა, ყველა მაჩერებდა და მეკითხებოდა, — თქვენთან სურათის გადაღება თუ შეიძლებაო? ავტოგრაფებს მთხოვდნენ...

— ისიც თქვი, სურათში 3 ლარს რომ ითხოვდი (*იცინიან*)...

— ტყუილების ლაპარაკიც დაიწყე, არა?! მოდი, ახლა კითხვებს მე დაგისვამ.

— საინტერესოა, როგორი ჟურნალისტი იქნები, „სიცილის დედოფალო“.

ჟურნალისტი – მზია კვირიკაშვილი
რესპონდენტი – მამუკა ლომაშვილი

— მამუკა, ძალიან მიხარია, შენი სტუდია რომ გაქვს. უკვე გითხარი, ჩემი შვილიშვილი უნდა მოგიყვანო-მეთქი. კარგად გამარკვიე, — რა ხდება იქ?

— ბავშვებს მსახიობის ოსტატობაში, მეტყველებაში, ვოკალში, პლასტიკაში ვამეცადინებთ, შემდეგ კი სცენაზე აგვყავს და სპექტაკლებს ვდგამთ. სულ 2 წელია, რაც ეს სტუდია არსებობს და უკვე მივიღეთ მიწვევა საფრანგეთიდან — 2009 წლის გაზაფხულის ფესტივალზე.

— გილოცავ!

— ალბათ, ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ვრჩები და არსად მივდივარ...

— მიუხედავად ამისა, რატომ გაგიჩნდა პოლიტიკაში წასვლის სურვილი?

— ბევრისგან განსხვავებით, მე პოლიტიკაში 1999 წლიდან ვარ და არა — 2004 წლიდან... პარლამენტში შესვლით, ჩემს რაიონს გაცილებით მეტს გავუკეთებდი, ვიდრე დღეს შემიძლია. არაერთი შემოთავაზება მქონდა და მათ რომ დავთანხმებოდი, ყველაფერს უბრძოლველად მივაღწევდი, მაგრამ ასე არ მოვიქეცი, ჩემს პრინციპებს ვერ ვუღალატე. მინდა, ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩემ გვერდით იდგა, მადლობა გადავუხადო. 17 წლის ვიყავი, როცა აგრარულ უნივერსიტეტში „დებატ-კლუბი“ ჩამოვაყალიბე. მაშინ იმდენად აქტიური ვიყავი, ყველას ეგონა, რომ პოლიტიკას გავყვებოდი და როცა სცენაზე მიხილეს, გაუკვირდათ.

— მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას თუ აპირებ?

— კენჭს აღარ ვიყრი. ეს ჩემი თვითმიზანი არ არის და არც დამარცხების აღიარებაა ჩემთვის პრობლემა.

— კარგი, პოლიტიკიდან გადავუხვიოთ...

— (*აწყვეტინებს*) და გლდანში წავიდეთ?.. ჩვენ ხომ გლდანის დიდი ქომაგები ვართ. შენ „გლდანის ვერაზე“ ცხოვრობ, მე — „გლდანის ვაკეში“...

— რას მეტყვი მეგობრებზე? საერთოდ, რას ნიშნავს შენთვის მეგობრობა?

— ეს სიტყვებით ძნელი ასახსნელია. მე ჩემი მეგობრებით ვცხოვრობ.

— ბევრი არ არის ღირსი, რომ ეს სიტყვა უწოდო.

— გეთანხმები. საბედნიეროდ, მე მყავს ისეთი მეგობრები, რომლებსაც ბევრ რამეს ვანდობ. შენ მათ ჩამონთვალში საპატიო ადგილი გიკავია.

— წარმოიდგინე, რომ 17 წლის ხარ და სკოლა წელს დაამთავრე. რა პროფესიას აირჩევდი?

— ბავშვობიდანვე მსახიობობაზე ვოცნებობდი. მშობლებს ჭადრაკის წრეზე დავყავდი, მე კი საჭადრაკო დაფა — სცენად, ხოლო ფიგურები — მსახიობებად მყავდა წარმოდგენილი. როცა სოფელში მივდიოდი და აგრარულ უნივერსიტეტს გვერდს ჩავუვლიდი, ვფიქრობდი, — ნეტავ, აქ რა ხდება, ასეთი დიდი შენობა რისთვის ააშენეს-მეთქი? წლების შემდეგ ისე მოხდა, რომ იქ ჩავაბარე. მოგვიანებით, ფილარმონიის კულისებით დავინტერესდი...

— და ის კულისებიც იხილე. უბედნიერესია ადამიანი, როცა იმ საქმეს ემსახურება, რომელიც უყვარს. მეც მსახიობობაზე ვოცნებობდი. 3 წლის ასაკში ჩემი სცენა „ტაბურეტი“ იყო... მამუკა, უკვე 26 წლის ხარ, ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობ? მართალია, ცოტა ინტიმური კითხვაა, მაგრამ ხომ უნდა დამესვა?

— გუშინ, ამერიკაში მყოფ ცუცა კაპანაძეს ველაპარაკე. 7 აგვისტოს, ბროდვეიზე, იქაური მაყურებლის წინაშე ქართული თეატრი გამოდის. ცუცა მეპატიჟება, — ჩამოდიო. თუ ჩავალ, მასთან ხელი უნდა მოვაწერო (*იცინიან*). ვნახოთ, ეს იდეა როგორ განვითარდება... სიყვარულზე ლაპარაკი ადვილი არაა და წინასწარ ვერც იმას განსაზღვრავ, თუ როგორი გოგო შეგიყვარდება. ჩემი მეუღლე მორწმუნე ადამიანი უნდა იყოს, კეთილი და თავმდაბალი.



მართალია, გვირგვინი არ მაქვს, მაგრამ ღედოფლობა დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს

— ამ ზაფხულს დასასვენებლად წასვლას ახერხებ?

— მეგობართან ერთად, ურეკში უნდა წავიდე.

— რას გვისურვებ ხელოვნებას?

— ბევრ სამუშაოს. გისურვებთ, რომ თქვენი შრომა დაფასებულიყოს. ახლა ერთი მაგარი ანეკდოტი მოგვიყევი. ვიცი, „გზის“ მკითხველები შენგან ამას ელოდებიან.

— ოკეანეში გემი ჩაიძირა. ცოცხალი მხოლოდ ჭიჭიკია გადარჩა. მიცურავს ოკეანეში და თან, იგინება. უეცრად დაინახა, რომ მისკენ ვილაც კაცი მოცურავს. კიდევ ერთი ადამიანი გადარჩენილაო! — გაგიჟდა სიხარულისგან. მასთან ახლოს მიცურა და ჰკითხა:

— ქუთაისელი ხომ არ ხარ, ბიჭო, შენ?

— ჰო, ბიჭო, ქუთაისელი ვარ, ქუთაისელი.

ჭიჭიკამ უმედოდ გაიხედ-გამოიხედა და გამწარებულმა ჩაილაპარაკა:

— აუ, სად გცე ახლა აქანა პატივი?..

მაზლმა ძმის მკვლელობაში რეალური პატიმრობა მიუსაჯეს

შემთხვევის ადგილზე რომ მივიდნენ, დაჭრილი ქალი უკვე სისხლისგან იცლებოდა

26 წლის ნოდარ ჩიხლაძეს მართლმსაჯულებამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა. არც განსასჯელს გამოუთქვამს პროტესტი, როცა ვერდიქტს ისმენდა, თუმცა განაჩენი მაინც გასაჩივრდა: ადვოკატი სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვდა და საქმის მასალებში ფაქტების გაზვიადებასა და დამახინჯებას უჩიოდა. რამდენად გაზვიადებულია საბრალდებო დასკვნა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამბავი, რომლის შესახებაც მოწმეების ჩვენებებში ვკითხულობთ, მართლაც შემაძრწუნებელია. მაზლმა — ნოდარ ჩიხლაძემ ახალგაზრდა რძალი — 22 წლის ნატა ბოდოკია ქმრის ღალატის გამო სიცოცხლეს გამოასალმა.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ბოლო ორი თვის მანძილზე, რძლის საქციელით დაეჭვებული მაზლი ბრაზობდა და განუწყვეტლივ შურისძიებაზე ლაპარაკობდა. ოჯახის წევრები მის მუქარას რძლის მისამართით თურმე საკმაოდ ხშირად ისმენდნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ყოველივე ამას სერიოზულად მაინც არ აღიქვამდნენ. *„ვერასდროს წარმოვიდგენდით, თუ ეს მუქარები რეალური იყო და ნოდარი მსგავს რამეს ჩაიფიქრებდა. ამ მდგომარეობამ ის სრულ უკონტროლობამდე მიიყვანა. ბოლო დროს მოუსვენარი და აგრესიული გახდა, ადგილს ვერ პოულობდა, ბორგავდა, იგინებოდა, ილანძღებოდა. ის, რაც ჩვენს ოჯახში ხდებოდა, ბუნებრივია, ჩვენც გვაწუხებდა და განვიცდიდით, მაგრამ თავს ვიიმედებდით იმით, რომ ყველაფერი, ასე თუ ისე, მოგვარდებოდა. ასეთ უბედურებას არავინ ელოდა. ამას ვერც წარმოვიდგენდით...“* — აღნიშნა სასამართლო პროცესზე განსასჯელის დედამ — **ღულუნი ჩიხლაძემ**.

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტი 2000 წლის 6 აპრილს, შუაღამისას, დაახლოებით პირველ საათზე, თბილისში, ვარკეთილის მე-3 მიკრორაიონში მოხდა. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ნოდარ ჩიხლაძე იმ ღამით რძლის ღალატში დარწმუნებული იყო. იმასაც ფიქრობდა, რომ ქალს საყვარელთან შეუსწრებდა. მანამდე, დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის, კორპუსთან ჩასაფრებულმა, საეჭვო ტაქსი შენიშნა და მოვლენების განვითარებას დაელოდა. მანქანიდან მხოლოდ მძღოლი გადმოვიდა და სწორედ იმ სადარბაზოში შევიდა, სადაც ჩიხლაძის ძმა და რძალი ცხოვრობდნენ. დარწმუნებული იმაში, რომ საყვარელი რძალთან ბინაში იმყოფებოდა, შურისძიების სურვილით შეპყრობილი, შინისკენ გაემართა.

„...ჩვენ უკვე, დასაძინებლად ვიწექით. ნოდარის დაგვიანებას შეჩვეულები ვიყავით, ამიტომ არ გვინერვიულია, ვიმედოვნებდით, რომ სადაცაა, დაბრუნდებოდა. უცრად, ალბათ ღამის 12 საათისთვის, კარზე გიჟურმა, გაბმულმა ზარმა გაგვაღვიძა. შეშინებული წამოვხტი საწოლიდან, მაგრამ სანამ გონს მოვიდოდი და გავიაზრებდი, რა ხდებოდა, ზარი ასევე არანორმალურმა ბრახუნმა შეცვალა. მეუღლეს ვუთხარი, — ადექი, რა ხდება, ნახე-მეთქი. კართან რომ მივიდა, არ უკითხავს — ვინ არისო? სათვალთვალოში გაიხედა და ნოდარი რომ დაინახა, პირდაპირ გააღო. შვილის დანახვა კი გამიხარდა, მაგრამ ახლა სხვა მხრივ ავღელდი. მივაძახე, — რა ამბავია-მეთქი? — ნუ გეშინია, არაფერია, ძალიან მეჩქარება, მოვალო. თავის ოთახში შევარდა, იმავე წამს გამოვიდა და სახლიდან გავარდა...“ — ჰყვება **ღულუნი ჩიხლაძე**.

საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის თანახმად, იმავე ღამეს, ღალატისა და შინ საყვარლის მიყვანის გამო განაწყენებულმა ჩიხლაძემ ნატა ბოდოკიას ბინაში მიაკითხა. ზარი დარეკა და კარის გაღებას დაელოდა. როგორც თავად მოგვიანებით, აღიარებით ჩვენებაში აღნიშნა, მისთვის სულერთი იყო, კარს ვინ გააღებდა — რძალი თუ მისი საყვარელი, შურისძიება ორივეზე სურდა და ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ დანა მაშინვე მოექნია იმისთვის, ვინც იქნებოდა. კარი ნატა ბოდოკიამ გააღო. მაზლმა, ისე, რომ არაფერი უთქვამს, მას ხანჯლის ტიპის დანა მოუქნია და რამდენჯერმე ჩაარტყა სხეულში. დაჭრილი ქალი იქვე წაიქცა. ამის შემდეგ, ჩიხლაძე ბინაში შევიდა, რათა საყვარელიც მოეძებნა და მასაც ასევე გასწორებოდა, მაგრამ იქ რომ ვერავინ იპოვა, ბინიდან გაიქცა და მიიმალა. თუმცა მანამდე, ვიდრე კორპუსიდან გავიდოდა, პირველ სართულზე მცხოვრებ მეზობელს დაუბრახუნა და მიაძახა, — ადით ზევით, ნატა ცუდადაა და დაეხმარეთო...

მეზობლები შემთხვევის ადგილზე რომ მივიდნენ, ნატა ბოდოკია უკვე სისხლისგან იცლებოდა. მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და „სასწრაფოსაც“ გამოუძახეს. „სასწრაფოს“ თანამშრომლებმა დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ იქამდე ცოცხალი ვერ მიიყვანეს, ნატა ბოდოკია გზაშივე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, მას ერთი მსუბუქი — გულმკერდის არეში, ზურგიდან მიყენებული და კიდევ, მძიმე ხარისხის ორი დაზიანება ჰქონდა; სასიკვდილო ჭრილობები ნატა ბოდოკიამ მუცლის არეში მიიღო. დანის დარტმის შედეგად, მას აორტის ტოტი დაუზიანდა, რის გამოც სისხლისგან დაიცალა. მოკლულს 4 წლის ქალიშვილი დარჩა...

ოჯახის წევრები და მათი ახლობლები ამბობენ, რომ ყველაფერი შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყო, მას შემდეგ, რაც რძალი და მისი შვილი, ქმრის მშობლების სახლიდან ცალკე საცხოვრებლად გადავიდნენ. იმ დროიდან მოყოლებული, ნატა ბოდოკიას მისამართით თურმე ჭორები არ წყდებოდა. ამბობდნენ, რომ ახალგაზრდა, გათხოვილი ქალი, რომელსაც ქმარი ციხეში ჰყავდა, ცხოვრების თავაშვებულ წესს მისდევდა. დაზარალებული მხარე ამას თავიდანვე კატეგორიულად უარყოფდა. სასამართლო პროცესზე ბოდოკიას ოჯახის წევრებმა განაცხადეს, რომ მომხდარი უბედურება მთლიანად განსასჯელის ოჯახის კისერზეა, ხოლო მოკლული, მისი უდანაშაულო მსხვერპლი იყო...

თეა ბოდოკია, *მოკლულის და:*

„...ნოდარ ჩიხლაძე მთელ უბანში ცნობილი ლოთი, ნარკომანი და თავზე ხელაღებული ახალგაზრდაა. არ არსებობდა, ის საღ გონებაზე მყოფი ენახა ვინმეს. ყოველდღე, დილიდან იწყებდა ან სმას, ან ნარკოტიკების კეთებას, თუკი ამის ფულს იშოვიდა და შანსი ჩაუვარდებოდა. ერთი პერიოდი რუსეთში ცხოვრობდა, ბიძამისთან. იმ კაცმა ვეღარ გაუძლო მის დევნას და სახლიდან გააგდო. ამის შემდეგ, მაწანწალებთან ერთად, ქუჩაში დახეტიალებდა თურმე. ერთხელაც, მილიციას ჩაუვარდა ხელში და საცოდავმა მამიდამისმა, რომელიც საკუთარი ოჯახის სარჩენად საბერძნეთში იყო გადახვეწილი, მთელი მოგროვილი თანხა რუსეთში გაგზავნა და ძმისშვილი გამოიხსნა. ამის შემდეგ, ნოდარი საქართველოში ჩამოვიდა, სრულიად შეცვლილი და გადაგვარებული.

მშობლები დატერორებული ჰყავდა ყოველდღიური სკანდალითა და გაწამაწიით. ჩემი და ძალიან წუხდა — მაიზერი (ნატა ბოდოკიას მეუღლე) ნერვიულობს, ნოდარი ყოველდღე ფულს სთხოვსო. ჩემმა სიძემ კარგად იცოდა, ნოდარს ეს ფული რისთვის სჭირდებოდა. ერთხელ თურმე უარი უთხრა და ნოდარმა სახლში ყველაფერი დალეწა... „თეთრი ცხელება“ ჰქონდა. რაღაცები ელანდებოდა და როგორც ჩანს, ნატას ბინაში საყვარლებიც მისი ფანტაზიისა და მოჩვენებების ნაყოფი იყო. ჩემი და, სიყვარულით გათხოვდა. ქმარი ძალიან უყვარდა და მას არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდა... არც ოჯახიდან წამოსულა თავისი ნებით. სახლიდან ის მამამთილმა და მაზლმა გააგდეს... ნატა ამბობდა, ცოტასაც მოვითმენ — მაიზერი გამოვა ციხიდან და ყველაფერს მოევლებაო. არ დააცადეს, მოსვენება არ მისცეს, შვილთან ყოფნის და ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ და ბოლოს მოკლეს კიდეც... ნატას ბევრჯერ ვთხოვე, ჩემთან გადმოსულიყო საცხოვრებლად. ჩემთან ერთად, უფრო დაცული იქნებოდა, მაგრამ არ დამიჯერა. ალბათ, ეს მისი ბედისწერა იყო...“

მოკლულის და იმასაც აღნიშნავს ჩვენებებში, რომ ნოდარ ჩიხლაძე, ისევე, როგორც მამამისი — თეიმურაზ ჩიხლაძე, მათ ოჯახს სისტემატურად ემუქრებოდნენ და აშანტაჟებდნენ. „რეკავდნენ სხვადასხვა ნომრიდან, იგინებოდნენ და მოკვლით გვემუქრებოდნენ. ნატას ბავშვთან ყოფნის საშუალებას არ აძლევდნენ, მთელი კვირით წაიყვანდნენ ხოლმე და როცა დედა შვილის წაყვანას დააპირებდა, მუქარებიც მაშინ იწყებოდა. ბავშვით აშანტაჟებდნენ. ეუბნებოდნენ, — შენთან ნორმალურად როგორ გაიზრდება?! მაიზერს ვეტყვით ყველაფერს, რაც ხდებაო. ჩემი და განიცდიდა, იცოდა, რომ დამნაშავე არაფერში იყო, მაგრამ ქმრის გაღიზიანების მაინც ეშინოდა. ციხეში გამომწყვდეული ადამიანის ჭორებით გაგიჟება ადვილია, ამის ეშინოდა ნატას ყველაზე მეტად...“

ის, რომ შემთხვევის დღეს და კონკრეტულად, დანაშაულის ჩადენის მომენტში ნოდარ ჩიხლაძე ნასვამი იყო, გამოძიებითაც დადგენილია. საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობის ჩადენამდე რამდენიმე საათით ადრე, მან ძმაკაცებთან ერთად, ვარკეთილის მე-3 მიკრორაიონში მდებარე სასადილოში ისადილა და დაახლოებით ერთი ლიტრი ღვინოც დალია. თავად განსასჯელმა ჩვენებისას აღნიშნა, რომ სწორედ სმის დროს დაუწყეს მეგობრებმა რძლის ამორალურ ცხოვრებაზე ლაპარაკი. ის უკიდურესად შეურაცხყოფილი დარჩა და სამაგიეროს გადახდაც მაშინვე განიზრახა. იქიდან წასულმა გადაწყვიტა, რძალს კორპუსთან ჩასაფრებოდა. გვიან ღამემდე ფეხი არ მოუცვლია და საეჭვო პიროვნების მოსვლას დაელოდა. საუბედუროდ, ტაქსი მართლაც, გამოჩნდა...

ღულუნი ჩიხლაძე:

„ჩემს რძალს რომ ვიღაც „ტაქსისტთან“ რომანი ჰქონდა, ყველამ ვიცოდით. პირველად ეს ამბავი იქაურმა მეზობელმა მითხრა. ის ქალბატონი იქვე, ჯიხურში მუშაობს გამყიდველად, მთელ კორპუსს შეჰყურებს და არაფერი გამოეპარება. იმ დღეს შვილიშვილს მივაკითხე, „ბატონები“ უბრძანდებოდა და მოვინახულე. შინისკენ რომ მივდიოდი, ნუნუმ — ჯიხურის გამყიდველმა დამიძახა და მკითხა, — „ტაქსისტი“ რომელი ნათესავი გყავთო? თან ის პიროვნებაც აღწერა. — არავინ-მეთქი, — გავიკვირვე. — არა, ხშირად აკითხავს ნატას, ყოველ საღამოს ნამცხვრებითა და „კოკა-კოლებით“ დატვირთული ადის, ოჯახის ახლობლად მივიჩნიე, იცის მდგომარეობა და ბავშვს ანებივრებსო, — მითხრა ნუნუმ. მერე მივხვდი, რომ ეს ყველაფერი განგებ მითხრა, რათა საქმის კურსში ჩავყენებინე... ამ თემაზე ნატას არაერთხელ ვესაუბრე, მაგრამ ის ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა იმ მამაკაცთან ახლო ურთიერთობას. ერთხელ თქვა, — კლასელია და ბავშვს მართლაც მოუტანა ტკბილეული, ამაში ცუდი რა არისო?.. განსაკუთრებით ჩემი მეუღლე და შვილი — ნოდარი ღელავდნენ. მეშინოდა, მაიზერის ყურამდე არ მისულიყო და რამე უბედურება არ დატრიალებულიყო, მაგრამ ამას მაინც ვერ გადავურჩით... მაიზერი პროფესიით ბუღალტერი გახლდათ. საწარმო, რომელშიც მუშაობდა, „ჩავარდა“, პოლიციამ დალუქა, მისი მფლობელები კი თანხის დამალვისა და მითვისების გამო აიყვანეს. მათ შორის აღმოჩნდა ჩემი შვილიც. იმ დროისთვის, როცა ეს უბედურება დატრიალდა, უკვე მესამე წელი გადიოდა, რაც ციხეში იჯდა... ჩვენი სახლიდან ნატა შემთხვევამდე ორი თვით ადრე გადავიდა. ამის სურვილი თვითონ გამოთქვა და არც მე შევწინააღმდეგებივარ. ბოლო დროს რძალ-მამამთილი სულ უფრო ხშირად ჩხუბობდა, ვიფიქრე, ნატას წასვლა სიტუაციას განმუხტავდა... პირიქით მოხდა... შესაძლოა, ჩვენთან რომ დარჩენილიყო, ეს უბედურებაც არ მომხდარიყო... იმ საშინელ ღამეს ნოდარი შინ აღარ დაბრუნებულა. იმ წუთიდან, რაც სახლიდან გიჟივით გავარდა, თვალი არც მე, არც ჩემს მეუღლეს აღარ მოგვიხუჭავს. ვგრძნობდით, რომ რაღაც კარგი არ გველოდა, თუმცა ნატაზე მართლაც არაფერი გვიფიქრია. უფრო გვეგონა, რომ ნოდარს ბიჭებთან მოუვიდა ჩხუბი და საქმის გასარჩევად გავარდა. ალბათ ღამის 2 საათი იქნებოდა დაწყებული, როცა ვარკეთილელმა მეზობელმა დარეკა და მითხრა, — ნატა ცუდადაა, საავადმყოფოშიაო. იმ ღამეს შვილიშვილი ჩემთან იყო. დავიბენი, არ ვიცოდი, რა მექნა, ან ბავშვი ვისთან დამეტოვებინა. ქმარი მეუბნებოდა, — შენ წადი, მე დავრჩებიო. ვემზადებოდი, როცა მეორე ზარიც გაისმა და მაშინ უკვე უბედურების შესახებ შეგვატყობინეს. პოლიციიდან რეკავდნენ, ნოდარი იკითხეს... იმ ღამეს ჩემი ქმარიც ძლივს გამოვტაცე სიკვდილს ხელიდან. იმავე წამს მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ძალიან განიცადა...“

ეჭვმიტანილი პოლიციამ მეორე დღეს დააკავა. ნოდარ ჩიხლაძე პოლიციას არ შესწინააღმდეგებია და აღიარებითი ჩვენებაც დაწერა. „...მისი მოკვლა არ მინდოდა. მინდოდა, ტკივილი მიმეყენებინა... ბოლო დროს აშკარად ვხედავდი, რომ ჩემს ოჯახს ყველა, ნიშნის მოგებით, ირონიით უყურებდა და მინდოდა, ამისთვის პასუხი ეგო. იმ დღეს, ჩემი მეგობრის — დათო კარანაძის სიტყვებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. სასადილოში ერთად ვსვამდით. დათო მომიტრიალდა და მითხრა, — ბიჭო, შენს რძალს მიხედე, შენ და შენი ძმა მაგრად მიყვარხართ და ამას ამიტომ გეუბნები, ეგ გოგო მაგრად გარცხვენთო... ამის გაგონებაზე, მახსოვს, რომ ყურებმა წივილი დამიწყო და თითქმის არაფერი მესმოდა. რამდენიმე წუთში ყველანი დავიშალეთ. მე კორპუსთან გავჩერდი და იმ კაცის გამოჩენას დავველოდე. ვიცოდი, რომ ტაქსის მძღოლი იყო და დაახლოებით ისიც ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა... შინ როგორ წავედი ან რით — არ მახსოვს. თავში მარტო ის მიტრიალებდა, რომ კარს გააღებდნენ თუ არა, მათთვის პასუხი უნდა მომეთხოვა. ტკივილი რომ მიმეყენებინა, სახლიდან დანა ამიტომაც წავიღე... მახსოვს, რომ კარი ნატამ გააღო... რამდენჯერ დავარტყი, არ დამიფიქსირებია...“ — დაწერა ჩვენებაში **ნოდარ ჩიხლაძემ** და ეს სასამართლო პროცესზეც გაიმეორა.

მოკლულის დის მიერ ნოდარ ჩიხლაძის დახასიათებას განსასჯელის ნათესავები არ ეთანხმებიან. მათი თქმით, ნოდარი ემოციური ადამიანი მართლაც არის, მაგრამ არა — ლოთი და ნარკომანი. მათ უარყვეს საბრალდებო დასკვნაში დაფიქსირებული რამდენიმე დეტალი და მუხლის კვალიფიკაციაც, რომელიც დამამძიმებელ გარემოებებში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობას ეხება. ადვოკატის პოზიციით, ნოდარ ჩიხლაძემ მსხვერპლს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა, რასაც სიკვდილი მოჰყვა შედეგად. ამ მოტივით, სასამართლოს მან მუხლის გადაკვალიფიცირება და შესაბამისი სასჯელის დანიშვნა სთხოვა. სასამართლომ ადვოკატის პოზიცია არ გაიზიარა და დაეთანხმა პროკურორს, რომლის თქმით, განსასჯელმა ცივი იარაღი (რომლითაც, სხვათა შორის, საგანგებოდ შეიარაღდა) მსხვერპლს არა ერთხელ, არამედ ზედიზედ რამდენჯერმე და თან ძლიერად ჩაარტყა სხეულში, რაც თავისთავად, დანაშაულის სისასტიკეზე მეტყველებს. ეს მოსაზრება შემდეგ, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმაც გაიზიარეს და სასჯელი — 22 წლით თავისუფლების აღკვეთა (მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით) ძალაში დატოვეს. ადვოკატი აპროტესტებდა იმასაც, რომ სასამართლომ არც ნოდარ ჩიხლაძის გულწრფელი მონანიება გაითვალისწინა. პროცესზე განსასჯელმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მიმალვა არც უცდია, მკვლელობის შემდეგ, გონს მოსასვლელად, ნაცნობის ოჯახში მივიდა, მეორე დღეს კი განყოფილებაში გამოცხადებას საკუთარი ნებით აპირებდა... ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ 102

ბილეთის შეძენა სახლიდან გაუსვლელად,

კომფორტული შრენა და ღებაილან ჩამოსული მზარეულის ამინა

თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ნაწილს, ქალაქიდან ქალაქში გადაადგილება, მათ შორის — თვითმფრინავით მგზავრობა წარმოადგენს. დღეს ქართველობას კი ისე მოუმრავლდა საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავი თუ ნაცნობ-მეგობარი, შანსის გაჩენისთანავე, აეროპორტისკენ მიიჩქარის... ცხადია, პოტენციურ ავიამგზავრებს, ფრენა-მოგზაურობასთან დაკავშირებული ყველა სიახლე აინტერესებთ და ჩვენც ამის გასარკვევად, კომპანია „აირზენას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო გიორგობიანს მივმართეთ.

თორნიკე ყაჯრიშვილი

— რა სიახლეებს სთავაზობს „აირზენა“ მგზავრებს ამ ზაფხულს?

— საზაფხულოდ სიურპრიზი მოვუმზადეთ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც მოსკოვში, კიევსა თუ სანქტ-პეტერბურგში ნათესავები და ახლობლები ჰყავთ: ამ ქალაქების რეისებზე ბილეთების ფასი შემცირდა და 80 ევროდან იწყება. კიდევ ერთი სიახლე ჩვენი მგზავრებისთვის გახლავთ რეისი — თბილისი-ბათუმი-მოსკოვი: ის იმ მგზავრებისთვისაა გათვალისწინებული, რომლებიც ბათუმიდან მოსკოვში მიემგზავრებიან და აქამდე თბილისში ჩამოსვლა უწევდათ; ამასთანავე, აჭარის კურორტებზე დასვენების მსურველ მოსკოველებსაც მიეცემათ საშუალება, პირდაპირ ბათუმში ჩაფრინდნენ. ასეთივე საშუალება მიეცათ უკრაინაში მცხოვრებლებსაც, ვინაიდან უკვე რამდენიმე თვეა, დაინიშნა რეისი — ბათუმი-კიევი-ბათუმი.

— როგორც ვიცი, ავიაკომპანიამ 60 ახალი თანამშრომელი მიიღო. რა ვაკანსიებზე იყო გამოცხადებული კონკურსი?

— გამოვაცხადეთ კონკურსი ბორტგამყოლების მისაღებად და ჩვენთან ასობით ახალგაზრდა გოგო და ბიჭი მოვიდა. მათ რამდენიმე შესარჩევი ტური და ბორტგამყოლისთვის აუცილებელი, სამედიცინო შემოწმება გაიარეს. შემდეგ ჩაუტარდათ თეორიული კურსი საავიაციო ინსტიტუტში, სადაც გამოცდილი პედაგოგები და ჩვენი გამოცდილი ბორტგამყოლები ასწავლიან. 18-დან 25 წლამდე ასაკის, უცხო ენების მცოდნე, სასიამოვნო გარეგნობის და კომუნიკაბელური ახალგაზრდები შევარჩიეთ. უნდა აღინიშნოს, რომ წელს საკმაოდ კარგი ნაკადი მივიღეთ. 60 ახალგაზრდა უკვე დასაქმებულია და ბორტზე მუშაობს. ალბათ გაისადაც მოგვიწევს კონკურსის გამოცხადება, რადგან კომპანია, „ბოინგის“ მარკის ახალი თვითმფრინავების ჩამოყვანას გეგმავს. ასე რომ, რეისების რაოდენობა გაიზრდება და ბორტგამყოლი პერსონალის დამატებაც თავისთავად, საჭირო გახდება.

— კიდევ რა სიახლეებს სთავაზობთ მომხმარებელს?

— ძალიან ბევრი სიახლე გვაქვს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ელექტრონული ბილეთები, რომლებიც ჩვენს კომპანიაში უკვე იყიდება. რეგისტრაციის გასავლელად, მგზავრი წარმოადგენს პასპორტსა და პრინტერზე ამობეჭდილ ფურცელს, სადაც მისი მონაცემებია ჩამოთვლილი. ქაღალდის ბილეთისგან განსხვავებით, ელექტრონული ბილეთის დაკარგვა და მოპარვა გამორიცხულია. გამარტივებულია ბილეთზე თარიღის შეცვლაც; მისი ხელახალი გამოწერის შემთხვევაში, მგზავრი საჯარიმო თანხასაც აღარ გადაიხდის. ეს სისტემა უკვე დამკვიდრებულია მსოფლიოს ბევრ რეგიონში. 2007 წლის მონაცემებით, მსოფლიოს წამყვანი ავიაკომპანიების 81% ამ სერვისს იყენებს (აშშ-ში — 94%, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში — 84%, ჩრდილოეთ აზიაში — 91%, აფრიკაში — 65%, ევროპაში — 84%, რუსეთსა და დსთ-ის ქვეყნებში — 21%). საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების მოთხოვნიდან გამომდინარე, აუცილებელია, ჩვენს ავიაკომპანიასაც ჰქონდეს ასეთი მომსახურება. დაახლოებით ერთ თვეში კი ჩვენს მგზავრებს ელექტრონული ბილეთის ყიდვა ან დაჯავშნა, ჩვენი ინტერნეტსაიტის მეშვეობით, სახლიდან გაუსვლელად შეეძლებათ.

— ქაღალდის ბილეთები საერთოდ აღარ გაიყიდება?

— ქაღალდის ბილეთები ალბათ ცოტა ხანში მართლაც, აღარ გაიყიდება. ჩვენი კომპანია ორიენტირებულია სიახლეების დანერგვაზე, მგზავრებისათვის კომფორტული გარემოს შექმნასა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. როდესაც ადამიანს 4-5 საათის განმავლობაში ფრენა უწევს, მგზავრობის დროს მაქსიმალური კომფორტი და შესაფერისი კვება ესაჭიროება. ჰოდა, ავიაკომპანიის ხელმძღვანელობამ დუბაის ერთ-ერთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ნამუშევარი შეფმზარეული ქალბატონი მოიწვია სამუშაოდ, რომელიც ჩვენს წინადადებაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. მისი მომზადებული სხვადასხვაგვარი ნამცხვარი უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს. მგზავრები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ მათ უფრო მრავალფეროვან მენიუს და გემრიელ კერძებს ვთავაზობთ, ვიდრე ბევრი სხვა უცხოური ავიაკომპანია. ბოლოს დავძენ, რომ სადღეისოდ „აირზენა“ 14 ქვეყანაში ახორციელებს რეისებს. ■

`Cems warmatebaSi qarTulma simReram didi roli iTamaSa...~

ახალგაზრდა მომღერალმა ნოდიკო ტატიშვილმა, გასულ კვირას კონკურსზე — „სლავიანსკი ბაზარ“ — მეორე ადგილი დაიკავა. ეს კონკურსი სამი ქვეყნის — რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის წარმომადგენლების დაფუძნებულია, რომელიც წლეულს მეჩვიდმეტედ ჩატარდა. ამ ხნის მანძილზე მასში არაერთი ქვეყნის წარმომადგენელს მიუღია მონაწილეობა. ამ კონკურსის პირველი გამარჯვებულები და-ძმა: თემურ და ელიზა ბოჟგუები იყვნენ, მათ მეორე ადგილი დაიკავეს; მოგვიანებით იქ პირველ ადგილზე თაკო გაჩეჩილაძე გავიდა (სხვადასხვა დროს, „სლავიანსკი ბაზარში“ მონაწილეობდნენ: ანრი ჯოხაძე, ვერიკო ტურაშვილი და ნინო ძოწენიძე). „სლავიანსკი ბაზარზე“ ნოდიკო ტატიშვილი, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ კონკურსზე, სადაც კი ის აქამდე ყოფილა, კომპანია — „ფაივ-ლაინს ფროდაქშენმა“ წარადგინა, რადგანაც ამ კონკურსზე მომღერლების წარგზავნის ექსკლუზიური უფლება სწორედ ამ კომპანიას აქვს. ბოლო ერთ წელიწადში, ნოდიკომ სამი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. გასულ წელს, ყაზახეთის საერთაშორისო კონკურსიდან იგი გრან-პრით დაბრუნდა, მოგვიანებით — შანხაის საერთაშორისო კონკურსზე „აზიის აღმოჩენა“ გახდა. მართალია, მომღერალი მუდმივმა განცდებმა დაღალა, მაგრამ უკან არასოდეს იხევს... თუ როგორ მიმდინარეობდა საკონკურსო ციებ-ცხელება ბელორუსიაში, სადაც კონკურსი „სლავიანსკი ბაზარი“ იმართება, ამაზე თავად ნოდიკო გვიამბობს.

მაია ღულიშვილი

— ბელორუსიაში კონკურსამდე ერთი კვირით ადრე ჩავედით. ჯერ შიდა შესარჩევი კონკურსი გაიმართა. ფინალში 24 მომღერლიდან 15 გავედით. „სლავიანსკი ბაზარი“ საკმაოდ მასშტაბური კონკურსია, მასში მონაწილეობას ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ქვეყნები იღებენ. რაც შეეხება ადგილებს, ისინი ასე განაწილდა: გრან-პრი — ლიტველ მომღერალს ერგო. პირველი ადგილი რუსმა და ბელორუსმა კონკურსანტებმა გაიყვეს. მეორე ადგილზე მე გავედი. მესამე ადგილი კი უკრაინელმა და ბულგარელმა კონკურსანტებმა გაიყვეს. მომავალ წელს „სლავიანსკი ბაზარზე“ სპეციალურ სტუმრად ვარ მიწვეული... ყველასგან დიდ ყურადღებას ვგრძნობდი. ბევრი მეუბნებოდა — ქართველების მსგავსი მელოდიურები იშვიათად თუ შეგვხვედრიაო, რაც ძალიან მახარებდა. პირველსავე სატელევიზიო ინტერვიუში სახელმწიფო ორკესტრის დირიჟორმა აღნიშნა — სომხეთსა და საქართველოს ძალიან ძლიერი კონკურსანტები ჰყავსო.

— რა სიმღერები შეასრულე?

— ნახევარფინალზე ვიმღერე ალექსანდრე ბასილაიას — „სერენადა“; ფინალის პირველ დღეს — იგორ კრუტოის სიმღერა; მეორე დღეს — სოსო პავლიაშვილის — „თავისუფლება“, რომელმაც ძალიან მაღალი შეფასება მიიღო. ჩემს წარმატებაში ქართულმა სიმღერამ ძალიან დიდი როლი ითამაშა.

— ნოდიკო, ჯერ არც ერთი კონკურსიდან ხელცარიელი არ დაბრუნებულხარ. წარმატებას შეჩვიე, არა?

— კი, ასეა. როდესაც კონკურსზე მიდიხარ, საბრძოლო განწყობილება გეუფლება. იმაზე ფიქრობ, რომ ყველაზე კარგად იმღერო. როდესაც კრუტოის სიმღერაზე უმაღლესი შეფასება ვერ მივიღე, მეორე დღეს ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ეროვნული მელოდიით მაინც მომეპოვებინა ჟიურის სიმპათია. რომ იტყვიან, ჟიურის სხვა გამოსავალი აღარ დავუტოვე და უმაღლესი ქულა დამიწერეს. თუმცა, ამ განცდებმა, ცოტა არ იყოს, გადამღალა. ერთ წელიწადში უკვე მესამე კონკურსზე ვიყავი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მომავალ წელს ესპანეთის საერთაშორისო კონკურსზე ჟიურის წევრად ვარ მიწვეული, სადაც სიამოვნებით გავემგზავრები.

ნახევარფინალზე ვიმღერე ალექსანდრე ბასილაიას — „სერენადა“

— როგორ ფიქრობ, ჟიური შენ მიმართ ობიექტური იყო?

— ჟიურის რამდენიმე წევრმა გული დამწყვიტა, რადგან ტენდენციურები იყვნენ. ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ საპრიზო ადგილები უნდა ჰქონოდათ — რუს, უკრაინელსა და ბელორუს კონკურსანტებს, რადგანაც ორგანიზატორები ამ ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ. ამაზე კულუარებში ბევრს საუბრობდნენ, რაც კონკურსანტებზე ძალიან მოქმედებდა. რამდენადაც გულის წყვეტას ვგრძნობდი, ამასთან ბედნიერი ვიყავი, რადგან ისეთი რანგის კონკურსზე მოვხვდი, როგორიც „სლავიანსკი ბაზარია“. მას ხომ ტელეეკრანზე მთელი ევროპა უყურებს.

— გავიგე, კონკურსანტებს დაუმეგობრდაო...

— კი, კომუნიკაბელური ვარ და ადამიანებთან ურთიერთობა არ მიჭირს (*იცინის*). ყველა კონკურსანტს გავუგე. ერთადერთი, ბულგარელი მომღერალი ვერ დავიმეგობრეთ. უცნაური და ამბიციური პიროვნება იყო, რატომღაც ყველას ზემოდან გვიყურებდა... განსაკუთრებით სომეხ მომღერალთან ვმეგობრობდი. ჩვენ ერთად გარკვეული გეგმებიც დავსახეთ. ის ავტორ-შემსრულებელი გახლავთ, ძალიან კარგ სიმღერებს წერს, მალე მის ნამუშევრებს ერთად ჩავწერთ და ვიდეორგოლსაც გადავიღებთ.

— კონკურსზე ვინ გეხმარებოდა?

— ჩემი მენეჯერი, „ფაივ-ლაინს ფროდაქშენის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი — მალხაზ გედევანიშვილი იყო, რომელიც დავტანჯე. არ არსებობდა კონცერტის წინ, სცენაზე გასვლამდე რამე არ დამვიწყნოდა. აქეთ-იქით დავარბენინებდი. „ფაივ-ლაინს ფროდაქშენის“ პრეზიდენტი — მამუკა საყაშვილი ჟიურის წევრი იყო, მას თითქმის ვერ ვხდებოდი. ამიტომ, ჩემი გამამხნევებელი ძირითადად მალხაზი გახლდათ.

— ახლა შენს სამომავლო გეგმებზეც გვითხარი რამე.

— მალე ბატონი ჯემალ ბაღაშვილი მიუზიკლ — „ჩხიკვთა ქორწილის“ გადაღებას დაიწყებს. მე ზაქარას როლს შევასრულებ. ეს ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. გადაღებები მალე დაიწყება. ასე რომ, დასვენებას, ფაქტობრივად, ვერ ვახერხებ. ■

პოლიტიკოსთა საშვებულებო მიდრეკილებები და დაძაბული წლიდან გამოყოლილი საზრუნავი

ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა წელს დასვენებას არ აპირებს. როგორც თავად ამბობენ, ქვეყანაში ბოლო დროს მომხდარი სკანდალების, მიტინგებისა და ურთიერთდაპირისპირების შედეგად, სასიცოცხლო ძალები თითქმის გამოელიათ, მაგრამ უამრავი, მოსაგვარებელი საქმის გამო, კურორტებზე გამგზავრებას ველარ ახერხებენ. ამიტომ ცხელ დღეებში განტვირთვისა და დასვენების სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ.

„შვეიცარიაში არ ვცხოვრობთ და მხარ-თეძოზე წამოწოლის უფლება არ გვაქვს“...

ხათუნა ბახტურიძე

დასვენებას არ ვაპირებ, ძალიან ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი

პეტრე მამრაძე:

— დასვენებას არ ვაპირებ, ძალიან ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. 15 აგვისტოს შემდეგ, მეუღლესა და ქალიშვილს მანგლისში გავამგზავრებ, მე კი მათთან მხოლოდ შაბათ-კვირას ვივლი. შუა კვირაში, როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მაშინვე ოქროყანაში ავდივარ. იქ პატარა კოტეჯი გვაქვს, ეზოდან საოცრად ლამაზი ხედი იშლება. მთელი თბილისი, როგორც ხელისგულზე, ისე ჩანს. ოქროყანაში ჩემს ფიქრებთან განმარტოება და ტიციან ტაბიძის ლექსების კითხვა ძალიან მიყვარს. ჩემთვის დასვენება, მოქმედების სახეობის შეცვლაა. როდესაც სამსახურებრივი საქმიანობით ვიღლები, ვარჯიშს ვიწყებ: ყოველდღე ვეწევი სიმძიმეებს, დავრბივარ და ვცურავ.

— სპორტსმენი ყოფილხართ, ბატონო პეტრე.

— სხვათა შორის, ახალგაზრდობისას, მოყვარული სპორტსმენი ვიყავი, მერე გატაცება ჩვევაში გადამივიდა. კითხვაც ძალიან მიყვარს. თავისუფალ დროს, ტელევიზორის ყურების ნაცვლად, წიგნებს ვკითხულობ. ასე უფრო კარგად ვისვენებ.

— პოეზიას კითხულობთ თუ პროზას?

— ბოლო წლებში, პოეზია უფრო მიტაცებს. ეს ალბათ, თავისუფალი დროის სიმცირითაც არის განპირობებული. კარგი პოეტი ლექსის ერთ სტროფში იმდენ სათქმელს ატევს, რამდენის გადმოცემასაც პროზაში მრავალი ფურცელი სჭირდება. უცხო ენები უმთავრესად იმისთვის ვისწავლე, რომ ლექსები ორიგინალში მეკითხა.

— მეგობრებთან ერთად, ქეიფის დროს ვერ ისვენებთ?

— ისეთი ქეიფები, როგორსაც დღეს აწყობენ, ჩემთვის მიუღებელია. ეს არის დროის ფუჭი ფლანგვა. არადა, დრო არის ის „დეფიციტური რესურსი, რომლის ნაკლებობას ადამიანი განიცდის“ (ეს ჰემინგუეის სიტყვებია). ჩემს ყმაწვილკაცობაში ქართულ სუფრას განათლებული და კულტურული ადამიანები უძღვებოდნენ. აი, ის ქეიფი — დიდი სკოლაც იყო, კარგი დასვენებაც და შესანიშნავი გართობაც. ასე რომ, ქეიფიცაა და ქეიფიც...

ეკა ბესელია:

— წელს ძველებურად დასვენებას ვერ მოვიწყობ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ ტაიმ-აუტი გამოვაცხადეთ, მაგრამ ისე არ გაიგოთ, თითქოს დასასვენებლად მივდიოდეთ. პირიქით, ამ ზაფხულს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად გამოვიყენებთ. მინდა, ბავშვები მაინც გავიყვანო ქალაქიდან. ალბათ, აგვისტოს ბოლოს, ზღვაზე გავუშვებ. მე აუცილებლად თბილისში უნდა ვიყო.

— ბავშვებს მარტო გაუშვებთ?

— არა, დედასა და დებს გავაყოლებ.

— თქვენ როგორ აპირებთ ძალების აღდგენას?

— ყოველ კვირას, ჯვრის მონასტერში ავდივარ და წირვას ვესწრები. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი, სულიერი დასვენებაა. ქობულეთში დედულეთი მაქვს, ძალიან მიყვარს იქაურობა, ზღვაზეც ვგიჟდები, მაგრამ წელს იქ, დროც რომ მქონდეს, მაინც ვერ ჩავალ.

ვიდრე პოლიტიკაში მოვიდოდი, მანამდეც არ მაცლიდნენ მზით და ზღვით ტკბობას

— რატომ?

— ჩასვლით კი ჩავალ, მაგრამ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, პლაჟზე ნამდვილად ველარ გავალ: ვიდრე პოლიტიკაში მოვიდოდი, მანამდეც არ მაცლიდნენ მზით და ზღვით ტკბობას, ნახევარზე მეტ დროს კონსულტაციებსა და იურიდიული საკითხების მოგვარებას ვანდომებდი. ზოგჯერ, ბათუმისა და ქუთაისის სასამართლოში პირდაპირ პლაჟიდან მიმარბენინებდნენ. ახლა ვინ რას შემარგებს იქ?!.

დავით ზურაბიშვილი:

— წელს დასვენებას საერთოდ არ ვაპირებ. მასმედიამ საინფორმაციო გადაცემები შეწყვიტა და შვებულებაში გავიდა. ჩვენ ასე მოქცევას არ ვაპირებთ, იმიტომ, რომ შვეიცარიაში არ ვცხოვრობთ და მხარ-თეძოზე წამოწოლის უფლება არ გვაქვს. ძალიან მინდოდა, ოჯახი მაინც გამეშვა ზღვაზე, მაგრამ ამისთვის საკმარისი ფული არ მაქვს და ქვიშხეთში, ჩემს მშობლიურ აგარაკზე გავამგზავრებ.

მინდოდა, ოჯახი მაინც გამეშვა ზღვაზე, მაგრამ ამისთვის საკმარისი ფული არ მაქვს

MK

— თბილისში მარტო ყოფნა არ გაგიჭირდებათ?

— რას ამბობთ, რა უნდა გამიჭირდეს?! მარტოობას დანატრებული ვარ.

— ისე, სად ისურვებდით დასვენებას?

— ზღვაზე. ისე, მოგზაურობაც მიყვარს. მყუდრო და მივარდნილი ადგილები არ მომწონს, ქალაქურ გარემოში უფრო კარგად ვგრძნობ თავს. განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს დიდ ქალაქებში მარტო ხეტიალი. და კიდევ — სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლები მომწონს. მილიონიც რომ მქონდეს, უცხოეთში სახლს არ შევიძენდი, სასტუმროში ვიცხოვრებდი.

— ახალგაზრდობაში ალბათ, საზაფხულო თავგადასავლებიც გექნებოდათ.

— უი, რამდენიც გნებავთ, მაგრამ ვერ მოგიყვებით, ტყუილად არ მთხოვოთ... ახალგაზრდობისას უმეტესად, აფხაზეთში ვისვენებდი და თავგადასავლებიც მქონდა. ახლა უკვე ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე და უფრო სოლიდური დასვენება შემეფერება.

ახლა ისე მჭირდება დასვენება, როგორც არასდროს

გიგი წერეთელი:

— ახლა ისე მჭირდება დასვენება, როგორც არასდროს, მაგრამ ვერსად მივდივარ.

— ასე განსაკუთრებულად ახლა რატომ გჭირდებათ დასვენება?

— იმიტომ, რომ ძალიან რთული პერიოდი გამოვიარე. მთელი წლის განმავლობაში, ხან აქციები ეწყობოდა, ხან — მიტინგები... სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ორი არჩევნები ჩავატარეთ. ამ მოვლენებში პირადად ვიყავი ჩართული, ძალიან დავიტვირთე და ახლა ვგრძნობ, რომ გადაღლილი ვარ. ალბათ ჯერ ისევ თბილისში მომიწევს ყოფნა. კი ვიცი, სადაც არის კარგი დასასვენებელი ადგილები, მაგრამ რა?! დიდი სიამოვნებით წავიდოდი სადმე, სანატორიუმში. აქტიური დასვენება არ მინდა, მირჩევნია, მშვიდად ვიყო, ვისეირნო და წიგნები ვიკითხო.

— დასვენების დროს რა ლიტერატურას კითხულობთ?

— ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, უფრო პოლიტიკური თემატიკით ვარ დაინტერესებული.

— პოლიტიკური ბატალიებით გადაღლილს, ისევ ამ თემაზე გინდათ წიგნების კითხვა?..

— რატომაც არა?! ახლა „პოლიტიკურ თამაშებს“ ვკითხულობ, რომელშიც რამდენიმე პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობა და ცხოვრებისეული თავგადასავლებია გადმოცემული. საკმაოდ საინტერესოა. ხანდახან რომანტიკული განწყობილება მომეძალება ხოლმე და გალაკტიონის ან ტერენტი გრანელის ლექსებს ვკითხულობ.

სოზარ სუბარი:

— გადავწყვიტე, წელს ოჯახთან ერთად, რამდენიმე დღე დმანისში დავისვენო. ამასაც თუ დასვენება ჰქვია — ბავშვები ერთი წუთითაც არ მცილდებიან. ხანდახან, „დიდობანას“ ვთამაშობ და ისე ვისვენებ. რა დამღლელი ყოფილა ბავშვების კუდში დევნა! ახლა ვხდები, რა დღეშიც ყოფილა ჩემი მეუღლე და ძალიან მეცოდება. წიგნების კითხვა მინდა, მაგრამ არ მაცლიან.

— ბავშვებთან ერთად, პირველად ისვენებთ?

— არა, მეორედ. შარშან ჩემს ცხოვრებაში პირველად წავედი დასასვენებლად.

— რატომ? ადრე შვებულებას არ გაძლევდნენ?

— ოფიციალურად შვებულებაში ვიყავი, მაგრამ სამსახურში მაინც დავდიოდი.

— არც სტუდენტობის დროს ისვენებდით?

— არა, იმიტომ, რომ სტუდენტობის დროს სხვადასხვა ექსპედიციაში დავდიოდი. მართალია, ძალიან სასარგებლო და სასიამოვნო სამუშაო იყო, მაგრამ ოფიციალურად, მაინც სამსახური ერქვა.

შარშან ჩემს ცხოვრებაში პირველად წავედი დასასვენებლად

ასე რომ, ყველაზე „პრესტიჟულად“ მე ვისვენებ: ხან განმუხურში ჩავალ, ხან — მუჟავაში

ნაზი არონია:

— მე ვინ დამასვენებს, ჩემო კარგო?! მხედართმთავარივით ვიძლევი განკარგულებებს: ოჯახის წევრების ერთ ნაწილს მუჟავაში ვამგზავრებ, მეორეს — განმუხურში. მუჟავა მთის ულამაზესი სოფელია. ეზოში პატარა „სახლუკა“, ძალიან დიდი აუზი და ცივი, კალმახებით სავსე მდინარე გვაქვს. განმუხური ალბათ ყველამ იცით, სადაც არის. ადრე ყველას ვუხსნიდი, რომ ეს არის ზღვაზე — ენგურს გაღმა და ანაკლიასთან ახლოს; ახლა გაეროშიც კი იციან ჩვენი განმუხურის ამბავი. ასე რომ, ყველაზე „პრესტიჟულად“ მე ვისვენებ: ხან განმუხურში ჩავალ, ხან — მუჟავაში.

— ცურვა თუ იცით?

— ცურვა ისე კარგად ვიცი, თურქეთშიც გადავალ, თუ საზღვრის გადაკვეთისათვის არ დამიჭერენ.

— ნამზეურის მიღებას თუ აპირებთ?

— არა, იმიტომ, რომ პრობლემური სახის კანი მაქვს. რევოლუციის დროს, სუსხიან ქარში მომიწია ქუჩაში ყოფნამ და დერმატიტიც გამიჩნდა. ნამზეურს ვერ მივიღებ, მაგრამ საღამოობით მშვენივრად მოვეწყობი პლაჟზე.

— საუკეთესო საზაფხულო არდადეგებს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— ერთხელ ჩემმა დაქალმა, ეკა უგულავამ ესპანეთში, კანარის კუნძულებზე დამპატიჟა. სულ მინდოდა ამ ულამაზესი ადგილის ნახვა, მაგრამ იქ წასავლელად, ან მილიონერი უნდა გავმხდარიყავი, ან — მაფიოზი. ჩემმა დაქალმა ოცნება ამიხდინა და მთელი ესპანეთი მომატარა.

— ამ ზაფხულისთვის გარდერობი უკვე განაახლეთ?

— კი, აბა, რა! რამდენიმე სარაფანი და საზაფხულო აქსესუარი შევიძინე. ქართველებს ერთი ცუდი ჩვევა გვაქვს — შავი ფერის სამოსს ზაფხულშიც კი არ ვიშორებთ. მე სულ ფერადი რაღაცები ვიყიდე და თქვენც ამას გირჩევთ. ასე უფრო გრილად და ლაღად გაატარებთ ზაფხულის ცხელ დღეებს. ■

წარმატებული ქალების შოუ, აღელვებული პუბლიკა და 12-მეტრიანი პითონი პოდიუმზე

„წარმატებული, 30 წელს გადაცილებული ქალი პოდიუმზე" — ასე დაარქვა ლიკა ყაზბეგმა იმ პროექტს, რომელზეც საკმაოდ დიდხანს მუშაობდა. მასში 22, სხვადასხვა პროფესიის (სპორტსმენი, პოლიტიკოსი, მოცეკვავე, ჟურნალისტი, ბანკირი) წარმატებული ქალბატონი მონაწილეობდა. თითოეული მათგანი პროექტში დიდი სიამოვნებით ჩაება და გულმოდგინე მზადებას შეუდგა. დაპირებული შოუ კი გასულ კვირას, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზის" ეზოში გაიმართა. წარმატებული ქალბატონებისთვის საგანგებოდ მოეწყო პოდიუმი (წითელი ხალიჩა). საღამოზე უამრავმა ცნობილმა თუ არაცნობილმა თბილისელმა მოიყარა თავი და დიდი ინტერესით ელოდა არაპროფესიონალი მოდელების პოდიუმზე გამოჩენას. შოუს დაწყებამდე კულისებში შევიჭყრიტე და მონაწილე ქალბატონებთან გასაუბრება ვცადე...

არ იმჩნევდნენ, მაგრამ ყველას მღელვარება ეტყობოდა. ზოგი სარკეში იყურებოდა, ზოგი მაკიაჟს ისწორებდა, ზოგი სიმხნევისთვის შამპანურს წრუპავდა... მერე კი რამდენიმე მათგანს გავესაუბრე.

ლალი ფაცია

— ალბათ მოცეკვავისთვის პოდიუმზე გამოსვლა ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ საინტერესოა, მაინც რამ გიბიძგა ამისკენ?

თეა გოზეჯიშვილი:

— მართალია, მოცეკვავე ვარ, მაგრამ პოდიუმზე გამოსვლა მაინც სხვა რამ არის. საერთოდ, არ მიყვარს პოზირება, კამერასთან მუშაობა, თუმცა ჩემდა გასაკვირად, ამჯერად ეს პროცესი ძალზე მომეწონა და თვითონ პროექტიც, ჩემთვის საოცრად საინტერესო აღმოჩნდა. პოდიუმზე გავლა მომეწონა. როცა პროექტში მონაწილეობა შემომთავაზეს, მაშინვე დავთანხმდი. ახლა ვხვდები, ამით არაფერი დამიკარგავს.

— მომზადების პროცესში სერიოზული წვრთნა და ვარჯიში მოგიხდა?

— ბევრი ვივარჯიშე, მაგრამ ამაში რთული არაფერი ყოფილა, ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო.

— ეკა, ადვილია პოდიუმზე გასვლა?

ეკა ნიჟარაძე:

— ერთხელ უკვე მქონდა პოდიუმზე გასვლის მცდელობა, ეს თათა ვარდანაშვილისა და „ორიფლეიმის" ერთობლივ ჩვენებაზე მოხდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახლა მაინც ვღელავ — რადგანაც იმ მომენტში მარტო რჩები და უამრავი ადამიანის მზერა შენკენაა მომართული. ამ ჩვენებაში მონაწილეობა ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო... თავი კიდევ ერთხელ ვცადე სხვა ამპლუაში და ჩემს შესაძლებლობებში დავრწმუნდი.

ნატო ნიჟარაძე:

— 30 წელს გადაცილებული ქალები ვართ. თითოეულს დატვირთული სამუშაო დღის გრაფიკი გვაქვს. ამ შოუში მონაწილეობა კი შანსია, მეგობრების წრეში გაერთო, განიტვირთო და დაისვენო. საკმაოდ საინტერესო წამოწყებაა... პოდიუმზე სხვა დროსაც გამოვსულვარ. ისე, რამდენჯერაც ყოფილა ასეთი შემთხვევა, იმდენჯერ მასწავლეს და ამიხსნეს, თუ როგორ უნდა გავიარო, მაგრამ მაინც ისე დავდივარ, როგორც ვიცი. რამდენიც არ უნდა გასწავლონ, მოდელი შენში თუ შინაგანად არ „ზის", არაფერი გამოგივა.

მარინა სალუქვაძე:

— ჩემი სიმაღლე მეტრი და 78 სმ-ია. ამასთან, ხედავთ, რომ მაცვია მაღალქუსლიანი (20 სმ) ფეხსაცმელი. ამიტომ, პოდიუმზე რომ გამოვალ, მინდა, ყველა მამაკაცს ზემოდან დავხედო (*იცინის*). ისე, პოდიუმზე სიარული ჯერ კიდევ შარშან დავხვეწე, რადგანაც „მასმოდაში" ვმონაწილეობდი და კონსულტაცია ნატალი სამადალაშვილთან გავიარე. კარგი რჩევები მომცა. მთავარია, არ დაკარგო შენი სტილი და საკუთარი თავი წარუდგინო საზოგადოებას ისეთი, როგორიც ხარ. არადა, ხარ საუკეთესო!

ლალი მოროშკინა:

— ჩვენ, 30 წელს გადაცილებულ ქალებს გვინდა, სტიმული მივცეთ 17-18 წლის გოგონებს, რომლებიც ცხოვრებას ახლა იწყებენ. მათთვის მთავარია, კარიერაში მიაღწიონ წარმატებას, იყვნენ სპორტულები, მოუარონ საკუთარ თავს. ცხოვრება ხომ, ფაქტობრივად, 20 წლის შემდეგ იწყება?! ჩვენი თაობა მათთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს.

ნინო ტურაბელიძე:

— მთელი ცხოვრება სცენაზე ვიდექი და პოდიუმზე გამოსვლა, ჩემი აზრით, მოცეკვავისთვის არაფერია. სულ ერთადერთხელ ვიყავი რეპეტიციაზე — უბრალოდ, რომ მენახა, საიდან სადამდე მქონდა პოდიუმზე გასავლელი.

ნინა ანდრონიკაშვილი *(„გომართელი-კლუბის“ არტ-დირექტორი):*

— მიიჩნიეს, რომ წარმატებული ქალი ვარ და პროექტში მიმიწვიეს. დავთანხმდი და ვეცადე, თავი წარმომეჩინა. ყოველთვის მიყვარდა ექსტრავაგანტური სტილი და ორიგინალურ პროექტებში მუშაობა. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ რატომღაც მეგონა, გამიჭირდებოდა, მაგრამ პირიქით, გამიადვილდა.

შემდეგ, კულისებიდან სცენის სიახლოვეს გადავინაცვლე და შესაფერისი ადგილი დავიკავე, ქალბატონების გამოსვლისთვის თვალი კარგად რომ მედევნებინა. შოუც დაიწყო, წამყვანებმა — თამუნა გომართელმა და გოგიჩამ (გიორგი გოგიჩაიშვილი) შეკრებილ საზოგადოებას ამცნეს, რომ მათ დაუვიწყარი სანახაობა ელოდათ და პოდიუმისკენ წარმატებული ქალბატონების ნაკადიც დაიძრა. მათ გამოჩენას აპლოდისმენტები, შეძახილები, ოვაციები სდევდა. თითოეული მათგანი, საკუთარი შესაძლებლობის დემონსტრირებას დიდი მონდომებით ცდილობდა... სალამოს კულმინაცია — ნინო ლეჟავას ტანზე შემოხვეული პითონი აღმოჩნდა. ნინო კულისებიდან ნელი სვლით, გველიანად დაიძრა და ყოველგვარი დაძაბულობისა და აღელვების გარეშე დაფარა ის მანძილი, რომელიც გასავლელი ჰქონდა. თითქოს პითონს მოეწონა მშვენიერი ქალბატონის სხეულიო, რადგანაც არც კი ირხეოდა, მხოლოდ ერთხელ „შეიშმუშნა“...

გივი სიხარულიძე:

— კარგია ასეთი პროექტები. ისინი სტიმულს აძლევს ქალებს, რომ უფრო ლამაზები იყვნენ, მიხედონ საკუთარ თავს, მაგრამ საერთოდ, ყველა საქმეს შესაფერისი პროფესიონალი სჭირდება. ამ შემთხვევაში კი თვითონ უნდა იგრძნოს ადამიანმა, მას ეკუთვნის თუ არა პოდიუმზე გამოსვლა... ისე, როგორი შოუც არ უნდა იყოს — განსაკუთრებით, თუკი ქალს უკავშირდება — იქ მისულმა ადამიანმა ესთეტიკური სიამოვნება უნდა მიიღოს. მე ასეთი სიამოვნება ნამდვილად მივიღე.

ლიკა ლომიძე:

— ძალიან მაგარი შოუ იყო. პოდიუმზე განსაკუთრებულად მომეწონნენ: ეკა ნიჟარაძე, ეკა ანდრონიკაშვილი და ეკა ჩხეიძე. ძალიან ლამაზები იყვნენ. მსახიობებმა, ეტყობა, გარდასახვის წყალობით შეძლეს ახალი როლის მორგება — გრაციოზულად დადიოდნენ.

— შენს მეუღლეზე რას იტყვი?

— თეატ მსახიობია. რა თქმა უნდა, ისიც მომეწონა. როცა იცი, რომ ადამიანები პროფესიონალი მოდელები არ არიან და მათ პოდიუმზე უყურებ, მაგარია!

ლიკა ყაზბეგი, *ორგანიზატორი:*

— ჩემი ოცნება დღეს უკვე ახდა. ძალიან დიდხანს ვმუშაობდი. ამდენი ხანი არც ერთ პროექტზე არ მიმუშავია — შეიძლება იმიტომ, რომ ჩემი ასაკის ქალები გამოვიყვანე პოდიუმზე. მათი უმეტესობა, ჩემი მეგობარია.

— რას ნიშნავს ეს პროექტი შენთვის?

— ეს არის საწყისი საფეხური იმისა, რომ საზოგადოებას დავანახოთ — ჩვენი თაობის ქალები უფრო მეტს მივაღწევთ. დღევანდელი დღის შემდეგ, მეყოფა გამბედაობა, პოდიუმზე უკვე 40 წელს გადაცილებული ქალბატონები გამოვიყვანო.

ზალიკო ბერგერი:

— მომეწონა იდეა. მგონი, აქამდე მსგავსი რამ საქართველოში არ ჩატარებულა, მაგრამ იმის გამო, რომ პირველია, შეიძლება, ცოტა დახვეწას საჭიროებდეს. ჩემი აზრით, უკეთესი ნახაზის გაკეთებაც შეიძლებოდა; ან სულაც, ყველაფერი თეატრალიზებულად წარმოედგინათ, რადგანაც არაპროფესიონალ მოდელებთან გვაქვს საქმე... თუმცა პირველი ცდისთვის კარგი ღონისძიება გამოვიდა. წარმატებას ვუსურვებ ორგანიზატორებს!

სულ ბოლოს კი რამდენიმე კითხვა საღამოს ყველაზე გაბედულ ქალბატონსაც დავუსვი.

— ნინო, საშიში არ იყო პითონით პოდიუმზე გასვლა?

ნინო ლეჟავა, *მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზის“ პიარ-მენეჯერი:*

— არა, ეს პითონი ძალიან მიყვარს, უკვე მეგობარივით მყავს. ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე, მასთან ზოოპარკში დავდიოდი. ძალიან შემეჩვია. პოდიუმზე რომ გამოვედი, საერთოდ არ განძრეულა.

— ასე როგორ შეიჩვიე?


ძალიან შემეჩვია

თან, „ბიჭია“ და მგონი, შევუყვარდი

— ვეფერებოდი, ვკოცნიდი... თან, „ბიჭია“ და მგონი, შევუყვარდი კიდეც *(იცინის)*.

— მისმა მომვლელმა რა გასწავლა?

— ისე მასწავლა მისი მართვა, რომ გველი ვეღარ მიკბენს.

— მაინც რით აიხსნება სურვილი — გველი ტანზე შემოგეხვია და ისე გამოსულიყავი პოდიუმზე?

— დაუმორჩილებელი არსებაა. ამიტომ, მისი ცოტა ხნით მაინც დამორჩილების სურვილი გამიჩნდა. საერთოდ, რასაც დავისახავ ხოლმე მიზნად, იმას ვაღწევ. შეიძლება ითქვას, მიზანს მივაღწიე... როცა ამ პითონთან ზოოპარკში დავდიოდი, ოჯახის წევრებს არ ვუმხელდი, რომ არ შეშინებოდათ. როცა დედამ გაიგო, ისეთი შოკი ჰქონდა, ჩვენებაზე ვერ მოვიდა. ჩემთვის მთავარი ის იყო, რაც გველის მომვლელმა მითხრა: ძალიან მაგარი გოგო ხარო! — რადგანაც 12-მეტრიანი გველი დავიმორჩილე. ■


სიამოვნება ნამდვილად მივიღე

მაგარი შოუ იყო

ოთარ ტატიშვილი ანუ თეთრხალათიანი ინტელექტუალი

ცნობილ სერიალში — „შუა ქალაქში“ — მთავარი როლის შემსრულებელი, პროფესიით ექიმი — ოთარ ტატიშვილი „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. ჩვენი შეხვედრა ერთ-ერთ კლინიკაში შედგა. მადლიერ პაციენტთან დამშვიდობების შემდეგ, — აბა, როგორი ერუდიტი ვარ, გამომცადეთო, — მითხრა და სავარძელში მოკალათდა. ექიმის ხალათში გამოწყობილ ინტელექტუალს მწერლებიდან ყველაზე მეტად, სერვანტესი ჰყვარებია. ყველაზე მეტჯერ „დონ კიხოტი“ აქვს წაკითხული; არ უყვარს დეტექტივები, პოეზიასაც იშვიათად კითხულობს. თანამედროვე მწერლებიდან კი აკა მორჩილაძის და დათო ტურაშვილის ნაწარმოებები მოსწონს.

პრეამბულის მაგიერ

— რა ხდება „შუა ქალაქში“?

— სერიალში დასვენების პერიოდი დადგა. სეზონი დასრულდა და ახალი სერიების გადაღებას სექტემბრიდან კვლავ შევუდგებით.

— რა გაქვთ საერთო თქვენს გმირთან — ირაკლი ჩხეიძესთან?

— (*იცინის*) ირაკლის რაღაც თვისებებით მართლაც ვგავარ: ორივეს ქეიფი გვიყვარს, სამსახურში ხუმრობა და ა.შ.

— რამდენად გეხმარებათ მსახიობობა საექიმო საქმიანობაში?

— მსახიობობა ადამიანებთან ურთიერთობისას ნამდვილად მეხმარება. როცა შეწუხებული პაციენტი მოდის, დამინახავს თუ არა, ეღიმება. ეს უკვე კარგია!

თამუნა კვინიკაძე

— „მედიცინა ჩემი კანონიერი ცოლია, ლიტერატურა კი — საყვარელი“, — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— მიხაილ ბულგაკოვს.

— არა.

— მაშინ, ანტონ ჩეხოვს. ეს ორი მწერალი პროფესიით ექიმი იყო.

— გამოიცანით.

— ე.ი. ამ კითხვაზე პასუხი ჩამეთვალა?

— ჩაგეთვალათ. რომელმა ცნობილმა მწერალმა შემოიღო პირველად მოკლე შარვალი ანუ შორტი?

— მარკ ტვენმა. ახლა რატომღაც, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ გამახსენდა.

— შორტი ოსკარ უაილდმა შემოიღო. რას ნიშნავს სიტყვა „კავკასიონი“?

— ვერ გეტყვით.

— ეს სიტყვა ირანული წარმოშობისაა და ყინულოვანს ნიშნავს. რომელი ყვავილია გამოსახული ბურბონთა სამეფოს საგვარეულო გერბზე?

— შროშანი.

— ეს პოლონელი კომპოზიტორი თავის შემოქმედებაში აქტიურად იყენებდა პოლონელ გლეხთა სიმღერებსა და ცეკვებს. მისი ნაწარმოებები საფორტეპიანო მუსიკის უდიდეს საგანძურს მიეკუთვნება. იგი პარიზში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, მაგრამ დაკრძალვამდე გული ამოაცალეს, სამშობლოში ჩაიტანეს და ვარშავის ერთ-ერთი ეკლესიის კედელში ჩაატანეს. დაასახელეთ ეს კომპოზიტორი.

— ფრიდერიკ შოპენი.

— რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, ის სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წელს ვერაგულად მოკლეს. აჯანყებულმა წერეთელმა მას ლექსი „განთიადი“ მიუძღვნა. ვინ იყო ეს საზოგადო მოღვაწე?

— არ ვიცი.

— დიმიტრი ყიფიანი. რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონიო პიუსთან?

— რომში რომ ძეგლი დაუდგეს?

— დიახ.

— ფარსმან II.

— რამდენი დღე გაგრძელდა ლენინგრადის ბლოკადა?

— დიდხანს (*იცინის*). ზუსტად არ მახსოვს.

— 900 დღე. რომელი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას სუეცის არხით?

— ხმელთაშუა ზღვა, სუეცის არხი... იქვეა წითელი ზღვაც. სწორად გიპასუხეთ?

— დიახ. რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ველინგტონი?

— ახალი ზელანდიის.

— რა გვარი იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ნაწარმოების გმირი — ჯოყოლა?

— არ ვიცი.

— ალხასტაისძე. ვის უძღვნა ტიციანმა ლექსი „ანანურთან“?

— იმ გოგონას, რომელიც უყვარდა, მაგრამ რა ერქვა, აღარ მახსოვს.

— თამუნია წერეთელი. დიდი ბრიტანეთის გარდა, რომელ ქვეყანაში იყო პერი — უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელთა წოდება?

— საფრანგეთში.

— სისხლის რომელ უჯრედებს გადააქვს ჟანგბადი სასუნთქი ორგანოებიდან ქსოვილში?

— ერითროციტებს.

— 17 წლის ასაკამდე მას მარია ერქვა და გვარად კორბელი იყო. შემდეგ, გაზეთის მაგნატს გაჰყვა ცოლად და ქმრის გვარი მიიღო. მალე ცნობილი პოლიტიკოსი გახდა. ვინ არის იგი — მარგარეტ ტეთჩერი, გოლდა მეირი თუ მადლენ ოლბრაიტი?

— ალბათ, მარგარეტ ტეთჩერი.

— ცდებით, მადლენ ოლბრაიტი. რომელ წელს მიენიჭა სტალინს გენერალისიმუსის წოდება?

— 1945 წელს.

— არისტოტელე, სოკრატე, დიოგენე, პლატონი — ამ ფილოსოფოსთაგან რომელი დასავლეთს სიკვდილით?

— სოკრატე.

— რომელი ქვეყნის ისტორიული ოლქია კასტილია?

— ესპანეთის.

— ანჯელინა ჯოლი, ჯულია რობერტსი, იზაბელ აჯანი, ნიკოლ კიდმანი — ამ მსახიობებიდან რომელია ტომ კრუზის ყოფილი ცოლი.

— ნიკოლ კიდმანი.

— სად შეიძლება შევხვდეთ ბედუინებს — ტაიგაში, მთასა თუ უდაბნოში?

— უდაბნოში.

— რომელ ქალაქშია „მარაკანის“ სტადიონი?

— რიო-დე-ჟანეიროში.

— რამდენი ხანი გრძელდება ჟირაფის ყველაზე ხანგრძლივი ძილი — 24 საათი, 12 საათი, 1 საათი თუ 20 წუთი?

— ალბათ 12 საათი.

— ცდებით, ჟირაფის ყველაზე ხანგრძლივი ძილი მხოლოდ 20 წუთი გრძელდება. თბილისის შემდეგ, საქართველოს რომელ ქალაქშია ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა?

— ქუთაისში.

— მითხარით, „დონ კიხოტი“ ძალიან მიყვარსო. რომელმა რეჟისორმა გადაიღო ამ ფილმის ქართული ვარიანტი?

— რეზო ჩხეიძემ.

— კამერუნი, სინგაპური, გვინეა — რომელი სახელმწიფო არ არის აფრიკის კონტინენტზე?

— სინგაპური.

— რა ჰქვია მთხრობელის ბაბუას ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში „ძაღლი“?

— ეს მოთხრობა ძალიან მიყვარს. (ფიქრობს) ვერა, ვერ გავიხსენე.

— სპირიდონი. რისი შიშია მონოფობია?

— სიმარტოვის.

— „ვინც უპირველესად არ არის ადამიანი, ვერასდროს გახდება ექიმი“ — ვის ეკუთვნის ეს ცნობილი გამონათქვამი — ალექსანდრე მაკედონელს, დიოგენეს თუ არისტოტელეს?

— (ფიქრობს) არისტოტელეს.

— ცდებით, ალექსანდრე მაკედონელს. წყალბადის გარდა, რომელი ელემენტი შედის მარილმჟავას შემადგენლობაში — ქლორი, გოგირდი, ნატრიუმი თუ აზოტი?

— ქლორი.

— რა სახელს ატარებდა მეტროს სადგური „ავლაბარი“?

— არ მითხრათ, გავიხსენებ (ფიქრობს). 26 კომისრის სახელობის იყო, ხომ?

— დიახ. რომელ ქვეყანაშია თაგვის საჭერი ხაფანგების მუზეუმი?

— ინგლისში.

— გერმანიაშია. „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ — ვის ეკუთვნის ეს აფორიზმი?

— არ ვიცი, ავტორს ვერ ვიხსენებ.

— შოთა რუსთაველს. ძველი მსოფლიოს გამოჩენილ სწავლულთა შორის, რომელი იყო ენაბლუ — ეზოპე, ციცერონი თუ დემოსთენე?

— დემოსთენე.

— რა ფერის თმა აქვს მალვინას „ბურატინოს თავგადასავალში“?

— ცისფერი.

— რა ერქვა ცნობილ მოგზაურს — მაგელანს?

— (ფიქრობს) ვაა! ვერ გავიხსენე.

— ფერნანდო — მას შეუძლია აღაგზნოს ადამიანის გონება, რათა ფული გამოსძალოს, ეს არის საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. რაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი. თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ. (გამეორების შემდეგ) რეკლამა?

— დიახ. რომელია ეგვიპტის ყველაზე დიდი პირამიდა?

— ხეოფსის.

— რამდენი ხვრელი აქვს დატანებული ბილიარდის მაგიდას?

— (ითვლის) 6.

— ადამიანის რომელი ჯირკვალი გამოყოფს ადრენალინს?

— თირკმელზედა.

— რა ნათესაური კავშირი ჰქონდა ნიკიტა ხრუშჩოვს ვასილ მუჟანაძესთან?

— ნათესავები იყვნენ? არც გამიგია.

— ქვისლები გახლდნენ: ღვიძლი დები ჰყავდათ ცოლად. რაფაელო საბატინის „კაპიტან ბლადის ოდისეაში“ თავდაპირველად, რა პროფესიის იყო პიტერ ბლადი?

— არ ვიცი.

— ის თქვენი კოლეგა იყო.

— ექიმი ყოფილა, ექიმი (იცინის).

— რა გვარია ბორის აკუნინი?

— ქართველია, გვარად ჩხარტიშვილი.

— მოქეიფე კაცი ღვინოს რით უნდა ამოწმებდეს?

— „პახმელიით“, ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით.

— რატომ არ შეუძლია ხვლიკს დიდხანს სირბილი?

— არ ვიცი.

— სირბილის დროს ვერ სუნთქავს. დასრულეთ ფილიპ დესტუშეს (XVIII ს-ის ფრანგი დრამატურგი) ცნობილი გამონათქვამი: „უფრო ადვილია, 7 ქალს შეაყვარო თავი, ვიდრე...“

— „...ვიდრე ერთს“, არა?

— „...ვიდრე ერთისგან თავი დაიხსნა“. დესტუშეს ეთანხმებით?

— ვეთანხმები, მაგრამ ცხოვრებაში ასეთი რამ, პირადად მე, არასდროს დამმართვია. ■

ერუდიტი +

ყველაზე დიდი ყვავილით გამოირჩევა რაფლეზია. იგი ინდონეზიისა და ფილიპინების კუნძულებზეა გავრცელებული. ყვავილის კვირტი კომბოსტოს მოგვაგონებს, გაშლისას იგი 5 წითელი ფურცლისგან შედგება, რომელთა დიამეტრი 1 მეტრამდე აღწევს, ყვავილის წონა 6 კილოგრამს აღწევს.

ყველაზე დიდი თესლი, კაკლებრის სახით, სეიშელის პალმას აქვს. ის 6 წლის განმავლობაში იზრდება და სიგრძეში 50 სანტიმეტრს აღწევს, მისი წონა 30 კილოგრამია.

ყველაზე დიდ კვერცხს ფრინველი კივი დებს. მართალია, კვერცხის ზომა 450 გრამს არ აღემატება, მაგრამ ეს მაჩვენებელი ფრინველის სხეულის წონის ერთ მეოთხედს შეადგენს.

ჟიანჟველებრის ყველაზე დიდი ბუდე მერილენდში (აშშ) იქნა აღმოჩენილი. მისი ფართობი 10 კვ.მ-ს, ხოლო სიმაღლე — 1 მეტრს უდრიდა.

ყველაზე დიდი თევზი — ვეშაპისებრი ზვიგენია. მისი წონა ცალკეულ შემთხვევებში 45 ტონასაც კი აღემატება.

22 აგვისტოს სოჭში პირველად ჩატარდება საბავშვო კონკურსი — „ახალი ტალღა“ (საბავშვო „იურმალა“), რომელზეც ჩვენს ქვეყანას 14 წლის ანი სირაძე წარმოადგენს. ანი 3 წლის ასაკიდან მღერის. არაერთ კონკურსში მიუღია მონაწილეობა. მისი გამოსვლა ყველგან და ყოველთვის წარმატებული ყოფილა. ახლაც იმედი აქვს, რომ სამშობლოს ღირსეულად წარმოადგენს და პრიზით ხელდამშვენებული დაგვიბრუნდება.

პირველობის მსურველი პირველი კონკურსანტი „იურმალის“ ღალაშქვრამდე MTV-ის ეთერში გამოჩნდება

მარეხ ჭონიშვილი

ანი სირაძე:

— ნუცა ჯანელიძე ჩვენი ოჯახის ახლობელია. მისგან შევიტყვე, რომ მაია ყიფიანს მუსიკალური ბავშვები სჭირდებოდა, საბავშვო „იურმალაზე“ გასამგზავრებლად. აპრილში ქალბატონი მაია მოსკოვში გაემგზავრა და მეც გავყევი. კასტინგი გავიარე და გავიმარჯვე. შემდეგ, იქ ორი სიმღერა გავგზავნე. ორივე დაამტკიცეს.

— კასტინგზე რა სიმღერა შეასრულე?

— ბებიაჩემის — ეთერ ჭელიძის „მდინარე ხიდის ქვეშ“ და კრისტინა აგილერას ერთ-ერთი სიმღერა. ჟიური საბავშვო „იურმალაზე“ იმავე წევრებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც მოზრდილების კონკურსზე მუშაობენ. კასტინგის დროს ძალიან „ოფიციალური“ სახეებით ისხდნენ, თან, არავის ვიცნობდი, ამიტომ თავიდან ცოტა ვინერვიულე, მაგრამ ეს ნერვიულობა მალე დავძლიე და როგორც მითხრეს, კარგადაც ვიმღერე.

— კონკურსზე რა სიმღერებით უნდა წარდგე?

— ერთი — „კრიმანჭული“ იქნება, მეორე კი — კრისტინა აგილერას „რეფლექშენი“, ანიმაციური ფილმიდან „მულანი“ (კონკურსის მოთხოვნა იყო, რომ მეორე სიმღერა რომელიმე საბავშვო ფილმიდან ან მულტფილმიდან ყოფილიყო).

— მაყურებლის წინაშე სცენაზე მარტო წარდგები თუ შენთან ერთად მოცეკვავეებიც იქნებიან?

— ჩანაწერები რომ გავგზანე, ალექსანდრ რევზინმა თქვა, „კრიმანჭული“ გუნდთან ერთად უნდა იმღეროო. აგილერას სიმღერაზე ცეკვა დაიდგმება, იქაური მოცეკვავეები გამოვლენ სცენაზე. ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება. კონკურსამდე ორი კვირით ადრე მივდივარ და იქ გავივლი რეპეტიციებს.

— რას ჩაიცვამ?

— საკონკურსო კოსტიუმებს დიზაინერი ნანა მელქაძე მიკერავს. კაბების შეკერვას რომ დაამთავრებს, ორგანიზატორებს ფოტოები უნდა გავუგზავნოთ. თუ არ მოეწონებათ, თავიდან მოგვიწევს შეკერვა.

— ანი, როგორ ფიქრობ, გაქვს შანსი, რომ გაიმარჯვო?

— გამარჯვების დიდი სურვილი მაქვს და ამ კონკურსს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. მე ხომ პირველი ქართველი ვარ, ვინც საბავშვო „იურმალაზე“ ჩვენი ქვეყანა უნდა წარმოადგინოს!.. შესარჩევ ტურში მონაწილე ბავშვების ნამღერს მოვუსმინე და ჩემს კონკურენტად მხოლოდ უკრაინელი მიმაჩნია.

— როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ, MTV-ის მსოფლიოს ფორუმზე იყავი...

— ამ ფორუმზე მაია დათუნაშვილმა წამიყვანა. იქ „სულიკო“ ვიმღერე. ძალიან მოეწონათ და სპეცპრიზი გადმომცეს. ამიერიდან MTV-ზე ჩემი შესრულებული „სულიკო“ „იტრიალებს“. ბერლინიდან კი ავსტრიაში გავემგზავრე, სადაც ბიძაჩემი, თემურ აფხაიძე ცხოვრობს. ის ძალიან მეხმარება. მან იქ ქართველი დიასპორისთვის კონცერტი გამართა. იმ კონცერტზე „სულიკო“ ვიმღერე, ჩემმა სიმღერამ იქ მყოფი ქართველები ძალიან აალელვა, იტირეს კიდეც.

— როგორც ვიცი, კონკურსზე — „სლავიანსკი ბაზარ“ — იყავი, ასეა?

— „სლავიანსკი ბაზრის“ გალა-კონცერტზე საპატიო სტუმრებად ვიყავით მიწვეული: მე, სოფო სააკაშვილი და „ევროვიზიის“ ტრიო. ამ კონკურსში ნოდიკო ტატიშვილი მონაწილეობდა და მეორე ადგილი დაიკავა.

— ხომ არ ნერვიულობ კონკურსის წინ?

— თავიდან ვღელავდი, ახლა — არა. იმედი მაქვს, საქართველოს ღირსეულად წარმოვადგენ.

ჩვენს საუბარში ანის დედა — **ნინო ელბაქიძე** *ჩაერთო:*

— ანი არ ღელავს, მაგრამ მე ძალიან განვიცდი. იმ დღეებში არც კი ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ანი ბავშვობიდან მღერის და მისი დებიუტი დედაჩემის, ეთერ ჭელიძის სიმღერით შედგა. მრავალ კონკურსსა და კონცერტში მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვღელავ. მან საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობა აიღო და იმედი მაქვს, ღირსეულად გაართმევს თავს.

„...ლამაზი იყო მისი სულიერი სამყაროც“

გვანცას პორტრეტი

„წლების მატებასთან ერთად, არაერთ საყვარელ ადამიანთან მიწევს განშორება. ყველას არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ ახლობლების გულსა და გონებაში წარუშლელი კვალი დატოვოს. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მე კი არაერთ გამორჩეულ პიროვნებასთან მეგობრობის, ახლოს ყოფნის პატივი მქონდა“, — მითხრა ფოტოხელოვანმა იური მეჩითოვმა და იმ ადამიანების გასახსენებლად, რომლებიც არასდროს დაავიწყდებიან, შინ მიმიპატიჟა.

სერგო ფარაჯანოვი

თამუნა კვინიკაძე

დაუვიწყარი მეგობრები

— ბევრი ისეთი მეგობარი მყავდა, რომელზეც წარსულ დროში ლაპარაკი ძალიან მიჭირს. ერთ-ერთი მათგანი ვოვა ფიჩხაძე იყო. მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ცხოვრებამ ბევრ რამეში არ გაუმართლა. საკუთარ თავს „პროფესიონალ უსაქმურს“ უწოდებდა. მან გაგრის დაცემიდან მე-3 დღეს „საქართველოს ხალხის კონგრესი“ დააარსა, ქართველ ხალხში ეროვნულობის გრძნობის გაღვივებას ცდილობდა. მისი მსგავსი პატრიოტი ჯერ არ შემხვედრია. კონგრესში გაერთიანებულ ადამიანებს ხშირად გვკრებდა, ჩვენთან ერთად მსჯელობდა, სამომავლო გეგმებს სახავდა. ლოგიკური აზროვნების საოცარი უნარი ჰქონდა. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ებრაელი იყო, ბოლოს ივრითის შესწავლაც დაიწყო. ვოვას, მუდმივმა დაძაბულობამ და წინააღმდეგობებმა, ცხოვრებაზე გული აუცრუა. მისმა მოზღვავებულმა ენერგიამ გასაქანი ვერ პოვა. ვწუხვარ, რომ მისი ნიჭის რეალიზება ვერ მოხერხდა. ვოვა მოულოდნელად, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა. სულ მასთან ერთად ტრიალებდა თემო ჭელიძეც, საუკეთესო მეგობრები იყვნენ. თემო პროფესიით არქიტექტორი იყო, მშვიდი ბუნებისა და სიდინჯით გამორჩეული ადამიანი. ალბათ ამაში გარკვეულ როლს მისი რაჭული წარმომავლობაც თამაშობდა. სახეზე სულ ღიმილი ეფინა, დიდი ოპტიმისტი გახლდათ. მიუხედავად მასთან მრავალწლიანი მეგობრობისა, გაბრაზებული თემო არასდროს მინახავს. ქართული ნადიმი უყვარდა, გიტარაზე შესანიშნავად უკრავდა. უმეტესად ხელოვნებათან მეგობრობდა. ის თითოეული ძმაკაცის დიდი იმედი იყო — ერთი ზარი და, შენთან გაჩნდებოდა, შენს გასაჭირს გულთან მიიტანდა. თემოს გარდაცვალებას ვერაფრით შევეგუე. მგონია, რომ ახლაც ჩემთან არის, ვიცი, ეს განცდა მთელი ცხოვრება გამყვება...


ვოვა ფიჩხაძე

სოფიკო


ლორთქი

ჩემი ჩუბჩიკა, სოფიკო და ლორთქი

განა ამ ადამიანების დავიწყება შეიძლება? შარშან სოფიკოსთან ერთად პარიზშიც ვიყავი. თუ შეიძლება, ადამიანზე რაიმე დადებითი ითქვას, სოფიკო ყველაფერს იმსახურებს. მის გარშემო ყოველთვის თეატრი იყო. განსაკუთრებული მეგობრობა სერგო ფარაჯანოვთან აკავშირებდა. ორივეს დღესასწაულების მოწყობა უყვარდა. სიკეთითა და ადამიანებისადმი ყურადღებით გამოირჩეოდნენ. მათ კარნავალზე ყველა ხარობდა. სოფიკოს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩუბჩიკამ მატკინა გული. დღეს რომელ ოჯახშიც კი მიწევს შესვლა, თავისი ნახატებით ყველგან ჩუბჩიკა მხვდება: ხატავდა და ახლობლებს დაუნანებლად ურიგებდა. უბრალო ნაცნობებშიც კი საოცარი სითბო დატოვა. ალბათ გრძნობდა, უნდა წასულიყო და არ უნდოდა, წაშლილიყო... მისგან ნაჩუქარი ნახატი მეც მაქვს. ჩუბჩიკას პანაშვიდზე მისულს, გურამ ლორთქიფანიძე დამხვდა. მისაყვედურა, სურათები რომ გადამიღე, მომეცი, რა, როდემდე უნდა მაწვალოო?! იმ დღეს სახლში დაბრუნებისთანავე ლორთქის ფოტოები მოვიძიე. ამ დღეებში გავუვლი და დავუტოვებ-მეთქი, — ვიფიქრე. მეორე დღეს მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე. გავოგნდი...

გაუშლელი ალბომი

გვანცა ციხელაშვილი ჩემი სტუდენტი იყო. ფოტოგრაფიას ვასწავლიდი. სიცოცხლეზე უზომოდ იყო შეყვარებული. საოცრად ლამაზი გახლდათ, ლამაზი იყო მისი სულიერი სამყაროც. რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლო, გვანცა არასდროს დამავიწყდება. მას უკურნებელი სენი შეეყარა, ვერაფრით უშველეს, 17 წლის გარდაიცვალა. დარჩა მის მიერ გადაღებული რამდენიმე ფოტო, რომელიც ყოველთვის მის თავს მახსენებს. მის კოკორს გაშლა არ დასცალდა. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ბალარჯი ცომის საფუარია.

2. „განთიადი“ და „დაფიონი“ სინონიმებია.

3. დათა თუთაშხიას დას ელე ერქვა.

4. სუნთქვის შეჩერებას სამედიცინო ენაზე აპნოე ჰქვია.

5. „შტო იმეემ — ნე ხრანიმ, პატერიაემ — პლაჩემ!“ — ამბობენ რუსები.

6. მდინარე ამაზონში მობინადრე, მდინარის დელფინი ვარდისფერია.

7. ზრდასრული ინდიელი წელიწადში საშუალოდ, შვიდ ბიზონს ჭამდა.

8. ცხენს, რომელსაც უკანა ფეხები გაფარჩხული აქვს, ბატატურას ეძახიან.

9. არქიმედე სირაკუზელი იყო. თანამედროვე ქალაქი სირაკუზი ამერიკაში მდებარეობს.

10. II მსოფლიო ომის დროს იაპონიის გაერთიანებულ ფლოტს ადმირალი იამამოტო სარდლობდა.

11. „უ ეტოი მერი ტაკაია პოპინს!..“ — აღფრთოვანებით ამბობდა ვიღაც ქალზე ევგენი პეტროსიანი.

12. მთაში სასიარულო ქალამანს, რომელსაც ძირი წვრილი ღვედით ჰქონდა დაწნილი, ბანდულს ეძახდნენ.

13. რობერტ სტურუას მიერ დადგმული „კავკასიური ცარცის წრისათვის“ მუსიკა გია ყანჩელმა დაწერა.

14. „ჩვენი გმირი, რასაც ალბათ მკითხველიც შენიშნავდა, ძუნწი იყო“, — წერდა ალექსანდრე დიუმა დ'არტანიანის შესახებ.

15. ბენიტო მუსოლინიმ საკუთარი სიძე, გრაფი ჩიანო, სახელმწიფო ღალატისათვის დაახვრეტინა, რათა ჰიტლერისათვის დაემტკიცებინა ერთგულება.

16. „ანგელოზი მკარნახობს, თორემ ლექსების წერისთვის სადა მცალია“, — ამბობდა გალაკტიონი.

17. „ვირზე ამხედრებული გუბერნატორი სასაცილო სანახავია, მაგრამ როცა ვირი ზის გუბერნატორის ადგილზე, მხიარულება დიდხანს არ გასტანს“, — ამბობდა დონ კიხოტის საჭურველთმტვირთველი სანჩო პანსა.

18. რუსების საყვარელი სახუმარო გამოცანა: „მუჟიკ ვიშელ იზ დომა ი ვისტრელილ იზ რუჟია. კუდა ონ პოპალ?“ პასუხი: „კუდა?!. კუდა?!. ვ მილიციუ ონ პოპალ!“

19. „წვეულება თუ მასპინძლობა“ — ასეა განმარტებული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა „კლიტორი“.

20. მოლიერის კომედიის — „ორი ბატონის მსახურის“ მიხედვით რუსების მიერ

პროექტზე — „ასწლიანები“, მუშაობა ფოტოგრაფმა გოგა ჩანადირმა 2005 წლის ზაფხულში დაიწყო, ასზე მეტი ხანდაზმული ადამიანი გადაიღო და ამ თემას ხუთი გამოფენა მიუძღვნა. ხანდაზმულებთან ურთიერთობამ ახალგაზრდა ფოტოგრაფს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა, ბევრი საინტერესო ამბავი მოისმინა და ზოგი რამ ჩვენც გაგვიზიარა.



რიმბალი ირემაძესთან ერთად

დაკარგული თბის, ომში გაშვებული ქმრისა და ნავით მოცურებული უკრაინელი ქალის ამბავი ანუ ვინ დააფიქსირა ფოტოობიექტივმა

თამუნა პეტრიაშვილი

— როგორ დაიბადა პროექტ „ასწლიანების“ განხორციელების იდეა?

— ჩემთან ერთად, ამ პროექტის ავტორია ჟურნალისტი გვანჯი მანია. მან მთხოვა, 5 ასი წლის ადამიანი გადამეღო, რადგანაც წიგნს ამზადებდა გამოსაცემად და მის გასაფორმებლად სჭირდებოდა. იდეა კი შემომთავაზა, მაგრამ რატომღაც, აღარ შემომხმიანებია. 2005 წლის აპრილში, როდესაც აფრიკიდან დავბრუნდი, უსაქმოდ ვიყავი და დავიწყე მუშაობა. ვიფიქრე — გადავიღებ და როდესაც ბატონი გვანჯი დამიკავშირდება, მზად მექნება და მივცემმეთქი.

— სად გქონდა პირველი გადაღება?

— კასპის რაიონში, სოფელ დოესში გადავიღე უკრაინული წარმოშობის ქალი — გრონია თათანაშვილი, რომელმაც მითხრა, რომ ქართველებისგან ისწავლა სიალალე და პატიოსნება. იმავე სოფელში გადავიღე ავადმყოფი მოხუცი, რომელსაც ძალზე სევდიანი სახე ჰქონდა. ამან ჩემზე ცოტა არ იყოს, დამთრგუნველად იმოქმედა და დამაფიქრა — საერთოდ ღირდა თუ არა ამ პროექტზე მუშაობა. საბოლოოდ გადავწყვიტე, დაწყებული საქმე ბოლომდე მიმეყვანა. მოვიარე შილდა, ახალციხე, ყვარელი... ყველაზე მეტი მოხუცი აჭარაში გადავიღე, რადგანაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ძალიან შემიწყო ხელი. კარდაკარ დავდიოდი. ისეთი ცუდი გზა იყო, მანქანით ასვლაც კი მიჭირდა. ბევრი მოხუცი გადავიღე, მაგრამ გადასაღებიც საკმაოდ დამრჩა — დრო არ მეყო, რადგანაც ჩინეთსა და ჰონკონგში გამგზავრება მიწევდა.



ოლგა საყვარელიძე

— პირველი გამოფენა, როდის და სად გქონდა?

— პირველი გამოფენა 2005 წლის გაზაფხულზე, ბათუმში მოვაწყვე. ღიას ქვეშ ძირითადად, აჭარელი ბებიების ფოტოები მქონდა წარმოდგენილი.

— მოხუცებულებს შორის მანდილოსნები ჭარბობდნენ?

— მთელი საქართველოს მასშტაბით, 1070 ას წელს გადაცილებული მოხუცი ცხოვრობს. 53 ისეთია, რომელმაც სამ საუკუნეში იცხოვრა, მათგან — 930 მანდილოსანია.

— როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა მათი ასეთი ხანდაზმულობა?

— როგორც აჭარელი ბებიებისგან შევიტყვე, მათი 80% ყოველ ზაფხულს ბახმაროში ისვენებდა, ამასთანავე მშვიდ და უკონფლიქტო გარემოში ცხოვრობდა... ვფიქრობ, ამ ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა პირდაპირ კავშირშია ჰაერსა და იმ ბუნებრივ პირობებთან, რომელშიც ცხოვრობდნენ. სურვილი მაქვს, სახელმწიფომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს მათ. უნდა ჩამოყალიბდეს სტერეოტიპი, რომ ჩვენი ქვეყნის კლიმატური პირობები ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ეს კი ჩვენში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. შუახევის რაიონში 1902 წელს დაბადებული მამაკაცი ცხოვრობს, რომელ-

იც ომის დროს მკერავად მუშაობდა და მხედველობა დაკარგა. დიდხანს ვცდილობდი, ამ ადამიანისთვის ინვალიდის სტატუსი მიენიჭებინათ, მაგრამ ვერ მოხერხდა. ჯერ მითხრეს, რაიონში უნდა ჩამოვიდესო, მაგრამ ისეთ მიუვალ ადგილას ცხოვრობდა, მეც კი გამიჭირდა იქ მანქანით ასვლა. შემდეგ მითხრეს, საერთოდ არ ექვემდებარება ინვალიდის სტატუსსო. ძალიან განვიცადე, ამ ადამიანს ვერაფრით რომ ვერ დავეხმარე.

— ძირითადად რაზე გესაუბრებოდნენ ხოლმე გადაღებისას მოხუცები?

— ქალები — პირველ სიყვარულზე. მიყვებოდნენ, რა ვითარებაში გათხოვდნენ, როგორი შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდათ მეუღლეებთან. ქობულეთში მცხოვრებმა სონია აბაშიძემ მიამბო, რომ უკრაინიდან ნავით მოიტაცეს.

— როგორ გხვდებოდნენ მათი ოჯახის წევრები?

— ერთხელ მიქაძეების ოჯახში შემომაღამდა და მათთან ღამის გასათევად დავრჩი. კარგად მიმიღეს. მოგეხსენებათ, ქართველებს სტუმარმასპინძლობა არ ეშლებათ, მით უმეტეს — ძველ ხალხს.

— ოდესმე ხანდაზმული წყვილი თუ გადაგიღიათ?

— ბოლნისის რაიონში არის ერთი ასეთი ოჯახი: ქმარი 107 წლის არის, ცოლი — 102-ის.

— რომელიმეს კურიოზიც ხომ არ მოუყოლია?

— ქედის რაიონში ცხოვრობს ერთი ძალიან ლამაზი და ენერგიული ბებო — ფატრუმე ჯაყელი, რომელიც ძალიან სახალისო ამბავს მომიყვა: ქმარი ჰყოლია ომში, ყოველდღე მისი ამბის გასაგებად სოფლის მკითხავთან დადიოდა. ერთხელაც თხა დაჰკარგვია და რომ ვერსად იპოვა, ისევ სოფლის მარჩიელს მიაკითხა. მკითხავმა კი პირდაპირ გადმოსძახა: ფატრუმე, შენი ქმარი ფრონტიდან ბანაკში გადაუყვანიათ და კარგად არისო. ამ ამბავს ისე გაუბრაზებია, სოფლის მარჩიელს მას შემდეგ აღარ გაჰკარებია თურმე.

— გოგა, რომელიმეს ასაკში ეჭვი ხომ არ შეგპარვია?

— ოთხ ადამიანთან დაკავშირებით გამიჩნდა ეჭვი — რომ არ იყვნენ 100 წლის, მაგრამ აღარ ჩავძიებივარ. საბუთების მიხედვით, თითოეული მათგანი 100 წელზე მეტის არის.

— თქვი, რომ კიდევ ბევრი მოხუცი დაგრჩა გადასაღები. კვლავაც აპირებ მათ გადაღებას?

— კომპანია — „თელიანი ველი“ მაფინანსებდა, მაგრამ რუსეთის ემბარგომ დიდი გავლენა იქონია მეწარმის ბიუჯეტზე და დაფინანსება შემიწყდა. არ ვიცი, ჩემი ფინანსებით პროექტის გაგრძელებას რამდენად შევძლებ.

— გოგა, ოჯახის წევრებს როგორი დამოკიდებულება აქვთ ზოგადად მოხუცების მიმართ?

— ერთ-ერთ ოჯახში (შეგნებულად არ დავასახელებ) მოხუცი გომურში ჰყავდათ გამოკეტილი, ოჯახის დანარჩენ წევრებს კი თბილ ოთახებში ეძინათ. ამ ფაქტმა ცუდად იმოქმედა ჩემზე, მაგრამ ვერაფერი ვთქვი.

— ყველაზე საინტერესო ამბავს ხომ ვერ გაიხსენებ?

— ყვარლის რაიონში ცხოვრობს აფხაზი კაცი — გრიშა ახალაია. სამამულო ომიდან დაბრუნებულს, აფხაზეთში სახლი გადამწვარი დახვდა, რის შემდეგაც ყვარელში დასახლდა და ცოლად კახელი ქალი შეირთო. როგორც მან მითხრა: სადილზე ყოველდღიურად, თავისი ხელით დაწურულ ღვინოს მი-

ესკან ტაკიძე



შირინა ჭელიძე

ირთმევდა და ამაში მდგომარეობდა მისი ჯანმრთელობის საიდუმლოც.

— ყველაზე მეტად რომელმა დაგამახსოვრა თავი?

— ასე კონკრეტულად ვერ გამოვყოფ, თითოეულთან ურთიერთობამ ცხოვრებისეული გამოცდილება შემძინა. ყველას სახელი, გვარი და ასაკი მახსოვს... უახლოეს მომავალში, ალბომის გამოშვებას ვგეგმავ, სადაც თითოეულზე მოკლე ინფორმაცია იქნება. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეკა ღვალიშ

უბის წიგნაკიდან:

გადაღებულ ფილმში — „ბერგამოელი ტრუფალდინო“ — მთავარ როლს კონსტანტინ რაიკინი, სიმღერებს კი — მიხაილ ბოიარსკი ასრულებს.

21. მოსკოვის მერია ერთ თვეში ნონა მორდიუკოვასთვის ძეგლის გახსნას გეგმავდა, რასაც მსახიობი ქალი ვერ მოესწრო. 2008 წლის 6 ივლისს იგი 83 ასაკში გარდაიცვალა.

22. პირლ ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმისას ადგილობრივი საავადმყოფოები თვალის დახამხამებაში აივსო დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცებით. იქაური სანიტრები საქმეს ვეღარ აუდიოდნენ. ყველა დაჭრილი ტკივილგამაყუჩებელს ითხოვდა. მედდები მათ მორფინს უკეთებდნენ და სხეულზე პომადით ჯვარს ასვამდნენ, ნიშნად იმისა, რომ ამ ჯარისკაცს უკვე გაკეთებული ჰქონდა მორფინი და გონებადაკარგულისათვის შეცდომით, მეორე, მომაკვდინებელი დოზა აღარ მიეცათ.

23. ილია რეპინი 13 წლის მანძილზე ხატავდა თავის განთქმულ ტილოს — „ზაპოროჟიელი კაზაკები წერილს სწერენ თურქეთის სულთანს“. ამ ტილოში რეპინს რუსეთის მეფემ 35.000 მანეთი გადაუხადა.

24. პეტრე I განთქმული იყო თავისი სისასტიკით. ურჩ „სტრელცებს“ იგი ზოგჯერ საკუთარი ხელით ჰკვეთდა თავებს. მრისხანე იმპერატორმა ერთხელ საკუთარი ცოლის საყვარელს მოჰკვეთა თავი, სპირტიან ქილაში ჩადო და იმპერატრიცა ეკატერინას სასთუმალთან დაუდგა, თუმცა მეუღლის აღიარებას ღალატის შესახებ ამის შემდეგაც ვერ ეღირსა.

25. სამოქალაქო ომის დროს რუსეთში წითელარმიელთა და თეთრგვარდიელთა სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა. ტყვედ ჩაგდებულ მოწინააღმდეგეს ხშირად, ცოცხლად მარხავდნენ. ზოგჯერ ადამიანს მუცელზე ცოცხალ ვირთხას დაასვამდნენ, რომელსაც ზემოდან ქვაბს ახურავდნენ, გადმობრუნებული ქვაბის ძირზე კი რკინის ჯოხებით მანამ არახუნებდნენ, სანამ ხმაურისაგან გაგიჟებული ცხოველი სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს გულ-მუცელს არ ამოაგლეჯდა. ზოგჯერ კი დატყვევებულ მტერს კასრში სვამდნენ, რომელსაც გარედან ასეულობით ლურსმანი ჰქონდა ჩაჭედებული, თავს მჭიდროდ ახურავდნენ და მანამდე აგორავებდნენ, სანამ შიგნით მყოფი ადამიანის სხეული ხორცის ფარშად არ იქცეოდა.

საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მთელი წლის მანძილზე აქტიურად ემზადება: წიგნები, რვეულები, უძილო ღამეები, რეპეტიტორები... ახალგაზრდები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სტუდენტები ხდებიან, მაგრამ რეალურად, რა ხდება საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში? შეუძლიათ სტუდენტებს კარგი განათლების მიღება?

სწავლა, სწავლა და სწავლა

ანუ ხამი გაჭიხდება ნანატხი დიპლომი?!.

ეთო ყორღანაშვილი

ზოგისთვის სწავლა-განათლების პროცესი ტანჯვის ტოლფასია და მეცადინეობას ყველაფერი ურჩევნია. ამიტომ სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლების მიღებაზე არც ფიქრობს; ზოგს კი უნივერსიტეტის დიპლომის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად ეჩვენება; ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებისთვისაც სწავლა გართობის ერთადერთი საშუალებაა...

19 წლის ნათიას ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება არასდროს უცდია. მან, როგორც თვითონ მითხრა, უბრალოდ, თავს უშველა და სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად ერთ-ერთ კერძო კოლეჯს მიაკითხა.

— ყველა აღნიშნავს, რომ ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი გოგონა ვარ. მოსწავლეობის პერიოდში გაკვეთილს მხოლოდ იმ პირობით ვსწავლობდი, თუკი ვინმე რამეს დამპირდებოდა. ერთი გაკვეთილის სწავლაში 10 ლარს ვითხოვდი. ვიდრე მშობლები თანხას კეთილსინდისიერად მიხდიდნენ, მანამდე ვბეჯითობდი. მერე ჩემმა დამ პროტესტი გამოთქვა: — მეც მომეცით ფული, რატომ მჩაგრავთო? ჩემი და სკოლაში საუკეთესო მოსწავლედ მიიჩნეოდა. მშობლებს მისთვის თითო გაკვეთილის სწავლაში 10 ლარი რომ მიეცათ, ოჯახი გაგვილატაკდებოდა. ამიტომაც, მეც შემიწყვიტეს დაფინანსება. სკოლა რომ დავამთავრე, მშობლებს ვთხოვე: — სწავლის გაგრძელება მინდა და სადმე „შემტენეთ“, სახლში ხომ არ დავჯდები-მეთქი? კერძო კოლეჯში შემიყვანეს — მეან-გინეკოლოგის პროფესიას ვეუფლები. უნივერსიტეტის დიპლომი არაფერში მჭირდება, სამსახურს მაინც ვერ ვიშოვი და რა აზრი აქვს?!

— ასე პესიმისტურად განწყობილი რატომ ხარ?

— ჩემი და, უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე სწავლობს, მაგრამ სამომავლოდ დასაქმების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. სამსახური რომც შესთავაზონ (მაგალითად — მასწავლებლობა), მაინც ვერ იმუშავებს — თვითონ არაფერი იცის და სხვას რა უნდა ასწავლოს?! ახლა ერთმა კეთილმა ადამიანმა უცხო ენების კარგი სპეციალისტის მისამართი მისცა და იმედია, ცოდნას გაიღრმავებს. დაბალი კვალიფიკაციის ლექტორები საფუძვლიანად ვერ ასწავლიან. ამიტომ, მხოლოდ უნივერსიტეტში სიარული საკმარისი არ არის.

— შენ თუ ხარ კმაყოფილი იმით, რასაც კოლეჯში გასწავლიან?

— კმაყოფილი ვარ.

— მეან-გინეკოლოგის პროფესია რატომ აირჩიე?

— ახლობლებმა მირჩიეს... უცხო ენას მაინც ვერ ვისწავლიდი, ქართულად ძლივს ვლაპარაკობ. არც ტექნიკური საგნები მიზიდავს — ათის ფარგლებშიც თითების დახმარებით ვანგარიშობ; განსაკუთრებულად არც ბიოლოგია მომწონს, მაგრამ სამაგიეროდ, სისხლის დანახვაზე გული არ მიმდის. ერთი ეგაა, თეორიული მასალის სწავლას ვერ „დავუმუღამე“. ლექტორები რთული ენით გვესაუბრებიან: „რექტალური პალპაციით შეიძლება, შევიგრძნოთ სწორი ნაწლავის ბლუმერის შელფი!“ — ასეთი ფრაზების გაზეპირება მიხდება, რადგან მათ მნიშვნელობას ვერ ვიგებ და არც ლექტორებს სურთ, „გადმოგვითარგმნონ“... სულ ჩხუბობენ და გვიყვირიან, — თქვი პარაზიტებო, ერთხელ ხომ აგიხსენით, ვეღარ გაიგეთო?! ერთხელ ახსნით რამეს რომ ვიგებდე, კოლეჯში კი არ ვისწავლიდი, ეროვნულ გამოცდებს ჩავაბარებდი და გრანტსაც ავიღებდი. სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების იმედი რომ არ მქონდა, კოლეჯში საბუთები ამიტომ შევიტანე. იქ სწავლის გადასახადი ბევრად ნაკლებია, ვიდრე უნივერსიტეტში. კოლეჯში ბავშვები პრაქტიკასაც გავდივართ: მშობიარობის პროცესს დავესწარით, ვენასა და კუნთში ნემსის გაკეთება ვისწავლეთ — ნემსებს ერთმანეთს ვუკეთებდით... ერთი ლექტორი დაგვპირდა, ოპერაციებსაც დაგასწრებთო, მაგრამ ამ სასწავლო წელმა ისე ჩაიარა, პირობა არ შეუსრულებია... სულ სამ საგანს ვსწავლობთ: თერაპია, პედიატრია და ქირურგია. რეალურად, მხოლოდ ნემსის გაკეთება ვიცით.

— ...და მაინც, კოლეჯში მიღებული ცოდნით კმაყოფილი ხარ, არა?

— ...(*იცინის*) კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ვამბობ, რომ ჩვენთან სწავლების დონე კარგია. აბა, ყველას ხომ არ ვეტყვი, რომ „ბანძ“ კოლეჯში ვსწავლობ? უპირველეს ყოვლისა, ჩემს იმიჯს ვუფრთხილდები!

ქალბატონი მალვინა, *48 წლის:*

— ორი შვილი მაყვს. უფროსი ბიჭი სამედიცინოზე სწავლობს, წელს მესამე კურსი დახურა. მართალია, ცოტათი გაუჭირდა, მაგრამ გამოცდები მაინც წარმატებით ჩააბარა. უნივერსიტეტში სწავლების დონეს არ უჩივის, პირიქით — იმდენი სამეცადინო აქვს, რომ გასართობად დრო აღარ რჩება. ძალიან უნდა, ქირურგი გახდეს. ვნახოთ, რას იზამს...

— პროფესია თვითონ აირჩია?

— არა, ახლობლებმა ვურჩიეთ და ბოლოს და ბოლოს, ჩვენი რჩევა-დარიგება შეისმინა. განსაკუთრებით ბებიამისი აქტიურობდა: ჩემი შვილიშვილი ექიმი უნდა გამოვიდესო! ბიჭი წინააღმდეგი იყო, — სამედიცინოზე იმდენი წელი უნდა ვისწავლო, დავბერდები და სწავლის დასრულებამდე ცოლი რომ შევირთო, ოჯახი როგორ ვარჩინოო? მოკლედ, დღეს ჩემი შვილი მაინც ექიმის პროფესიას ეუფლება და სანამ დიპლომს აიღებს, იმედია, ქვეყანაში რამე შეიცვლება. სამწუხაროდ, სამსახურის დაწყებას გავლენიანი ნაცნობი სჭირდება, სხვაგვარად ვერაფერს გახდები... უმცროს შვილს ექიმობა თვითონვე სურს, მაგრამ ჯერ მეთორმეტე კლასშია. ვერ ვხვდები, ბავშვებს მეთორმეტე კლასში რაღა უნდა ასწავლონ? ვითომ მესამე „სემესტრი“ — სააბიტურიენტო პროგრამაა შემოიღეს, მაგრამ შვილს სკოლაში შეძენილი ცოდნის იმედით ეროვნულ გამოცდებზე ვერ გავუშვებ.

— თქვენი აზრით, შეუძლებელია, ბავშვმა სკოლაში მიღებული ცოდნით ეროვნული გამოცდები ჩააბაროს?

— ეგ თითქმის არარეალურია და ჩემი პროგნოზით, ასე კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. საქართველოში არსებულ სკოლებში მიღებული განათლებით, მოსწავლეები მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაშიც ვერ შეძლებენ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრას. რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობენ. მაგალითად, ჩემი ახლობლის ქალიშვილმა ეროვნული გამოცდები რეპეტიტორებთან მომზადების გარეშე ჩააბარა. ძალიან ბეჯითი გოგონაა, სულ ბიბლიოთეკებში დადიოდა, წიგნებს კითხულობდა... მასწავლებლები ეხვეწებოდნენ, ჩვენ მოგამზადებთ, შენი ფული არ გვინდაო, მაგრამ ის ყველას უარით ისტუმრებდა — სიამაყის თუ სიმორცხვის გამო. მართალია, ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, ეროვნულ გამოცდებს ვერ გადალახავდა. როგორც ვიცი, ყველაზე მეტად უცხო ენის გამოცდის ეშინოდა. მეთერთმეტეკლასელებს სკოლაში გაკვეთილებს ხშირად არც უტარებდნენ, გაკვეთილებზე დასწრებით არც მოსწავლეები იწუხებდნენ თავს — ყველა რეპეტიტორებთან დადიოდა. ის საბრალო გოგონა კი უცხო ენაშიც დამოუკიდებლად მეცადინეობდა. ეს, დამეთანხმებით, მართლა რთულია.

— ახლა სად სწავლობს?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიპლომატიურზე. დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს. მთავარია მონდომება და ძალიან, ძალიან ბევრი შრომა. აბა, ჩემი ბიჭები

მე თუ არ გავაკონტროლე, ისე არაფერს ისწავლიან. ბავშვობიდან ასეთები იყვნენ: ათასგვარ მიზეზს მოიგონებდნენ, ოღონდაც გაკვეთილი არ ესწავლათ. ახლა გამოსწორდნენ, მაგრამ კონტროლი და ყურადღება მაინც სჭირდებათ — ახალგაზრდები არიან და სწავლას გართობა ურჩევნიათ. წელან რომ გიყვებოდით, იმ გოგონას სახლში ტელევიზორიც კი არ ჰქონდა. მისთვის გართობის ერთადერთ საშუალებას წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა წარმოადგენდა. როცა სკოლა დაამთავრა, ერთმა ნათესავმა შავ-თეთრი ტელევიზორი აჩუქა. გოგონას დედა გადარეული იყო: ჩემი შვილი წიგნებს აღარ ეკარება, დღე და ღამე ტელევიზორთან ზის, რა მეშველებაო...

ლევანი, *20 წლის:*

— ერთ-ერთ ეროვნულ ინსტიტუტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ. წინათ ინსტიტუტის მესვეურები ლამის კარდაკარ დადიოდნენ და იხვეწებოდნენ, რომ ვინმეს სწავლა მათთან გაეგრძელებინა. სწავლის საფასური ბევრი არ იყო — 170 ლარი. მას შემდეგ, რაც ინსტიტუტმა აკრედიტაცია გაიარა, გადასახადი გაგვიზარდეს. როცა მე და ჩემმა ჯგუფელებმა მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ, მაშინ ერთიანი ეროვნული გამოცდები არ არსებობდა. წესით, ჩვენთვის სწავლის საფასური არ უნდა გაეძვირებინათ.

— თავის დროზე ინსტიტუტთან კონტრაქტი არ გააფორმეთ?

— დიახ, გავაფორმეთ. კონტრაქტში ეწერა, რომ ქვეყანაში მიმდინარე ფასების ზრდისა და ინფლაციის გამო, სწავლის საფასურის გაზრდა მოსალოდნელიაო, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, თუ 170 ლარიდან 1.000 ლარამდე ავიდოდნენ?! სტუდენტების პროტესტს ასეთ პასუხს სცემენ: მადლობა თქვით, უფრო მეტს რომ არ გახდევინებთო! მე თუ მკითხავთ, იმ 170 ლარის ღირსიც არ იყვნენ, მაინც არაფერს გვასწავლიან.

— თუ არაფერს გასწავლიან, ინსტიტუტში რატომღა დადიხარ?

— თუკი მეცოდინებოდა, რომ 1.000 ლარის გადახდა მომიხდებოდა, მართლა აღარ ვისწავლიდი. თანაც როცა გამიძვირეს, მეოთხე კურსზე ვიყავი და სწავლას ბოლო კურსზე ხომ არ მივატოვებდი? ჩვენს ინსტიტუტს ისეთი რეკლამა უკეთდება, მტერს თვალს დაუბრმავებს. ინსტიტუტის დამაარსებელს სწავლების დონესთან დაკავშირებით რამე რომ ჰკითხო, უცებ ჩამოგირაკრაკებს, რომ ლინგაფონის და კრიმინალისტიკის კაბინეტები გვაქვს, რაც სტუდენტებს კარგი განათლების მიღებაში გვეხმარება. არც ძვირად ღირებული წიგნებით „საცსე“ ბიბლიოთეკა და კომპიუტერები ავიწყდება. ლინგაფონის კაბინეტი მართლა გვაქვს, ოღონდ მასში საჭირო აპარატურა არ არსებობს. უბრალოდ, აუდიტორიის კარზე პატარა აბრაა მიკრული: „ლინგაფონის კაბინეტი“. ბიბლიოთეკაში რამდენიმე საჭირო წიგნია, კომპიუტერები კი — გაფუჭებულია.

— კრიმინალისტიკის კაბინეტშიც ანალოგიური სიტუაციაა?

— არ ვიცი, რამდენად ვარგისია ის ხელსაწყოები, რომლებიც იქ ინახება, მაგრამ ფაქტია, რომ სტუდენტები კრიმინალისტიკის კაბინეტით არ ვსარგებლობთ, რადგან სულ დაკეტილია. ერთხელ მქონდა ბედნიერება, ღია კარიდან შემეჭყიტა, მაგრამ შიგნით ისეთი მტვერი იდო, დებილიც მიხვდებოდა, რომ იქ არავინ არავითარ პრაქტიკას არ გადის...

ნინო, *21 წლის:*

— უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე იმედგაცრუება ორჯერ განვიცადე. პირველად, ბედი 4 წლის წინ ვცადე, უცხო ენების ფაკულტეტზე ვაბარებდი. მაშინ ეროვნული გამოცდები არ იყო. ყველაზე რთული გამოცდა ქართულ წერაში გვქონდა. მიუხედავად ამისა, უმაღლესი შეფასება მივიღე. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. მეგონა, წერისას უამრავ შეცდომას დავუშვებდი და „ჩავიჭრებოდი“. სამაგიეროდ, შემდეგ გამოცდაზე მართლა ბევრი შეცდომა დავუშვი და საბოლოოდ, ფასიან ფაკულტეტზე მოვხვდი. ჩემი ოჯახი თანახმა იყო, მაგრამ სწავლის გაგრძელებაზე უარი მე თვითონვე ვთქვი... გამოცდებისთვის მომზადება მეტი ყურადღებით დავიწყე. უფრო მეტს ვმეცადინეობდი. კარგი რეპეტიტორები შევარჩიე, წიგნებთან ერთად ვიძინებდი და ვიღვიძებდი. მეგობრებს ისე იშვიათად ვხედავდი, რომ ლამის მათი სახელებიც დამავიწყდა. მომდევნო წელს უკვე ეროვნული გამოცდების ჩაბარება მომიხდა. სამწუხაროდ, სახელმწიფო დაფინანსება მაინც ვერ მოვიპოვე. ამის გამო ოჯახის წევრებს თვალებში ვეღარ ვუყურებდი. მშობლებმა ჩემს უმცროს ძმებს ყველაფერი მოაკლეს და სწავლის გაგრძელების საშუალება მომცეს. სინდისი მქენჯნის, მაგრამ რა ვქნა, მეც ხომ ადამიანი ვარ? იმედგაცრუებას ვეღარ გავუძლებდი, ათასჯერ წაკითხულ წიგნებს ათასმეერთედ ვეღარ წავიკითხავდი. აბიტურიენტობისას წესიერად არც მიძინია. ღამით უზარმაზარი ჭიქებით ყავას ვსვამდი, რომ არ ჩამძინებოდა და მემეცადინა. ვბრაზობდი ჩემს სტუდენტ მეგობრებზე, რომლებიც იმის გამო წუწუნებდნენ, რომ ლექტორები სასწავლად, როგორც თვითონ ამბობდნენ, ზღვა მასალას აძლევდნენ. პირობას ვდებდი, თუ სტუდენტი გავხდებოდი, ლექტორების მიერ მოცემულ დავალებებს პირნათლად შევასრულებდი და არასდროს დავიწუწუნებდი. ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ფაკულტეტზე ვსწავლობ. არ ვიცი, სხვა უნივერსიტეტებშიც თუ ხდება ისეთი „სასწაულები“, როგორიც „გეპეიში“. პირველ კურსზე სამ სხვადასხვა საგანში გამოცდისთვის ერთი და იგივე მასალა გვქონდა ჩასაბარებელი — ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“. რაც არ უნდა იყოს, საქართველოში დიპლომიანი ხალხი ფასობს და ლექციებზე ამიტომ დავდივარ, თორემ არაფერს მასწავლიან. თუმცა, ჩემი ლექტორების ბიოგრაფიული დეტალების უბადლო ცოდნით თავის მოწონება მართლა შემიძლია.

— ლექტორები ლექციებზე თავიანთ ბიოგრაფიებს გიყვებიან?

— რა თქმა უნდა, ოღონდ თუ გვიკადრეს, დაგვაფასეს და აუდიტორიაში შემოვიდნენ. ზოგჯერ სტუდენტები ლექტორს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ვეძებთ და თუ ვიპოვეთ, ლექციაზეც მოგვყავს.

— რექტორთან დალაპარაკება არ გიცდიათ?

— ბატონ რექტორს სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის თაობაზე დავველაპარაკეთ, აბა, ლექტორებს ხომ არ „ჩავუშვებდით“ — ლექციებს აცდენენ და არაფერს გვასწავლიანთქო? მეგობრებს ასე არ ექცევიან, ჩვენ კი თითოეულ ლექტორთან ახლო და თბილი ურთიერთობა გვაქვს... სასაცილოა, რეჟისურის ფაკულტეტის სტუდენტებს თუნდაც ერთი ვიდეოკამერა არ უნდა ჰქონდეთ და მომავალ ჟურნალისტებს — ერთი მიკროფონი მაინც? სამაგიეროდ, შტატივი გვაქვს! ამას წინათ, მეგობარი მეუბნებოდა: — თუ ადამიანს სწავლა უნდა, ყველგან ისწავლისო. გასაგებია, მაგრამ რა ვისწავლო, ხომ უნდა ვიცოდე? წლის ბოლოს რაღაც გაურკვეველ კონსპექტებს მოგვიყრიან და გამოცდაზე იმას ვაბარებთ. აი, ასეთ დღეში ვართ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული სიტუაცია ჩემთვისაც ნაცნობია: დამამთავრებელ კურსზე, როცა სადიპლომო ნაშრომის გაკეთება დავაპირე, კათედრის ხელმძღვანელს შევუთანხმდი, რომ დიპლომს ფოტოგრაფიაში დავიცავდი. განცხადებაც დავწერე. ხელმძღვანელს უარი არ უთქვამს და მეც შემართებით შევუდექი მუშაობას თემაზე — ქალაქი რუსთავი (ფოტორეპორტაჟი). რუსთავის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე და რაც საინტერესოდ მივიჩნიე, ფირზე აღვბეჭდე. საღამოს ვალმოხდილმა და კმაყოფილმა, ფოტოგრაფიის ლექტორს დავურეკე და ვახარე: — პატივცემულო, სურათები გადავიღე და როდის გაჩვენოთ-მეთქი? — რა სურათები, შვილო, რეპორტიორებს (რეპორტიორის ფაკულტეტზე ვსწავლობდი) ფოტოგრაფიაში დიპლომის დაცვის უფლება არ გაქვთ, ვიდეომასალა მოიტანეო! ეს ახალი ამბავი დიპლომის დაცვამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე შევიტყვე... ეგ არაფერი, ყველაფერში ცუდი რატომ უნდა დავინახოთ? ექსტრემალურ პირობებში და მინიმალურ დროში მუშაობა სწორედ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მასწავლა!

P.S. ვფიქრობ, პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ ბევრი მკითხველი გამოგვეხმაურება. შეგიძლიათ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები მესიჯით. ტელ.: 8.58.10.35.37. ■

სწავლის საფასური ბევრი არ იყო — 170 ლარი

MK

ბავშვობა გამოსულთ „მოზრდილთა ჯვრით“

ანუ როგორ გაუმკლავდეს ცხოვრების ბორკილებს ყოფილი ბავშვები



ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება ეტაპი, როდესაც პრობლემებს დამოუკიდებლად უნდა შეეჭიდოს. დღეს, ცხოვრებასთან გამკლავება მეტად ჭირს, მით უფრო მათთვის, ვისაც ზურგს არც მშობელი უმაგრებს, არც ახლობელი და არც ნათესავი. მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ ბავშვთა სახლიდან გამოსულ ზრდასრულს არც საკუთარი ჭერი აქვს და აღარც თავშესაფარი. ტოტალური უმუშევრობის პირობებში კი სამსახურის შოვნა ლამის ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ამგვარ პირობებში ძნელია, სულის სიმტკიცე შეინარჩუნო და ეშმაკის დაგებულ მახეში არ გაება.

ემა ტუსიაშვილი

ლიკა, *20 წლის:*

— ხუთი წლის ძლივს ვიქნებოდი, მამა რომ გარდამეცვალა. მალე დედა მეორედ გათხოვდა. უფრო სწორად კი ჩვენს სახლში უშანგი მოიყვანა, რომელსაც თავის ქმარს უწოდებდა. უშანგი მალე გაშინაურდა, თავი ოჯახის უფროსად და ბატონ-პატრონად წარმოიდგინა და ბრძანებების გაცემას შეუდგა: ის მომართვით — ეს გამირეცხეთო. იმთავითვე შევიძულე და „ბრძოლა გამოვუცხადე“. ვერც მან მიგუა და მალე დედა იძულებული გახდა, ბავშვთა თავშესაფარში მივებარებინე. დედაჩემმა ბევრი ცრემლი ღვარა, როდესაც ჩემი მოკრძალებული ბარგით ბავშვთა სახლში მტოვებდა, მაგრამ თავს იმართლებდა: უშანგი ჩვენი ერთადერთი მარჩენალია და რომ დავკარგო, შიმშილით სული გამძვრებაო. თავიდან დედა ხშირად მოდიოდა ჩემს სანახავად. მართალია, სახლში არასდროს მივყავდი, მაგრამ სადმე სკვერში ვხდებოდით და ვლაპარაკობდით. მერე კი ჩემთან სიარულს უკლო, ცოტა ხანში კი საერთოდ დაიკარგა. როდესაც წამოვიზარდე, ჩემს სახლს მივაკითხე, შესვლა ვერ გავბედე, შორიახლოს ვიდექი და ვიხსენებდი იმ წლებს, როდესაც მამა ცოცხალი იყო და მეც ოჯახი მქონდა. მოულოდნელად ჩემი სახლის ფანჯრიდან ქალმა გადმოიხედა. წამით დედას მივამსგავსე და გული მღელვარებისგან ლამის ამომივარდა, მაგრამ მერე დავინახე, რომ სრულიად უცხო ქალი იყო. გულმა აღარ მომითმინა, მეზობლის კარზე ზარი დავრეკე და ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე. დედას თურმე ჩვენი ბინა უშანგის ვალების გამო გაუყიდია, თვითონ კი უსახსროდ დარჩენილი, სადღაც ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა. დედაჩემის კვალს ვერსად მივაგენი და მის შესახებ დღემდე არაფერი ვიცი. ამას ასე დაწვრილებით იმიტომ გიყვებით, რომ მიხვდეთ, როდესაც 18 წელი შემისრულდა და იძულებული გავხდი, ბავშვთა სახლი დამეტოვებინა, წასასვლელი არსად მქონდა. ერთხანს, ჩემს იქაურ მეგობართან ერთად, მის ბებია-ბაბუასთან სოფელში ვცხოვრობდი, მაგრამ იმათ თავი გასჭირვებოდათ და ჩვენს რჩენას როგორღა მოახერხებდნენ?! გადავწყვიტეთ, ისევ თბილისში დავბრუნებულიყავით და სამსახური გვეშოვა. დამივიწყეთ, არაფერს ვთაკილობდი, ერთხანს სასადილოში დამლაგებლადაც ვმუშაობდი, ბაზრობაზე ფასიან საპირფარეშოშიც მიმუშავია, მაგრამ ჩემი ხელფასი ბინის ქირის გადასახდელადაც არ მყოფნიდა. ჩემი მეგობარიც ამ დღეში იყო. რა არ გადავიტანეთ: გვცივოდა, გვშიოდა... მერე კი „კეთილი“ ადამიანების დახმარებით, მაღალანაზღაურებადი სამსახური ვიშოვეთ. ერთ-ერთ საუნაში ვმუშაობთ, კლიენტებს გამამხნევებელ მასაჟს ვუკეთებთ. ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რით მთავრდება ეს პროცედურა. გაწეული სამუშაოსთვის კარგად გვიხდიან, ჩვენც კმაყოფილი ვართ და კლიენტებიც. ღმერთია მოწამე, მე ასე ცხოვრება არ მინდოდა, ყველა ღონე ვიხმარე, პატიოსანი შრომით რომ მერჩინა თავი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. პროფესია მე არ მაქვს და არც პატრონი მყავს, რომ სადმე დამასაქმოს. საუბედუროდ, არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც გაჭირვების გამო პროსტიტუციას მიჰყო ხელი. ბავშვთა სახლებში გაზრდილი გოგონების უმეტესობა თავს საკუთარი სხეულის გაყიდვით ირჩენს.

გვანცა ლიპარტელიანი „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებთან ერთად

ირმა, *24 წლის:*

— ჩემი მშობლების შესახებ არაფერი მსმენია. ისიც კი არ ვიცი, როგორ მოვხვდი თავის დროზე თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში და სიმართლე გითხრათ, ამის გარკვევა არასდროს მიცდია, რადგან ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. 6 წლის ვიყავი, როდესაც კოჯრის ბავშვთა სახლში გამანაწილეს და იქ მანამ ვცხოვრობდი, ვიდრე ერთერთმა აღმზრდელმა სამსახური არ მიშოვა. მის ნათესავს სახლში დამხმარე სჭირდებოდა, გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ კი საცხოვრებელს, საჭმელსა და სამოსს დამპირდნენ. საქმე არც ბავშვთა სახლში გვაკლდა, ამიტომ სახლის დალაგება, სადილების მოზადება თუ სხვა მოვალეობების შესრულება ახალ სამუშაო ადგილზე არ გამჭირვებია. დილით ადრე ვდგებოდი, ღამე კი გვიან ვწვებოდი, რომ ყველაფერი მომესწრო და ოჯახი, სადაც ვცხოვრობდი, ჩემით კმაყოფილი ყოფილიყო. ამის მიუხედავად, მცირე შეცდომაც კი საკმარისი იყო, რომ დიასახლისს ჩემთვის წამოეძახებინა: რა მოეთხოვება, უპატრონო ბავშვთა სახლშია გაზრდილიო. წელიწადზე მეტხანს ვითმინე შეურაცხყოფა, შემდეგ კი იმ სახლიდან ავიბარგე. წასასვლელი არსად მქონდა, ამიტომ ქუჩაში ვცხოვრობდი. ხან სკვერში ვათევდი ღამეს, ხანაც რკინიგზის სადგურში. ჩვენს ქვეყანაში განათლებული ხალხიც კი დაუსაქმებელია და მე ვინ მომცემდა სამსახურს?! ვინც მხედავდა, რომ ქუჩაში ვათევდი ღამეს, უკვე სხვა თვალით მიყურებდა, ყველას ქუჩის ქალი ვეგონე. ბოლოს იძულებული გავხდი, საკუთარი სხეული გამეყიდა. ოღონდაც ლუკმაპური მეშოვა და ვის არ ვემსახურებოდი — ბაზრის მტვირთავით დაწყებული, მეზოვით დამთავრებული. ფულთან ერთად

გამოცდილებაც შევიძინე და დღეს უკვე შედარებით სოლიდური კლიენტები მყავს. საღამო ხანს, სანაპიროზე, ბარათაშვილის ხიდის მახლობლად ვიკრიბებით და კლიენტებს ველით. თუ გაგიმართლა, ერთ ღამეში შეიძლება იმდენი იშოვო, რამდენსაც ზოგი, პატიოსანი შრომით თვის განმავლობაშიც ვერ იშოვის. არც მე მომწონს ასეთი ცხოვრება, მაგრამ ამ ყოფაში პროსტიტუცია ჩემნაირებისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა.

გიორგი, *25 წლის:*

— 18 წელი რომ შემისრულდა, თავშესაფრის დირექტორმა რამდენიმე თანატოლთან ერთად, კაბინეტში დაგვიბარა და გვითხრა: კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალდებული აღარ არის, შეგინახოთ, სრულწლოვნები ხართ და თავს თვითონ უნდა მიხედოთო. რა თქმა უნდა, დავიჩივლეთ: წასასვლელი არსად გვაქვს და ქუჩაში ხომ არ გაგვყრით-თქო?! მაგრამ დირექტორმა მხრები აიჩეჩა: სახელმწიფო თქვენს სარჩენ ფულს აღარ გადამიხდის და ჩემს ხარჯზე ხომ არ გაცხოვრებთო. მახსოვს, ბიჭებს რამდენიმე ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, სულ იმაზე ვფიქრობდით, რა უნდა გვექნა, თავი როგორ უნდა გვერჩინა. რამდენიმე დღეში ბავშვთა სახლის დირექტორმა ისევ გვიხმო კაბინეტში, სადაც მასთან ერთად რამდენიმე მკაცრი გარეგნობის მამაკაცი დაგვხვდა. უცნობებმა, სპეციალური სამხედრო სასწავლო კურსების გავლა შემოგვთავაზეს და თუ თავს გამოვიჩენდით, სპეცრაზმში დასაქმებასაც დაგვპირდნენ. თუ მათ წინადადებას მივიღებდით, საცხოვრებლის და კვების პრობლემაც მოგვარდებოდა. მართლაც მაცდუნებელი წინადადება იყო, მაგრამ სამხედრო სამსახური არასდროს მიზიდავდა. რამდენიმე ბიჭი იმ დღესვე დაითანხმეს და წაიყვანეს კიდეც. მე და რამდენიმე ჩემი თანატოლი კი ქუჩაში აღმოვჩნდით. ჯერ იყო და, თავს ჯიბის ქურდობით ვირჩენდით. ამ საქმისთვის კი ყველაზე კარგი ადგილი მეტროს ვაგონებია, მაგრამ რაც მეტროპოლიტენებში საპატრულო პოლიცია გაჩნდა, ქურდობას ვეღარ ვბედავთ. ამის შემდეგ, ფულის შოვნის კიდევ ერთ ხერხს მივაგენით. ავტომობილებს სანომრე ნიშნებს ვხსნიდით, შემდეგ მათ მფლობელებს ვურეკავდით და ნომრებს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ვუბრუნებდით. ახლაც წვრილმანი ქურდობით ვირჩენ თავს, ვიქურდებ, ვიდრე პოლიცია არ დამიჭერს. ციხეში ჯდომა არ მაშინებს, სახლი მე არ მაქვს და არც გულშემატკივარი მყავს ვინმე, ერთ ლუკმას საპატიმროშიც მაჭმევენ.

გვანცა ლიპარტელიანი, *„მომავლის სახლის“ დირექტორი:*

— ზოგადი მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, ინსტიტუციაში მყოფი ბავშვი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს, იქნება ეს უფასო სამედიცინო მომსახურება ყველა შესაძლო დონეზე, საშუალო თუ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. აღარაფერს ვამბობ საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე. ყველა ამ სიკეთით, მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი 18 წლამდე სარგებლობს, მაგრამ როგორც კი ის სრულწლოვანი ხდება, არსებული კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო იხსნის ყველა ჩამოთვლილ ვალდებულებას, რადგან სრულწლოვანმა ადამიანმა თავად უნდა შეძლოს თავის რჩენა. მიუხედავად იმისა, რომ ამას კანონი გვავალდებულებს, მორალურად რთულია, ბედის ანაბარად დატოვო ბავშვი, რომელიც შენ თვალწინ იზრდებოდა. ამიტომ, იშვიათად ხდება, როდესაც სრულწლოვნების მიუხედავად, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს აიძულებენ, დატოვონ ინსტიტუცია. დამოუკიდებლად ცხოვრების მოწყობა იმისთვისაც კი რთულია, ვინც ოჯახში გაიზარდა და მშობლები უმაგრებენ ზურგს, ვისაც სახლიც აქვს და შესაძლოა, სამსახურიც. მატერიალურ მხარეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, 18 წლის ასაკში ამისთვის ბევრი არ არის მორალურად მზად. მით უფრო უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა მიუსაფარ ბავშვებს. ზოგს საერთოდ, არავინ ჰყავს, რაც

შოგლანდიელი მეგობრები სტუმრად მომავლის სახლში

იმას ნიშნავს, რომ წასასვლელიც არსად აქვთ. ვიღაცას შეიძლება, ბებია ან სხვა ნათესავები ჰყავს სადმე, მაგრამ თავის რჩენა ხომ მაინც უნდა. მესამე წელია, ამ ბავშვთა სახლს ვხელმძღვანელობ და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორი ჩვენი აღსაზრდელის დასაქმება შევძელით. საქველმოქმედო ფონდ „იავნანასთან“ ერთად განვახორციელეთ პროექტი, რომლის წყალობითაც, ჩვენი სახლის აღსაზრდელმა მაღალანაზღაურებადი სამსახური მიიღო ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში. ჩვენი ინსტიტუცია თავისი ნებით დატოვა, მშენებარე კორპუსში ბინა შეიძინა და თავისი ხელფასით დედას და დას არჩენს. გვქონდა კიდევ შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სოფლიდან მოგვაკითხა 16 წლის გოგონამ და დახმარება გვთხოვა. როგორც გაირკვა, მას ბავშვი გაუჩენია, რის გამოც მშობლებს სახლიდან გამოუგდიათ, მაგრამ შვილის წაყვანის უფლება არ მიუციათ. კეთილი ადამიანების დახმარებით, სამსახური ამ გოგონასთვისაც მოიძებნა და ის თავს არ ზოგავს, რომ მყარი მატერიალური მდგომარეობა შეიქმნას, რათა თავისი შვილის დაბრუნება და მისთვის ღირსეული მომავლის უზრუნველყოფა შეძლოს. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. უფრო ხშირად კი ბედის ანაბარად დარჩენილი გოგონები პროსტიტუციის გზას ადგებიან, ბიჭები კი დანაშაულებრივი საქმიანობით ირჩენენ თავს. ჩვენ ასეთი მძიმე ხვედრისთვის ვერ ვიმეტებთ ჩვენს აღსაზრდელებს, ამიტომაც ისინი, ვინც სრულწლოვნების მიუხედავად, სამსახური ვერ იშოვა, კვლავ ჩვენს ბავშვთა სახლში ცხოვრობენ. ერთი მხრივ კანონს ვარღვევთ, როდესაც ინსტიტუციაში ერთმანეთის გვერდით 5 წლის ბავშვსა და 22 წლის მამაკაცს ვაცხოვრებთ. მაგრამ სინდისი არ გვაძლევს უფლებას, ბედის ანაბარად მივატოვოთ ჩვენი აღსაზრდელები.

— ზოგადი განათლების გარდა, რაიმე პროფესიულ განათლებას თუ აძლევთ ბავშვს?

— მოგეხსენებათ, რომ წლების წინ არსებობდა პროფესიული სასწავლებლები, სადაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელები სხვადასხვა ხელობას ეუფლებოდნენ. დღეს კი ამ მიმართულებით არანაირი სახელმწიფო პროგრამა არ არსებობს. შესაბამისად, ექნება თუ არა მიუსაფარ ბავშვს სამომავლოდ პროფესია ან ეცოდინება თუ არა რაიმე ხელსაქმე, — ეს მხოლოდ ბავშვთა სახლების პედაგოგების სინდისსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ბავშვის პროფესიულ განათლებაზე ზრუნვას 15 წლის ასაკიდან ვიწყებთ. ჩვენს ბავშვთა სახლში ბევრი ისეთი წრეა, რომელიც ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს, მომავალში ამ ბავშვების ადაპტაციას საზოგადოებაში და ზოგადად, მათ სოციალიზაციას. ასეთია მაგალითად, მომინანქრების წრე. გოგონები უმეტესწილად სხვადასხვა ხელსაქმეს ეუფლებიან: კერავენ, ქარგავენ. ამ საქმიანობისთვის მათ ბავშვთა სახლის ყველაზე დიდი ოთახი დავუთმეთ. მუშაობენ თექაზე, ბატიკაზე, ქმნიან სხვადასხვა აქსესუარს და წარმატე-

MK

ბით ყიდიან მათ. შექმნილი გვაქვს ტანისამოსის მოკრძალებული კოლექცია და პერიოდულად გამოფენა-გაყიდვასაც ვაწყობთ ხოლმე. ჩვენთან მოქმედებს ასევე ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, ცოტა ხნის წინ ფრანგულის წრეც გავხსენით. ბავშვებს ვასწავლით ცეკვას, მუსიკას, ხატვას, ქერწვას. ერთხელ განვახორციელეთ პროექტი დალაქთა ასოციაციასთან ერთად და რამდენიმე დაინტერესებულ ბავშვს ეს საქმეც შევასწავლეთ. მსგავსი პროექტი გვქონდა მზარეულთა ასოციაციასთან ერთად და კერძების მომზადების გარდა, ბავშვებმა სუფრის გაწყობა და სტუმრების გამასპინძლების ეტიკეტიც შეისწავლეს. ბიჭებს მეწაღეობაც შევასწავლეთ, საცდელად პატარა საამქროც გავაკეთეთ, მაგრამ წარმოება დიდ ფინანსურ სახსრებთან იყო დაკავშირებული და იძულებული გავხდით, ამ საქმიანობაზე უარი გვეთქვა. ბევრმა ჩვენმა აღსაზრდელმა ვერცხლზე მუშაობა იცის. ბიჭებიც, გოგონების მსგავსად, კარგად ქარგავენ. სხვათა შორის, როდესაც სოფო ხალვაში „ევროვიზიის“ კონკურსზე მიემგზავრებოდა, ქართული ორნამენტებით დამშვენებული 300 სამაჯურის დამზადება შეგვიკვეთეს. ბავშვებმა ამ ყველაფერს მშვენივრად გაართვეს თავი და გასამრჯელოც მიიღეს.

სტამბოლში მოგზაურობა. 2007 წ. გაზაფხული. გვანცა და ბავშვები

— საინტერესოა, რა თანხას იხდის სახელმწიფო მშობლის მზრუნველობას მოკლებული ერთი ბავშვის აღსაზრდელად?

— ერთი ბავშვისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღეში 7 ლარი გამოიყოფა. ეს თანხა კი მხოლოდ კომუნალურ გადასახადებს, თანამშრომელთა ხელფასებსა და ბავშვების კვებას თუ გასწვდება. მეტსაც გეტყვით, მოგეხსენებათ, რომ ყველა მიუსაფარი ბავშვი, რთული და მძიმე ფსიქიკის მქონეა. ამიტომ, ვიდრე მათი დასაქმების პრობლემაზე ვისაუბრებდეთ, მათი ფსიქოლოგიური მზაობის საკითხი უნდა მოვაგვარო. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, საუბრის დასაწყისში გიამბეთ ჩვენს აღსაზრდელზე, რომელიც კეთილი ადამიანების დახმარებით, ერთ-ერთ სასტუმროში დავასაქმეთ. მის გარდა, სასტუმროს ხელმძღვანელობამ კიდევ სამ ჩვენს აღსაზრდელს მისცა შანსი, ჰქონოდა მაღალანაზღაურებადი სამსახური, მაგრამ მათ ვერც ჩვენი და ვერც დამსაქმებლის იმედი ვერ გაამართლეს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მზაობა, რასაც 56 ბავშვზე გათვალისწინებული მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი ვერაფრით გასწვდება.

— წელან ასეთი ბავშვებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაც ახსენეთ...

— ერთ-ერთი ჩვენი აღსაზრდელი სამხატვრო აკადემიაში, ფასიან განყოფილებაზე სწავლობს. ასეთი ბავშვებისთვის არსებობს განათლების სამინისტროს შიდა პროგრამები, რითაც განათლების სამინისტრო მათი სწავლის საფასურს სრულად ფარავს. მესამე წელია უკვე, რაც ფრანგულ ფონდ „ჟონა“-სთან ერთად, ვახორციელებთ პროექტს, რომლის ფარგლებშიც 20-მდე ჩვენს აღსაზრდელს მუსიკის კურსს უტარებენ. ამ პროექტის წყალობით, ბავშვები სტუმრობდნენ სახელმწიფო კონსერვატორიას, ოპერისა და ბალეტის თეატრს. შარშან კი ორი და შვეიცარიაში მუსიკალურ ბანაკში ისვენებდა. ერთი ჩვენი აღსაზრდელი — ლიკა კოშელევა, ვირსალაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს და კონსერვატორიაში ჩასაბარებლად ემზადება.

— მართალია, რომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელი ვაჟები, უმეტესწილად, სამხედრო სამსახურს ირჩევენ?

— მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენგან ორი ძმა — მჭედლიშვილები, ბავშვთა სახლიდან სამხედრო სამსახურში წავიდნენ და ერთ-ერთი ახლა სამშვიდობო მისიით ერაყში იმყოფება.

თამთა გოლუბიანი, *განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ბავშვზე ზრუნვის სამსახურის ხელმძღვანელი:*

— ბუნებრივია, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, პირველ რიგში, განათლების მიღებაში ეხმარება მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. არა აქვს მნიშვნელობა, რაიმე ხელობის შესწავლას გადაწყვეტს ბავშვთა სახლის აღსაზრდელი თუ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას, მთელი ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო მათ ყოველთვიური სტიპენდიით უზრუნველყოფს.

— საინტერესოა, რა თანხით განისაზღვრება ეს სტიპენდია?

— 50 ლარის ოდენობით ყოველთვე. მაგრამ, თუ ბავშთა სახლის აღსაზრდელი უმაღლესი სასწავლებლის ფასიან განყოფილებაზე ჩაირიცხება, ყოველთვიური სტიპენდიის გარდა, სახელმწიფო მას სრულად დაუფარავს სწავლის საფასურს. გარდა ამისა, ძალზე იშვიათია, როდესაც ბავშვთა სახლში ყოფნის შემდეგ, ჩვენს აღსაზრდელს წასასვლელი არსად აქვს. ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვების თითქმის 97%-ს მშობლები ან ერთი მშობელი მაინც ჰყავს. ამიტომ, შეიძლება ასიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოვჩნდეთ ისეთი დილემის წინაშე, როდესაც განათლების და დასაქმების გარდა, ჩვენი აღსაზრდელისთვის საცხოვრებელის მოძიებაც გვიწევს. ხშირად ხდება, რომ ასეთ ბავშვებზე ზრუნვის ინიციატივით, რომელიმე კერძო ორგანიზაცია გამოდის. გვქონდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ბიზნესჯგუფის სპონსორობით ჩვენი აღსაზრდელისთვის შევიძინეთ ბინა რუსთავში და იქვე, ერთ-ერთ ბავშვთა სახლში დავასაქმეთ კიდეც. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოსავალი ვინმესთვის არ მოიძებნა, გამონაკლისს ვუშვებთ და კანონდარღვევის მიუხედავად, 18 წელს გადაცილებული ადამიანი კვლავ ბავშვთა სახლში რჩება. სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 18 წელს გადაცილებული, მიუსაფარი ადამიანების რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე იმუშავებდა. ბავშვთა სახლის შემდგომი თავშესაფარი, ჩვენი რეფორმიდან გამომდინარე, მიუღებელი ფორმაა, ამიტომ რაღაცნაირად უნდა ხდებოდეს ამ ბავშვების ოჯახურ გარემოში, ან მასთან მიახლოებული სიტუაციის გამორჩეულ სპეციალურ დაწესებულებაში მოხვედრა. დიდი ხანია, რაც ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე ვმუშაობთ. რა თქმა უნდა, საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა, რათა დროულად მოხდეს შესაბამისი პროგრამის შექმნა და ამოქმედება. 2009 წლიდან ბავშვებზე ზრუნვა მთლიანად დაეკისრება ჯანდაცვის სამინისტროს. იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეთა სოციალური დაცვა ერთ კონკრეტულ სამინისტროს დაევალება, ჯერ ბავშვზე, შემდეგ კი ზრდასრულ ასაკში მასზე ზრუნვა უწყვეტი პროცესი და შესაბამისად, უფრო ეფექტიანი იქნება.

P.S. როგორც ხედავთ, პრობლემა გადაუჭრელი რჩება. ალბათ ამიტომაც, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები თავს არიდებენ მასზე ლაპარაკს. ქალბატონი თამთა ამ შემთხვევაში, გამონაკლისი აღმოჩნდა და სიტუაციის გარკვევაში მაინც დაგვეხმარა, რისთვისაც მადლობას ვუხდით. სხვებს კი — კანონმდებლებსაც და ჩინოვნიკებსაც შევახსენებთ, რომ დასაკარგი შვილები არ გვყავს...

MK

„თვით დათრგუნული“ და „ძმურად გაყოფილი“ პოპონები

„ბავშვობის პერიოდი ყველამ უნდა გაიაროს, ცხოვრებაში რაღაც ახალი ეძებოს და დაღვინებას ისედაც მოესწრება“, — მითხრა „ვარსკვლავების აკადემიის“ ყოფილმა წევრმა, ლევან დოგაძიშვილმა, რომელიც თავის ყველაზე გამორჩეულ თაყვანისმცემელს (რომელიც თქვენი გამოხმაურების შედეგად გამოვლინდება) ჩვენი თანდასწრებით, სიამოვნებით შეხვდება და გაესაუბრება. მაგრამ მანამ, ვიდრე ლევანთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამთ, მის ინტერვიუს გაეცანით.

„სწორედ ეს თავბრუსხვევა მომეწონა...“

ლიკა ქაჯაია

— ამ ასაკში, აჟიტირებული ხარ და გამუდმებით ცდილობ, მაქსიმალურად გაერთო, შენი ცხოვრება სიახლეებით გაალამაზო და ა.შ. მეც ძალიან მხირული ვიყავი. ისე ვიქცეოდი, როგორც თინეიჯერს შეეფერება.

— **ანუ?**

— ანუ, ცოტა არ იყოს, გიჟი გახლდით (*იცინის*).

— **ახლა დაღვინდი?**

— არა, ახლაც ძალიან მხიარული ვარ. უბრალოდ, ჩემს ცხოვრებაში რაღაცები შეიცვალა.

— **ვინ არიან „მოხუცი თინეიჯერები“?**

— 30 წელს გადაცილებული ბევრი ისეთი ადამიანი მინახავს, რომელთაც შეუფერებლად აცვიათ — კედი, დახეული ჯინსი და ა.შ... ვფიქრობ, სწორედ ასეთები არიან „მოხუცი თინეიჯერები“.

— **მაშინ, რას დაარქმევდი იმ მოზარდებს, რომლებიც ასაკის შეუფერებლად დაქალებულ-დაკაცებულები არიან?**

— ასეთიც ბევრი მინახავს და ეს ძალიან არ მომწონს. მათ თითქოს, ძალიან „დასტროინი“ უჭირავთ, მაგრამ სინამდვილეში, სასაცილოები არიან. ვფიქრობ, ნებისმიერ ასაკს თავისი სილამაზე აქვს. ბავშვობის პერიოდი ყველამ უნდა გაიაროს, ცხოვრებაში რაღაც ახალი ეძებოს და დაღვინებას ისედაც მოესწრება.

— **შენც ძიების პროცესში იყავი?**

— მე ახლაც ძიების პროცესში ვარ.

— **რაიმე თუ აღმოაჩინე?**

— ბევრი რამ. ჩემი ბოლო აღმოჩენა „ვარსკვლავების აკადემია“ იყო. ეს გახლდათ თინეიჯერებზე გათვლილი პროექტი, მაგრამ მან არანაკლები დაინტერესება გამოიწვია ზრდასრულებშიც და ეს ფაქტი ძალზე მახარებს. სასიამოვნოა, როცა უცხო ადამიანები ქუჩაში თბილად გესალმებიან და გიღიმიან.

— **რით განსხვავდებიან დღევანდელები შენი თაობის თინეიჯერებისგან?**

— რადიკალურ განსხვავებას ვერ ვხედავ, მაგრამ მათ, თითქოს, თავში აქვთ ავარდნილი. რა თქმა უნდა, მსგავსი მოზარდები მაშინაც იყვნენ, მაგრამ ეტყობა, ბოლო დროს ასეთთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, რადგან ეს თვალში საცემი გახდა. რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არიან, ყველას არ ვგულისხმობ.

— **შენ თუ იყავი ისეთი თავისუფალი და უკომპლექსო, როგორებიც დღეს არიან?**

— თავისუფალი ვიყავი, მაგრამ თავშეკავების უნარი მქონდა. ზოგიერთი ზედმეტად უკომპლექსო ადამიანის როლს თამაშობს, მაგრამ ასეთი სულაც არაა და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავს ეწინააღმდეგება.

— **შენ რისი კომპლექსი გაქვს?**

— ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემ (*ფიქრობს*)... იცი, შეიძლება, ქუჩაში გასულს ისეთი რაღაც მეცვას, რაც არ მომწონს და ეს აუცილებლად დამაკომპლექსებს.

— **როგორ ფიქრობ, მშობელმა შვილს რაღაცები უნდა აუკრძალოს?**

— აკრძალვის რა მოგახსენო, მაგრამ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მშვიდად უნდა დაელაპარაკონ. 14 წლის ვიყავი, სიგარეტის მოწევა რომ დავიწყე. ამას, რა თქმა უნდა, დედაჩემი ვერ ეგუებოდა (ვიღაცამ მიუტანა ამბავი) და მეჩხუბა კიდეც, მაგრამ მოწევისთვის თავი არ დამინებებია.

— **რატომ დაიწყე მოწევა? ეს „მაგარ ბიჭობად“ მიიჩნეოდა?**

— არა, მოწევა ინტერესის გამო დავიწყე, მერე კი მომეწონა და ვეღარ შეველიე.

— **როგორც ვიცი, როცა ადამიანი პირველ ნაფაზს არტყამს, თავბრუ ეხვევა. შენ რა მოგეწონა?**

— ალბათ, სწორედ ეს თავბრუსხვევა მომეწონა (*იცინის*). ახლა მივხვდი, რომ მავნე ჩვევაა, თანაც — ჯანმრთელობისთვის საზიანო, მაგრამ რა ვქნა, თავს ვეღარ ვანებებ. საერთოდ, კარგი იქნება, თუ სიგარეტს აღარ გამოუშვებენ და მოწევას ყველანი შევეშვებით.

— **შენ „მაგარი ბიჭი“ არ იყავი?**

— ანუ ჩხუბისას თავის გამოჩენა შემეძლო თუ არა?

— **თუნდაც...**

— საერთოდ, კონფლიქტური არ ვარ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, უკან არ ვიხევ. უსამართლობას ვერასდროს ვეგუებოდი, არასდროს დამიჩაგრავს ადამიანი. პირიქით, როცა ვხედავდი, რომ ვიღაცას უსამართლოდ ექცეოდნენ, საქმეში ვერეოდი. ამის გამო ბევრჯერ მიჩხუბია კიდეც.

— **როგორ მოსწავლედ მიიჩნეოდი?**

— აბა, რა გითხრა?! ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ვიყავი. მართალია, სკოლაში მივდიოდი, მაგრამ ხშირად, გაკვეთილზე არ შევდიოდი — ძმაკაცებთან ერთად, სიგარეტის მოსაწევად სხვა უბანში გავრბოდი. უზრდელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ სამასწავლებლოში ჩემი სახელი ყოველთვის ისმოდა.

— **რატომ?**

— ამბობდნენ, — გაკვეთილებს აცდენს, ხოლო როცა მოვა, სულ ლაპარაკობს, ცუღლუტობს და ცელქობსო.

— **ეს სიცელქე რაში გამოიხატებოდა?**

— ძირითადად, ნიშნების გადასწორებაში. ხშირად, ბიჭები ხვლიკებს ვიჭერდით და კლასში ვუშვებდით, გოგონებისა და მასწავლებლების შესაშინებლად და ა.შ. ერთხელ, სკოლაში დაგვიანებით მივედი. ძალიან მკაცრი დირექტორი გვყავდა, ნათელა მურადაშვილი, რომელმაც შემამჩნია და დამიძახა. მე კი ისე მოვიქეცი, ვითომ ვერ გავიგე და გზა განვაგრძე. ცოტა ხნის მერე ეს ქალბატონი კლასში ამოვიდა და უკანა მერხები შეათვალიერა, იქ ვეგულებოდი. მე კი წინა რიგში ვიყავი გამოჭიმული და ამიტომაც, კარგა ხანს ვერ შემამჩნია. ბოლოს, როგორც იქნა, მიპოვა და „გემრიელი“ სილაც გამაწნა.

— **შეეპასუხე?**

— არა, სიცილი ამივარდა...

— **ალბათ, ე.წ. ნერვულ სიცილს გულისხმობ...**

— არა, მართლა გამეცინა და ამის დანახვაზე, მასწავლებელიც, მოსწავლეებიც და თავად დირექტორიც სიცილით დაიხოცნენ.

— მოსწავლე საგანს ისწავლის თუ არა, ეს რამდენადაა დამოკიდებული მასწავლებელზე?

— რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელს ყველა მოსწავლე ერთნაირად უნდა უყვარდეს, ბავშვებს უნდა უყვებოდეს ისეთ რაღაცებს, რაც მათ დაახლოებას შეუწყობს ხელს...

— ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება, ამან უარყოფითი შედეგი გამოიღოს?!

— ესეც შესაძლებელია. ამიტომაც, პედაგოგმა ზღვარი უნდა დაიცვას — რაღაც დოზით უნდა ემეგობროს მოსწავლეს და მას თავგასულობის უფლება არ მისცეს. ზოგმა მასწავლებელმა მოსწავლის ამოჩემება იცის. იყო ერთი პედაგოგი, რომელიც ნიშანს არ მიწერდა, ბევრი მაწვალა.

— ნიშანი გეკუთვნოდა?

— ეგებ, არც მეკუთვნოდა, მაგრამ მაინც უნდა დაეწერა (*იცინის*). შეიძლება, ბავშვი აწვალო, მაგრამ ბოლოს, ნიშანი მაინც უნდა დაუწერო.

— „შატალოზე“ სად მიდიოდით ხოლმე?

— რა ვიცი, ხან სად და ხან — სად. მე გლდანში ვცხოვრობ. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ამ უბანში რაღაც ტბაა. ერთხელ, „შატალოზე“ სწორედ ამ ტბაზე წავედით და საღამომდე იქ დავრჩით. თურმე, გამოპარულებს მასწავლებლებიც და მშობლებიც გვეძებდნენ (*იცინის*).

— როცა გიპოვეს, „გაგტისკეს“?

— პედაგოგებს იმედი ჰქონდათ, რომ მშობლები დაგვსჯიდნენ და ამიტომაც, მათ იოლად გადავურჩით. რაც შეეხება ჩემს მშობლებს, ჩემთვის არაფერი უთქვამთ... ზოგიერთი კლასელი „შატალოზე“ არ მოგვყვებოდა, მაგრამ ამის გამო, მათთვის შეურაცხყოფა არასდროს მიმიყენებია. ვფიქრობ, მათ ან პედაგოგის, ან მშობლების ეშინოდათ. კლასში ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა.

— როგორ ფიქრობ, ბიჭებმა „ქუჩის ინსტიტუტი“ უნდა გაიარონ?

— XXI საუკუნეში ვიღას უნდა ამ ინსტიტუტის გავლა?! რა, მაინცდამაინც „ქურდული გაგების“ უნდა იყო? უკეთესი იქნება, თუ მოზარდი სწავლას მეტ დროს დაუთმობს, რადგან ვფიქრობ, „ბირჟაზე“ დგომით ვერაფერს მიაღწევს.

— ახლა არ მითხრა, არასდროს „დამიბირჟავებიაო“.

— როგორ არა!

— მერე, ამით რამე დაკარგე ან შეიძინე?

— არა, არაფერი დამიკარგავს. „ბირჟაზე“ მდგომმა უბანში შევიძენე მეგობრები. მინდა გითხრა, რომ თავში ავარდნილი არასდროს მქონდა, ასაკით უფროს ადამიანებს ყოველთვის ზრდილობიანად მივმართავდი და ქუჩაში ამის სწავლა ნამდვილად არ დამჭირვებია.

— მშობლები ქუჩაში დგომას არ გიკრძალავდნენ?

— დილიდან საღამომდე „ბირჟაზე“ არასდროს ვმდგარვარ. ჩემი აზრით, შვილი მკაცრად არ უნდა დასაჯო, მისი შინ გამოკეტვა მიუღებელია. ბავშვს, რომელსაც რაღაცას უკრძალავენ, აკრძალული ხილის დაგემოვნების სურვილი უმძაფრდება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიყავი...

— მშობლები არ გაკონტროლებდნენ?

— იცი, დედაჩემი ახლაც ყოველთვის ნერვიულობს ჩემ გამო და როცა შინ მისვლას ვაგვიანებ, მირეკავს.

— ეს არ გაღიზიანებს?

— არც მაღიზიანებს და არც — მომწონს. ზოგჯერ ვეუბნები, — კარგი, რა, დედა, დაიძინე და მეც მალე მოვალ-მეთქი, მაგრამ ვიცი, ის მაინც დამელოდება.

— წარმოიდგინე, რომ ხარ მშობელი და შენმა შვილმა შინ მოსვლა დააგვიანა...

— ალბათ, ვინერვიულებ. როცა ჩემი ძმა სადმე მიდის და იგვიანებს, მეც ვურეკავ. ვფიქრობ, მსგავსი ყურადღება მშობლებისგან უფრო გამაღიზიანებელია, ვიდრე დედმამიშვილისგან, მაგრამ შვილების მოკითხვა დედებს მოვალეობად მიაჩნიათ და ცდილობენ, ყოველთვის გააკონტროლონ, თუ სად არიან და რას აკეთებენ.

— მამა არ გირეკავს ხოლმე?

— დედა უფრო ნერვიულობს, ვიდრე მამა. ბავშვობაშივე, როცა მამას ვეუბნებოდი, — მეგობართან წასვლა მინდა და გამიშვი-მეთქი, პრობლემა არასდროს შემქმნია, დედა კი ყოველთვის ჭირვეულობდა.

— როდის იგრძენი, რომ დამოუკიდებელი ადამიანი ხარ?

— შეიძლება, დღესაც ვიღაცაზე ვიყო დამოკიდებული. მე რომ მქონდეს ცალკე ბინა, კარგი სამსახური — მაღალი ანაზღაურებით, მაშინ ვიტყოდი, დამოუკიდებელი ვარ-მეთქი... წესით, მშობლების აზრი ნებისმიერ ასაკში უნდა გაითვალისწინო, მაგრამ ზოგჯერ, ეს არ გამოგდის. მიყვარს თავისუფლება, ყველაფრისგან გარიდება. როცა სადმე მეგობრებთან ერთად მივდივარ, თავი ძალიან თავისუფალი მგონია.

— მეგობრებთან ერთად პირველად სად წახვედი?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ალბათ, სადმე „დაჩაზე“ წავიდოდი... რა თქმა უნდა, მშობლები დასასვენებლად წასულსაც მირეკავენ და მეკითხებიან: როგორ ხარ, რას შვრები? იცოდე, ჭკვიანად იყავიო და ა.შ. ამას წინათ მეგობარმა მთხოვა, — ჩემთან დარჩიო. ვუთხარი: ვერ დავრჩები, დედაჩემი მარტოა და უნდა წავიდე-მეთქი. ვერ მივატოვებდი, ინერვიულებდა.

— ზოგს ეს „გაუტყდებოდა“ და მეგობარს თავის დასაძრენად ან ტყუილს ეტყოდა ან შინ არ წავიდოდა.

— მართალი ხარ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ზოგჯერ შეიძლება, მეც არ მსიამოვნებს, როცა დედა მირეკავს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მშობელია და სხვანაირად არ შეუძლია.

— თინეიჯერობის ასაკში შეყვარებული არ გყავდა?

— მე მუდამ შეყვარებული ვიყავი. ჯერ მარტო კლასელებიდან, 4 გოგო მიყვარდა.

— ერთდროულად? ეი. გოგონებს ერთმანეთს ახლოვინებდი?

— ერთდროულად არა, გემოვნება ხშირ-ხშირად მეცვლებოდა (*იცინის*). შეიძლება, ჩემ გამო მართლაც იჩხუბეს კიდეც, მაგრამ მე მსგავსი არაფერი მსმენია. ისე, ეს სიყვარული კი არა, გატაცება უფრო იყო. ერთხელ, მერხის ძმაკაცმა მითხრა, — ნათია შენ კი არა, მე მიყვარსო. ვუთხარი: კარგი, მაშინ, მე მეორე მიყვარს-მეთქი. მოკლედ, „შეყვარებული“ დავუთმე, გოგონები „ძმურად გავიყავით“ (*იცინის*).

— გოგონებს სიყვარულს როგორ უხსნიდი?

— ზოგს სათქმელს პირდაპირ ვეუბნებოდი, ზოგს კი სასიყვარულო წერილს ვწერდი.

— შენთვის არასდროს მოუწერიათ სასიყვარულო ბარათი?

— კი, ერთხელ ის ჩანთაში ვიპოვე, მაგრამ ვერ გავარკვიე, ვინ მომწერა... გოგოსთვის თმაც მომიწიწკნია, სიყვარულის ნიშნად და მახსოვს, ერთმა ამის გამო ტირილი დაიწყო. მე კი უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

— შენ გამო გოგონებმა ერთმანეთი თმით რომ ითრიონ, როგორი რეაქცია გექნება?

— ჯერ ბევრს ვიცინებ, მათზე მაგრად ვიხალისებ, მერე კი შევეცდები, სიტუაცია განვმუხტო.

— დაბოლოს, რას ურჩევ თინეიჯერებს?

— გააკეთონ ყველაფერი, რაც უნდათ, ოღონდ, ზომიერების ფარგლებში. მერწმუნეთ, გადამეტებული არაფერი ვარგა. და კიდევ, ბევრი დრო დაუთმონ სწავლას. ■

მე მუდამ შეყვარებული ვიყავი. ჯერ მარტო კლასელებიდან, 4 გოგო მიყვარდა

„თუ შენ არ მიყვარხარ, მის მარჯინას მაინც ესი პატივი...“

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა პარიჟანკას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ დაშორდა მეგობარ ბიჭს, რადგან ის სიყვარულში გამოუტყდა. როცა გოგონამ მასთან ურთიერთობის გაწყვეტა მოინდომა, ბიჭმა უკან დაიხია და სთხოვა, — ნუ მიმატოვებ, ისევ ვიმეგობროთო. პარიჟანკას კი მასთან მეგობრობა აღარ შეუძლია: „ვერ ვიმეგობრებ ადამიანთან, რომელიც დასავით აღარ მიყურებს... სწორად ვიქცევი?“

„თუკი დაძმობა არ შეგიძლიათ, „დაიკოებს“ რატომღა გვეძახით?“

მარინესა:

„ბოდიში, მაგრამ ვფიქრობ, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღე. ამქვეყნად კარგი მეგობრის პრვნა ძალიან ძნელია. შეიძლება, იმ ბიჭმა ისევე გადაგიყვაროს, როგორც შეუყვარდი. თუ ასე არ მოხდება, მასთან დაშორებას ყოველთვის შეძლებ. კარგად დაფიქრდი, შენ ხომ მეგობარს კარგავ და არა — უბრალო ნივთს, რომელსაც ნებისმიერ მაღაზიაში იყიდი. წარმატებებს გისურვებ!“

იტა:

„თუ მასთან ურთიერთობა აღარ გსურს, შეეშვი. შენი კარგად მესმის. იცი, ჩემი მეგობარიც მსგავს სიტუაციაშია და სულ „დაგრუზული“ დადის...“

პუსა:

„მეც მყავს ასეთი მეგობარი — ლაშა. ჩვენ სულ ერთად ვართ და დედაჩემი ყოველთვის მეუბნება, — ბიჭებთან ასეთი სიახლოვე არ შეიძლებაო. იქნებ, შენს მეგობარს დაელაპარაკო, მაგრამ თუ მასთან მეგობრობა ნამდვილად აღარ გინდა, დაშორდი. კარგი იქნება, თუ ჯერ საკუთარ გრძნობებში გაერკვევი და გადაწყვეტილებას მერე მიიღებ“.

მაკო:

„სალამი, პარიჟანკა. შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც ასეთი რამ შეემთხვა. ერთი წლის წინ მეც მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდი და ერთმა, ასეთი რჩევა მომცა: მეგობარზე უკეთესი ვინ უნდა შეიყვარო? თქვენ ხომ ერთმანეთის შესახებ ყველაფერი იცით, უსიტყვოდ გაუგებთ ერთმანეთს და იქნებით შეყვარებული მეგობრებიო. სხვათა შორის, რჩევა გავითვალისწინე და დღეს ლაშასთან ერთად ვარ“.

მოსამართლე ლაშა:

„უბედურია ადამიანი, რომელსაც გულწრფელად ნამდვილი მეგობარი არ ჰყავს. პარიჟანკა, ამ გრძნობას ხელს ნუ ჰკრავ. გაიხსენე, რამდენი კარგი რამ გადაგხდენიათ ერთად“.

მგზავრი:

„გამარჯობათ. პარიჟანკა, მეც შენი მეგობარივით დამემართა — იმ ადამიანში ჩემი ოცნების სიყვარული დავინახე, მაგრამ ის შენსავით მოიქცა და ძალიანაც შეცდა“.

აგათა:

„თუ ასე, ერთი ხელის მოსმით შეგიძლია, იმ ტიპს დაშორდე და მასთან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტო, ჩათვალე, რომ მას მეგობრად არც არასდროს მიიჩნევდი. შენგან უკვე სცოდნია, რომ ვერასდროს შეიყვარებ და რადგან ისევ მეგობრობა შემოგთავაზა, ალბათ, დასაკარგავად არ ემეტები. მერწმუნე, თქვენი ურთიერთობის გაგრძელება თუ დასასრული მხოლოდ შენი გადასაწყვეტია. P.S. ვისაც უყვარხარ, ყველას ვერ შეიყვარებ, მაგრამ ყველას გრძნობის დანახვა და დაფასება უნდა შეგეძლოს“.



დიკი ანგელი:

„შენს მეგობარს ბოლომდე ემეგობრე, ოღონდ, ზომიერების ფარგლებში. გამეცნობი?“

თაისა, *17 წლის:*

„მეც ვიყავი მსგავს სიტუაციაში, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ჩვენ 11 წელია, ერთმანეთს ვიცნობთ. მერვე კლასში ვიყავი, როცა გამომიტყდა, — მიყვარხარო, მაგრამ მე ის, როგორც ძმა, ისე მიყვარდა. მართალია, გული ეტკინა და დიდი ხნის მანძილზე ხმას არ მცემდა, მაგრამ ბოლოს, მაინც გამიგო. ხომ გაგიგონია: გულს ვერ უბრძანებო. გირჩევ, მეგობარი საბოლოოდ არ დაკარგო, თორემ მერე ინანებ. დამიჯერე, ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები. P.S. ახლა სიცილით ვიხსენებ ამ ამბავს“.

პატარა მავნე:

„ასე მარტო შენ არ მოგსვლია, სამწუხაროდ :((. იმ ბიჭს თუ მართლა შეუყვარდი, მეგობრობა გაუჭირდება და აჯობებს, დასცილდე. P.S. ბიჭებო, თუკი დაძმობა არ შეგიძლიათ, „დაიკოებს“ რატომღა გვეძახით? მაშ, თავიდანვე უბრალოდ, იმეგობრეთ გოგონებთან :))“.

სანი:

„დაელაპარაკე და ჰკითხე, — რა მოხდა თქვენ შორის? თუ დიდი ხნის მეგობრები ხართ, არ დაკარგო“.

ფიფილა:

„შენს მდგომარეობაში ძალიან ბევრი აღმოჩენილა და არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი: მას, ვისაც ძმად მივიჩნევდი, შევუყვარდი. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. მეც მაკვირვებდა, — ამდენი წლის შემდეგ რა დაინახა ჩემში-მეთქი? ალბათ, სიყვარული მართლაც, ურთიერთობისას მოდის, ყველაზე კარგი და მყარი სიყვარული მეგობრობით იწყება და ა.შ. მაგრამ როცა ეს გრძნობა ცალმხრივია და იცი, რომ არასდროს შეგიყვარდება, გამოსავალი ერთია — უნდა დაშორდე, რადგან მასთან ვეღარ იქნები ისეთი გულწრფელი, როგორიც მანამდე იყავი და მუდამ ეცდები, ურთიერთობა გააკონტროლო. წარმატებები!“

ფანკუშკა:

„ჩემო კარგო, არ გიცდია, მასთან ყველაფერი გაგერკვია? იქნებ, თავიდანვე ჰქონდა გრძნობა და ამიტომაც დაგიმეგობრდა? ჯობს, მასთან ურთიერთობა გაწყვიტო, რადგან ასეთ ადამიანთან მეგობრობა ნამდვილად არ ღირს“.

მის რეალი:

„მართლაც, მარადიულ პრობლემას შეეხე. იცი, ადამიანები მსგავსი ურთიერთობისას ერთმანეთს იმდენად ეჩვევიან, რომ მერე, ეს გრძნობა სიყვარული ჰგონიათ. ან იქნებ, თავიდანვე უყვარდი და შენთან იმიტომ მეგობრობდა, რომ ადვილად შეგყვარებოდა? ერთმანეთს კიდევ ერთხელ დაელაპარაკეთ და გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღე. ღმერთი შენკენ“.

ბარტყი:

„მეც ანალოგიური რამ დამემართა. ოთო ტელეფონით გავიცანი და აღმოჩნდა, რომ ჩემი სიძის მოგვარე იყო. ამან უფრო დაგვაახლოვა. ის „დაიკოს“ მეძახდა, ყვლაფერს მიყვებოდა. ჩვენი შეხვედრა ულამაზესი იყო — ჩამეხუტა და მეფერებოდა. მეც ძმასავით ვუყურებდი. ერთი თვის მერე მითხრა: მაპატიე, მაგრამ მიყვარხარო. ვიჩხუბეთ და დავცილდი. მერე მეგო-

ბრობა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი, რადგან ძალიან მიყვარს. მართალია, ამ ნაბიჯის გადადგმა გამიჭირდა, მაგრამ არც მისი დაკარგვა მინდოდა... პარიჟანკა, თუ შეგიძლია, შენც აპატიე. კარგი იქნება, თუ წლების მანძილზე ნაშენებ მეგობრობას არ დაანგრევ. დამიკავშირდი და პირადად დაგელაპარაკები".

ბრუზინკა:

„სწორი გადაწყვეტილება მიგიღია — ნამდვილად ვერ იმეგობრებ ადამიანთან, ვინც სხვანაირად გიყურებს. სხვა თუ არაფერი, თვითონვე დაიტანჯება. ჯობს, უშენოდ დაიტანჯოს, ვიდრე — შენთან ერთად".

ლოლო:

„ხელი არ უნდა ჰკრა ადამიანს, რომელიც გაღმერთებს. ერთთან, პატარაობიდან ვმეგობრობდი და მერე ალმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. 3 წელი ერთად ვიყავით, ახლა კი დავშორდით :((. პარიჟანკა, თუ შენ არ გიყვარს, მის გრძნობას მაინც ეცი პატივი".

„ყველანი ისე ვტიროდით, თითქოს ფრინველი კი არა, ადამიანი დაგვეკარგოს"

„გზის" №29-ში ასევე დაიბეჭდა ნაღვლიანი გოგოს მესიჯი, რომელიც წუხდა თავისი თუთიყუშის — ტოტოს გამო, რომელიც მისმა მშობლებმა სხვას გაატანეს, რადგან გოგონას დედა ფეხმძიმედ გახლდათ, მალე ქვეყნიერებას პატარა მოევლინებოდა და არ უნდოდათ, სახლში ფრინველი ჰყოლოდათ.

„ვფიქრობ, უპრობლემობა გაწუხებს..."

BUTTERFLY:

„ეჰ, ჩემო კარგო, შენ ის მაინც იცი, რომ შენი ტოტო ცოცხალია და კარგად უვლიან, მე კი ძაღლი მომიკვდა, რომელიც საოცრად მიყვარდა და ახლაც ძალიან მენატრება! ჩემი ლორდუშა არასდროს დამავიწყდება. შეიძლება, სულელურად ჟღერს, მაგრამ მართლა მაკლია, მის გარეშე ცუდად ვარ. P.S. გმადლობთ, რომ არსებობთ".

იტა:

„დედაშენს დაელაპარაკე. იქნებ, დაგრთოს ნება, რომ შენი ტოტო სახლში მოიყვანო; თუ არა და, მის სანახავად იარე ხოლმე".

თუფაძა:

„ნუ დარდობ, გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან მოიძებნება. კარგი იქნება, თუ ახალ თუთიყუშს იყიდი და მასაც ტოტოს დაარქმევ. რა იცი, იქნებ, ეს უფრო შეგიყვარდეს, ვიდრე ის ტოტო..."

ეგოისტკა:

„ლიკა, შეიძლება, ეს მესიჯი არ დაბეჭდო, მაგრამ ნაღვლიან გოგოს ვინმემ ხომ უნდა უთხრას სიმართლე?! — ცოტა გაიზარდე, გენაცვალე. აქ არიან ადამიანები, რომელთაც სერიოზული პრობლემა აქვთ და რჩევა აუცილებლად სჭირდებათ. აი, შენი ამბავი კი მართლაც, სასაცილოა. თუთიყუშს მისტირი?! ვფიქრობ, უპრობლემობა გაწუხებს..."

ნენე:

„ვაიმე, ნაღვლიანო გოგო, გაიხარე. მეც მყავდა თუთიყუში, ჩიკო ერქვა. 4 წელი გვყავდა და მერე მოგვიკვდა. კორპუსის წინ, ხის ძირას დავმარხეთ. იმ დღეს ყველანი ისე ვტიროდით, თითქოს ფრინველი კი არა, ადამიანი დაგვეკარგოს. თუმცა, ის მართლაც, ჩვენი ოჯახის წევრი იყო. მისი სურათებიც მაქვს და როცა ვათვალიერებ, სულ მეტირება. არა უშავს, გავა დრო და უიმისობას შევეჩვევი. გენაცვალე გულში. ტოტოზე ხშირად აღარ იფიქრო. წარმატებები! მპუა".

ფიფილა:

„გთხოვ, ყოველდღამე ტოტოზე ნუ იფიქრებ და ნურც შენს ლამაზ თვალებს დაღლი ტირილით. ჯობს, მშობლებს უთხრა, რომ ტოტო დაგიბრუნონ, მაგრამ თუ ეს ჯერჯერობით, ნანკას გამო ვერ მოხერხდება, მოითმინე და მერე დებმა ერთად მოუარეთ :)). გკოცნი და იცოდე, აღარ იტირო".

სანი:

„არ გეწყინოთ, მაგრამ ნაღვლიანი გოგოს ამბავმა მაცინა. იმიტომ კი არა, რომ თუთიყუშები არ მიყვარს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს უბანში ცხოვრობს ერთი ტიპი, რომელსაც ტოტოს ეძახიან და ის გამახსენდა".

ეკო BOY:

„მერე, რატომ არ მოგყავს შენი ტოტო? ხელს რა გიშლის? იცი, მეც მიყვარს ფრინველები. ამას წინათ, მტრედი მომიკვდა და გული ძალიან დამწყდა".

„ხომ არაფერს დავაშავებ, ცოლად რომ გავყვე?"

ლიზი, *16 წლის:*

„გამარჯობათ. მინდა, თინეიჯერებს რჩევა ვკითხო. მიყვარს 35 წლის კაცი და მასაც ვუყვარვარ. მაინტერესებს, ხომ არაფერს დავაშავებ, ცოლად რომ გავყვე? თქვენს რჩევებს მოუთმენლად ველოდები".

„ყველას უცნაური ვგონივარ... ნუთუ, ვერავინ უნდა გამიგოს?"

ანუკა:

„გამარჯობა, ლიკა. ვიცი, ბევრ ადამიანს ჩემზე მეტი პრობლემა აქვს — ვიღაც შეყვარებულმა მიატოვა, ვიღაცას ბიზნესში არ გაუმართლა, მაგრამ მე სულ სხვა რამ მაწუხებს... ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, რომელიც რატომღაც, ყველას სხვანაირი და უცნაური ჰგონია. ნაწილობრივ, ამაში დამნაშავე მეც ვარ, რადგან ცოტა უცნაურად მაცვია, ყველაფერზე საკუთარი, განსხვავებული მოსაზრება მაქვს და შეიძლება, არაორდინარულიც გახლავართ, მაგრამ ნუთუ, ვერავინ უნდა გამიგოს?.. სკოლაში ყველა გოგო ჩემზე ჭორაობს. მე კი უკვე დავიღალე იმით, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველა ერევა. დაქალებიც კი ცდილობენ, გამამწარონ. მინდა, ყველაფერი „დავიკიდო", მაგრამ ეს შეუძლებელია. მართლა ძალიან მჭირდება რჩევა. საკუთარ თავში უაზროდ ჩავიკეტე. ზოგჯერ, მეც მეჩვენება, რომ უცნაური ვარ და მინდა, ჩვეულებრივი გოგო ვიყო. ლიკა, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე. ბედნიერი ვიქნები, თუ დამეხმარები".

P.S. **ამ ბოლო დროს, ისეთი მესიჯები, სადაც მოზარდები რჩევას გვთხოვენ, სულ უფრო მომრავლდა. სამწუხაროდ, ყოველი მათგანის დაბეჭდვას ვერ ვახერხებთ და ზოგიერთი წერილი დაგვიანებით იბეჭდება, რის გამოც, შესაძლოა, თქვენი უკმაყოფილება დავიმსახუროთ. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, თითოეულ ნომერში ორი თინეიჯერის მესიჯი დავბეჭდოთ. მაშ ასე, თუ ლიზისა და ანუკას წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

როგორ მოვიქცეთ, თუ გვიკბინეს

ცხოველის ნაკბენი

თუ ცხოველმა გიკბინათ — ძაღლი იქნება ეს, კატა, ვირთხა, ზღარბი, ციყვი თუ სხვა, — პირველ რიგში, საგულდაგულოდ ჩამოიბანეთ ჭრილობა გამდინარე წყლითა და სარეცხი საპნით, დაიდეთ სტერილური ნახვევი და დაუყოვნებლივ მიაშურეთ სამედიცინო დაწესებულებას. იქ მოხდება ჭრილობის სათანადო დამუშავება, სპეციალური ანტიტეტანური შრატის გაკეთება და ცოფის პროფილაქტიკის დაწყება.

შემდეგ ეტაპზე კი აუცილებელია (შეძლებისდაგვარად) იმ ცხოველის დაჭერა, რომლის მსხვერპლიც გახდით და 10 დღის განმავლობაში მისი მოვლა-პატრონობა. თუ ის საღ-სალამათი დარჩა, მაშინ შეგიძლიათ ცოფის პროფილაქტიკის შეწყვეტა. ძალიან კარგი იქნება, თუ ამ მკბენარა ცხოველს რამდენჯერმე მიიყვანთ ვეტერინართან.

თუ ცხოველი დაიღუპება ან გაიქცევა, მაშინ ცოფისგან დასაზღვევად, ვაქცინაციის მთელი კურსის ჩატარება მოგიწევთ. ცოფის წინააღმდეგ ბრძოლა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: ინფექციის წყაროს ლიკვიდაციას და ადამიანში ცოფის პროფილაქტიკას.

ცოფის საწინააღმდეგო სპეციფიკურ პროფილაქტიკას, ჩვენების გათვალისწინებით, ახორციელებენ ანტირაბიული ვაქცინით (აქტიური იმუნიზაცია) და ანტირაბიული იმუნოგლობულინით (პასიური იმუნიზაცია). ვაქცინაციის სრული კურსის შემთხვევაში, პაციენტს უკეთდება 6 ინიექცია, დადგენილი სქემის მიხედვით — 0; მე-3; მე-7; მე-14; 30-ე და 90-ე დღეს. განსაკუთრებით მძიმე დაკბენის შემთხვევაში, დამატებით გამოიყენება ანტირაბიული იმუნოგლობულინის ინიექცია, ე.ი. ხორციელდება კომბინირებული — პასიურ-აქტიური იმუნიზაცია. ცოფის საწინააღმდეგო აცრების დაწყებიდან 9 თვის განმავლობაში კატეგორიულად იკრძალება ალკოჰოლური სასმელების მიღება.

ვაქცინაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცოფის ვირუსით ინფიცირებულ ადამიანს ცოფის საწინააღმდეგო იმუნიტეტი განუვითარდეს მანამ, სანამ ვირუსი ცენტრალურ ნერვულ სისტემამდე მიაღწევს და დაავადება განვითარდება. ამიტომ აუცილებელია, დაზარალებულის იმუნიზაცია დაუყოვნებლივ დაიწყოს.

თუ ავადმყოფს არ აწუხებს ალერგიული დაავადებები ან სხვა მძიმე სენი, მაშინ ვაქცინის ინიექცია ხორციელდება ამბულატორიულად. იმუნოგლობულინით ინიექცია კი აუცილებლად სტაციონარში უნდა გაკეთდეს, რადგან არ არის გამორიცხული, ანაფილაქსიური შოკის ან სისხლის შედედების მხრივ პრობლემების განვითარება.

არცთუ იშვიათად, ნაკბენ ადგილზე ვითარდება ანთებითი რეაქციები. ყველაზე ხშირია და მძიმედ მიმდინარეობს ანთება კატის ნაკბენის დროს, რადგან მას ბასრი და წვრილი კბილები აქვს და ასეთ ვიწრო ჭრილობაში (დახურული სივრცე) ინფექცია უფრო სწრაფად ვრცელდება.

ორიოდე სიტყვით ცოფის ინფექციაზე მოგახსენებთ.

ცოფი

ცოფი არის ინფექცია, რომელიც აზიანებს ნერვულ სისტემას. ცოფის ვირუსს ამ სენით დაავადებული ცხოველის ნერწყვი შეიცავს. დაავადების სიმპტომები ჩვეულებრივ, ინფიცირებიდან რამდენიმე თვეში (6 თვიდან 1 წლამდე) ვლინდება. გამოვლინების დრო დამოკიდებულია ნაკბენის ადგილმდებარეობაზე ანუ იმაზე, თუ რა მანძილით არის დაშორებული ნაკბენი ადგილი თავის ტვინიდან; ასევე ორგანიზმის რეაქტიულობაზე, დაკბენილის ასაკზე (ბავშვებში ინკუბაციის პერიოდი უფრო ნაკლებია), ქსოვილების დაზიანების ხარისხზე, ვირუსის რაოდენობაზე (დანერწყვის სიუხვეზე) და ვირულენტურობაზე.



I სტადია: ჭრილობის (ნაკბენის) ადგილას ჩნდება უსიამოვნო შეგრძნებები, მაგალითად: ტკივილი, წვა, ქავილი. ავადმყოფი უჩივის უძილობას, ცუდ გუნება-განწყობილებას, უმიზეზო შფოთვას.

II სტადია: აღმოცენდება ჰიდროფილია (ადამიანს არ შეუძლია წყლის დალევა, რადგან ამ დროს კრუნჩხვები ემართება), აეროფობია (კრუნჩხვები დღის სინათლის მიმართ); გაძლიერებულია ნერწყვის გამოყოფა; ვითარდება ჰალუცინაციები, ნერვული აგზნების შეტევები.

III სტადია: ვითარდება კიდურების, ენის, სახის კუნთების დამბლა.

ქვენარმავლის ნაკბენი

გველი

დავიწყოთ იმით, რომ ადამიანს გველი პირველი არ ესხმის თავს და მხოლოდ იმ შემთხვევაში კბენს, თუ ის გააბრაზეს. რაც შეეხება კბენას: გველის კბენიდან პირველ წუთებში აღმოცენდება სუსტი ტკივილი და წვა, კანი წითლდება და თანდათან შუპდება. შემდგომში სიმპტომების განვითარება დამოკიდებულია: გველის ჯიშზე, წელიწადის დროზე, დაზარალებულის ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კბენის ადგილზე. მაგალითად, თავსა და კისერში კბენისას ინტოქსიკაციის ნიშნები გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე კიდურებზე კბენისას. ზოგადი სიმპტომები და ნიშნები კი ასეთია:

- წყვილი ნაკბენი;
- ნაკბენის არეში ტკივილი;
- შეშუპება, რომელიც ზოგჯერ ფართოდ ვრცელდება;
- სისხლჩაქცევა;
- ზხედველობისა და გონების დაბინდვა;
- ძილად მივარდნა, ზოგჯერ პირიქით — აგზნება;
- კრუნჩხვები, ასფიქსია.
- ინტოქსიკაციის ნიშნები მაქსიმალურად, დღის ბოლოს იჩენს თავს.

დახმარება: შხამის გავრცელებას აბრკოლებს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში კიდურის სრულყოფილი იმობილიზაცია. ქვემო კიდურზე კბენის შემთხვევაში, დაზიანებული კიდური დაამაგრეთ მეორეზე, ზედა კიდურის შემთხვევაში კი — გულმკერდზე.

მეტად შედეგიანია, პირველ წუთებში ნაკბენი არის ოდნავ გახსნა და ზეწოლით, შხამის გამოდევნა ან 15 წუთის განმავლობაში, პირით ენერგიული ამოწოვა და გადაფურთხება. ასე შხამის 20-50% გამოიდევნება. პირით გამოწოვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირის ლორწოვანი, ღრძილები და კბილები აბსოლუტურად ჯანმრთელია. ამის შემდეგ, ნაკბენ არეს ადებენ ასეპტიკურ ნახვევს. არ შეიძლება ნაკბენი არის: გაკვეთა, მოწვა, დამჟანგველი ნივთიერებით დამუშავება; დაუშვებელია ლახტის დადება — იგი აუარესებს მდგომარეობას, ხელს უწყობს კიდურის განგრენის განვითარებას, რაც დაზარალებულის სიკვდილს გამოიწვევს. არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება. სამაგიეროდ, დაზარალებულს დიდი რაოდენობით სითხე უნდა მისცეთ. აუცილებელია, სპეციფიკური მკურნალობის ჩასატარებლად, დაზარალებულის საავადმყოფოში მიყვანა.

მორიელი

მორიელის ნაკბენის არეში აღინიშნება მწვავე ტკივილი, რომელიც ზოგჯერ ნერვული ღეროს გასწვრივაც ვრცელდება. ნაკბენი შეწითლებული და შეშუპებულია. ადგილობრივი სუსტი რეაქციის შემთხვევაში შეიძლება, ზოგადი ინტოქსიკაცია მეტად იყოს გამოხატული და — პირიქით. ნაკბენის არეში ზოგჯერ ვითარდება სეროზულსისხლიანი ბუშტუკები. ზოგადი მოვლენები განსაკუთრებულად მკაფიოდ აღენიშნებათ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს: საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, შემცივნება, ტკივილი გულის არეში, ქოშინი, გულის ფრიალი, ძილად მივარდნა, კიდურების კანკალი, ოფლიანობა, ნერწყვისა და ცრემლის დენა, ცხვირიდან დიდძალი ლორწოს გამოყოფა; ზოგჯერ — ბრონქოსპაზმი, სუნთქვის გაძნელება, ციანოზი, დასაწყისში — ტაქიკარდია და წნევის მატება, რომელიც იცვლება ბრადიკარდიითა და ჰიპოტონიით. შეიძლება აღინიშნებოდეს ხანმოკლე დროით ტემპერატურის მომატება. ინტოქსიკაცია ვლინდება 2-3 საათში და გრძელდება 24-36 საათი. მორიელის ნაკბენით ლეტალობა (სიკვდილიანობის შემთხვევა) საქართველოში აღწერილი არ არის.

დახმარება.

ადგილობრივად მიმართავენ 1%-იანი ნოვოკაინის ხსნარით ბლოკადას და თბილი, ცხიმიანი ნახვევის დადებას, რაც შედარებით აყუჩებს ტკივილს. ინტოქსიკაციას ამცირებს ერთდროულად (და არა ცალ-ცალკე), ატროპინის (0,1%-იან 0,5-1 მლ) და ერგოტამინის კანქვეშ შეყვანა. საქართველოში სპეციფიკური შრატის გამოყენებას საჭიროდ არ მიიჩნევენ.

სხვადასხვა მწერის ნაკბენის მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში მოგახსენებთ.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე



მარი ჯაფარიძე

ჩემს რესპონდენტს მოულოდნელად, წინასწარ შეუთანხმებლად დავადექი თავზე. პატარა, სუფთად მილაგებულ ოთახში მომცრო გარდერობი, საწოლი, მაგიდა, დივანი და ბუფეტი დგას. სულ ეს არის ამ ოჯახის სიმდიდრე. დიასახლისი, მარინა ზარდიაშვილი შუახნის, სასიამოვნო გარეგნობის ქალია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მისვლის მიზეზი არ იცოდა, თავის პატარა სამფლობელოში უყოყმანოდ შემიპატიჟა. ჩემი ვინაობა რომ შეიტყო, დაიბნა, მაგრამ გულწრფელად მომიბოდიშა, არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, ინტერვიუზე კი მხოლოდ იმიტომ დამთანხმდა, რომ შორი გზა მქონდა გავლილი და უკან ხელცარიელი არ გამომებრუნა.

სხვისი შვილებისათვის გაწირული ქალური ბედნიერება

ოთახში 2 ბავშვია — ბაია და ელშანი. ბაია უსინათლოა, მეტყველება უჭირს და გონებრივად ჩამორჩენილია. ელშანი — მხედველია და სმენაც აქვს, მაგრამ მისი ზრდის პროცესი შეჩერებულია, მხოლოდ ხოხვით გადაადგილდება და გონებრივად განუვითარებელია. საერთოდ ვერ მეტყველებს და სურვილს ტირილით ან ცალკეული ბგერებით გამოხატავს.

დიასახლისთან საუბარს ცოტა შორიდან, იმ დროიდან ვიწყებთ, როდესაც ქალბატონი მარინა გათხოვდა.

— წარმოშობით გურჯაანიდან ვარ, საკმაოდ გვიან, 35 წლის ასაკში გავთხოვდი, რადგან წლების განმავლობაში ისეთ კოლექტივში ვმუშაობდი, სადაც სულ ქალები იყვნენ. ჩემი ყოფილი მეუღლე გვარდიელი იყო. როგორც თავად ამბობდა, აფხაზეთში ომის დროს მათ ყველას უფასოდ ურიგებდნენ ნარკოტიკებს და ისიც მიეჩვია. მანამდე არასოდეს მქონია ნარკომანთან შეხება. ამიტომ, ვიდრე გავთხოვდებოდი, ვერ მივხვდი, რომ ჩემი მომავალი მეუღლე ამ საშინელი სენით იყო შეპრობილი. როცა წამალს ვერ შოულობდა, მარტო დაჯდებოდა და გამოთვრებოდა ხოლმე. 4 თვეზე მეტი ვერ გავუძელი. როცა მივხვდი, რომ ჩემი შეგონება ნაყოფს არ გამოიღებდა და მას ჩემს თავს წამალი ერჩივნა, გავშორდი. ორსულად ვიყავი. რამდენიმე თვის შემდეგ ვიმშობიარე და გოგონა შემეძინა. როდესაც ექიმმა ახალდაბადებული ბავშვი დამანახვა, მომეჩვენა, რომ მას 2 თავი ჰქონდა. თურმე, ბავშვი თანდაყოლილი სიმსივნით დაიბადა. თავზე, კანქვეშ სითხე ჩამდგარიყო და უშველებელი ბურთივით ჰქონდა ჩამოკიდებული. გოგონას ოპერაცია იმავე დღეს გაუკეთეს და სიმსივნე მოჰკვეთეს, მაგრამ ბავშვი მესამე დღეს გარდაიცვალა.

— მისი დაავადება ალბათ მამის მავნე ჩვევის ბრალი იყო, არა?

— რა თქმა უნდა, კაცი კაიფში რომ ჩასახავს ბავშვს, არც არის გასაკვირი, რომ ავადმყოფი დაიბადოს. გოგონას სიკვდილი ძალიან განვიცადე. მაშინ დავიფიცე, რომ აღარ გავთხოვდებოდი, სხვის ინვალიდ ბავშვს ვიშვილებდი და გავზრდიდი. ამის შემდეგ წლები გავიდა. დედა ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. საწყალი, ძალიან იტანჯებოდა. ერთხელ, რომ ეგონა, ოთახში მარტო იყო, ხმამაღლა თქვა: — ღმერთო, რატომ ვიტანჯები, იმ ბავშვის გამო ხომ არაო? ყურები ვცქვიტე, ძალიან გამიკვირდა მისი ნათქვამი და ჩემი შვილი გამახსენდა. როდესაც ვიმშობიარე და ოჯახმა შეიტყო, რომ გოგონა ავადმყოფი იყო, მეუბნებოდნენ, ბავშვი დატოვე, მარტოხელა ქალს ინვალიდი ბავშვის გაზრდა გაგიჭირდებაო. მე გავჯიუტდი და მათ წინადადებას არ დავთანხმდი. ამის შემდეგ მრთხრეს, რომ ბავშვი გარდაიცვალა. დედაჩემის სიტყვებმა ჭკუიდან შემშალა და მოსვენება დამაკარგვინა. ჩავეძიე, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი, მაგრამ პირში წყალი ჩაიგუბა და არაფერი მითხრა. თითქმის დავრწმუნდი, რომ ჩემმა ოჯახმა ჩემ გარეშე მიიღო გადაწყვეტილება და ბავშვი სამშობიაროში დატოვა, მე კი მითხრეს, რომ გოგონა მოკვდა. გადავწყვიტე, ბავშვთა სახლები ფეხით მომევლო და

ქ-ნი მარინა შვილობილებთან ერთად

ჩემი შვილი მეპოვა. მას გვარით თუ არა, თავზე ნაოპერაციევის კვალით მაინც მივაგნებდი. დედის გარდაცვალების შემდეგ, მალევე სიზმარი ვნახე: თეთრ ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა ხუთიოდე წლის გოგონა მოიყვანა (ჩემი შვილი სწორედ ამ ხნის იქნებოდა) და მითხრა, ეს არის შენი შვილიო. გამოღვიძებულმა ვიფიქრე, რომ ის კაცი უფალი იყო და ჩემი შვილი მასთან იყო. ჩავთვალე, რომ ჩემი გოგონა მართლა გარდაიცვალა და ძებნა შევწყვიტე.

— ბავშვების აყვანა როდის გადაწყვიტეთ?

— ჩემი მეგობარი ქალი ინვალიდ, მიტოვებულ ბავშვებთან ძიძად მუშაობდა. მას ვთხოვე, ბავშვის აყვანა მინდა და დამეხმარე-მეთქი. თავიდან უარი მითხრა, რადგან მე თვითონ ძალიან მიჭირდა, საჭმელსაც კი მეგობრები და მეზობლები მაჭმევდნენ და ბავშვის შენახვას ვერ შევძლებდი. ერთ დღეს კი მითხრა, რომ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ყოფილა, რომ ვინც ინვალიდ ბავშვს გაზრდიდა, სახელმწიფო მას გარკვეულ თანხას გადაუხდიდა და ბავშვის გაზრდაშიც დაეხმარებოდა. რა თქმა უნდა, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ მინდოდა და მაშინვე ბავშვთა სახლს მივაკითხე. ბავშვებთან მჭიდრო შეხება მანამდე არც მქონია. დისშვილებისა და ძმისშვილების გაზრდაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. ცოტა კი მეშინოდა, შევძლებდი თუ არა ბავშვის მოვლას, მაგრამ მაინც გავრისკე, რადგან მუდმივად კონტროლის ქვეშ ვიქნებოდი და თუ ვერ შევძლებდი, ბავშვს არავინ მომაკვლევინებდა. უკან წაიყვანდნენ და ეგ იქნებოდა. თუ შევძლებდი, ამაზე დიდი მადლი რაღა იქნებოდა?


ელმანი

— ორივე ბავშვი ერთად აიყვანეთ?

— არა, ბაია უკვე 6 წელია, ჩემთანაა, ელშანი კი 8 თვის წინ ავიყვანე.

— თუ იცით რაიმე მათ შესახებ?

— ბაია ქართველია, გვარად — სვანიძე...

— ბაია არის სვანიძე, მარინა არის ზარდიაშვილი, — **ჩვენს საუბარში ბაიაც ჩაერთო.**

მომეჩვენა, რომ მას 2 თავი ჰქონდა. თურმე, ბავშვი თანდაყოლილი სიმსივნით დაიბადა

— გოგონა ქუთაისელია, 8 წლის იყო, როცა ჩემთან მოვიყვანე. ახლა უკვე მეთოთხმეტე წელიწადშია, ელშანი კი აზერბაიჯანელია და 3 წლის და 3 თვის გახლავთ.

— თქვენ მიმართ სიყვარულს როგორ გამოხატავენ?

— ორივე ბავშვი ძალიან თბილია. ელშანი თვალებით მელაპარაკება და სიყვარულსაც თვალებით მაგრძნობინებს. ნახეთ, როგორი მეტყველი თვალები აქვს... ბაია კი მომეხვევა ხოლმე და თავის სიყვარულს ასე გამოხატავს. ვფიქრობ, რომ ორივეს ძალიან ვუყვარვარ.

ბაია

— ელშანი გცნობთ?

— ჯერ პატარაა და რადგან ბავშვთა სახლში ადამიანებთან ურთიერთობასაა მიჩვეული, ამიტომ, არ უცხოობს და ყველასთან მიდის. თუ ვინმე მოეწონება, ხელებს გაუწვდის ხოლმე, რომ აიყვანოს და მეტყველებდა და ამის თქმა არ შეეძლო.

— როგორც ვხედავ, თქვენი პირადი ცხოვრება მთლიანად ამ ბავშვებს მიუძღვენით.

— რა თქმა უნდა, ყველა დედა ასე იქცევა. მე ახლა მხოლოდ დედა ვარ. არც სამსახური მინდა, არც ფუფუნებით ცხოვრება. მთავარია, ჩემი შვილები იყვნენ კარგად. სულ ერთად ვართ. ადრე ელშანი შუადღისას იძინებდა ხოლმე, მეზობელს ვუტოვებდი და მაშინ ვახერხებდი მაღაზიაში ან ბაზარში წასვლას. ახლა უკვე დიდი ბიჭია და აღარ იძინებს. საბავშვო ეტლში ჩავსვამ ხოლმე და ერთად მივდივართ პროდუქტის შესაძენად. ჩემს შვილებს მთელი უბანი ცნობს. ვინ იცის, რამდენი წელია, ამ უბნის გარეთ არ გავსულვარ.

— რამდენი წლის ხართ?

— 50-ის, მაგრამ ბაიამ ძალიან დამაბერა. რაც ბაია ჩემთანაა, იმის შემდეგ მხედველობაც დამაკლდა.

— ამ ყველაფერს ხომ ძალიან დიდი ნებისყოფა სჭირდება...

— რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერი უნდა იყო ადამიანი, რომ ამ ყველაფერს გაუძლო. ძირითადად, შინ ვარ გამოკეტილი. ყველა ნათესავი დავკარგე. ბავშვებით ხომ ვერ ვივლი სტუმრად? ისინიც ვეღარ მოდიან ჩემთან, რადგან 1-2-ჯერ რომ მოვიდნენ, ბავშვების გამო სათანადო ყურადღება ვერ მივაქციე. იმათაც თავი ზედმეტად იგრძნეს და უკვე აღარ მოდიან.

— ოდესმე თუ გიფიქრიათ, ვინ არიან თქვენი შვილების ნამდვილი მშობლები?

— გამუდმებით ამაზე ვფიქრობ. ელშანის ოჯახის ზუსტი მისამართი ვიცი, მაგრამ უფლება არ მაქვს, რომ მის მშობლებს შევეხმიანო. ის 1 თვის და 5 დღის ჩააბარეს ბავშვთა სახლში. ბაია კი სამშობიაროშივე მიატოვეს. როგორც ვიცი, დედამისს არ სცოდნია, ბავშვი რომ გადარჩა. მისთვის უთქვამთ, რომ გარდაიცვალა. ბაიას ბედი მამას გადაუწყვეტია. მას უთქვამს: სხვა შვილებიც ხომ უნდა გავაჩინო? ბავშვებს დედა სჭირდებათ, ამ გოგონას კი მომვლელად ერთი ქალი სჭირდება და სხვებს ყურადღება მოაკლდებათო. ხშირად ვლოცულობ, ღმერთმა იქნებ შთააგონოს ამ ბავშვების მშობლებს, რომ შვილები მოიკითხონ.

— არასოდეს გინანიათ, ასეთი მძიმე ტვირთის ტარება რომ გადაწყვიტეთ?

— მაგაზე ფიქრის დრო სად მაქვს? ჩემი სიყვარული ისეთი ძლიერია, რომ სინანულისთვის დრო აღარ მრჩება. სიყვარული ყველაფერს სძალავს. ის კი არა, მესამე ბავშვის აყვანაც მინდოდა, მაგრამ უფლება არ მომცეს, რადგან საცხოვრებელი ფართობი არ მყოფნის.

— დე, უცხო დეიდაა? — **ბაია ისევ შემოგვიერთდა.**

მაშინ დავიფიცე, რომ აღარ გავთხოვდებოდი, სხვის ინვალიდ ბავშვს ვიშვილებდი

— ჰო, შვილო, უცხო დეიდაა, მარი ჰქვია, ჟურნალისტია.

— ორი მარია, მარინა — ზარდიაშვილია, მარი — ჟურნალისტი, — **წვალებით, მაგრამ მაინც წარმოთქვა რთული სიტყვები.**

— როცა ვიშვილე, საკუთარი სახელის წარმოთქმაც კი არ შეეძლო, ახლა ოცამდე დათვლა იცის, ლექსებს ამბობს და გაცილებით უკეთესად მეტყველებს. მეზობელთან სტუმრად რომ მიდის, ყველაფერს ყურადღებით უსმენს და მერე ამბავიც კი მოაქვს ხოლმე, ყველაფერს დაწვრილებით მიყვება.

— როგორ ფიქრობთ, რამდენი ხნის განმავლობაში იქნებიან ბავშვები თქვენთან?

— ასეთი ბავშვების გაშვილება მხოლოდ 18 წლამდე ხდება. სრულწლოვანი რომ გახდება, მერე დაფინანსებას უწყვეტენ. რომ დავინტერესდი, ამის შემდეგ რა ბედი ეწეოდათ, მითხრეს, ან ქუჩაში დარჩებიან, ან ფსიქიატრიულში გადაიყვანენო. ამიტომ ვზრდი შვილივით, რომ მერე ფსიქიატრიულში მოხვდეს? ბაიას ვერასოდეს შევეღლევი. მის გარეშე ვერ გავძლებ (*აქ ქალბატონი მარინა ატირდა და გული ყელში მოებჯინა*). თუნდაც გიჟად ჩამთვალონ, სადამდეც შევძლებ, მანამდე მეყოლება. როცა მოვხუცდები, მას გასაშვილებლად ამზადებენ.



სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ 18 წლის ასაკამდე ეკუთვნის, მაგრამ მერე მეც და ბაიასაც პენსიას დაგვინიშნავენ და თავს როგორმე გავიტანთ

როგორც მითხრეს, ამერიკაში უნდა გააშვილონ. რაღაც სპეციალური პროგრამა ყოფილა, რომელიც უცხოეთში გაშვილებას ითვალისწინებს (*ქალბატონ მარინას ხმა აუკანკალდა და ცრემლი ღაწვზე ჩამოედინა*). დარწმუნებული ვარ, საკუთარი შვილი რომ მყოლოდა, ამაზე მეტად არ მეყვარებოდა. სადამდეც სიყვარული შემიძლია, იმ ზომამდე მიყვარს. ამის იქით, ამის მეტად სიყვარული აღარ შეიძლება. ყველა მეუბნება, ამას ნუ ამბობო, მაგრამ მათ არასოდეს ჰქონიათ ჩემს შვილებთან შეხება. როდესაც ბავშვი ავადაა, მთელი ღამე თვალებში ვუყურებ, მის სუნთქვას ვუსმენ. დიდი ამაგი მაქვს ჩემს შვილებზე და ამიტომ, არც ერთ დედაზე ნაკლებად არ მიყვარს. ●

თქვენთვის, ქალბატონებო!

ქმრის ყოფილი შეყვარებულით მოხიბლული, მიტოვებული ცოლი

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი

გამხელილი საიდუმლო

წერილი — „რა ქნას კაცმა, როცა ვერც ერთ ქალს ვერ ელევა“ — 2003 წლის 2 ივნისის ნომერში დაიბეჭდა და ღალატის თემას ეხება. ახლა მის გაგრძელებას შემოგთავაზებთ.

ნინო და გიო სიყვარულით შეუღლდნენ. მათი ცოლქმრული ურთიერთობაც კარგად აეწყო, მაგრამ მერე გიოს დაკარგული სიყვარული დაუბრუნდა. ამ დღიდან იგი ძალიან შეიცვალა. ხშირად იყო უგუნებოდ. ზოგჯერ კვირა ისე ჩაივლიდა, ხმასაც არ ამოიღებდა, უხასიათობის მიზეზად დაღლას ასახელებდა. ნინო ცდილობდა, ხელი შეეწყო. ჩვეულებრივ დღეებში, გიო შინ გვიან ბრუნდებოდა, შაბათ-კვირას კი, ნინოს ბავშვები სპეციალურად მიჰყავდა თავის მშობლებთან, რომ „დაღლილი“ მამა ხმაურით არ შეეწუხებინათ. გიოს უფრო და უფრო უმძიმდებოდა ხასიათი. ნინო მიხვდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა მათ თავს. ამიტომ გადაწყვიტა, ქმრისთვის ყველაფერი გამოეკითხა. გიო დაიბნა. მერე მიხვდა, დამალვას და ტყუილის თქმას აზრი აღარ ჰქონდა და უამბო: შენ რომ გაგიცანი, მართლა ძალიან მომეწონე და ხელიც გთხოვე. მერე შემიყვარდი და ვიფიქრე, წარსულს ჩავაბარე ძველი შეყვარებული და მისი სიყვარულიც-მეთქი, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ, სრულიად შემთხვევით ვნახე და მივხვდი, ვერ შევძელი მისი დავიწყება. საგონებელში ვარ ჩავარდნილი, შენი მიტოვებაც მიჭირს და იმას ხომ ვერა და ვერ ველევი, მით უმეტეს, რომ გავიგე, ქმარს გასცილდაო. ცოტა ხანს მადროვე, რომ ყველაფერში გავერკვეო. ნინომაც გადაწყვიტა, ედროვებინა.

გიომ ამ საუბრის მერე შვება იგრძნო, სამაგიეროდ, ნინომ დაკარგა მოსვენება. მას ძალიან უნდოდა იმ ქალის ნახვა.

ნაწყვეტი წერილიდან: „ის ერთ-ერთი კერძო კლინიკის სტომატოლოგი, სასიამოვნო გარეგნობის ქალი იყო. ცოტა არ იყოს, ჩემი დანახვა გაუკვირდა, — თუ ჩემი პაციენტი არ ხართ, სჯობს, მორიგე ექიმთან მიხვიდეთო. თქვენთან მინდა, თქვენი თავი მიქეს-მეთქი. ყოველთვის მეშინოდა კბილის ექიმების, მაგრამ რადგან ერთი ნაბიჯი გადავდგი, ბოლომდე შევტოპე. — აბა, მაჩვენეთ, რომელი კბილი გაწუხებთო, — ისე თბილად მკითხა, რომ პირი ანგარიშმიუცემლად გავუღე. დიდხანს მითვალიერა პირის ღრუ. ამასობაში საგულდაგულოდ შევისწავლე მისი სახე. ჩემი კბილების საერთო მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა და გაკვირვებულმა მკითხა — ვერ გავიგე, რომელი გაწუხებთო, თან ხელი მხარზე დამადო დასამშვიდებლად. მისმა ხმამ გამომაფხიზლა. ძლივს ამოვღერღე: არც ერთი კბილი არ მტკივა, შენი გაცნობა მინდოდა, მე გიოს ცოლი ვარ-მეთქი. ფერი დაკარგა“.

მერე ნინო და ის ქალი ერთ მყუდრო კაფეში დასხდნენ და მშვიდად ისაუბრეს. თურმე, გიო ეუბნებოდა, რომ ისიც გაშორებული იყო ცოლთან და ახლა მათ ერთად ყოფნას არავინ და არაფერი ხელს არ შეუშლიდა; სამსახურის საქმეებს მოაგვარებდა თუ არა, მასზე ჯვარს დაიწერდა... სტომატოლოგი არწმუნებდა ნინოს, რომ არ იცოდა გიო ცოლ-შვილთან თუ იყო და არაფრის დიდებით არ დაუშვებდა, რომ შვილებისთვის მამა წაერთმია, ქალისთვის — ქმარი. მან ნინოსაც მადლობა გადაუხადა, რომ მივიდა, ინახულა და სიმართლეც გაიგო.

გვიან ღამით, როცა გიო შინ დაბრუნდა, ნინომ დააპირა ეთქვა, სადაც იყო და ვინც მოინახულა, მაგრამ მან უკვე ყველაფერი იცოდა.

ერთი კვირის შემდეგ, გიო იმ

ოროთახიან ბინაში გადაბარგდა, რომელიც წლების მანძილზე გაქირავებული ჰქონდათ. წასვლისას ნინოს და მშობლებს უთხრა: დროებით ასეა საჭირო, ცალკე ცხოვრება ბევრ რამეში გამარკვევსო.

ნაწყვეტი წერილიდან: „...გიოს წასვლიდან ორი კვირის შემდეგ ეჭვის ჭია შემიჩნდა, იქნებ, მატყუებდა და იმ ქალთან ცხოვრობდა. სტომატოლოგს კვლავ შევეხმიანე. ჩემი ხმის გაგონება გაუხარდა. ეგონა, გიო ჩემთან იყო. — მიხარია, თქვენ შორის რომ არ ჩავდექი და ცოდვა არ დავიდეო... მინდოდა, სიმართლე დამემალა, მაგრამ ვერ მოვატყუე. — გიო ჩემთან არ არის, ცალკე ცხოვრობს-მეთქი, ვუთხარი. — არ იფიქრო, რომ მე ვუბიძგე ამისკენ, იმ დღის მერე ჩემთან მოსვლა ავუკრძალეო.

ძალიან გამიჭირდება, მაგრამ გიო რომ დაბრუნდეს, მივიღებ. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ძალიან მიყვარს. იმ ქალზეც არ ვბრაზობ. ის ხომ ჩემამდე არსებობდა. გიოს და მას ხომ ერთმანეთი უყვარდათ და დაშორდნენ. იმის გამო ჩხუბს ვერ დავიწყებდი, ის ქალი რატომ უყვარს და მე — არა.

ალბათ, მართალიც იყო ნინო და ძალაუნებურად დავეთანხმე... ამ გაურკვეველ მოლოდინში დავტოვე ჩემი რესპონდენტი. იმ დღიდან 5 წელი გავიდა.

ამბავი მეორე

ვიცი, გიოს გული ღმერთს სხვას ვკუთვნის

ნინო:

— მას შემდეგ, რაც გიო განმარტოვდა და ითხოვა, მადროვეთო, ჩემმა ბედამთილ-მამამთილმა მოსვენება დაკარგა. ხან ეჩხუბნენ, ხან სთხოვეს, გონს მოდი და ოჯახს დაუბრუნდიო, მაგრამ ის მაინც თავისაზე იდგა. მე დუმილს ვამჯობინებდი.

ახლობლები მარწმუნებდნენ, — არ იდარდო, ის საბოლოოდ მაინც დაგიბრუნდებაო, მე კი მის დაბრუნებაზე არც ვფიქრობდი. მაღიზიანებდა მათი ჭკუის დარიგება. თითქოს გიოს ოთხფეხა მეგობარი ვიყავი, რომელსაც საჭიროების გამო, დროებით მოშორდა. თავიდან უფრო მაგრად მეჭირა თავი. მერე მოვეშვი. ღამე ბალიშში ჩავრგავდი თავს და ვტიროდი. დილით, თვალებდასივებული ვდგებოდი. გიოს მშობლები და ჩვენი შვილები სახეში შემომაჩერდებოდნენ ხოლმე და მეც იძულებული ვიყავი, მხიარული ქალის როლი მეთამაშა.

გიო ცდილობდა, იმ დროს მოსულიყო, როცა მე შინ არ ვიყავი. ბოლო პერიოდში საჯარო ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი და 10-დან 6 საათამდე სამსახურში ვიყავი. ერთხელ, დედამთილი ლოგინში ჩაწოლილი დამხვდა. გულზე შემომეყარა. თავიდან, თავის ტკივილი მოიმიზეზა, სოფიკომ კი ამბავი მომიტანა, მამა იყო მოსული და ბებო მაგრად ეჩხუბაო. ჩემი დედამთილი დავამშვიდე, როგორც შემეძლო. ვუთხარი, ყველას თავისი ბედი აქვს, ამის გამო ჩხუბი და უსიამოვნება არ ღირს, ეტყობა, მე და გიოს ეს გვეწერა-მეთქი. გაოცებული მისმენდა. ისიც კი შევთავაზე, თუ გინდათ, მე გადავალ იმ ოროთახიანში და თქვენ გიოსთან ერთად აქ იყავით-მეთქი. ცხარე ცრემლით იტირა ქალმა, მე და ჩემს ქმარს ამ ბავშვების გარეშე არ შეგვიძლიაო.

რადგან ასეთი გულახდილი საუბარი გავაბით, ვთხოვე, გიოს სიყვარულის ამბავიც მოეყოლა. ვიცოდი, რომ შვილის სიყვარულის საქმეში ქეთევანიც საკმაოდ აქტიურობდა. მანაც მიამბო: ხათუნა კარგი გოგო იყო, ეშხიანი, ლამაზი და ძალიან თბილი. არ მეჩქარებოდა გიოს დაოჯახება, მაგრამ მე ვინ მეკითხებოდა? რადგან სარძლოდ თვალში მომივიდა, შვილს თანხმობა ვუთხარი. ივლისი იყო, ერთხელ გიო გაგიჟებული დაბრუნდა შინ, თავის ოთახში შევარდა და ჩაიკეტა. ლამის გული გამისკდა. ვეხვეწებოდი, კარი გაეღო. ბოლოს და ბოლოს, ოთახში შემიშვა. ადამიანის ფერი არ ედო... თურმე, ხათუნას უთქვამს, შენამდე ერთი ბიჭი მიყვარდა, რომელსაც დავშორდი. ის რუსეთიდან ახლახან დაბრუნდა, შევურიგდი და მივხვდი, მის გარდა სხვას არ გავყვები ცოლადო. გიოს სილა გაუწნავს მისთვის და წამოსულა. მეც ძალიან გავბრაზდი ხათუნაზე. გიომ ისე განიცადა ხათუნასთან დაშორება, რომ მე და მამამისი მკაცრად გაგვაფრთხილა, ცოლი აღარ მიხსენოთო. მერე შენ გაგიცნო, მოეწონე და გამოგვიცხადა, ნინო მომყავს ცოლადო!.. ხათუნას ამბავი კი, გიომდე მე გავიგე. ვიცოდი, რომ ის თავის შეყვარებულს გაჰყვა, მაგრამ ვერ შეეწყვნენ და მალევე გაშორდნენ. ჩემი შვილი ისე იყო ხათუნაზე შეყვარებული, მეშინოდა, მასთან არ წასულიყო. თუმცა, მოგვიანებით მაინც მოხდა ის, რასაც ვუფრთხოდიო...

ამ საუბრის მერე, გიო მოვინახულე და მასაც იგივე შევთავაზე, — მე და ბავშვები აქ გადმოვალთ, შენ კი მშობლებთან დაბრუნდი-მეთქი. ვიცოდი, რასაც მეტყოდა, მაგრამ მასთან მისასვლელად საბაბს ვეძებდი. გიომ არ მიიღო ჩემი წინადადება და გამიმხილა: ჩემს მშობლებს არაფერი უთხრა, განერვიულდებიან, მინდა იცოდე, რომ ამერიკაში წასვლაზე ვჩალიჩობო. ეს „ჩალიჩი“ წელიწად-ნახევარი გაგრძელდა და ბოლოს, მაინც მიაღწია თავისას. მივხვდი, მან საქართველოდან წასვლა რატომ გადაწყვიტა. იცოდა, რომ ხათუნა მას აღარ მი-



იღებდა. ჩემთან ცხოვრება აღარ უნდოდა და ამიტომაც აირჩია ეს გზა. მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, ის ამერიკაში მაინც გაემგზავრა. შარშან კი უფროსი შვილიც წაიყვანა. გიომ კომპიუტერი საკმაოდ კარგად იცოდა, ნიუ-ჯერსიში ცხოვრობს და მატერიალურად უზრუნველყოფილია. იმედიანად ვარ, რომ ჩემს შვილს იქ კარგი პატრონი ჰყავს და ჩვენც გვეხმარება. ერთხელ მითხრა, შენ და სოფიკოც უნდა წამოგიყვანოთო. ვნახოთ, რას იზამს. ვიცი, მისი გული ხათუნას ეკუთვნის, მაგრამ მე, როგორც შვილების დედას, პატივს ვცემს (?!). ხათუნა ძლიერი ქალია. მან ერთხელ უთხრა უარი და ამით დაასრულა გიოსთან ურთიერთობა. ახლა, როცა თავისი ქვეყნიდან ძალიან შორს არის, ცდილობს, იქ შეკრიბოს თავისი ოჯახის წევრები და ცხოვრება თავიდან დაიწყოს. ●

მკითხველის წერილები

ამას წინათ, „კვირის პალიტრის“ რუბრიკაში — „თქვენთვის, ქალბატონებო“ დაბეჭდილმა წერილმა — „საიდუმლო შანტაჟით გამჟღავნდა“, ბევრს მსგავსი ამბავი გაახსენა, რომელიც პირადად მათ ან ახლობელს გადახდა თავს. წერილის თემა გახლდათ: სამშობიაროდან გასხვისებული ბავშვი და მოტყუებული დედა.

მარინა ბაბუნაშვილი

„მამამ ფულის გამო გამიმეტა“

„დედისერთა გოგო ვიყავი. დედამა მანებივრებდა. მამა სიგიჟემდე მიყვარდა, რადგან არ მახსოვს, რამე მომეთხოვა და მას არ შეესრულებინა. დედაც ზედ დამფოფინებდა. თაყვანისმცემლების მთელი არმია მყავდა. მეცხრე კლასში ჩემი მეგობრის ბიძაშვილი შემიყვარდა. კოკას ოჯახი მატერიალურად ძლიერი არ იყო, მაგრამ შეძლებას ხომ არ ვანაცვალებდი სიყვარულს? მესამე კურსზე ვიყავით, როცა შევუღლდით. კოკა ჩემს ოჯახში ზედსიძედ მოვიდა. მას რომ თავი უხერხულად არ ეგრძნო, ჩვენები რას აღარ აკეთებდნენ. კოკამ მალე მათი დიდი სიყვარული დაიმსახურა და ხშირად, როცა ცოლქმარს, კონფლიქტი მოგვდიოდა, ჩემი მშობლები მას ამართლებდნენ. ორი შვილი შეგვეძინა და ძალიან ბედნიერი ვიყავი. ერთხელაც, სამსახურში „დაბეჭდილი“ წერილი მომივიდა. წერილი ბოლომდე რომ წავიკითხე, თვალთ დამიბნელდა და ცუდად გავხდი. ვიღაც დურმიშხან გ. მატყობინებდა, რომ მამაჩემი იყო და 26 წლის წინ, გაჭირვების გამო გამყიდა. წარმოიდგინეთ, რა მომივიდოდა. გამოდის, რომ ისინი, ვინც მზრდიდნენ და ვისზედაც მზე და მთვარე ამომდიოდა, არ იყვნენ ჩემი ბიოლოგიური მშობლები. წერილი ჯერ კოკას წავაკითხე, მერე კი ჩემს გამზრდელებს. მათაც ძალიან განიცადეს საიდუმლოს გამჟღავნება, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ? ყველაფერი მიამბეს. შვილი რომ არ შეეძინათ, 7 წლის მერე მე მიშვილეს. დურმიშხანს ჩაუთვალეს ფული ჩემი დაბადებიდან მე-9 დღეს. დედაჩემს კი ჩემს მაგივრად მკვდარი ჩვილი აჩვენეს. ოჯახში თურმე 4 და-ძმა მყავდა, მამა ინვალიდი იყო, წვრილშვილს ველარ არჩენდა და ჩემით „ხელი მოითბო“. ძალიან მომინდა მათი გაცნობა. დედა გარდაცვლილი იყო, მამა გალოთებული, და-ძმა სიხარულით შემხვდა, მაგრამ... შევატყვე, ჩემგან მატერიალურ დახმარებას ელოდნენ. არ მიჭირდა და რამდენჯერმე ფულით დავეხმარე, მაგრამ მერე მამამ იმდენი უკადრისი რამ ჩაიდინა, რომ ჩემთან მოსვლა ავუკრძალე. ხშირად, მარტო დარჩენილი ვაანალიზებდი ჩემს წარსულს. მამაჩემით ხომ განვიხიბლე, ჩემს გამზრდელებზეც გული დამწყდა — მათ სიმართლე არ უნდა დაემალათ, მაშინ ეს ყველაფერი ასე თავზარდამცემი არ იქნებოდა. ყველაფრის მიუხედავად, მე ისინი ძალიან მიყვარს, სამწუხაროა, რომ ნამდვილ მამასთან ურთიერთობა აღარ მაქვს. მას ჩემს დანახვაზე მხოლოდ ფული ახსენდება. **რუსუდანი, 32 წლის“.**

რა სჯობს – სიმართლის გამხელა თუ საიდუმლოს შენახვა?

„ჩემს საახლობლოში ყველამ ვიცოდით შოთიკოს შვილად აყვანის ამბავი (ბიძა-ბიცოლამ იშვილეს), მაგრამ ვმალავდით. შოთიკომ სიმართლე 18 წლის ასაკში გაიგო და ძალიან განიცადა. გულთბილი და ხალისიანი ბიჭი ერთბაშად გარდაიქმნა. გამზრდელი მშობლების ჯიბრზე ძალიან ცუდად იქცეოდა. სულ ჩხუბობდა, ორჯერ პოლიციის განყოფილებიდან გამოიხსნეს, ერთხელ კი ნარკოტიკის ისეთი დოზა მიიღო, ძლივს მოაბრუნეს ამ ქვეყნისკენ. აიჩემა, გამაგებინეთ, ვინ არიან ჩემი ნამდვილი მშობლებიო. არადა, ჩემმა ახლობლებმა მხოლოდ დედის სახელი და გვარი იცოდნენ, რომელიც ვიღაცამ 16 წლისა შეაცდინა და ჩვილი სამშობიაროში თავისი სურვილით დატოვა. მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით მიაგნეს იმ ქალის ასავალ-დასავალს. შოთიკო კი კინაღამ გზას ასცდა. მის გამზრდელებს და მთელ სანათესაოს დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა იმისათვის, რომ ისეთივე თბილ და მოსიყვარულე ბიჭად გვექცია როგორიც გვახსოვდა. ღვთის მადლით, შოთიკო ჭკუაზე მოვიდა... არავინ იცის, რა სჯობს ამ შემთხვევაში — თავიდანვე სიმართლის გამხელა თუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში საიდუმლოს შენახვა. ერთია, აყვანილმა შვილმა თავის გამზრდელ მშობლებს უნდა დაუფასოს ამაგი და ხელი არ ჰკრას მათ. **მაგდა. თბილისი“.**

სამცოლიან ჯაცს ისევ ის ერთადერთი უყვარს

„სიყვარული ბევრ ისეთ რაღაცას ჩაგადენინებს, რომ მოგვიანებით თავადაც გაოცებული დარჩები“, — გვწერს ბატონი გოგი ქუთაისიდან და თავისი მეგობრის ამბავს გვიყვება:

— მე და რამაზი ბავშვობიდან მეგობრები ვიყავით და სადაცაა 60 წელს მივუკაკუნებთ. სკოლის პერიოდში ჩვენთან მეგობრობდა თანაკლასელი გოგონა ლია. ძალიან მოშხიბვლელი და ლამაზი იყო და არც თაყვანისმცემლები აკლდა. სულ ზეპირად ვიცოდით, რა დროს ვინ ეპრანჭებოდა, რას ეუბნებოდნენ და როგორ წერილებს სწერდნენ. ბევრი აბეზარიც გაგვლახავს მისი გულისთვის. ვატყობდი, რამაზს სხვანაირად უჩქროლდებოდა გული ლიას დანახვაზე. ერთი-ორჯერ ამის გამო ვეხუმრე კიდეც და კინაღამ მომკლა. ამიტომ პირში წყალი ჩავიგუბე. მეათე კლასში გამომიტყდა: მიყვარს და რა ვქნა, როგორ არ ვცადე გულიდან მის ამოგდებას, მაგრამ ვერ მოვახერხე. შეაგულიანე, — მიდი და უთხარი ყველაფერი, თუ არადა, მე მიგეგზავნები-მეთქი, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ამას ვერ გავაკეთებ, სიყვარულში ვერ გამოვუტყდები, რადგან ყველამ იცის, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, თანაც, ლიას ჩემი მეზობელი ვახო უყვარსო. მან მეც ამიკრძალა ლიასთან ამ თემაზე ლაპარაკი. შემეძლო, მის გარეშეც მემოქმედა, მაგრამ ლიას მართლაც სხვა უყვარდა. მე იმ ვახოსთანაც ვმეგობრობდი და რამაზისთვის ხელის შეწყობა არ გამოდიოდა. მე და რამაზმა ჯარიც ერთად მოვიარეთ. მთელი ორი წლის მანძილზე ლიაზე ვბოდებდა. მეცოდებოდა, მაგრამ რა მეწვა? როცა ჯარიდან დავბრუნდით, ლია გათხოვილი დაგვხვდა. მერე რამაზიც დაოჯახდა, მაგრამ პირველი ოჯახი მალევე დაინგრა. 32 წლისამ მეორედ შეირთო ცოლი და 6 წლის შემდეგ იმასაც გაშორდა. ამ ხნის მანძილზე კლასელებს (მათ შორის ლიასაც) არცთუ ისე იშვიათად გვჭირდა შეხვედრები... ნუთუ გენახათ, რა ბედნიერი იყო რამაზი, როცა ლიას დაინახავდა. გვიან გამომიტყდა: ჩემი პირადი ცხოვრება იმიტომ ვერ ავაწყე, რომ ლია მიყვარდაო. ძლივს ჩავაგონე, რომ რამენაირად მასზე ფიქრი თავიდან ამოეგდო. — ის ოჯახს არ დაანგრევს, თანაც, შენ ყოველთვის ძმად და მეგობრად მიაჩნდი. ამიტომ მესამედაც სცადე ბედი და შექმენი ოჯახი-მეთქი. დამიჯერა. ახლა მას ორი ვაჟი ჰყავს, ცოლი კარგი დიასახლისი აღმოჩნდა (მეორე ცოლთან გოგონა შეეძინა). ამ სამცოლგამოცვლილ და „წვრილშვილიან“ კაცს, გაგიკვირდებათ და ნამდვილი სიყვარულით (თვითონ ამბობს ამას) კვლავ ლია უყვარს. თურმე, კაცს თუ ერთხელ შეუყვარდა ქალი, მერე უჭირს მისი დავიწყება. აი, ასეთი უცნაურობებიც ახლავს ამ ამოუხსნელ გრძნობას (ნუ მიწყენთ, სახელები შეცვლილი მაქვს). თქვენი მუდმივი და ერთგული მკითხველი“. ●

„ყველა ითხოვს ცხოვრებას ეძებენ“...

წერილის — „ყველაფრის პატრუბა არ შეძლება“ მოქმედმა გმირმა მკითხველი ქალბატონების ალშფოთება გამოიწვია. მკითხველი ჟურნალის გამოსვლისთანავე გამოგვეხმაურა და თავისი მოსაზრება გაგვიზიარა



„ვეხმაურები ლიას! აფერუმ შენს ქალობას, რამდენი რამ გადაგიტანია. გასაგიჟებელი ამბავია; ნუთუ, ზურას სინდისმა საერთოდ არ შეახსენა თავი? ლია, მართლა ძლიერი ადამიანი ყოფილხარ, რომ ამდენ გაჭირვებას, დარდსა და პრობლემას გაუძელი და სულიერად არ დაეცი. ძალიან მომეწონა შენი გადაწყვეტილება, რომ ცხოვრება თავიდან დაიწყეო. ყველას აქვს ბედნიერების უფლება. მით უფრო, შენნაირ ადამიანებს. მიხარია, რომ იპოვე ადამიანი, რომლის გვერდითაც ბედნიერი ხარ. ღმერთმა გაგაძლიეროს და გაგახაროს შენს ირაკლისთან და შვილებთან ერთად. ელე, 24 წლის, ქუთაისიდან“.

„...ეჰ, ჩემო კარგებო, რამდენი ოჯახი დაინგრა კაცების უგერგილობისა და უსუსურობის გამო, ვინ მოთვლის?! მეც ერთ-ერთი ვარ, რომელსაც ქმარმა ყველაზე მძიმე პერიოდში მიღალატა და სხვასთან წავიდა. მაშინ მეგონა, რომ სიცოცხლე დამთავრდა... ლია, ვერ შევძელი შენსავით გავმკლავებოდი სირთულეებს. ჩემი გაუთავებელი დარდითა და ნერვიულობით, ჯანმრთელობა შემერყა და ახლა, დღე და ღამე გარეთ ვარ, რომ შვილებს საჭმელი, საკუთარ თავს კი — წამლები არ მოვაკლო... აღფრთოვანებული ვარ შენით. ბედნიერებას გისურვებ. ლალი, თბილისი“.

„იცით, რამდენი ქალია აქ წამოსული იმისთვის, რომ სამშობლოში მათმა ქმრებმა ვერაფერი შეძლეს? კაცების უმეტესობამ ტვირთის ზიდვა ვერ შეძლო და საზიდად ქალებს მიუგდო. თუმცა, უმცირესმა ნაწილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ცოლ-შვილს თავი უიმედოდ არ ეგრძნო. სამწუხაროა, მაგრამ ამ ფაქტს ვერ გავექცევით, კაცები იოლ ცხოვრებას ეძებენ ყოველთვის და როცა ცხოვრებაში რთული პერიოდი დგება, თავქუდმოგლეჯილები გარბიან. საბერძნეთშიც ბევრი გამოჰყვა თავის მეუღლეს და იმის ნაცვლად, რომ ემუშავათ, აქაც ცოლებს კისერზე დაასხდნენ. მართალია, ქალებისთვის მეტი სამუშაოა აქ, მაგრამ კაცმა ძალიან თუ მოინდომა, სამუშაოს აუცილებლად იშოვის. ძალიან კი ჩვენი მამაკაცები არასოდეს ირჯებიან და წუხდებიან. ლიას მთელი გულით და სულით ვგულშემატკივრობ და ბედნიერებას ვუსურვებ. მაია, 42 წლის, ათენი“.

„...ქმრის ღალატმა ჩემი მეზობელი გოგო საშინელ დღეში ჩააგდო. როცა თავის შეყვარებულს მშობლების უკითხავად გაჰყვა, დიდი აყალმაყალი ატყდა. გოგო შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ბიჭი კი მრავალშვილიანი ოჯახიდან გახლდათ. ქალიშვილს მშობლებმა გამოუცხადეს, იცოდე, როგორც უნდა გაგიჭირდეს, ჩვენ არ დაგეხმარებითო. იმ საწყალს კი ისე უყვარდა ის ბიჭი, რომ ყველანაირი გასაჭირისთვის მზად იყო. გოგონამ თავისი კეთილი ხასიათით მთელ სამეზობლოს შეგვაყვარა თავი. გავიდა დრო და მისმა ქმარმა ძალიან აუშვა. სვამდა, ჩხუბობდა, სულ რაღაცას ედავებოდა. ეტყობა, თვითონ რომ თავს ვერ აბამდა ცოლ-შვილის მოვლა-პატრონობას, მეუღლეზე მიჰქონდა იერიში. რადგან სიდედრ-სიმამრი არ ეხმარებოდა, დღე და ღამე მათ ლანძღვა-გინებაში იყო. ცოლი კი უთმენდა, რადგან უყვარდა. ერთხელაც, დაჰკრა ფეხი და ბათუმში გაიქცა ქალთან ერთად. თურმე იმას იქ პატარა ბარი ჰქონია და ალფონს სატრფოს აჭმევდა და აცმევდა. მან კი უდარდელად მიატოვა ცოლი და ორი შვილი, თან ცოლს შემოუთვალა, მე მანდ დამბრუნებელი აღარ ვარო. გოგომ ვერ გაუძლო ასეთ დამცირებას და თავი მოიკლა. ახლა მის შვილებს ბებია-ბაბუა (რა თქმა უნდა, დედის მხრიდან) ზრდის. სამი წელია ამ ტრაგიკული შემთხვევიდან გასული. ის სინდისდაკარგული კაცი ისევ ბათუმში, იმ მდიდარი ქალის კმაყოფაზე ცხოვრობს. თეკლა, 27 წლის, თბილისი“.

„ლია, ჩემო კარგო, მინდა შეგაქო შენი ამტანობისა და ძლიერი ნებისყოფისთვის. მიხარია, რომ შენი გზა მოძებნე. დარწმუნებული ვარ, რომ შენმა გაბედულმა ნაბიჯმა ზურა წელში გატეხა. ის ალბათ, ფიქრობდა, რომ გარკვეული დროის მერე (მით უმეტეს, როცა იმ მეორე ქალს გაშორდა) აპატიებდი და შეურიგდებოდი, მაგრამ შენ ეს არ გააკეთე. ღირსება ერთ-ერთი მთავარი რამაა. მართლაც, ყველაფრის პატიება არ შეიძლება. მანანა, რუსთავი“.

P.S. კვლავ ველით თქვენს გამოხმაურებებს და წერილებს. მოგვწერეთ თქვენი ცხოვრების შესახებაც. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ტელ: 899.27.25.61. ან ელფოსტაზე: mbabunashvili@mail.ru

ბექჰემის ფანტასტიკური საჯილდო ვიქტორია აღმოჩნდა

და ვრთსა და იმავე ბაღში ორჯერ დაბორიალებული ჭეშმარიტი

დევიდი და ვიქტორია

დევიდს მისი თითოეული გამოხედვა, უესტი, წარმოთქმული სიტყვა, თავის კეკლუცი რხევა ახსოვდა; „საფეხბურთო ტრუსი 5 სანტიმეტრით მოკლე რომ იყოს და ფეხბურთელები თამაშის დროს ასეთ გრძელ წინდებს რომ არ იცვამდნენ, ფეხბურთის თაყვანისმცემელი გავხდებოდი," — ამბობდა ვიქტორია. ერთხელ კი ის ტაიფუნივით შეიჭრა ფეხბურთელების გასახდელში, ბექჰემს ხელი გაუწოდა და ასე წარუდგა — „ვიქტორია". რამდენიმე წუთის შემდეგ, მძიმე მატჩით გადაღლილ „მანჩესტერის" ფეხბურთელებს თავისი მომხიბვლელი ღიმილით უხვად ასაჩუქრებდა. ის ბექჰემს მუდამ პატარა, მოუსვენარ ჩიტს აგონებდა, რომელსაც მცირედი რამ უხაროდა. დევიდი ქალს ანთებული და დაბნეული მზერით შესცქეროდა.

1997 წლის თებერვალი იდგა. ბექჰემის გუნდმა ახლახან „ჩელსიზე" გამარჯვება იზეიმა. დევიდის მიერ გატანილი გოლის გამო აღფრთოვანებული გულშემატკივრები სტადიონის ტრიბუნებს აზანზარებდნენ. ექსპერტებმა კი გამოთვალეს, რომ მოწინააღმდეგის კარში დარტყმული ბურთის სიჩქარე 97,9კმ/სთ გახლდათ. ეს მისი ტრიუმფი იყო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მის ცხოვრებაში ვიქტორია ადამსი.

გოგონა მეგობრის, ჯგუფ „სპაის გერლსის" წევრის, მელბის ძალისხმევით პირველად მოხვდა ფეხბურთის მატჩზე. წასვლა არ უნდოდა — „ჩემთვის გაცილებით საინტერესოა მაღაზიებში სიარული, ვიდრე იმის ყურება, როგორ დასდევს ბურთს, დანომრილი მამაკაცების ჯგრო" — ამბობდა ის, მაგრამ მეგობარი, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო, შეუვალი აღმოჩნდა და ვიქტორია წასვლაზე დაითანხმა. ვიქტორიას სტადიონის ტრიბუნაზე ყოფნა მართლაც მოეწონა. ყველაზე მეტად კი ქერა ფეხბურთელი, რომლის გამოჩენასაც გულშემატკივრები ტაშით ხვდებოდნენ. „როგორც კი ყველაფერი დამთავრდება, წავალთ და აუცილებლად გავიცნობთ მას", — განუცხადა ვიქტორიამ მეგობარს. „შენ არ იცნობ ბექჰემს, ის საუკეთესო მოთამაშეა", — ეუბნებოდა მელბი. „მიმიფურთხებია იმისთვის, თუ როგორი ფეხბურთელია, შენ ალბათ არ დაჰკვირვებიხარ, როგორი ფანტასტიკური საჯდომი აქვს", — უპასუხა ვიქტორიამ. მატჩის შემდეგ მელბის ნაცნობი მენეჯერი მოძებნა, რომლის მეშვეობითაც გოგონებმა ფეხბურთელების გასახდელში შეღწევა შეძლეს. ბექჰემი შეხვედრისთვის მზად არ იყო. ის იჭმუხნებოდა და გონზე მოსასვლელად შუბლს ხელით ისრესდა, რომ გაეღიმა. თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ იმ ფაქტს, რომ ვიქტორია მოეწონა, არ უარყოფდა.

ვიქტორია გასახდელში დიდხანს არ გაჩერებულა. მან ბექჰემს ერთად ვახშმობა შესთავაზა, გასახდელიდან გავიდა და ძვირფასი სუნამოს „ნაკვალევი" დატოვა. თანაგუნდელებმა დევიდს მხარზე ხელი მოუთათუნეს და შურით დასძინეს: „გაები, ძმაო?" გაება თუ არა ბექჰემი, ეს ცოტა მოგვიანებით გაირკვა.

დედოფალი და მწყემსი

„საკვირველია, რომ ნომერი ამ მაისურზეც არ გაწერია", — გაეხუმრა ვიქტორია, როცა ისინი ერთი კვირის შემდეგ ერთ პატარა კაფეში შეხვდნენ. ამჯერად ბექჰემმა მარაგში არსებული მთელი შარმი გამოიყენა. ცდილობდა, ეხუმრა და გალანტური ყოფილიყო. მიზნად ვიქტორიას მონადირება ჰქონდა დასახული. ამავე დროს, მას არ ტოვებდა აზრი, რომ ის და ვიკა სხვადასხვა პლანეტიდან მოსული ადამიანები იყვნენ. ისინი ხუმრობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად უმზერდნენ, მაგრამ ორივეს ეჩვენებოდა, რომ მათ შორის მინის ტიხარი იყო აღმართული. დევიდი უყურებდა გოგონას და ფიქრობდა, რომ მის შეხებას ვერასოდეს შეძლებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხვედრის მომენტში ბექჰემი

ინგლისისთვის ისეთივე საკრალური მოვლენა იყო, როგორიც პრინცესა დაიანა, ის თავის ვარსკვლავურ იმიჯს ვერ ეგუებოდა. მართალია, ცნობილი დიზაინერის შეკერილ კოსტიუმში იმდენი თანხის გადახდა შეეძლო, რაც მის მშობლებს მთელი თვის განმავლობაში ეყოფოდათ და ყველგან თანამდევ პაპარაცებსა და ფანებსაც უკვე შეეგუა, მაგრამ თავს მუდამ უხერხულად გრძნობდა. ვიქტორიასთვის კი ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ცხოვრებისეული რუტინა გახლდათ, რომელსაც ბავშვობიდან იყო შეჩვეული. ფუფუნება მისთვის ჰაერივით იყო, რომლის არსებობასაც ვერ გრძნობდა და რომლის გარეშეც სიცოცხლე არ შეეძლო. გოგონა ძალზე მდიდარ ოჯახში აღიზარდა და მამასთან, წარმატებულ ბიზნესმენთან კონფლიქტის ერთადერთი მიზეზი ის „როლს-როისი“ იყო, რომლითაც გოგონა სკოლაში დაჰყავდათ.

თანაკლასელები „პრინცესას“ ეძახდნენ იმის გამო, რომ ადამსების ოჯახის მებაღე წინათ ბუკინგემის სასახლეში მსახურობდა. ამას კი უზარმაზარი მანქანა და პირადი მძღოლიც ემატებოდა. ვიქტორიამ ფულის ხარჯვას გემო ადრეულ ასაკში გაუგო და ამას ყოველთვის დიდი სიამოვნებით აკეთებდა.

ცოტა რომ წამოიზარდა, გოგონას სიმდიდრის კომპლექსი მოეხსნა. სკოლის დამთავრებამდე მას ბონდ-სტრიტზე, ყველა ბუტიკში სცნობდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისი ერთადერთ პრობლემა მოწყენილობა იყო, რადგან მაღაზიებში სიარული ჩვევად გადაექცა და ძალიან მოსაწყენ საქმედ ეჩვენებოდა.



თეატრალური კოლეჯის მესამე კურსზე სწავლისას ვიქტორიამ ერთ-ერთ ჟურნალში გოგონათა მოდურ ჯგუფში, თავისუფალ ადგილზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ წაიკითხა. „რატომ არ უნდა მოვსინჯო?“ — უთხრა ვიქტორიამ სარკეში საკუთარ გამოსახულებას და შესაფერისი ტანისამოსის შერჩევას შეუდგა. ჯგუფის პროდიუსერს ან მისი „დოლჩე და გაბანას“ კოსტიუმი მოუვიდა თვალში, ან მასზე ნიჭიერი ვერავინ ნახა და გოგონა ჯგუფში აიყვანა. ამის შემდეგ ვიქტორიამ ცხოვრება განაგრძო დევიზით: „ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა არმანის თეთრ კოსტიუმზე წითელ ღვინოს გადაისხამ“. ვიდრე ვიქტორია სიმდიდრეში ცხოვრობდა და მამამისის სახლის, ტანსაცმლით გამოტენილ, ერთ დიდ ბუტიკად გადაქცევას ლამობდა, დევიდ ბექჰემი თავის ერთადერთ გატაცებას — ფეხბურთს მისდევდა და დახელოვნებას ცდილობდა. მამამისი, პროფესიით ინჟინერი, მთელ თავის დროსა და ფინანსებს მის წვრთნაზე ხარჯავდა და შვებით მხოლოდ მას შემდეგ ამოისუნთქა, როდესაც თავისი 10 წლის ვაჟი, ბოლოს და ბოლოს, პროფესიონალ ფეხბურთის მწვრთნელებს ჩააბარა. ის მალე ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა, საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და ჯილდო „მანჩესტერ იუნაიტედის“ საშინაო სტადიონზე გადასცეს. პრიზებს შორის, „მანჩესტერის“ ფორმაც იყო და ბექჰემმა სწორედ მაშინ დაისახა მიზნად, რომ ამ გუნდის წევრი გახდებოდა. ეს ოცნება აიხდინა კიდეც და სწორედ თავისი წარმატების მწვერვალზე შეხვდა ქალს, რომელმაც მისი ცხოვრება შეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ საერთო არაფერი ჰქონდათ. თუმცა, ამ ქალმა მისი დარწმუნება შეძლო, რომ მათ ერთად ყოფნას აზრი ჰქონდა. მალე შეყვარებულებმა ნიშნობის შესახებ მსოფლიოს ამცნეს. ამ ამბავმა ბექჰემისა და ადამსის ფანებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მათ ერთდროულად, შეიძულეს და უფრო მეტად შეიყვარეს თავიანთი კერპები. შეიძულეს 300 ათას დოლარად შეფასებული ნიშნობის ბეჭდის გამო, რომელიც ბექჰემმა საცოლეს აჩუქა, სუნამოს, ბრილიანტებით მოოჭვილი, ბროლის ფლაკონის გამო, რომელიც ვიქტორიამ ქმარს აჩუქა, იმ ოქროს გვირგვინის გამო, რომელიც ქორწილის დღეს ბექჰემმა ცოლს თავზე დაადგა, გაზეთებში გამოქვეყნებული, მათი ბედნიერების ამსახველი ფოტოებისა და სიყვარულის გამო. თუმცა, სიყვარულითაც სწორედ ამის გამო შეიყვარეს უფრო მეტად.



მწარე წინაა

პირველ შვილზე ორსულობის შემდეგ ვიქტორია შოუბიზნესს ცოტა ხნით ჩამოშორდა, მაგრამ როდესაც იგრძნო, რომ ახალი

ალბომის ჩასაწერად მზად იყო, დევიდს განუცხადა, რომ ლოს-ანჯელესში მიდიოდა დროებით, ვიდრე ახალ ალბომზე მუშაობას არ დაასრულებდა. ქმარი მის წინადადებას უსიტყვოდ დათანხმდა. ერთ დილით, როდესაც ვიქტორიამ სახლის კარი გაიხურა, დევიდი საწოლიდან წამოდგა, შვილი — ბრუკლინი გააღვიძა, მასთან ერთად ისაუზმა და ტელევიზორს მიუჯდა. ამასობაში ძიძაც მოვიდა და დევიდი დიდი ხნის უნახავი მეგობრის სანახავად გაემართა, რომელსაც შეხვედრა ჯერ კიდევ წინადღეს დაუნიშნა. ის იყო, მეგობრები რესტორანში მაგიდას მიუსხდნენ და ერთმანეთი მოიკითხეს, რომ დევიდის ტელეფონმა დარეკა. „ძაღლიშვილო, სად დაეთრევი?“ — ყვიროდა ვიქტორია. „შენ ფიქრობ, რომ ოჯახში ისე დიდ დროს ატარებ, რომ შეგიძლია, ბავშვი ძიძას დაუტოვო და ჯანდაბაში წახვიდე?“ დევიდის მცდელობამ, ცოლი დაემშვიდებინა, შედეგი არ გამოიღო. ეცადა, გაბრაზება არ შესტყობოდა, მეგობარს ნაჩქარევად დაემშვიდობა და შინისკენ გასწია. იქ კი მხოლოდ ძიძა დახვდა, რომელმაც აუწყა, რომ ვიქტორიამ ბავშვი წაიყვანა და დედასთან წავიდა. დევიდი მთელი საღამო ჯიუტად ცდილობდა ცოლთან დაკავშირებას, მაგრამ ტელეფონი ან დაკავებული იყო, ან — გამორთული. მეორე დილით დევიდმა ახალი გაზეთები გადაშალა, სადაც წინა გვერდებზე გამოჭიმული სათაურები იუწყებოდა, რომ „ბექჰემმა ოჯახს ფეხბურთი ამჯობინა“ და „ვიქტორია განქორწინებას მოითხოვს“. დევიდმა წყენა გადაყლაპა და სიდედრის სახლისკენ გაემართა. ვიქტორია ლოგინზე დამხობილიყო და ხმამაღლა ქვითინებდა. ბექჰემმა მისი დატუქსვა გადაიფიქრა და მოეფერა. „მაპატიე, ვიცი, რომ არასწორად მოვიქეცი. გპირდები, რომ გამოვსწორდები“, — ცრემლებს ყლაპავდა ვიქტორია და ქმარს ეხუტებოდა.

ვარსკვლავი თუ დიასახლისი?

მეორე ვაჟის დაბადებამ ისინი ვერ დააახლოვა. სამაგიეროდ, ვიქტორია უფრო მოშინაურდა. ის საათობით იჯდა ტელევიზორთან და ვარჯიშზე წასულ ქმარს ელოდა. თან ყოველ 20 წუთში ერთხელ ურეკავდა. სურდა დარწმუნებულიყო, რომ ის აუცილებლად შინ დაბრუნდებოდა და მეგობრებთან ერთად ლუდის ბარში არ წავიდოდა. როგორც კი კართან დევიდის ფეხის ხმას გაიგონებდა, მაშინვე მიეგებებოდა და ქმარს ბავშვივით


ვიქტორია შვილებთან ერთად

კისერზე ეკიდებოდა. ელიტური ქალიდან ის ნელ-ნელა დიასახლისად, მზრუნველ დედად და მეუღლედ გადაიქცა. სტუდიაში მუშაობისა თუ შოპინგის დროს, ოჯახზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. დევიდმა კი მასში უამრავი, აქამდე მისთვის უცნობი თვისება აღმოაჩინა. „პატარავ, შენ ხომ ასეთი არასოდეს ყოფილხარ, ყოველთვის ძლიერი და თავდაჯერებული იყავი. მე ხომ ასე მიყვარხარ და ნუთუ ეს საკმარისი არაა ბედნიერებისთვის?“ — ხშირად ეუბნებოდა ის ცოლს. ასეთ დროს ვიქტორია ჩუმდებოდა და სახეს ქმრის მკერდში მალავდა.

ბექჰემი სერიოზულად იყო შეშფოთებული ცოლის ასეთი სენტიმენტალური ქცევით. ის იხსენებდა იმ პატარა ტაიფუნს, რომელიც მოულოდნელად მოვარდებოდა და წალეკვას უქადდა ხოლმე, იმ მხიარულ, სიცოცხლით სავსე გოგონას, რომელიც მუდამ იცინოდა და ცხოვრება მაღაზიებში სიარულისა და მოდური საღამოების გარეშე ვერ წარმოედგინა და შიში იპყრობდა იმის გამო, რომ ის ქალი, რომელსაც იცნობდა, აღარ არსებობდა. ფიქრობდა, რომ ვიქტორიას დრო სჭირდებოდა და მალე ისევ ისეთ ქალად გადაიქცეოდა, როგორიც დევიდმა შეიყვარა. თავში ათასგვარი აზრი უტრიალებდა და უფრო ხშირად ახსენდებოდა მშობლები, რომლებიც 30-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ.



„შენი ცოლი ბოზია“

ზარი გვიან საღამოს გაისმა. ამ დროს ვიქტორია შვილებს აძინებდა და ყურმილი ბექჰემმა აიღო. „უკაცრავად, სერ, სკოტლანდ-იარდიდან გაწუხებთ. სასწრაფოდ უნდა მოხვიდეთ, ვინაიდან საქმე ვერ მოიცდის“ — ხმა, რომელიც ყურმილში ისმოდა, ძალიან სერიოზული გახ-



ლდათ. დევიდი განყოფილებაში ნახევარ საათში მივიდა. შემდეგი ერთი საათის განმავლობაში მას კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ პოლიციელს უსმენდა და გრძნობდა, ოფლისგან დასველებული პერანგი ზურგზე როგორ ეკვროდა, ხელები როგორ უცახცახებდა, დაძაბულობისგან მხრებიც ასტკივდა. პოლიციელის ნათქვამი დაუჯერებლად ეჩვენებოდა და ფიქრობდა, რომ სადაცაა, გონს დაკარგავდა. იქიდან წამოსული, ფეხებს ძლივს მიათრევდა. მანქანაში ჩაჯდა და სახლისკენ გაემართა. ყურში კი პოლიციელის მიერ ნათქვამი ფრაზები ჩაესმოდა: „ალბანური დაჯგუფება“, „თქვენი მეუღლისა და შვილების მოტაცება იყო დაგეგმილი“, „გამოსასყიდი — 7 მილიონი დოლარი“, „საბედნიეროდ, დანაშაულის გახსნა დროულად მოხერხდა“...

მეორე დღეს დევიდმა ბრძანება გასცა, რომ სახლში დაცვა დაეყენებინათ და გარშემო, მთელ პერიმეტრზე შეიარაღებულ პოლიციელებს ემოძრავათ. მან გადაწყვიტა, რომ ვიქტორია და ბავშვები დროებით ვიკის ოჯახში გადასულიყვნენ, ვიდრე მათი სახლი ციხესიმაგრედ არ გადაიქცეოდა. მუდმივად ახსენდებოდა მუქარით სავსე წერილები, რომლებსაც ხშირად იღებდა. „შენი ცოლი ბოზია, შენი შვილი კი კიბოთი მოკვდება“, სწერდნენ მას. ის თავს დაუცველად გრძნობდა და ფიქრობდა, რომ ოჯახის დაცვა არ შეეძლო.

ვიქტორია ამ ყველაფერს უფრო მომზადებული შეხვდა და პანიკა არ აუტეხავს. მასში იმედმა და დევიდის მიმართ ძლიერმა სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა. ამიტომ, როდესაც ბექჰემმა უთხრა, რომ ცოტა ხნით მარტო დარჩენა უნდოდა, არ შესწინააღმდეგებია — „როგორც შენ იტყვი, ძვირფასო, ჩვენ დაგელოდებით“, — უთხრა დევიდს და უფლება მისცა, დროებით სასტუმროში ეცხოვრა.

ბექჰემი ვარჯიშს გულს ვეღარ უდებდა, სასტუმროს ნომერში გამოკეტილი ბოლთას სცემდა. მილიონობით ადამიანის კერპი თავს მარტოსულად გრძნობდა და თავს უფლებას არ აძლევდა, რომ ამის შესახებ ვინმესთვის ეთქვა. უეცრად აღმოაჩინა, რომ ამ დრომდე საკუთარ თავზე ეგოისტურად შეყვარებული, პატარა ბიჭივით იქცეოდა. ვიქტორია კი მასზე ადრე გაიზარდა და გააცნობიერა, რომ არ შეიძლება, გყავდეს ოჯახი და თავს ბავშვად მიიჩნევდე. მიხვდა, რომ ქალი, რომლადაც ენატრებოდა ვიქტორია გადაიქცა, ყველაზე მეტად უყვარდა. სწორედ ისეთი, როგორიც ახლა იყო და არა — პრიალა ჟურნალის ყდიდან გადმოსული, მოდური და მხიარული, რომლისთვისაც ყველაზე დიდი უბედურება — არმანის თეთრ კოსტიუმზე დაღვრილი წითელი ღვინო გახლდათ. მან ისიც გააცნობიერა, რომ ვიქტორიას გულის მონადირება ხელახლა მოუწევდა.

3 დღის დუმილისა და განმარტოების შემდეგ მან ცოლს დაურეკა და სთხოვა, სავარჯიშო ბაზაში მისულიყო. შენობაში მათ გარდა არავინ იყო. დერეფანში სიჩუმე სუფევდა და ვიქტორიას ქუსლების კაკუნი ექოს გამოსცემდა. ერთმანეთის პირისპირ გაჩერდნენ. დევიდი მის წინ, ცალ მუხლზე, უხმოდ დაეშვა, ხელი ხელში ჩაავლო და ხრინწიანი ხმით ამოთქვა: „ჩემო საყვარელო გოგო, შენ ერთადერთი, ყველაზე ძვირფასი ადამიანი ხარ ჩემთვის. შენ და ჩვენი შვილები... საკმარისია, წარმოვიდგინო, რომ დაგკარგეთ და შესაძლოა, ჭკუიდან გადავიდე. არ მეგონა, ასეთი ძვირფასი და ასეთი განსხვავებული თუ იყავი“. ლაპარაკისას სიტყვებს თავს ძლივს უყრიდა, ბოლოს კი ღრმად ამოიოხრა, თითქოს ყინულიან წყალში ჩასახტომად ემზადებაო. ამოსუნთქვისას კი წარმოთქვა: „ვიქტორია ადამსო, ცოლად გამომყევი!“ ვიკის თვალებში ცრემლი გაუბრწყინდა. ის ქმრის გვერდით, მუხლებზე დაეშვა, კისერზე მოეხვია და ჩასჩურჩულა: „დიახ, ძვირფასო, თანახმა ვარ“...

●

მოკლე ჩართვა

რა უპირატესობა აქვს უცოლობას?

• ყველაფერში ძაღლის ბედი მამაკაცებს აქვთ. უცოლოები დაგრიალებენ და არანაირ სიამოვნებას არ იკლებენ, ცოლები რომ მოშყავთ, აი, „გულაობა“ მაშინაა. მოკლედ, არავითარი განსხვავება. გრუზინკა.

• ის უპირატესობა გვაქვს, რომ თამამად შემიძლია სიყვარული აგიხსნა, დედოფალო მარი. მგზავრი.

• რა უპირატესობა აქვს უცოლობას და კაცები დატყლაშუნებენ თავის გემოზე. ცოლი რომ ჰყავთ, მაშინ „დატორმუზებას“ მაინც ცდილობენ. ჭრიჭინა.

• უცოლო კაცი არასდროს ხარჯავს ფულს უთავბოლოდ, სამკაულებსა და კოსმეტიკაში. ანკი რა საჭიროა ეს სისულელე, როცა შეუძლია, უცოლობით დაზოგილი ფული უთავბოლოდ ხარჯოს რესტორნებსა და ქალებში. იკუშკები.

• ის უპირატესობა აქვს, რომ რასაც მინდა, იმას ვაკეთებ, თავისუფალი ვარ, ქარივით. შეიძლება 3 დღე ისე გავიდეს, სახლში არ მივიდე. ფელამუშა.

●

პრემია

ანას ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა, მაგრამ ამის შესახებ რამდენიმე კვირის შემდეგ შეიტყობთ. მანამდე კი ამბის გაგრძელებას იმ მომენტიდან შემოგთავაზებთ, როდესაც ანასთან მისული გაბო ქალმა კაბინეტში ჩაკეტა, ალენა „მოიტაცა“ და გაურკვეველი მიმართულებით — „იქ, სადაც მგლები ყმუიან“, გაემგზავრა.

დასაწყისი — „გზა“, №11-29

მარი ჯაფარიძე

— სადაც მგლები ყმუიან, იქ მისვლას ბევრი დრო სჭირდება? — მკითხა ალენამ და ჩაიცინა.

— არც ისე, 15 წუთში იქ ვიქნებით.

— ე.ი, გამოდის, რომ იქ შინაური მგლები ყმუიან, არა? აბა, ასე ახლოს გარეულ მგელს რა უნდა?

— შენი განცხადება რას ნიშნავს? — სიტყვა ბანზე ავუგდე.

— იმას, რომ სამსახურიდან წასვლას ვითხოვ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენ ფიქრობ, მე შენთან ურთიერთობა კარიერისთვის მჭირდება.

— მერე რა? ვიფიქრო, ამის გულისთვის სამსახურს კარგავ? სხვა ადგილის შოვნა გაგიჭირდება, — ნათქვამი ცოტა ირონიულად გამომივიდა.

— თუ ფიქრობ, რომ ამათ „საცოდავ“ 350 ლარზე ვარ დამოკიდებული და თუ სამსახური დავკარგე, მშიერი მოვკვდები, ძალიან ცდები. არც კარიერა მაინტერესებს და არც ეს სამსახური. ადამიანი სახელმწიფო სამსახურში წარმატების მიღწევას იმიტომ ცდილობს, რომ თავისი შემოსავალი გაზარდოს. მე ეს არ მაინტერესებს, ისევე, როგორც შენ.

— ტელეფონზე სასიყვარულო მესიჯებს შენ მიგზავნი? — ისევ შევცვალე თემა.

— არა, — მოკლედ მიპასუხა.

ამასობაში სათბურს მივუახლოვდით. გზიდან გადავუხვიე თუ არა, წალკოტში აღმოვჩნდით. უამრავი ყვავილი ყვაოდა და ჰაერში მათი სურნელი ტრიალებდა. ახლა ვიგრძენი, რომ აქაურობა მომნატრებოდა.

— რა ლამაზია, ეს შენი სამფლობელოა?

— დიახ, ჩემი სამფლობელოა, — ვუპასუხე ალენას და იქურობას თვალი ამაყად მოვავლე.

ნინო ეზოში დამხვდა. გადამკოცნა და ალენა ინტერესით შეათვალიერა. ერთმანეთი წარვუდგინე და ალენას თავით ვანიშნე, გამომყევი-მეთქი. იქით გავუძეხი, სადაც სხვადასხვა ჯიშის ვარდი ერთმანეთს მშვენიერებაში ეჯიბრება.

— ამ სილამაზის პატრონს, ვინმემ ყვავილები რომ მოგართვას, სასაცილოდ არ გეყოფა, ალბათ.

— რატომ გგონია ასე? წარმოიდგინე, რომ ბევრი შვილი გყავს და სტუმრად ბავშვიანი ოჯახი მოვიდა. გაგეცინება?

— ვინაიდან შვილი არ მყავს, ამიტომ, არ ვიცი, როგორი რეაქცია მექნება.

— ჰოდა, ძალიან ცუდი, რომ არ გყავს. შენს ასაკში ზოგიერთს უკვე შვილიშვილიც კი ჰყავს.

— მტკივნეულ ადგილზე ფეხს ნუ მაჭერ. ისე, შენს ასაკში ქალს კიდევ შეუძლია შვილის გაჩენა?

— რა თქმა უნდა, შეუძლია, შენ მე ბებერი გგონივარ? — გავცხარდი.

— ჰოდა, ერთი შენნაირი ლამაზი გოგო და ჩემსავით ჭკვიანი ბიჭი შენზეა.

— მე შვილი უკვე მყავს, შენ იფიქრე, — სიტყვა ბანზე ავუგდე, ვითომ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, — ისე, შენს ასაკში მამაკაცებს ბავშვის „გაკეთება“ კიდევ შეუძლიათ?

— შენ დამთანხმდი და თუ არ შეუძლიათ, გაჩვენებ, — უცებ მომახალა.

— რაზე დაგთანხმდე? — მისკენ მივბრუნდი და დოინჯი შემოვირტყი.

— ცოლობაზე.

— გაგიჟდი? — ჩემი გაოცება გულწრფელი იყო.

— რატომ გავგიჟდი? — ალენამ ცალ მუხლზე დაიჩოქა — მე, სრულიად საღ გონებაზე მყოფი, შენზე შეყვარებული ალენა, მაპატიე, ნიკოლოზ გიგაური, ამ ვარდების ტყეში, ცალ მუხლზე დაჩოქილი გთხოვ, რომ ცოლად გამომყვე.

— გეყოფა ხუმრობა და ადექი, — თავი ასე უხერხულად არასოდეს მიგრძნია. ალენა წამოდგა.

— და როგორია შენი პასუხი?

— მე უმუშევარი ქმარი არ მჭირდება, — ისევ ხუმრობა ვცადე, — შენ ხომ დღეიდან უმუშევარი ხარ?

— მე არ გეხუმრები, ანა, სრული სერიოზულობით გთავაზობ, რომ ცოლად გამომყვე. რაც შეეხება ჩემს უმუშევრობას, აქ დამასაქმე მებაღედ ან ყვავილების მომრწყველად. ერთგულად გემსახურები... — თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

— კარგი, ამ თემას სხვა დროს მივუბრუნდეთ. ახლა დანარჩენ ყვავილებს გაჩვენებ და მერე სამსახურში წავიდეთ. კაბინეტში ტყვე მყავს და უნდა გავათავისუფლო.

— ტყვე? ვინ არის?

— რომ მივალთ, გაგაცნობ.

მომდევნო 1 საათის განმავლობაში მთელი სათბური მოვიარეთ, შემდეგ ნინომ ყავაზე დაგვპატიჟა და იქაური საქმის კურსში ჩამაყენა.

უკან ისე დავბრუნდით, გზაში არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ჩვენ-ჩვენს საფიქრალს ჩავღრმავებოდით. მე ალენასა და მის ნათქვამზე ვფიქრობდი. მისი წინადადება ძალზე მოულოდნელი იყო. ბოლომდე არც მჯეროდა, რომ ეს სიმართლე იყო და არ ხუმრობდა. ის რაზე ფიქრობდა, არ ვიცი.

კაბინეტის კარი შევაღე თუ არა, გაბო ფეხზე წამოხტა.

— სად იყავი, ამდენი ხნით რატომ გამომკეტე, გოგო? — სიბრაზისგან ხმა უკანკალებდა.

— საქმეზე ვიყავი, — მშვიდად ვუპასუხე და სავარძელში ჩავეშვი.

— კი, მაგრამ ამდენი ხნით თუ მიდიოდი, ხომ უნდა გეთქვა?

— რა საჭირო იყო წინასწარ თქმა? ხომ ხედავ, დავბრუნდი, შენ კი ამასობაში საიმისო დრო გქონდა, რომ გეფიქრა და მიმხვდარიყავი, სხვა დროს გიღირს თუ არა აქ მოსვლა.

— ნამდვილი გიჟი ხარ, არანორმალური.

— შეიძლება, ქალბატონო ანა? — კარი ალენამ შემოაღო. როგორც ჩანს, გულმა არ მოუთმინა.

— მოდი, გაიცანი, ეს მისტერ გაბო გახლავთ, უფრო სწორად, გაბრიელი. ჩემი ძველი, ფრონტელი მეგობარი.

მამაკაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ქალბატონო ანა, ჩემს განცხადებას ხელი მოაწერეთ?

— აა, სულ დამავიწყდა. არა, არ მოვაწერე, — უჯრიდან მისი განცხადება ამოვიღე და გავუწოდე, — ეს წაიღეთ, თვალი კიდევ ერთხელ გადაავლეთ და დაფიქრდით, სწორად მოიქეცით თუ არა. გამოსასწორებლად კი ერთ კვირას გაძლევთ. ხუთ წუთში გავთავისუფლდები და თათბირი მოიწვიეთ, — დავამატე ბოლოს. ალენა გავიდა.

— გამოდის, მაგდებთ, არა? — ჩაიცინა გაბომ.

— ჰო, სამწუხაროდ, ასე გამოდის, რადგან ძალიან დაკავებული ვარ და სტუმრის მისაღებად დრო არ მაქვს.

— კარგი, რა გაეწყობა, დიდად მოხიბლული ვარ თქვენი სტუმართმოყვარეობით და აუცილებლად კვლავ შემოგივლით კიდევ, რათა კიდევ ერთხელ მომანიჭოთ თქვენს კაბინეტთან ურთიერთობის სიამოვნება.

— როგორც გინდათ, — მხრები ავიჩეჩე, წამოვდექი და კარისკენ გავუძეხი.

გაბო გაბრაზებული წავიდა, მე კი კარი გავიხურე და სალომესთან, სკოლაში გავეშურე.

სალო სკოლის გარეთ მელოდა. მანქანა რომ დაინახა, გამოიქცა და ჩემ გვერდით მოკალათდა.

— მზია მეუბნებოდა, არ მოვაო, მე კი ვუთხარი, აუცილებლად მოვა, დილით ეჟვანი შევაბი-მეთქი.

— სალო, სად გინდა დასასვენებლად წასვლა? ერთ კვირაში სკოლიდან დაგითხოვენ.

— სადაც შენ გინდა, დე! თუ გინდა, ბათუმში წავიდეთ.

— ბათუმში არა, მინდა, უცხოეთში წახვიდე დასასვენებლად. უკვე დიდი გოგო ხარ და სხვადასხვა ქვეყანა უნდა ნახო. მერე, სადაც მოგეწონება, სასწავლებლად იქ გაგიშვებ.

— შენც წამოხვალ? — შუბლი შეიჭმუხნა სალომ.

— არა, შენ და მზია წახვალთ, თუ მოინდომებს, მამაშენიც.

— დედა, მამამ მზია ცოლად რომ მოიყვანოს, შენ გაბრაზდები?

— არა, არ გავბრაზდები. მე რომ გავთხოვდე, შენ გაბრაზდები? — როგორც იქნა, ჩამოვაგდე მასთან ამ საკითხზე ლაპარაკი და კითხვა შევუბრუნე.

ბავშვი ცოტა ხანს დუმდა. ხელით კაბის ბოლოს აწვალებდა.

— გიყვარს? — მკითხა შემდეგ.

— ჯერ არ ვიცი, ჯერ გრძნობებში გარკვეული არ ვარ, — ვუპასუხე და გავწითლდი. არ მეგონა, ოდესმე ბავშვის წინაშე ასე უხერხულად თუ ვიგრძნობდი თავს, — თუნდაც მიყვარდეს, შენ თუ არ გენდომება, არ გავთხოვდები.

— კარგად დაფიქრდი, დე, თუ არ გიყვარს, არ გაჰყვე ცოლად, ხომ იცი, ოჯახს ვერ შეინარჩუნებ. მამა ხომ გიყვარდა და მაინც გაებუტეთ ერთმანეთს, — დიდი ქალივით მსჯელობდა ჩემი გოგონა.

— შენი ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ გათხოვების უფლებას მაძლევ?

— ჰო, — თავი დააქნია, — მერე, სხვა შვილები კიდევ გეყოლება?

— არ ვიცი, — თავი დავიზღვიე, ყოველი შემთხვევისთვის, — გინდა, რომ და ან ძმა გყავდეს?

— და მინდა, მაგრამ მე ისევ ისე გეყვარები, როგორც ახლა გიყვარვარ?

— რა თქმა უნდა, სულელო, შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ხარ, ეს დაიმახსოვრე და არასოდეს შეგეპაროს ეჭვი. თანაც, ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ, უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა და შენი აზრი ვიკითხე.

— თუ გადაწყვეტ, ისეთ კაცს გაჰყევი, მეც რომ შევუყვარდე, კარგი?

— კარგი, გინდა, ნაყინის ტორტი ვჭამოთ? — პირობა მივეცი და ლაპარაკი სხვა თემაზე გადავიტანე.

— მინდა, მინდა, საზღვარგარეთ წასვლაც მინდა და ისიც ვიცი, სწავლის გაგრძელება სად მინდა.

— სად?

— სად და — ინგლისში.

— კარგი, მოვილაპარაკეთ, მაშინ ამ ზაფხულს სამოგზაუროდ ინგლისში წადი, იქნებ იქაურობა არ მოგეწონოს?! კარგად დაათვალიერე, შეისწავლე და რომ დაბრუნდები, დანარჩენზე მერე მოვილაპარაკოთ, კარგი?

— კარგი, — მითხრა და მკლავზე მაკოცა.

ამ დროს ალენამ დარეკა.

— სად ვარ და ბავშვს შევპირდი, რომ ნაყინის ტორტი უნდა ვაჭამო. პირობას შევასრულებ და მერე სამსახურში დავბრუნდები.

— უჩემოდ არ წახვიდეთ, სადმე დამელოდეთ, ახლავე გამოვვარდები და მე დაგპატიჟებთ, — მითხრა ალენამ და შეხვედრის ადგილი დაგვინიშნა.

— ის არის? — მკითხა შეთქმულივით სალომ.

თავი ისე დავაქნიე, რომ არც ჰოს ნიშნავდა და არც — არას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

აგრესია და მისი ჩახშობის მეთოდები

„გრაფო, მინდა, ჩემი სიტუაცია გაგაცნოთ. ჩემი ქმარი ისეთი აგრესიულია, რომ საღამოს, როცა მისი შინ დაბრუნების დრო მოდის, გაქცევის სურვილი მიჩნდება. შემოსვლისთანავე იწყებს მწარე სიტყვების სროლას — „რა იყო, ქალო, არ მელოდი?“ „რა გვაქვს ვახშმად?“ „დროზე მოიტანე!“ „დროზე-მეთქი, არ გესმის?“ — და მთელი საღამო ასე გრძელდება. დილით უხეშად მაღვიძებს, ხელს მთელი ძალით გამკრავს და მეტყვის: „ადექი, ქალო, ჩაი დამალევინე“... სექსის დროსაც კი აგრესიულია. მეც აგრესიით ვპასუხობ და მერე საშინლად ვჩხუბობთ. დღეს კი „მარშრუტკით“ მგზავრობისას, გაჩერებას რომ მივუახლოვდი, ფეხზე მდგომ ქალბატონს ვკითხე, ხომ არ ჩადიხართ-მეთქი? ისეთი თვალებით შემომხედა, ლამის ადგილზე გამაქვავა. მერე მოჰყვა ლექციას იმის შესახებ, რომ ქვეყანა სავსეა არაფრის მაქნისი ადამიანებით, რომლებსაც უაზრო კითხვების დასმის მეტი არაფერი ეხერხებათ და ა.შ. ამას მხოლოდ მე კი არა, სხვებიც ისმენდნენ. ვერ გავიგე, რა უნდოდა ამ ქალს ჩემგან? გრაფო, იქნებ ამიხსნათ და ისიც მასწავლოთ, როგორ მოვექცე ქმარს, რომ ასეთი აგრესიული აღარ იყოს. პატივისცემით, ნანა“.

გრაფი თარხანი

ნანა, პირველ რიგში გეტყვით, რომ იმ ქალს თქვენგან არაფერი უნდოდა. უბრალოდ, ბოღმა ჰქონდა დაგროვილი და მისი გადმონთხევა სურდა. როგორც კი ვიღაც გამოელაპარაკა, მაშინვე ის თქვა, რაზეც ფიქრობდა.

რა შეიძლება იყოს აგრესიის მიზეზი?

1. რომელიმე დაავადება.

2. ჰორმონალური დისბალანსი.

3. გარემო ფაქტორები, იგივე სოციუმი.

აგრესია საკმაოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით დღევანდელ რეალობაში, რადგან ადამიანები ცდილობენ, ცხოვრების სწრაფი ტემპი შეინარჩუნონ და საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ტოვებენ. თუკი აგრესიას თავად გამოავლენ, გრძნობ, თითქოს რაღაც ძალა გმართავს, რომელსაც ნეგატიური ემოციები მოაქვს.

მაგრამ ერთი დილემა არსებობს: თუ აგრესიას შენში ჩაახშობ, მაშინ ის რომელიმე დაავადებას გამოიწვევს და ისე გამოვლინდება. ხოლო თუ არ ჩაახშობ და გზას მისცემ, ამას შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყვეს.



თავდაპირველად იმის შესახებ ვიმსჯელოთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ, როცა აგრესიის მსხვერპლი ხდებით.

1. სწორედ იმ მომენტში, როცა ვიღაცის აგრესიის ქვეშ ექცევით, სურვილი გიჩნდებათ, თქვენც ისევე მოექცეთ. სარკესავით ირეკლავთ სხვის ნეგატიურ ემოციას. და რა გამოვა ამით? ოჯახში გატარებული, მშვიდი საღამოს ნაცვლად, განწყობილება გაგიფუჭდებათ და შინ გაჩერებაც აღარ მოგინდებათ. ასეთ დროს, ეცადეთ, სიტუაციას გარედან, სხვა თვალით შეხედოთ, ობიექტურად შეაფასოთ და თუ ჩხუბისთვის საფუძველი არ არსებობს, აგრესორი „დააიგნოროთ“.

2. ზოგიერთი ადამიანი ასეთ დროს ქვავდება, გული უჩერდება და ენა უვარდება. ასეთ დროს, სასწრაფოდ აზრი უნდა მოიკრიბო და სიტუაციის შეფასება კვლავ გარედან, ობიექტურად მოახდინო, ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში. უნდა გახსოვდეთ, რომ აგრესიული ადამიანი თავს ძალზე ცუდად გრძნობს. აგრესიის გამოვლინება კი ერთგვარი ძახილია, რომლითაც შველას გთხოვს. ის ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სამყაროში ყველაფერი აგრესიულია, დეპრესიას და თავდაუჯერებლობას განიცდიან. ამიტომ, შესაძლებლობისთანავე ასეთ ადამიანს უნდა დაეხმაროთ.

როგორ უნდა გამოხვიდეთ მდგომარეობიდან, თუ თავად ხართ აგრესიული?

ა) თუკი თქვენ შიგნით „ყველაფერი დუღს“, ეს „დუღილი“ უნდა შეაჩეროთ და „ორთქლი გამოუშვათ“. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სერიოზულად დაავადდეთ. აგრესია, როგორც ემოცია, თქვენს მენტალურ სხეულს ანადგურებს. რა თქმა უნდა, „ორთქლის გამოშვება“ ოჯახის წევრებისა თუ ხე-

ლქვეითების ხარჯზე არ უნდა მოახდინოთ. საამისოდ რამდენიმე მეთოდი არსებობს.

ბ) ბევრ ოფისში აქვთ სახუმარო „ბრაზის ფურცელი“. მასზე გამოსახულია აგრესიული ცხოველი და აქვს წარწერა: „გაბრაზების შემთხვევაში დახიეთ!“ გამოიყენეთ ეს მეთოდი და გულზე მოგეშვებათ.

გ) კარგ შედეგს იძლევა ერთი მეთოდი, რომლის სახელწოდებაც თავად შეგიძლიათ, მოიფიქროთ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც, ტყეში მარტო წახვიდეთ და რაც ძალი და ღონე გაქვთ, მთელი ხმით იყვიროთ. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს, სიტყვებს წარმოთქვამთ თუ ცალკეულ ბგერებს. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ თუ ამ მეთოდს გამოიყენებთ, ჯანმრთელობას გაიუმჯობესებთ და გაახალგაზრდავდებით კიდეც. როდესაც ყვირით, ასეთ დროს სიხარულის ჰორმონი და ნახშირორჟანგი გამოიყოფა. ეს აიოლებს შინაგანი ორგანოების მოქმედებას და კუნთებიდან ფსიქოლოგიურ დაძაბულობას ხსნის. შესაძლოა, ეს მეთოდი სასაცილოდ და სულელურად მოგეჩვენოთ, მაგრამ აუცილებლად გიშველით.

დ) ეცადეთ, აგრესიას პოზიტიური მხარე მოუძებნოთ. ეს დაგეხმარებათ, რომ აგრესიის გამოვლინების დროს სწორედ მის ამ მხარეზე იფიქროთ და ემოცია პოზიტიურ კალაპოტში გადაიყვანოთ.

„აგრესია“ ლათინური სიტყვაა და ასე ითარგმნება: „ა“ — ნაბიჯი; „გრეს“ — დაჩქარება. ის აჩქარებს შინაგან პროცესებს და ხანდახან მისი პოზიტიური მხარის გამოყენებაც შესაძლებელია.

შინაგანი სიმშვიდის მისაღწევად შეგიძლიათ, მედიტაციის მეთოდს მიმართოთ ან რელაქსაციური ვარჯიში ჩაატაროთ. რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ:

— ჩართეთ წყნარი მელოდია (სასურველია, უცნობი, უსიტყვო მელოდია). რადიოს ნუ ჩართავთ, რადგან მუსიკას დიჯეის კომენტარები და რეკლამა მოჰყვება. იატაკზე დაჯექით და მოდუნდით. როგორც წესი, მოდუნების დროს ქვედა ყბა ზედაზე მიბჯენილი არ უნდა იყოს და პირი — ოდნავ გაღებული. თავიდან ყველანაირი აზრი გამოიბერტყეთ. თვალები დახუჭეთ და უბრალოდ, უყურეთ იმას, რასაც ამ დროს დაინახავთ. ყურადღებით იყავით, რომ უსიამოვნო აზრები არ მოგეძალოთ. 5-10 წუთის შემდეგ საკუთარ თავს ბრძანება მიეცით: „ჩემი ორგანიზმი ძლიერია, მე საკუთარი თავი ძალიან მიყვარს, მე ყველაფერი შემიძლია!“

მთავარია, ბრძანება მოკლე და მკაფიო იყოს და არ შეიცავდეს „არ“ ნაწილაკს. ერთი სეანსის განმავლობაში 3 ბრძანება საკმარისია. დასასრულ, აუცილებლად გადაუხადეთ მადლობა საკუთარ თავსა და სხეულს და ამოსუნთქვისას თვალები გაახილეთ. მთელი სეანსის ხანგრძლივობა 15-30 წუთი უნდა იყოს.

— შემდეგი მეთოდი სუნთქვითია. დაწექით და მოდუნდით, თვალები დახუჭეთ. წარმოიდგინეთ, რომ უწონობის მდგომარეობაში ხართ და ამის შემდეგ 4-ჯერ

გაუჩერებლივ, ჩვეულებრივად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. შემდეგ, ისევ პაუზის გარეშე გააკეთეთ ერთი ღრმა შესუნთქვა და სრული ამოსუნთქვა. ისევ პაუზის გარეშე 4-ჯერ ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ და ისევ ღრმად შეისუნთქეთ. ეს ვარჯიში 4-ჯერ უნდა გაიმეოროთ, ე.ი. სულ 20 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა მოგიწევთ, რომელთაგან 4 ღრმაა, 16 კი ჩვეულებრივი. ეს ვარჯიში აგრესიას მოგიხსნით და შინაგანი ორგანოების მუშაობას გააუმჯობესებს. საკმარისია, ეს პროცედურა დღეში 2-ჯერ გაიმეოროთ. თავადაც შენიშნავთ, რომ სულ მოკლე ხანში თავს გაცილებით უკეთ იგრძნობთ.

— კიდევ ერთი ვარჯიში, რომელიც აგრესიის, ბრაზისა და უძილობის დაძლევაში დაგეხმარებათ. ენა გამოყავით და კბილებს შორის მოაქციეთ. ტუჩები მოკუმეთ. ამის შემდეგ ჩაატარეთ სუნთქვითი ვარჯიშები, რომელიც წელან გასწავლეთ. ამ ვარჯიშის ჩატარება უპრიანია ძილის წინ და სიბრაზის შემოტევისას.

თუ აგრესიას ხშირად ავლენთ, იქნებ დაფიქრდეთ და დაისვენოთ?! შესაძლოა, ყოველდღიურმა ცხოვრებამ დაგღალათ. ასეთ დროს ერთკვირიანი დასვენება არ გაწყენდათ. თუ ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, მაშინ შეეცადეთ, შაბათ-კვირას მაინც გახვიდეთ ქალაქიდან ან უბრალოდ, საყვარელ საქმეს მოჰკიდოთ ხელი. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი აგრესია გაქრება.

ხანდახან დაფიქრდით, რა იწვევს თქვენში ამ გრძნობას და რა შედეგი მოჰყვება მას. იქნებ შეიძლება, რომ გამღიზიანებლისგან თავი შორს დაიჭიროთ? ისეც ხდება, რომ ადამიანები ბუნებით არიან აგრესიულები და ამ გრძნობის გამოხატვა მათ სიამოვნებს ჰგვრის. ასეთებს არანაირი ბრძოლა და ვარჯიში არ სჭირდებათ. შესაძლოა, მეგობარმა თავისი გასაჭირი გაგანდოთ. ასეთ შემთხვევაში ცხოვრებას თქვენც „შავი სათვალით“ უყურებთ. თუ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდებით, მაშინვე გამოყარეთ ცუდი აზრები თავიდან და ეცადეთ, რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ. შეგიძლიათ, ის საკვები მიიღოთ, რომელიც ძალიან გიყვართ. ორგანიზმი მაშინვე სიხარულის ჰორმონის გამომუშავებას დაიწყებს. ამიტომაა, რომ დიეტაზე მყოფი ადამიანი დეპრესიაში ვარდება.

გიყვარდეთ საკუთარი თავი და გახსოვდეთ, რომ თქვენნაირი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ არსებობს! ●

იქნებ, ერთი სისხლის ვართ?

არც კი ვიცი, რა ვთქვა, უკვე ამდენი ხანი გავიდა და ზოგიერთმა მამაკაცმა ახლაღა „გამოიღვიძა“. ბოლო კვირაში მაგდამ იმდენი ახალი თაყვანისმცემლის გამოხმაურება მიიღო, რამდენიც მთელი რუბრიკის არსებობის მანძილზე — ერთად. რას დავაბრალო, არ ვიცი. ამჯერად კაროლი და აპასნი რატომღაც არ გამოჩნდნენ და მხოლოდ გინეკოლოგის მესიჯს გთავაზობთ.

„გამარჯობა, მარი. „გზის“ მართლა ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერ. თუ შეიძლება, მაგდას გულის მოსაპოვებლად მეც ჩავერთვები. გინეკოლოგს კარგად აქვს ქალის ბუნება შესწავლილი“.

„თუ გინდა, შენი ნაზი ოცნება ახდეს, მომწერე შენ შესახებ. გელი“.

„მაგდა, იმედია, შენს გულს მოვიპოვებ სამართლიან ბრძოლაში. მარი, გთხოვ, არ დამბლოკო და შანსი მომეცი“.

„მაგდა, სიყვარული მას შეუძლია, ვინც იცის ქალის სულიერება. მე ვიცი, სულიერად უძვირფასესი ხარ, მაგრამ გვარი რომ არ ვიცი, ქრისტიანულ წესს ფეხს არ დავადგამ, რაც უნდა ულამაზესი იყო. იქნებ, ერთი სისხლის ვართ? დაფიქრება გემართებს. ვფიქრობ, მეთანხმები. ნომერი მარის გამოართვი, პირადად ვისაუბროთ, დაფიქრდი და ისე მიპასუხე. გაიხარე. მუკობაზიერი“.

„სამწუხაროა, რომ გვიან შევიტყე იმის შესახებ, რომ თურმე „გზა“ საშუალებას მაძლევდა, ასეთი მშვენიერი ქალის გული დამეპყრო. მინდა, შემოგიერთდეთ. იმედია, უარს არ მეტყვით. არ ვიცი, რას შეეპირდე მაგდას და რით მივიპყრა მისი ყურადღება, რადგან ვგრძნობ, რომ მისი გული თითქმის დაიპყრო ერთმა მამაკაცმა (შურით სახელსაც არ დავწერ), მაგრამ მაინც ვცდი ბედს. მაგდა, გთხოვ, უყურადღებოდ ნუ დამტოვებ. კეისი“.

„მაგდათი თანდათან ვიხიბლები და სურვილი მაქვს, შეეხმიანო. საკუთარ თავს რეკლამას გავუკეთებ და ვეტყი, რომ ძალიან სიმპათიური, მდიდარი, კარგი ტიპი ვარ. ჩემს თითოეულ სიტყვაზე პასუხს ვაგებ. ოქროს თევზი“.

„მაგდა, მომაქციე ყურადღება. 40 წლის, სიმპათიური მამაკაცი ვარ. ვმუშაობ პარლამენტის ერთ-ერთ კომიტეტში. ამით იმის თქმა მინდა, რომ სერიოზული სამსახური მაქვს და სერიოზული კაცი ვარ. ვიმეგობროთ? კავალერი“.

„მაგდა, როგორ ხარ, საყვარელო? მოკლედ, არ გვაცდიან ჟღურტულს, მაგრამ არა უშავს, მე მაინც მაგრად ვდგავარ და ჩემსას ვანვები. სიმართლე რომ გითხრა, უკვე აღარ ვეჭვიანობ, რადგან შენს სიმპათიას ვგრძნობ. ასე რომ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა კი მისმინე: ბავშვი და დედა შინ მივიყვანე და ის იყო, ვახშმისთვის მზადებას შევუდექით, რომ სამშობიაროდან დამირეკეს და სასწრაფოდ მისვლა მთხოვეს. სულ ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი გოგონა დამხვდა, საშინელი სისხლდენა ჰქონდა. თურმე თავისსავე ბიძაშვილს შეუცდენია და დაფეხმძიმებულა. ეს რომ მშობლებმა გაიგეს, მოსთხოვეს, ბავშვი მოეცილებინა, მაგრამ გოგონამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია — ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და დავქორწინდებითო, მაგრამ მათი მამები ძმები იყვნენ და არაფრის დიდებით არ სურდათ ამ ფაქტთან შეგუება. გოგო და ბიჭი გაპარულან, მაგრამ მშობლებს მალე მიუგნიათ და ბიჭის მამას (რომელიც გოგონასთვის ერთდროულად ბიძაც იყო და მამამთილიც), გოგო უცემია. თანაც, თურმე წიხლებს მუცელში უშენდა, რომ ბავშვი მომკვდარიყო. გოგონა ერთიანად დალურჯებული იყო და ხელიც მოტეხილი ჰქონდა. ბავშვის გადარჩენა ვერ შევძელით. წარმოიდგინე, როგორი მხეცი უნდა იყო, რომ საკუთარ ძმისშვილს, თანაც ფეხმძიმეს, ასე მოექცე. იმ ღამით გოგონას დამამშვიდებლები გავუკეთეთ. ვინაიდან მისი მდგომარეობა მძიმე იყო, მთელი ღამე საავადმყოფოში გავატარე. გამთენიისას ჩამეძინა. ასე, დილის 7 საათი იქნებოდა, როცა ძილბურანიდან ერთ-ერთი სანიტრის ყვირილმა გამომაფხიზლა. — მიშველეთ, მიშველეთო, განწირული ხმით ყვიროდა ქალი.

მაგდა, დღეისთვის საკმარისია. დროებით. ველი შენს პასუხს. გინეკოლოგი.

— გამარჯობა, გინეკოლოგო. აბსოლუტურად სწორად მიხვდი, რომ შენ მიმართ გარკვეული სიმპათია გამიჩნდა. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს, რა მოხდება. გკოცნი და გემშვიდობები.

ნაღირობა საპირისპირო სქესზე

თოჯინებით მოთამაშე პატარძალი და მოტყუებული მატყუარა ანუ იმას რა ველაპარაკო?

ღმერთმა დიდი სიკეთე ჩაიდინა, კაცობრიობა 2 სქესად რომ გაყო, მაგრამ ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ მათ შორის მუდმივი ომი და უთანხმოება იქნებოდა. ოდითგანვე ქალი და მამაკაცი ერთმანეთის გულის მონადირებას ცდილობენ. ზოგს გამოსდის, ზოგს — არა. ზოგიერთი კი რამდენიმე ადამიანის გულს ერთდროულად იპყრობს. ასე რომ, ყველაფერი მარიფათზეა დამოკიდებული. ვნახოთ, როგორი მარიფათიანი მკითხველები გვყავს.

მარი ხაფარიძე

ძველი „პაკლო“

„ძველი „პაკლო“, ამჟამად — ცოლიანი, მოსვენებას არ მაძლევს — ცოლს გავშორდები და გამომყევიო. ცოლი წლების წინ მოიყვანა და მისთვის არც დაუმალავს, რომ ვუყვარდი. ის გოგო კი არ იმჩნევს, რომ ეჭვიანობს და ჩემთან „მეგობრობანას“ თამაშობს. მოკლედ, მაგარი იდიოტური სიტუაციაა. ის ბიჭი არასოდეს მყვარებია და ოჯახის დანგრევაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ ვერ გავიგე, მის ცოლს რაში სჭირდება ჩემთან მეგობრობა? მან ჩემი აზრი არ იცის და წესით, მეტოქედ უნდა მიმიჩნევდეს. მართალია, ყველაფრის დაწერას ვერიდები, არ მინდა, პრობლემები შევუქმნა ვინმეს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მაინც არაჩვეულებრივი სამეულია ვართ. სო-ნი“.

სადედამთილო

„შეყვარებული მყავს და ერთმანეთი მაგრად გვიყვარს. თავიდან, სანამ ჩემი მომავალი დედიკო გამიცნობდა, ვერ მიტანდა. სულ ჩემს ლანძღვაში იყო, არადა, ნანახიც კი არ ვყავდი. ორჯერ ტელეფონზეც დამირეკა და გამომლანძღა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. მე და შაკო მის საქციელზე ბევრს ვიცინოდით. ერთხელ, დაქალის დაბადების დღეზე წავედი. იქ ერთი ქალი გაიჩითა, რომელიც თვალს არ მაშორებდა. წასვ-

ლისას კი მითხრა, კარგი ბიჭი მყავს და იცოდე, ჩემი რძალი უნდა გახდეო. ეს ამბავი მალე გადამავიწყდა. ერთხელ, შაკომ სიცილით მითხრა, დედაჩემი ვიღაცას მირიგებს, სულ მის ქებაშია, ისე ძალიან მოსწონს ის გოგოო. ცოტათი გავბრაზდი, მაგრამ შაკომ დამამშვიდა — ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, რა განერვიულებსო?! ერთ დღეს, მე და შაკო კაფეში ვისხედით და უცებ, დაბადების დღეზე ნანახი ქალი არ დაგვადგა თავზე? მეცა და გადამკოცნა. მერე შაკო ჩაიხუტა და უთხრა — ხომ ხედავ, შვილო, ბედი ყოფილა, ერთმანეთი უჩემოდაც გიპოვიათო. მოკლედ, ეს ქალი შაკოს დედა აღმოჩნდა. როცა ყველაფერი გაირკვა, ბევრი ვიცინეთ. ახლა აღარ მლანძღავს. პირიქით, სულ ჩემს ქებაშია და ძალიანაც ვუყვარვარ. „ვოტ ტაკ“! ენი“.

თავდადებული კავალერი

„ერთი წლის წინ ვინმე გოგა მიმესიჯებდა. მას „105“-ის დიჯეი, თაია შეჰყვარებოდა, ის კი უკვე გათხოვილი იყო, მაგრამ გოგას ამის დაჯერება არ უნდოდა. მიუხედავად იმისა, რომ ის საკმაოდ განათლებული (მგონი, სწავლისგან შერყეული), 35 წლის გახლდათ. სულ შემთხვევით შემეხმიანა, აინტერესებდა, თაია ხომ არ ვიყავი. მე ამით ვისარგებლე და მოვატყუე. სანაცვლოდ, დეპოზიტზე ყოველდღე მერიცხებოდა 10-ლარიანები. ერთადერთი პრობლემა ხმა იყო. ათას რამეს ვატყუებდი, ვიმიზეზებდი და ბოლოს მომბეზრდა ამ ადამიანის გაუთავებელი პრეტენზიები. სიმართლე ვუთხარი და არ დამიჯერა. თაია მისი იდეფიქსია დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნომერი იცის და თვითონ მანაც უთხრა, რომ გათხოვდა. ძალიან საცოდავი საყურებელია, ამხელა კაცი როგორ მევედრება, თაიას დავალაპარაკო. არადა, არანაირი შეხება მასთან არ მაქვს. მას ხანდახან სჯერა, რომ დალაი ლამაა და სამყაროს მართავს“.

იმას რა ველაპარაკო?

„ჩვენს სოფელში საპირისპირო სქესზე ნადირობა ძალიან ხშირია. კერძოდ კი სადედამთილოები ნადირობენ რძლებზე. ჰო, მართლა ასეა. სანადირო ადგილებია: ქორწილები, ნიშნობები, დაბადების დღეები, ნათლობები, დღეობები და ა.შ. როგორი ულამაზო და შეუხედავი ბიჭებიც არ უნდა ჰყავდეთ, მოეწონებათ თუ არა დედებს გოგო, მიდის ვაჭრობა გოგოს ოჯახთან, თუნდაც გოგო პატარა იყოს. მისი მშობლები ხშირად ცდუნებას ვერ უძლებენ და ბრილიანტებზე ათხოვებენ თავიანთ ბავშვებს. აბა, 14-15 წლის გოგოს რომ გაათხოვებს დედა, იმას რა ველაპარაკო? პრინციპში, მართალიც არის, რადგან ჩვენს ხალხს დღესდღეობით, ძალიან უჭირს და ყველას არ შეუძლია საკუთარი შვილის გამოკვება, ჩაცმა, უზრუნველყოფა. ამის შედეგად, გოგო იღებს უამრავ ოქროულობას და წლების მერე ჯაფისაგან ნაადრევად გაჩენილ ნაოჭებს. სადედამთილოებო, ეძებეთ თქვენი შვილებისთვის ასაკით შესაფერისი გოგოები და არა ბავშვები. აცადეთ ბავშვებს ბავშვობა. დედებო, ნუ დაგენანებათ ლუკმაპური საკუთარი სისხლისა და ხორცისთვის. დააცადეთ, დაფრთიანდნენ თქვენი ბარტყები და ისინი თავიანთ ბუდეებს

თოჯინებით მოთამაშე პატარძალი

„მინდა, ჩვენს სოფელში, წლების წინ მომხდარი „ექსტრემალური გათხოვების“ ამბავი გიამბოთ. ბებიაჩემის მეზობლად უდარდელი მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა. ეს ამბავი მათი 14 წლის გოგოს გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ერში ყველა გოგომ ადრეულ ასაკში იცის ოჯახური საქმეები, ეს ცელქი გოგო გამონაკლისი იყო. ძალიან უყვარდა თოჯინებით თამაში. არავითარი საოჯახო საქმე არ იცოდა. ერთ დღეს, საღამოს 6 საათზე მათ ოჯახში მთხოვნელები მოვიდნენ და ეს ცელქი გოგო ითხოვეს. ოჯახი უარზე იყო, ჯერ 14 წლისაა და ჩვენი შვილი საოჯახო არც კი იცისო. ბიჭის მხარეს სხვა გზა არ ჰქონდა და აუხსნეს, რატომ მოვიდნენ მაინცდამაინც მათ ოჯახში ქალის სათხოვნელად. ამ უბედურ ბიჭს ქორწილის დღეს საცოლე საქორწილო კაბით „აფცქვნია“. გთხოვთ, აგვარიდეთ სირცხვილი, რომელსაც უპატარძლო ქორწილი ჰქვიაო, შეეხვეწნენ. ოჯახის უფროსს სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა, მაგრამ უბედურება გოგოს გადმობირება გახლდათ. საწყალი, სულ გაგიჟდა. აზრზე არ იყო, რა უნდა გაეკეთებინა სხვის ოჯახში და თან, არც ის იცოდა, გათხოვება რა იყო. ბოლოს, საწყლად ხმა ამოიღო და იკითხა, — თოჯინებით თამაშს ხომ არ დამიშლიანო? ოჯახის წევრებმა პატარა, უვნებელი ტყუილი უთხრეს, — რას ამბობ, შვილო, კი არ დაგიშლიან, არამედ თოჯინებსაც გიყიდიან და თვითონაც გეთამაშებიანო. გოგონას გაუხარდა და დათანხმდა. ახლა ამ ანც გოგოს 2 თავისი „თოჯინა“ ჰყავს. მისი ამბავი კი ჩვენს სოფელს კიდევ დიდხანს ემახსოვრება. ხშირად კი არ ხდება „ექსტრემალური ქორწილები“. P.S. მარ, 1 სიტყვაც არ დამიმატებია ზედმეტი. ზუსტად ასე მოხდა, ალაპს გეფიცები. გრუზინკა“.

თავად იპოვიან. ვერაფრით ვეგუები ჩვენს წესებს და რა ვქნა? გრუზინკა“.

ზერელე მონახაზი

„საპირისპირო სქესზე ნადირობაო? ჩვენკენ ერთი ქალი ცხოვრობს, იცით, როგორი? აი, მხატვარს რომ რაღაც შედევრის შექმნა უნდა და უბრალო, ზერელე მონახაზს გააკეთებს, ისეა, რა! ბუნება ქალად რომ ქმნიდა, უბრალოდ, მასაც მონახაზი აქვს გაკეთებული და სანამ სრულყოფილ სახეს შექმნიდა მისას, მანამდე დაიბადა საცოდავი (საცოდავია, კი?). არ ვიცი, თავისი უშნო და გაჩხიკული სხეულის გამოა გამწარებული თუ ზღვა ტემპერამენტის ადამიანია, გათხოვდა კიდეც და კაცებზეც ისევ ნადირობს. და რას ნადირობს! ახლომახლო სოფლებში თითზე ჩამოსათვლელადაა ისეთი კაცი, ვინც მას და მის საწოლს არ შეხებია. არ ვიცი, ქალს როგორ ხედავენ მასში (მე კაცსაც კი ვერ მივამსგავსე), მაგრამ თუ თავისით არ ხედავენ, ეს „კალდუნია“ მკითხავებთან მიდის და ჯადოებით ისე ალენჩებს საბრალოებს, რამდენიმე ფსიქიატრიულშიც კი მოხვდა (არ გეგონოთ, ვაჭარბებდე). თუ ვინმე მოეწონა, რომ გააწკლაპუნებს ნახევრად უკბილო პირს და მორჩა, ჩახმახი გამოკრულია და ის უკვე მისი ნანადირევია. ნუ, მოკლედ, მაგარი საშიში მონადირეა. ნადირობს სეზონის და ყოველგვარი წესის გარეშე, ყველა აკრძალულ ზონაში. „მალადეც“, რა! მაგაზე ითქმის, თუ ითქმის: „ლა თოფია ბიჭო, ლა თოფი!“ P.S. თუ მიცნო, არ მეშინია, მე ხომ ქალი ვარ, მაგრამ ჩემს მამამთილს კი დაერხა, ჩემს ჯავრს მასზე იყრის. კამელია“.

მოტყუებული მატყუარა

„ერთ ახლობელ გოგოს ძალიან უნდოდა გათხოვება, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა. ან როგორ უნდა მოეხერხებინა, ქმრების კოლექციას აგროვებდა. სულ ცდილობდა, ნანადირევი მდიდარი, ფულიანი და რაც მთავარია, უშვილო ყოფილიყო. მათი მოძებნა ხომ არც ისე იოლი იყო? ბოლოს და ბოლოს, რომ გამოიცვალა 3 ქმარი და კაპიტალიც ბლომად დააგროვა, გადაწყვიტა, საბოლოოდ გათხოვილიყო, შვილები გაეჩინა და ბედნიერებას ღირსებოდა. ამჯერად მოძებნა თავისზე 10 წლით ახალგაზრდა, უდედმამო, ობოლი ბიჭი და შეირთო. ამ ქორწინების შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა — ბიჭი არც ისეთი სულელი ყოფილა და იქით ინადირა. მოკლედ, ეს ამბავი ასე დამთავრდა: „მონადირე“ ქალბატონს არაფერი დარჩა — არც ქონება, არც სახლ-კარი და სამადლოდ, ნათესავმა შეიფარა. გრუზინკა“.

მოტაცება

„ნადირობამ ერთი ამბავი გამახსენა: ერთხელ დედაჩემი საავადმყოფოს დერეფანში ჭირვეულ შვილიშვილს ასეირნებდა. უეცრად საშინელი კივილის ხმა შემოესმა. გვეგონა, ვიღაც გარდაიცვალა. ორი ბიჭი კიბეზე გოგონას მოარბენინებდა და სულ „დედიკო, დედიკოს“ გაიძახოდა საწყალი. დედაჩემმა საცოდავი თვალები შეანათა და თანაუგრძნო. გოგო კი დაბლა ჩაიყვანეს და მანქანაში აგდებდნენ. დედაჩემი ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს და მანქანასთან გაჩნდა. მეორე მხრიდან მანქანის კარი გაულო გოგოს, — არიქა, ვუშველოთო! — მაგრამ კარის გაღებას საშინელი დარტყმა მოჰყვა. თურმე მეორე კართან სასიძო მჯდარა და იმის შიშით, რომ სიმწრით დათრეული ნანადირევი არ დაეკარგა, მისმა დათვივით მუშტმა დედაჩემის სახეზე კვალი დატოვა. ჩემი დედიკო კი ბუჩქების ძირში, დამარცხებული ვიპოვე, რომელმაც გაავებულ მხეცებს საცოდავი არსება ვერ წაართვა. გკოცნით. 131-131“.

ტარო

„სამეგრელოს სოფელ ბეთლემში ბერბიჭა რომანი ცხოვრობს, რომელიც გარეგნობით არ ბრწყინავს (დაბალია, მელოტი და ცოტა — ღიპიანი), მაგრამ ენა აქვს... მტრისას და ავისას! ჰოდა, როცა რომანი 45 წლის შესრულდა, ძმაკაცებმა გადაწყვიტეს, მაჭანკლის როლი შეესრულებინათ და მეზობელ სოფელში მცხოვრები, შინაბერა მაყვალასთვის დაეჯახებინათ. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მეორე დღესვე ჩასვეს რომანი მანქანაში და მიადგნენ მაყვალას სახლს. რომანს თავიდანვე თვალში მოუვიდა მრგვალფორმებიანი მაყვალა, მაგრამ მას სულაც არ ეპიტნავა მისი ცოლობა — ამდენი წელი იმისთვის ვიცადე, რომ ამ მახინჯს გავყვე? რა არის, დაგვალულ სიმინდს რომ ჰგავსო?!. თურმე ნუ იტყვი და, რომანს მისი სიტყვები გაუგონია და გაბრაზებულს წამოუძახია: — შეიძლება, დაბალიც ვარ და მელოტიც, იქნებ, დაგვალულ სიმინდს მართლა ვგავარ, მაგრამ შენ ამ დაგვალული სიმინდის ტარო უნდა ნახო, რამხელააო. იქ ამბავი ატყდა, მტერს არ ვუსურვებ. ვისღა ახსოვდა მაჭანკლობა, თავისი ტყავის გადასარჩენად გარბოდა ყველა. აპოლონი“.

მუსუსი

„ერთი ჩემი კლასელი ბიჭი გამახსენდა, რომელიც გოგოების მუსუსია. თუ გოგო მოეწონა, სანამ მისი არ გახდება, მანამდე არ მოისვენებს. ერთ მშვენიერ დღეს, ახალი გოგო გადმოვიდა. ძალიან მოეწონა და შეგვიკლა ხელში, გინდა თუ არა, გამიგეთ, ჰყავს თუ არა „ლოვეო“. ჩვენ კი ვიცოდით, რომ არ ჰყავდა, მაგრამ ვუთხარით — ჰყავს-თქო. გადაირია, მაგრამ რა გადაირია! გაიძახოდა, მაინც ჩემი გახდებაო და უფრო დააინტერესა ამ გოგომ. იმდენი ქნა, რომ თავი მაინც შეაყვარა და სულ რაღაც 23 დღე გასტანა მათმა სიყვარულმა. ბიჭს სხვა მოეწონა და მერე მასზე დაიწყო ნადირობა. აბაა! თაისა17“.

დაღუპული

„ხომ იცი, აღარ ხუმრობს ხალხი. უკვე დამითხოვდნენ 17-18 წლის მეზობლები და დავრჩი მგონი, შინაბერა. მე შენ გეტყვი, ბედი არ აქვთ თუ... სად გამოიჭირეს ეს თბილისელი ბიჭები? გამაგებინა და მომკლა მერე, თუ გინდა. „ვიდზე“ რომ შეხედო ამ გოგონებს, თავბედს დაიწყევლი, ნეტავ, არ შემეხედაო, მაგრამ ბედი აქვთ და რა გინდა?! აბა, მე ვინც გავიცანი, ან ცოლშვილიანია, ან პატიმარი, ან სულ არაა ამქვეყნად. გარეგნობას ვერ დამიწუნებ, პატარა თოჯინა ვარ (რავი, ასე მეუბნებიან და...). ამას წინათ, მე და ჩემი მეგობარი ვსეირნობდით და ერთმა ბიჭმა მკითხა — გოგონი, რომელი საათია, ვერ მეტყვითო? არიქა, მე ვთქვი, ეგაა და გამეხსნა ბედითქვა, მაგრამ ვინ დაგაცადა?

ჩემმა მეგობარმა ისეთი აჯახა — მაჯას უკლია საათიო, იმ უბედურმა ისე მოწეწა, სულ დაავიწყდა საათი და ყველაფერი. მე, გენაცვალე, ბოვშობიდან ასე კი არ ვლაპარაკობდი, ცხოვრებამ ამალაპარაკა. მარიამულო, მიშველე, თორემ დავიღუპე ქალი. ლუნიტა“.

დაჟანგებული „სასროლი“

„ისე, სიმართლე გითხრათ და ადვილად მოსახელთებელი მანდილოსანი მოსაწყენია. ე.ი. ტკბილებო, ახალი დაბრუნებული ვიყავი „ნადირობიდან“ ანუ ხომ გესმით, შარაფი, ქალები და ხუნტრუცი ყველა წესის დაცვით ჩავატარე. ჰოოდააა... მოვსეირნობ, კაი ნანადირევი, და ვეწევი თამბაქოს ჩვეული სიმშვიდით. სანამ ჩემს სახლამდე მიხვალ, პარკი უნდა გაიარო. ჰოდა, მეც ზუსტად პარკში მივაბიჯებ და რა ვნახე, რომ ვნახე! არ გადამირბინა წინ უშველებელმა „ნადირმა“?! ის ქალი კი არა, მართლა ნადირი იყო. ქე ამევიღე „თოფი“ და ქე დავაგდე ბეჭებზე, მარაა ვაი, ამნაირ „სროლას“. ახლა ექიმებზე ვნადიროб, იქნება, წავაწყდე კაი ექიმს და გადამირჩინოს ეს „სასროლი“, თორემ დამეუანგა, გონია, და მოვკვდი კაცი“.

ტყუპი ძმების სატრფო

„პატარა რომ ვიყავი, ტყუპი ძმა მიყვარდა(?!). ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და ვერ ვარჩევდი, ვინ ვინ იყო. არადა, ვიცოდი, რომ ორი ქმარი ერთდროულად ტეხავდა. რომ მკითხავდნენ, ლაშა გიყვარს თუ გიორო? — ვერ ვპასუხობდი, რადგან ერთნაირები იყვნენ და არჩევანს ვერ ვაკეთებდი. :) არადა, ორივეზე ვნადირობდი და თვალებს ვუპაჭუნებდი. როცა მათი გული (ერთდროულად ორივესი) მოვინადირე, უარი ვტკიცე ორივეს, მტირალები ხართ-მეთქი. :) ეს იყო მაშინ, II კლასში. ახლა კი უკვე გავაკეთე არჩევანი, ოღონდ სულ სხვაზე. თქვენი პიკი“.

ბუღა

„ჩემი ძმაკაცის მამა სატვირთო მანქანით მოდიოდა ტრასაზე. მაგრად წვიმდა თურმე და შეუნიშნავს გზისპირას, შავებში ჩაცმული ქალი. უფიქრია, შეიძლება ვინმე გაჭირვებულიაო და „კამაზი“ გაუჩერებია. ეს ქალიც ამოსულა და დამჯდარა. უკითხავს — ქალბატონო, რა გაგჭირვებიაო? — ბუღას ვეძებო, უთქვამს მას. — რა ფერია ეგ თქვენი ბუღაო? — შავიო, უპასუხია ქალს (ძმაკაცის მამა შავგვრემანია). თან, „პლაში“ გაუხდია, თან ფეხი გამოუჩენია და სიგარეტიც გაუბოლებია. ეს ჩემი ძმაკაცის მამა კი ზედაც არ უყურებდა, გზის პირზე ათვალიერებდა დაკარგულ ბუღას. ბოლოს უთქვამს, — აქ არსად ჩანს თქვენი შავი ბუღა და ამაზე შორს წამოვიდოდა, კიდევო? ქალს უთქვამს, გააჩერეო და დაუყოლებია — ფუი, შენს კაცობასო. თურმე, მთელი გზა, ვიდრე სახლამდე მოვიდა, ფიქრობდა, ამ ქალს რა ვაწყენინე ნეტავ, მისკენ არც გამიხედავსო. ეს ამბავი ოჯახს მოუყვა და ცოლმა უთხრა — შენ იყავი ბუღაო. ასე ვერ მოინადირა საპირისპირო სქესის „ბუღა“ ქალმა. ელისო“.

გამდიდრების მოსურნე

„ერთი პაკლო მყავდა. თავიდან როგორც სჩვევიათ, მეგობრობით დაიწყო. მერე, კარგად რომ შემისწავლა, ჩემს ხარჯზე გამდიდრება და ფულიანი სიმამრის სიძეობა მოუნდა (მილიონერი ჰგონია მამაჩემი). ჰოდა, დაიწყო მარა, რა დაიწყო?! მივაბრძანე კაი ადგილზე. თუმცა, ვინ მოგეშვა? ჯერ ერთ ძმაკაცს დაარეკვინა, ვკვდები და მნახოსო; მერე მეორემ დამირეკა, ცოლი მოიყვანა, მაგრამ 2 კვირაში დაშორდა, შენზე იეჭვიანა ცოლუკამო. ბოლოს, თვითონ დამირეკა, მაგრამ ისევ უარით რომ გავისტუმრე, კარგად გამომლანძღა, „ტკბილ-ტკბილი“ სიტყვები არ დაიშურა ჩემთვის. მე კი ამით თავი სამუდამოდ შემაძულა. არავინ იცის ეს ყველაფერი, დაქალების გარდა, იმიტომ, რომ არ მინდა, ის არაკაცი ვინმე ჩემიანს შემოაკვდეს. ასე რომ, უნდა ინადირო მხოლოდ მაშინ, როცა ნადირობის სეზონია და მხოლოდ მასზე, ვისზე ნადირობაც აკრძალული არ არის. ბაო-ბაო“.

ახლა თემაზე მოსულ მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ქონებაზე გაგიჟებული ქალი

„სანადიროდ, ბევრი ხერხი არსებობს. იცით, გუშინ რა მოხდა? კახელი სალომე კიდევ ერთხელ აპირებდა ბიძაჩემის გულის მონადირებას. გამოიპრანჭა, „რუმიანა“ წაისვა და პაპუნას მიადგა. პაპუნ, „რუმიანა“ მიხდებაო? — ჰკითხა. პაპუნამ ახედ-დახედა და უთხრა: „რუმიანას“ სად ისვამენო?.. დაგვრჩა კახელი სალომე „გაღიმებული“. მის რეალი“.

„პაპაჩემს ახალი მოყვანილი ჰყოლია ბებიაჩემი. ერთხელ ხინკალს აკეთებდნენ. სიმამრს პაპაჩემისთვის უკითხავს — ელიზბარ, მოხვევა იციო? — კიო, უპასუხია პაპაჩემმა. მოდი, მოახვიეო. პაპაჩემი მივიდა და ბებიაჩემს შემოეხვია — მე

მსხვილი კიტრი

„არ ვიცი, გუშინდელი ამბავი რას მივაწერო. არადა, ამ კვირის თემის ჩარჩოებში ჯდება კიდეც. სადილისთვის კიტრი უნდა მომეტანა, ბოსტნიდან. იქ რომ გავედი, ჩემი მამამთილი და მეზობლის ქალი, ღობის აქეთ-იქით დამდგარიყვნენ და მოსავლის ავკარგიანობაზე ლაპარაკობდნენ. — მიშა, შენი კიტრი რა ჯიშისააო? ეკითხება ის ქალი. — ოჰ, ჩემი კიტრი ძაან გემრიელია, თანაც გრძელი და მსხვილია, სხვის მოკლე კიტრებს კი არ ჰგავსო. თან დაპატიჟა — სალამოს გადმოდი, გაგასინჯებო. არ არის ახლა ეს კულტურული ნადირობა საპირისპირო სქესზე? აბლახანუმი“.

უნარიეს 2 სატრფო

„მოკლედ, გურულების ამბების გამომზეურება ჩემი საავიზიტო ბარათია „გზავნილებში“ და მარი ვიზის გარეშე მიშვებს მივლინებაში ხუთშაბათობით. ამიტომ, „იძულებული ვარ“, ახლაც ჩემს საამაყო გურულებზე მოგითხროთ. ყველაზე სწრაფებს მსოფლიოში ანუ ჩვენ, გურულებს ერთი შესანიშნავი, 55 წლის, ნ-ჯერ განათხოვარი, მაჭანკლობაში დაოსტატებული ქალბატონი გვყავს — ნაზიკო, რომელმაც ბევრი კაპასი გურულის მადლი მოისხა და ხანუმას სახელიც დამსახურებულად მიიღო. ერთ დღესაც, ნაზიკოს სტუმრად დაქალი, გაუთხოვარი ქეთო ეწვია და ხანუმას გულის ნადები გაანდო — ნაზიკო, ცა, სირცხვილით ვიწვი და ვიდუღები, მარა რა ვუყო ამ ჩემი ცოდვით სავსე გულს, ნამეტნავად რომ ნაყვარება აი სასიკვდილე და მიწადასაყრელი კაცი... უნარიე მიყვარს ცა, ჩვენი უნარიეო, — თქვა ქეთომ და მორცხვად დახარა თავი. ელდა ეცა ნაზიკოს. უნარიე ბალნობიდან მიყვარდა, ახლა ამ ქვრივობაში მომეცა რაცხა იმედი და ამ ქალბატონს ვერ უყურებ, მოუნდა ამ სიბერეში გათხოვებაო“, — გაიფიქრა და ქორივით გადახედა დაქალს. იმ წამიდან დაიწყო ნადირობა 60 წლის, შავულვაშა, წინწკივით უნარიეს გულის დასაპყრობად. მარტოხელა კაცს კი მეტი რა უნდოდა? აქეთ ქეთო ეკურკურებოდა, იქით — ნაზიკო. კაცს კი არც ერთი არ ეთმობოდა. მართალია, არ იცოდა, რომ ჩვენი კანონმდებლობა ორცოლიანობას კრძალავდა, მაგრამ სოფლის შერცხვა და გადაწყვიტა, არჩევანი გაეკეთებინა. დაიბარა დაპირისპირებული მხარეები და გადაწყვეტილება ამცნო. ერთ მხარეს მორიდებული ქეთო ეჯდა, მეორე მხარეს კი მაჭანკლობაში გაქნილი ნაზიკო. პატივცემულ უნარიეს კი არჩევანის გაკეთება უფრო და უფრო უჭირდა. ჰოდა, ამ დროს ნაზიკომ ყურში რალაც ჩასჩურჩულა ოცნების კაცს. უნარიეს თვალები აენთო სიხარულისგან და „კაკ მინიმუმ“, 10 წლის სიცოცხლე მოემატა. არავინ იცის, რა ჩასჩურჩულა იმ დღეს ნაზიკომ, მაგრამ ფაქტია, რომ გამოცდილებამ ნაზიკოს უშველა. მას ხომ ნადირობა საპირისპირო სქესზე სხვისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც შესანიშნავად გამოსდიოდა. ჰოდა, ახლაც, 20 წლის შემდეგაც ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად. გაუთხოვრობით გატანჯულმა ქეთომ კი დიდი ხანია, წაიღო წერილი იმ ქვეყნად და ნაზიკოს გარდაცვლილ ქმრებს მოკითხვაც გადასცა. იკუშკები“.

ლიას მოხვევა ვიცი. რაღას ეტყოდნენ? ყველამ გაიცინა. P.S. ისწავლეთ, ბიჭებო, მოხვევა. ნუ, რა თქმა უნდა, ხინკლის, თორემ ყველას ხომ არ ესმის იუმორი? მის რეალი“.

„საპირისპირო სქესზე რა მოგახსენოთ და, ისე კი ძალიან მიყვარს ნადირობა. ზაფხულში გადავიკიდებ პაპაჩემის თოფს და ჩვენი ბაღის გარშემო სიტუაციას ვაკონტროლებ ხოლმე. კაცებზე ნადირობას რაც შეეხება, არა ვარ მე ის ქალი! ნადირობისას რომ შემომაკვდეს, მერე რა ვქნა? უბრალოდ — კა“.

„ნადირობა ისეთი უნდა, ერთმა ქალმა რომ გაუმართა ერთ პიროვნებას. გამოიყენა ყველა აკრძალული ხერხი და ცოლად დაუსკუპდა. ახლა ლამის იტიროს კაცმა, მაგრამ რა ეშველება? შერჩა სტერვა, ანგარებიანი, ქონებაზე გაგიჟებული ქალი. არ გინდოდა, ძმაო, პატიოსანი და კეთილი ქალი ცოლად? დაჯექი და იწუწუნე. თინეიჯერი შინაბერა“.

„ერთმა, გასათხოვრად შეღერებულმა გოგომ სათავისოდ დაიგულა ერთი კაცი. უცინა, სარეცელიც გაუზიარა. მერე ბევრი იძახა იმ კაცმა, არა ვარ მისი მომყვანიო, მაგრამ ქალმა ხლართა ქსელები, ვინც თვალში არ მოუვიდა, იმისთანა ტყუილები მოუგონა, პირი დააღებინა ყველას. ჰოდა, დაითრია ეს „ბაიყუში“ კაცი, გაუჩინა შვილი და ახლა პატიოსანი ქალისა და ცოლის სახელი აქვს. ნადირობაც ასეთი უნდა. თინეიჯერი შინაბერა“.

„სამწუხაროდ, საზღვარგარეთ წასული მამაკაცების თითქმის 90%, სანადიროდ გამოსული მტაცებელი ქალების კლანჭებში ვარდება. ამის გამო საქართველოს ერთ პატარა რაიონში, რომელიც ემიგრანტების რაოდენობით პირველ ადგილზეა, არა ერთი ოჯახი ინგრევა. მე თვითონ ამის მსხვერპლი ვარ. თი-თი“.

„საინტერესო თემაა. ვფიქრობ, ნებისმიერი გოგოს მონადირებას შევძლებ, მაგრამ ეს რა საჭიროა, არ მესმის. მე სიყვარულის არ მჯერა. შემიყვარდება გოგო, რა თქმა უნდა, მასაც და 1 ან 2 კვირაში გადამიყვარდება. ღმერთო, შენ მიშველე, თორემ სიყვარულის აღარ მწამს. ლუციფერი“.

„როგორც წესი, ჩემზე იქით ნადირობენ, რადგან თურმე ლამაზი და ჭკვიანი გოგო ვარ, ერთდროულად. ეს კი დიდი იშვიათობაა. უცხოებში თუ მოვხვდი, უნდა ნახოთ, რა სერიოზული ვარ. ყველა თაობის ადამიანი ერთნაირად იხიბლება. თავად კი ვერ ვნადირობ. უბრალოდ, მრავლისმეტყველი მზერის ტყორცნა

ვიცი. მთავარია, ადრესატი არ შემეშალოს. თამუნა“.

„საპირისპირო სქესზე ნადირობა? უჰ, ეგ ადვილი საქმეა! ოდნავ შეწუხებულ სახეს მიიღებ, ტუჩებს ცოტა აბზეკ, გაბუტული მზერით შეხედავ და ეგაა, მორჩა, უკვე მონადირებულია! ეს ნადირობის პროცესი კი მართობს, მაგრამ მერე აღარ ვიცი ხოლმე, რა ვუყო ამდენ „ნანადირევს“. პენსიონერი“.

„32 წლის, უცოლო მამაკაცმა მასხრად ამიგდო და უჩვეულო სიტუაციაში ჩავვარდი, როცა აღმოვაჩინე, რომ მისი ეჭვიანი, ფეხმძიმე ცოლი მირეკავდა და კატეგორიულად მთხოვდა, მისი 14 წლის შვილის მამას ჩამოვშორებოდი, თორემ ვინანებდი. მე რა შუაში ვიყავი, რო? თურმე იმ ვაჟბატონს სხვებიც მოუტყუებია. ჩემთან კი აღარ გაუვიდა და თავგზა აერია. საწყენია, როცა აღმოაჩენ, რომ შენი გულუბრყვილობით ისარგებლეს და მერე ნდობაც გეკარგება“.

ყველაფერზე თმა გაგრძელდა

ცუდი ბიჭი

„იშვიათადღა გწერთ, მაგრამ „გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ. ჩემს თავს ვატყობ, რომ მაგრად შევიცვალე (სიყვარული არაფერ შუაშია, არ მყავს გულის სწორი). ეს ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ მაგარი ცუდი ბიჭი გავხდი, როგორც ამას მშობლები მეუბნებიან. აგრესიული ვარ თითქმის ყველას მიმართ და ძალიან მალე ვბრაზდები. განსაკუთრებით მაშინ, როცა ნასვამი ვარ და „შვილო, ცოლი მოიყვანე“ მესმის. ძალიან მიკვირს ჩემი თავის, ნეტავ, რისი ბრალია? რატომ შევიცვალე ასე უჩვეულოდ? მე ვიცი, ეს რისი ბრალიცაა! ეს უსიყვარულობის ბრალია! მინდა, ვიღაცისთვის, ერთისთვის ვცოცხლობდე, მისთვის ვიძინებდე და ვიღვიძებდე, მისთვის ვსუნთქავდე, მაგრამ მაგარი უნდობლობა მაქვს გოგონების მიმართ. რატომ? რისი ბრალია ეს ყველაფერი? უსიყვარულოდ წასვლა არ მინდა ამ ქვეყნიდან! ჩორტიოზნაეტი“.

ხვლიკური

„ჩემი ბიძაშვილი დასასვენებლად იყო წასული, ძმაკაცებთან ერთად. ერთი ძმაკაცი გააბრაზა. შალვა დაემუქრა: იცოდე, ამაღამ ხვლიკს შემოგიგდებ ლოგინშიო. დათომ იფიქრა, ამას ჩემზე ძალიან ეშინია, რისი დამჭერიაო?! — და წყნარად დაწვა. ცოტა ხანში რაღაც გაფაჩუნდა. დათომ ყურადღება არ მიაქცია. 2 წუთში კი კივილი ატყდა, ვინ სად გარბოდა, ვერ გაიგებდი. თურმე, შალვას თოკი დაუდვია ზეწრის ქვეშ. ჯერ ნელა გამოსწია, მერე კი მთელი ძალით. ჰოდა, დათოს ხვლიკი ეგონა და „ტრუსიკიანი“ გამოვარდა გარეთ. ეგეც სამაგიერო. მის რეალი“.

რომელი საათია?

„მე და ჩემი მეგობარი გიო რუსთაველის გამზირზე ვსეირნობდით. ზამთრის საღამო იყო. ინტერესით ვადევნებდით თვალს საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს. — საათი ხომ არ გაქვს? — ვკითხე გიოს. გიომ შეიხსნა პალტოს ღილები, მერე პიჯაკის, ჟილეტის, შარვლის უკანა ჯიბიდან საათი ამოიღო, ღილაკს თითი დააჭირა, სახურავი ახადა და მითხრა, რა დროც იყო. შემდეგ სახურავი ტკაცუნით დახურა, საათი ჯიბეში ჩაიდო და ღილები ისევ თანამიმდევრობით შეიკრა. 10 წუთის შემდეგ: ნახე ერთი, რომელი საათია? კიდევ ათ წუთში: ნახე ერთი, რა დროა? თან ვსეირნობთ. მეხუთედ თუ მეექვსედ რომ დაიწყო პალტოს ღილების შეხსნა, გიო მიხვდა, რომ... — აუ, თუ ძმა ხარ, არავის მოუყვეო, მთხოვა. — რას ამბობ, რომ შემპირდე, მთელი ცხოვრება გარჩენო, მაინც მოვყვები-მეთქი. ჰოდა, მოგიყევით კიდეც. ოლეგარიო“.

ციგნის მსხვერპლი

„3 დღის წინ თბილისში ჩამოვედი პროფესორთან, რომ ოპერაციის შემდგომი საკონტროლო შემოწმება გამევლო. იქიდან წამოსულმა აღმოვაჩინე, რომ ჯიბეში გზის ფული აღარ მედო ან ჩემი დაუდევრობით, ან ჯიბის „მპარსავების“ მსხვერპლი გავხდი. არც ტელეფონი მქონდა, ვინმესთვის შველა რომ მეთხოვა. მოკლედ, შავ დღეში ვარ და ამ დროს ძირს დაგდებული 50-თეთრიანი დავინახე. ჯერ ქურდულად დავაბიჯე და შემდეგ დავიხარე. ამ დროს ჩამოკონკილი, პატარა, „ციგნის“ მათხოვარი ბიჭი შემომეხვია ფეხზე: — ბიძია, შენი მუხლების ჭირიმე, ეგ 50-თეთრიანი შენზე წინ დავინახე და ნუ ამახევ, რაო... შესაკურთხებლად თავი ავწიე და ისეთი „დაცემა“ გოგონები დავინახე, ფეხები ყურებიდან რომ ეწყებოდათ. გაჩერდნენ და ინტერესიანი ღიმილით შემომაფეთეს თვალები. სიმწრის მიუხედავად, მაინც შევძელი ჩემი საფირმო ღიმილით, „ციგნის“ ბიჭისთვის ჩემი ბოლო იმედი გამეწოდებინა და მისი ტილიანი ქოჩორი ალერსიანად ამეჩეჩა. გათამამებულმა ბიჭმა უცებ იკრა ხურდით გაძეძგილ ჯიბეში ხელი და ურცხვად მითხრა — ლარიანიც დამიმატეო. — მხოლოდ 100-ლარიანი დამრჩა-მეთქი, შევუღრინე ღიმილიანად და ისე საეჭვოდ ამიცახცახდა ტუჩის ცალი კუთხე, რომ ბიჭი უცებ „მოტყდა“. გოგონებმა მოწონებით მომიღერეს ყელი, საჩუქრად საოცრად არომატული სუნამოს სუნი დამიტოვეს და გედებივით წალივლივდნენ. უკვე აღარ არის საინტერესო, იმ სიცხეში საბურთალოდან ისნამდე სირბილით რეკორდი როგორ დავამყარე, აპლოდისმენტების გარეშე და ღვთისნიერი ტაქსის მძღოლი

ნოსტალგია

„ერთ დღეს მეუღლემ მითხრა: — ოლეგ, მოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ, წადი, ყვავილები იყიდე და პაემანზე დამელოდეო. მეც ასე მოვიქეცი, ვიყიდე ყვავილები და დავდექი კინოს წინ. ველოდები, ველოდები და რომ აღარ მოვიდა მზია, დავიწყე ნერვიულობა. ვიფიქრე, ამ ჩემს ქალს ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი. დავრეკე სახლში: — ერთი საათია გიცდი, რატომ არ მოდიხარ? — ვეკითხები. — დედაჩემი არ მიშვებსო, მიპასუხა მზიამ. ოლეგარიო“.

მაგარი მონადირე

„საპირისპირო სქესზე ნადირობის რა გითხრათ და ჩემკენ ნამდვილი ნადირობა ყველას სისხლში აქვს გამჯდარი. ჰოდა, ზამთრის ერთ ცივ ღამეს, ჩემი ბიძაშვილიც წაიყვანეს სანადიროდ (პირველად). ჩასხდნენ სხვადასხვა მხარეს, წინასწარ ამოთხრილ სამალავში და დაელოდნენ ფრინველების მოსვლას. ბიძაშვილს კი ლოდინში გემრიელად ჩაეძინა და ის იყო, ლამაზი სიზმარი ეზმანა, რომ ატყდა თოფების ბათქაბუთქი. საცოდავს, დაავიწყდა, სანადიროდ რომ იყო, შიშით თვალებგაფართოებული წამოვარდა და ყვირილით გაიქცა — მიშველეთ, მკლავენო. თან გამწარებული, ტელეფონზე პატრულის ნომერს კრებდა. აზრზე მოსულმა კი სირცხვილისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. ახლა მართლა საპირისპირო სქესზე თუ ინადირებს მარტო, თორემ მეექვება, ოდესმე თოფს ხელი შეახოს. კამელია“.

როგორ „დავკერე“, „პოსლეზე“ რომ მემგზავრა. კინაღამ დამავიწყდა: ჩემს წმინდა კერაი გაუმაარჯოი! განძის მაძიებელი“.

გახარებული ქმარი

„ — ააბა, პირი გააღე, კიდევ გააღე, ცოტაც... რა პირდაღებული მომჩერებიხარ?! — ასე იწყება ჩემი ვიზიტი სტომატოლოგთან. ამ რამდენიმე დღის წინ კბილი უნდა ამომეღო. პირობა მივეცი, რომ სახსოვრად დავუტოვებდი, მაგრამ თუ მატკენდა, მის კბილებს წამოვიღებდი სახსოვრად. მან კი ისეთი ნემსი გამიკეთა, 2 დღე ენა მქონდა დაბუჟებული და ჩემი ქმარი სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. აი, გუშინ კი ბურღვა ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა. გააბა ლაპარაკიი! მე მუნჯურად ვანიშნებ, მაგვიანდება-მეთქი. მან ყურმილს ხელი დააფარა და მითხრა — შენ ნუ მოცდები, პირი გააღე მაინცო. ასეთ მხიარულ ნოტებზე „ვირემონტებ“ კბილებს. კახელი სალომე“.

მშიშარა ლომი

„ბიძაშვილი მყავს ერთი, ლომივით ჯანის პატრონია და „უშიში, ვითარცა უხორცო“. :) კბილი ასტკივდა და ბიძაჩემმა თავის კლასელ სტომატოლოგს მიუყვანა. დასვეს ეს ლომივით კაცი სავარძელზე და უთხრეს, რომ ცოტა ხანში ნემსს გაუკეთებდნენ, თვითონ კი გარეთ სიგარეტი გააბოლეს. ცოტა ხანში პაციენტი გარეთ გამობანცალდა და კართან გაიშხლართა. :) ნემსის ისე ეშინოდა, რომ გული წაუვიდა. ახლა დავიჯერე, რომ სპილოს მართლა ეშინია თაგვის. :) იარმორკელი“.

ხარება

„ღამე, როცა ყველას ეძინა, ვიღაცის მანქანის სიგნალიზაცია ჩაირთო. მთელი მეზობლები აივნებზე გამოიშალნენ. ყველა შეწუხებული იყო მანქანის ხმაურით. ჰოოდა, ჩვენი მეზობელი ხარებაც გამოვიდა აივანზე და დაიწყო დედის გინება, მანქანის პატრონის მისამართით, მაგრამ რად გინდა?! მანქანის პატრონი მაინც არ ჩანდა. მოკლედ, მთელი ღამე გაგრძელდა ეს ხმაური და დავიდარაბა. დილით კი აღმოჩნდა, რომ ეს მანქანა თვითონ ხარებასი ყოფილა. :) იარმორკელი“.

კბილის „სკრაბი“

„ერთ დილით დედა შემოვიდა და დიდი მადლობა რევერანსით გადამიხადა. მე ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. თანაც, იმ დღეს მისი დაბადების დღე იყო. თურმე კბილებს იხეხავდა და იმ ყუთში, სადაც მხოლოდ ჯაგრისები და კბილის პასტები დევს, წინადღეს სახის კანის გასაწმენდი „სკრაბი“ ჩავდე, რომელიც ტუბში იყო. ჰოდა, დედას ინსტინქტურად კბილების გახეხვა „სკრაბით“ უცდია. ვერ დავაჯერე, რომ სპეციალურად არ გამიკეთებია. მერე იმას ჯავრობდა, ხომ არ მომწამლავსო? ელისო“.

ცხელი მჭადი

„სოფელში ე.წ. ბირჟაზე ჩავედი და ომის ვეტერანების კამათს შევესწარი. იმაზე დაობდნენ, თუ რომელი უფრო შორს მსახურობდა ჯარში. ჰოდა, ერთმანეთს გადაეკიდნენ და ერთმა მეორეს უთხრა — რა შორს შენ მსახურობდი? დედაშენმა მჭადი და ყველი რომ გამოგიგზავნა, როცა მიიღე, ისევ ცხელი იყოო!.. მერე გავიგეთ, რომ თურმე იმ კაცს ქუთაისში უმსახურია. აბსურდა“.

სიკვდილსაც დავიწყებიხარ

„კახეთის ერთ სოფელში საარჩევნოდ, ერთი მარტოხელა, მოხუცი ქალის კარზე მიშას პლაკატი გააკრეს. ქალი გაბრაზდა და ჩამოხია. ამის გამო არჩევნების სიიდან ამოიღეს. ამ ქალს ერთი ხუმარა მეზობელი ჰყავდა და ეს ამბავი რომ გაიგო, წავიდა და „მხიარული როჯერის“ სიკვდილის გამომხატველი სურათი გაუკრა

დეპრესია

„ჩემი მეზობელი გოგოს ელაპარაკებოდა ტელეფონით. მან უთხრა — ვერ შეგვხდები, დეპრესიაში ვარო. მეზობელმა მობილურს ხელი მიაფარა და ძმაკაცს ჰკითხა — დეპრესია სადააო? კაფე ეგონა. — სად და ქუთაისს რომ გასცდები, 6 კილომეტრშიო. მერე ამ ბიჭს აშაყირებდნენ — ვერ უთხარი, არ ჩამოხვიდე, ჩამოგაკითხავ დეპრესიაოშიო? აბეზარა“.

კარზე. ქალი გაოცებული უყურებდა, რას შვრებიო? ეჰ, მარგოჯან, მიშას სურათი რომ ჩამახიე და სიიდან ამოგიღეს, ახლა ეს ჩამახიე და იქნებ მამაკვდავების სიიდან ამოგწერონო. მის რეალი“.

„ამას წინათ, ჩემი მეზობლის შვილი, პატარა ანასტასია (მაგას ვენაცვალე) სასეირნოდ წავიყვანე. უეცრად ჰორიზონტზე ბიჭები გამოჩნდნენ. ერთ-ერთს გრძელი თმა ჰქონდა, ისეთი სლიკინა, სწორი და მბზინვარე, რომ ნებისმიერ გოგოს შეშურდება. ეს ჩვენი ანასტასიაც მისკენ გაიქცა ყვირილით: დეიდა, დეიდაო. ბიჭმა ბევრი უმტკიცა, დეიდა კი არა, ძია ვარო, მაგრამ ვინ დაუჯერა? ანასტასია კვლავ ჯიუტად გაიძახოდა „დეიდა, დეიდას“. ბიჭის ძმაკაცები სიცილით კვდებოდნენ. ამის შემდეგ იმ ბიჭს დეიდას ეძახიან. ასე იცის ქალის „პრიჩოთი“ სიარულმა. ტოპოლინა“.

„უბანში ერთი ბიჭი მიყურებდა გაოცებული. მივიხედე და დამცინავად ვუთხარი — რა იყო, უფრთო ანგელოზი არ გინახავსმეთქი? გამიცინა და მითხრა — უფრთო ანგელოზი კი მინახავს, მაგრამ ცალ-ცალი კედით არაო. მეიდნელი ჯადო“.

„თმა უნდა შემეჭრა და პარიკმახერს ველოდებოდი. გვერდით ერთი ბიჭი მეჯდა. გარეთ ერთმა ლამაზმა გოგომ გაიარა და ამ ტიპმა მკითხა — ხოა, მაგარი გოგოო? — იიიფ! — ვუპასუხე მე. ჰოდა, იცით, რა მითხრა? — ჩემი ბიძაშვილიაო. აბა, რა ვიცოდი? 9717“.

მომრიგებელი მოსამართლე

„მდაააა... აქ თურმე რა ამბები დატრიალებულა! ათასი ჭორმართალი მოვიდა ლიმონას ყურამდე. თურმე მის რეალს და კახელ სალომეს უსაფუძვლოდ ლანძღავენო, თურმე ერთ-ერთ მგზავნელს თავის ფრიად ორიგინალურ გზავნილებს ფრიად განათლებული დედიკო უწერსოო(!), თურმე ათენელ მგზავნელებს შორისაც რაცხა ბურუსი ჩამოწოლილაოოო... მოკლედ, სრული ქაოსია, რა... უხეშად რომ ვთქვათ, ამ სიტუაციას ერთი კაი „გაიასნება“ არ აწყენდა. უპირველეს ყოვლისა, კახელი სალომეს და მის რეალის და მისი ოპოზიციის საკითხი განვიხილოთ. ერთი მხარე ამბობს, რომ მარი საინტერესო გზავნილებს ბლოკავს და ამით „გზის“ რეიტინგი ვარდებაო. მეორე მხარე კი მარის დამცველობას იბრალებს. შე კაი ადამიანო, შენ გგონია, მარი მარტო შენ გიყვარს? მარი ყველას უყვარს, მით უმეტეს — მის რეალსა და კახელ სალომეს და შეიძლება, შენზე მეტადაც უყვარდეთ. კარგი იქნება, სიმართლეს თუ თვალს გავუსწორებთ და ხმამაღლა ვაღიარებთ, რომ კახელი კოლორიტების საყვედური სრულიად სამართლიანია, მაგრამ აქ მარიამულსაც მოვუსმინოთ. მარ, თავს უფლებას მიცვემ, შენი სახელით ვთქვა ის, რაც არის მიზეზი შენი იგნორისა. „გზაში“ მთელი საქართველო თუ არა, ნახევარი მაინც ამესიჯებს და რა თქმა უნდა, ყველას უნდა, თავისი მესიჯი ნახოს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „გზავნილები“ სულ რაღაც „სამი“ ფურცელია. თქვენი მესიჯები კი ათასობითაა და მარი რას შვრება, იცით? ცდილობს, ყველას დაუბეჭდოს, ყველა გაახაროს. მერე რა, თუ არც ისე საინტერესო და შინაარსიანია, როგორც მის რეალისა, კახელი სალომესი და ა.შ. და უბეჭდავს და უბეჭდავს... რა ვქნათ, მარი? შენ რომ ასეთი გულკეთილი არ იყო, ასეთი ამბავიც არ მოხდებოდა. მის რეალის მდგომარეობაში მეც ვიყავი ერთ დროს. ისე გადიოდა კვირები, რომ არც ერთი ჩემი გზავნილი არ ჩანდა ხოლმე. ყოფილა შემთხვევა, 1 თვის შემდეგაც რომ დაბეჭდილა და რომ არა ნიკი, ერთი ჩაკითხვით ვერც ვხვდებოდი, რომ ჩემი იყო... ვბრაზდებოდი, საყვედურებით ვიკლებდი მარის, მაგრამ ახლა მივხვდი მიზეზს, თუ რატომაც შვრებოდი ასე — დაიცადე, შენი რიგიც მოვაო... ასე რომ, შეეშვით მის რეალისა და კახელი სალომეს გამტყუნებას, ჩემო თანამოძმე მეგრელებო. „გზის“ რეიტინგი ჩვენზე, მგზავნელებზეა დამოკიდებული. „გზა“ უბრალოდ ჟურნალი კი არაა, არამედ ცოცხალი ორგანიზმია, ჩვენით, მგზავნელებით მსუნთქავი და ჩვენით არსებული. მგონი, ყველაფერი გასაგებად ავხსენი, ხომ? აპოლონ (გიო), შენც მშვენივრად იცი, როგორ მიყვარხარ და როგორ გაფასებ, ჩემი დიდი ძმა ხარ და ვგიჟდები შენზე, მაგრამ ბოდიში, რომ ვერ გისრულებ თხოვნას, სიხარულო. მე ვერ დავბრუნდები, ვერ დავბრუნდები იქ, სადაც ასე ჭამენ ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ერთი ფეხი რომ დამიცდეს, დაუფიქრებლად გადამივლიან ისე, რომ არც გაარკვევენ, მართალი ვიყავი თუ არა (როგორც მის რეალს). ჩემო ძვირფასებო, მე ყველანი მიყვარხართ, მაგრამ თქვენ არ მაძლევთ საშუალებას, უფრო მეტად მიყვარდეთ. დააბრუნეთ ძველი „გზავნილები“, ძველი სიხალისე და სისადავე, ძველი სითბო და ნათელი და დავბრუნდებით ახალი იდეებით, ახალი შემართებითა და ახალი მოტივაციით. დაგვაბრუნეთ!!! მარადის თქვენი ლიმონა-მანიუ“.

როდესაც ლიმონას წერილი წავიკითხე, თავის მართლების სურვილი გამიჩნდა. რატომ? იმიტომ, რომ არც ის მსჯელობს, სწორად. ყველას აინტერესებს, რატომ არ ვბეჭდავ ამა თუ იმ მესიჯს ან რა კრიტერიუმით ვარჩევ თქვენს გზავნილებს. პირველ რიგში გეტყვით, რომ ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ახალი მგზავნელია თუ ძველი. თუ ამბავი ვარგა, დავბეჭდავ! მეორე — თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ძველი მგზავნელებიც ხშირად გზავნიან უშინაარსო მესიჯებს და ამიტომ არ ვუბეჭდავ. მაგალითად, მის რეალმა რომ მისაყვედურა, რატომ არ ბეჭდავ ჩემს მესიჯებსო, ახლა გავამხელ, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში, ამბად გადაკეთებულ „წვერიან“ ანეკდოტებს მიგზავნიდა, რომლის კითხვას დაიწყებდით თუ არა, მაშინვე დასასრულიც გეცოდინებოდათ და ბოლომდე არ ჩაიკითხავდით. მიმაჩნია, რომ ყოველთვის სამართლიანად ვიქცევი. აქვე ერთ ანეკდოტს გეტყვით: ბებია ტელევიზორს უყურებდა. ძალიან საინტერესო გადაცემა დაიწყო. — ამას ჩემთვის რავა გევიმეტებ, შვილიშვილებს შევუნახავო, — თქვა ბებომ და ტელევიზორი გამორთო. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ყველაფერი კარგი მემეტება მეც თქვენთვის და თქვენ მიერ გამოგზავნილ კარგ ამბავს არავითარ შემთხვევაში ჩემთვის არ დავიტოვებ.

ახლა კი მომდევნო ნომრის თემას შემოგთავაზებთ — ბოროტი საქციელი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მოკლე ჩართვის კითხვად გთავაზობთ: რა მომწონს და რა არ მომწონს, „გზის“ ჩანართში“. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ●

ჟურნალისტები (ერ)ხუმრობენ

ჟურნალ „დისქავერის“ აპრილის ნომერში მეცნიერმა, ბიოლოგმა, დოქტორმა, ეპრილ პაცომ მკითხველს ანტარქტიდაზე აღმოჩენილი, ახალი სახეობის ცოცხალი არსებების შესახებ ამცნო. ეს ცხელთავიანი, შიშველი ჭიაყელა-მბურღავი გახლდათ. მას, თავისი ცხელი თავის წყალობით, ყინულის გახვრეტა და ნადირობა შეუძლია. პინგვინის ქვეშ ყინულის გათხრის შემდეგ, ჭიაყელები უძრავად რჩებიან, საკუთარი ტემპერატურით ყინულს ადნობენ და ელიან, როდის ჩავარდება პინგვინი მათთან, რომ მერე დაესხიონ და შეჭამონ. დოქტორმა პაცომ ივარაუდა, რომ 1837 წელს, ანტარქტიდაზე გაუჩინარებული მკვლევარი, ფილიპ პუასონი სწორედ მსგავსი ჭიაყელების მსხვერპლი გახდა, რომელიც თავისი ჩაცმულობით პინგვინს წააგავდა. აღნიშნულ სტატიას იმდენი გამოხმაურება მოჰყვა, რამდენიც ჟურნალს — მთელი თავისი არსებობის მანძილზე. სინამდვილეში კი ეს ერთ-ერთი ჟურნალისტის ხუმრობა იყო.



• 1962 წელს შვეიცარიაში მხოლოდ ერთი სატელევიზიო არხი იყო, რომელიც, რაღა თქმა უნდა, შავ-თეთრ გამოსახულებას აჩვენებდა. ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში დიქტორმა განაცხადა, რომ გამოიგონეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც გამოსახულებას გააფერადებდა. საამისოდ, ტელევიზორისთვის ქალის თხელი, ნეილონის წინდა უნდა ჩამოეცვათ. ასიათასობით შვეიცარიელმა დაიჯერა დიქტორის ნათქვამი და სწორედ ასე მოიქცა. ნამდვილი ფერადი ტელევიზორი კი მხოლოდ 1970 წელს გამოიგონეს.

• 1994 წელს „პეპსიმ“ განაცხადა, რომ მოზარდები, ვინც ყურზე კომპანიის ლოგოს ტატუს გაიკეთებდა, სასმელზე 10%-იან ფასდაკლებას მთელი ცხოვრების მანძილზე მიიღებდნენ. ტატუირებისთვის, კომპანიის მიერ მითითებულ მისამართზე თინეიჯერების უზარმაზარი რიგი დადგა.

• 1993 წელს, ერთ-ერთმა გერმანულმა რადიოსადგურმა განაცხადა, რომ კიოლნის მცხოვრებთათვის ახალი კანონი შემოიღეს. დილაობით, სკვერში მორბენალ ადამიანებს არანაკლებ 6 კმ/სთ სიჩქარით უნდა ერბინათ. მიზეზი? ამ დროს ციყვებს „საქორწილო“ სეზონი ჰქონდათ და მათთვის ხელი არ უნდა შეეშალათ.

• საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აღმოაჩინეს სოკრატეს საფლავი, სადაც მისი თავი და კანის ნარჩენები ნახეს. ამის შემდეგ თავის ტკივილი ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთს, „ფრანს-პრესს“ დაეწყო, სადაც აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა.

• 1981 წელს, „დეილი-მეილმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია ერთ-ერთი იაპონელი მორბენალის, კიმო ნაკაშიმის შესახებ. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ შეჯიბრების ორგანიზატორმა იაპონური

ენა ცუდად იცოდა და იმის ნაცვლად, რომ კიმოსთვის ეთქვა, 26 კილომეტრი უნდა გაირბინოო, უთქვამს, 26 დღე უნდა ირბინოო. ისიც გაიქცა... მკითხველებმა რედაქცია ზარებით აიკლეს. ისინი ამბობდნენ, რომ მორბენალი გზაში შეხვდათ, მაგრამ მისი შეჩერება ვერ შეძლეს. ვინ ნახეს მათ სინამდვილეში, უცნობია, რადგან მისტერ ნაკაშიმი სინამდვილეში არ არსებობდა.

• 1992 წელს ლონდონის „თაიმსმა“ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მალე ბელგია საერთოდ არ იარსებებდა. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი ნიდერლანდებს შეუერთდებოდა, ხოლო სამხრეთი — საფრანგეთს. განცხადებამ ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იძულებული გახდა, ამ საკითხის გამო პრესკონფერენცია მოეწყო და ახსნა-განმარტება ტელევიზიითაც მიეცა.

• 1998 წელს სწრაფი კვების ქსელმა, „ბიურგერ კინგმა“ პრესის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ მეორე დღიდან გაყიდვაში იქნებოდა სპეციალური სენდვიჩები ცაციებისთვის, რომელშიც საწებელი 180 გრადუსით იქნებოდა „შემობრუნებული“. მეორე დღეს აღნიშნულ პროდუქციაზე მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ გაზეთს, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, ბოდიშის მოხდამ მოუწია.

• რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მალე დროის ათვლა მეტრული სისტემით მოხდებოდა (1 საათი — 100 წუთი).

• 1950 წელს დანიის ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ როგორც იქნა, პიზის კოშკი დაეცა. სხვა დროს, ისევ დანიაში თქვეს, რომ სახელმწიფოს აქვს სპეციალური დანადგარი, რომლის საშუალებითაც არალიცენზირებული ტელევიზორების აღმოჩენა შეეძლო, მაგრამ თუ ტელევიზორს ლითონის კილიტას („ფოლგა“) შემოახვევდი, მისი აღმოჩენა შეუძლებელი გახდებოდა. რამდენიმე საათის განმავლობაში მაღაზიებში „ფოლგა“ დეფიციტი გახდა.

• 1987 წელს ნორვეგიულმა გაზეთმა, „ბერგენს ტრიდენდმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კონტრაბანდული ღვინის 10 ათასი ლიტრი ამოიღეს და ბერგენის მოსახლეობას მოუწოდა, რომ ქალაქის ცენტრალურ მაღაზიაში მისულიყვნენ თავიანთი წილი ღვინის მისაღებად. მაღაზიის წინ, ბოთლებითა და ბიდონებით „შეიარაღებულმა“, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

• ალაბამას შტატის სამეცნიერო ბიუჯეტებში მითითებული იყო, რომ იმ დღიდან მათ შტატში რიცხვი „პი“ 3,14-ის ნაცვლად 3-ის ტოლი იქნებოდა. მთელი მსოფლიოს მეცნიერების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

• 1997 წელს, გავრცელდა ელექტრონული წერილები იმის თაობაზე, რომ 31 მარტიდან 2 აპრილამდე ინტერნეტი „გენერალური დალაგების“ მიზნით იხურებოდა. დალაგებას 5 მძლავრი, იაპონური რობოტი შეასრულებდა. კომპიუტერის მფლობელებს კი შესთავაზეს, რომ თავიანთ კომპიუტერზე ნაგვის ტომრები დაეამაგრებინათ, მტვერი სახლში რომ არ გაფანტულიყო.

• 1995 წელს, გაზეთმა „აირიშ თაიმსმა“ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია „უოლტ დისნეი“ მოსკოვის მავზოლეუმის (ლენინიანად) შესყიდვაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა, რომ შენაძენი ევროპულ დისნეილენდში გადაეტანა და შიგნით ფერადი განათება დაეყენებინა, რათა ბელადის გაფითრებული სახე გაეცოცხლებინა.

• 1979 წელს, ლონდონის რადიომ განაცხადა, რომ ზაფხულის დროზე გადასვლასთან დაკავშირებით, 48 ზედმეტი საათი დაგროვდა, რის გამოც, 5 და 12 აპრილი აღარ იქნებოდა. ამ დღეს დაბადებული ადამიანები პანიკაში ჩაცვივდნენ.

• 2002 წელს, ბრიტანული სუპერმარკეტების ქსელმა განაცხადა, რომ გაყიდვაში შემოვიდა გახვრეტილი, მსტვენავი სტაფილო, რომელიც მოხარშვისას და მოხარშვის შემდეგაც გაუჩერებლივ დაუსტვენს.

• 1941 წლის 30 მარტს, ფრანკლინის ინსტიტუტმა გამოუშვა პრესრელიზი, სადაც ნათქვამი იყო, რომ მეორე დღეს, ანუ 31 მარტს, დღის 3 საათზე სამყაროს დასასრული დადგებოდა. ხალხის რეაქცია ძალზე მწვავე იყო. მეცნიერებმა დაიფიცეს, რომ არავითარი განცხადება არ გაუკეთებიათ. გაირკვა, რომ ამ ხუმრობის ავტორი ერთ-ერთი პრესაგენტი იყო, რომელიც სამსახურიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.



მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურაღლება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ვაჟები

1. მინდა, ლამაზი, მშვიდი, ოჯახური იდილია შევქმნა. ვარ 34 წლის.

2. ვარ 20 წლის, ლამაზი, შავგვრემანი გოგო. ვარ დასავლეთში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასავლეთელ, 23-30 წლის, სერიოზულ მამაკაცს.

3. მყავს დაქალი, 40 წლამდე, ძალიან სიმპათიური, პატიოსანი, განათლებული, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. გამოგვეხმაუროს მეგრული წარმოშობის მამაკაცი, მხოლოდ და მხოლოდ.

4. ვარ 39 წლის, განქორწინებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 40-50 წლის, დასაქმებულ, ოჯახისმოყვარე მამაკაცს, ვინც იცის სიყვარულისა და ერთგულების ფასი, ველი.

5. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით თბილისელ, ერთგულ და პატიოსან, 24-27 წლის მამაკაცს, ვინც იცის ქალის ფასი. ეკლესიური გოგო23.

6. გამომეხმაუროს 26-ე მესიჯის ავტორი.

7. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი მესიჯი. ვარ 32 წლის, გასათხოვარი ქალიშვილი, პედაგოგი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი. გავიცნობ ორმოც წლამდე ასაკის, სიმპათიურ, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს.

8. მყავს 42 წლის მეგობარი, უმაღლესი განათლებით, საშუალო სიმაღლის, ქერა თმითა და დიდი, ცისფერი თვალებით. ოჯახის შექმნის მიზნით გამოგვეხმაუროს თბილისელი მამაკაცი.

9. მე ვარ 29 წლის, მაღალი, ქერა, ცისფერთვალება, ქუთაისელი გოგონას დედა. პირველად ბედი 16 წლის ასაკში, უღირსს დაუკავშირა. ჰყავს 11 წლის ბიჭი. არის უზრუნველყოფილი, აქვს თავისი საკუთარი სახლი და სამსახური. მინდა შექმნას ნორმალური ოჯახი და ვნახო ბედნიერი. გამომეხმაურეთ შესაფერისი კანდიდატურები და არა — ალფონსები.

10. ვარ 20 წლის. ვეძებ პატიოსან მამაკაცს. დღეს ძნელია, ასეთი ბიჭების ნახვა. ვარ ქალიშვილი, ვცხოვრობ ბათუმში.

ქალები

11. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 23-40 წლის, თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. ვარ 34 წლის მამაკაცი. კახა.

12. გავიცნობ 33 წლამდე ასაკის, ქალიშვილ გოგოს, თბილს და მოსიყვარულეს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 33 წლის, სერიოზული, დასაქმებული.

13. ზოდიაქოთი ტყუპს, ლომს, მშვილდოსანს ან მერწყულ გოგონას ვეძებ. თქვენ შემაფასეთ. ქრისტიანულად არ ვარ მონათლული. თუ ვინმეს მეგობრობა გსურთ, გაგეცნობით და გამეცანით.

14. გთხოვთ გამომეხმაუროთ, „გზა“ №27, მე-12 მესიჯის ავტორი.

15. დამაკავშირეთ „გზა“ №26, მე-5 მესიჯის ავტორს.

16. ვარ უსაქმური, ზარმაცი, ლოთი, შფოთისთავი, დაბალი დონის ადამიანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ, განათლებულ, პატიოსან, ქალიშვილ გოგონას, 30 წლამდე.

17. გამარჯობა, გოგონებო, მე მაჰმადიანი ოჯახიდან ვარ და თუ ვინმე დამიფასებს, დამიმესიჯეთ. 19-28 წლის გოგონებმა. ნახვამდის. რაც აქამდე არ გაგიმართლა, არ გენანოს.



მოწმეთა ჩვენებით ვის ვჭვრეტ, უწმიანეს — ჯვრებში.

18. მწიფე ყურძნის მტევანივით სავსე ვარ სიყვარულის წვენით და ვფიქრობ, განგება ამ გზით მომიჩენს ჩემს მეორე ნახევარს. მქვია ლევანი, ვარ 34 წლის.

19. მინდა 27.03.2008, „მობილი-ზაციაში“ გამოქვეყნებული მე-8 ნომრის ქალბატონის ტელეფონის ნომერი. გთხოვთ, დამიმესიჯოთ. წინასწარ გმადლობთ.

20. ვარ 30 წლის, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი. ვეძებ ოჯახის შექმნის მსურველ, ლამაზ ქალიშვილს, 25 წლამდე. ვცხოვრობ დასავლეთ საქართველოში.



21. ვეძებ სალომე დუმბაძეს, თბილისელს, 24 წლის. გთხოვთ, თუ რამე იცით მის შესახებ, დამიკავშირდით. გოჩა ხუციკა. სალუკ, მიყვარხარ ისევ.

22. ვეძებ დაკარგულ ახლობლებს. ლადო ლორია.



• დათუნა ფუტკარაძეს ვეტყვი, რომ მაგრად ჭედავს. მასე გააგრძელე და კარგ ჩიტს დაიჭერ. ალბათ მიხვდები, ვინც ვარ.

• მარის ნათლულის მესიჯი წავიკითხე, 30 წლის, კარგი მეგობარი გოგო მყავსო. ჩემი ნომერი მიეცი. ნიკო.

• თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. დიდი ხანია, შენთან საუბარი მინდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. გათხოვილი ვიყავი, მაგრამ რამდენიმე თვის წინ უბედური შემთხვევის დროს მეუღლე დამეღუპა და პატარასთან ერთად მარტო დავრჩი. გთხოვ, მირჩიე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე. გთხოვ, დამეხმარე. წინასწარ მადლობა. ნინი.

• ასე თბილად რომ გამლექსე, მის რეალო, მადლობა. არ მოგაკლდეთ თელაველებს მარიკუნას წყალობა. შენი ნიჭიც, პოეტობის, მთელი გულით მიქია, როცა ლამაზ რითმას ვხედავ, მენატრება სტიქია. ციცქნა კაკუ რომ დაბრუნდა, იქნებ ეგეც გამოჩნდეს, მერე კოხტად გაგვირითმავს ნიკს, სიტყვას და გამოთქმებს. პარიჟანკა, კიკო, ლანკა, არ წახვიდეთ, გაგვიგეთ. ხომ არ გინდათ, უთქვენობით შევიშალოთ, გავგიჟდეთ? მგზავნელებო, მიყვარხართო, ძველახალიც, მომსვლელიც, თქვენი ლანძღვა „გზაში“ არის, ჩემი გულის მომკვლელი. არა, უნდა გავურიო მერს მუდარა, თხოვნაში, დაგვინიშნოს მინისტრები, კონფლიქტების ზონაში. საოცარმა მერმა — მარიმ, მაინც ყველა შეგვშალა, მისი თავი, ერთმანეთი და გრაფი შეგვაყვარა. მეგობრობა, თანადგომა, სიყვარული გვასწავლა, ჩვენმა უაზრო კამათმა, მისი გული დაღალა. იმედია, გვაპატიებს, ვიცი, არის სულგრძელი, ჩვენი მისდამი გრძნობა კი არის მართლა გულწრფელი. გზავნილ-იორკს გაუმარჯოს, თავის სიცილ-კამათით, ამ ქალაქის ყველა ქუჩა, მარის გულზე გადადის! დავამთავრე მგონი ბოდვა, თუ დაბეჭდეს, ისაა, თუ — არა, არც გავბრაზდები, პროვოკატორს ვფიცავარ. და გპირდებით, ვერვინ მნახავს, მე აქედან მიმავალს, უსაზღვროდ და გაგიჟებით, საუკუნოდ მიყვარხართ! მარად თქვენი კამელია.

• მიყვარხართ ყველა, ვისაც გახსოვვართ. მოვიკითხავ სესის, ეშლის, კანიბალკას და კაკუს. იკ, ჩემი სიხანტური ხარ. მიყვარხარ. ბაზოხისტკა.

• პრივეტ, ყველას. მე ახალი ვარ. თავს მარტო ვგრძნობ და თუ თქვენც ამის სურვილი გაქვთ, ვიმეგობროთ. ო.კ? როკერა.

• სხვათა შორის, მგზავნელებს არც მე ვიცნობ და სიამოვნებით გაგიცნობდი. ისე, გოგო ხარ თუ ბიჭი? თათა.

• გამარჯობა მარორიტა, მოგიკითხავთ ყველას დიდი სიყვარულით. განსაკუთრებით — მეგრელებს. არ გეგონოთ, დავიკარგე და არ მახსოვხართ. პირიქით, მუდამ თქვენთან ვარ და დიდი მონდომებით ვეცნობი „გზის“ ყოველ სიტყვას. ცოტათი დავმშვიდდი და ახლა შემოგიერთდით. ყველა მიყვარხართ. თაკლოს განსაკუთრებული მოკითხვა. მეგრელი ლიკა.

• ლანკა და ბაო, არა ვჭამოთ პურიიი? ოღონდ, საააკაძის ძეგლთან. ბოა-იკა ბიძია, კაი ხარ, ჩორი, ლიმონ, იკჩო, სესი, პარიჟანკა, ილინ, ლელუჩია, კიკო, ნიკოლ, მიყვარხართ. ლორელაი.

• ნინი, გიპოვე, მაგრამ ნომერი გათიშული გაქვს.

• გამარჯობა, გოგოებო. მაინტერესებს, ადამიანი ფასობს ბინით და მანქანით თუ პირიქით? ყველა სიმდიდრის მონად რატომ გადაიქცა?

• 9717, მაგარი ხარ, არ გინდა, პუმა დაგარქვათ?

• როგორ მენატრებით, სტრესებო... დურუ, რამზო, ხელა... დაისტრესა დრო, თოვლზე დაწერილი მესიჯი გამახსენდა, დურუ... მუსიკამ წალეკა მოგონებები. გახსოვთ, მ ა ჰ ი ა?

• ოლააა, კარგებოო! როგორ ხართოო? გმადლობთ, მე არა მიშავს. აუუ, 22-ში სვანეთში მივდივააააარ :-) და მომენატრა იქაურობა. ვასასი. გაკოცეთ კაი ხალხს.

• ნუ, ქუთეისში უკვე ცხელააააა... ქუთაისი ქალაქიაააააა.... ვინ გააგრძელებს? ვასასი.

• მინდა გავიგო ნომერი მამდილოსნისა და როგორ?

• მინდა მათ მივმართო, ვინც ჩემ გვერდით დგას და სჯერა ჩემი. ჩემთვის მთავარი თქვენი სიყვარულია. სხვა რას იტყვის, სულ ერთია. მიყვარხართ, ერთგულებო. მის რეალი.

• მის რეალ, გამეცნობი? დიდი ხანია, თვალს ვადევნებ შენს გზავნილებს და ვხვდები, ის ხარ, ვისაც უსიტყვოდ გავუგებ. მიხარია, რომ არ აჰყევი დაბოღმილებს. გამიცნობ? გოგა.

• არ ვიცი, ვის ვენატრები. იმედია, ხაშურელ სოსო ბარბაქაძეს — არა. მე ნაგავი ურნაში მოვისროლე. შენ გამო კინაღამ ფსიქიატრიულში ამოვყავი თავი, დედას ბიჭუნია. გრუზინკა.

• ჯეჯე, სად ხარ? შენი იუმორი მომენატრა. კახელი სალომეც ვერსად ვნახე. მოკითხვა ყველას. განსაკუთრებით — კამელიას, ჯეჯეს, კახელ სალომეს, განძის მაძიებელს. იასამანი.

• საყვარელო კამელია, მადლობა კოცნისთვის, მეც გკოცნი. მადლობა კიდევ იმისთვის, რომ შენი ყურადღების მიღმა არ დავრჩი. გაიხარე. იასამანი.

• განძის მაძიებლის ექსმომწონებელო, სწორედ შენისთანები ცდილობენ დაუსაბუთებელი, ღვარძლიანი რეპლიკებით მის გამოწვევას და მერე პასუხი აღიზიანებთ. ვესტი.

• მე დამწყები მგზავნელი ვარ და კახელი მგზავნელების გაცნობა მინდა. ზოგს ვიცნობ. შაბათს 12-ზე ერეკლესთან მოდით. იარმორკელი.

• პედიატრი მყავს ძმა. ერთხელ ერთმა დედიკომ ულამაზესი ბაია მოიყვანა ექიმთან, რეცეპტი აიღო და წავიდა დედიკო, ბაია კი ექიმთან დარჩა. დაავიწყდა წაყვანა.

• პია, აქ ვიყავი. უბრალოდ, ვერავინ მამჩნევს. სხვებმა დაიკავეს ჩემი ადგილი, რაც მაგრად გამიტყდა. მადლობა, რომ გახსოვვარ. პატარა მავნე.

• მაზოხისტკა, მადლობა მოკითხვისთვის. ნიკი მაქვს შეცვლილი. იმედია, მიცნობ. :(გაიხარე.

• მარის კაი ხნის წინ მივწერე, რომ აქაურობა მაგრად შეიცვალა უარესობისკენ, რაც ძააან მწყინს! ხალხო, რამ გააბოროტათ? ჩვენ ხომ ერთი ოჯახი ვართ! პატარა მავნე.

• პატარა ლელა, გაიხარე! შენ ისეთი კარგი ხარ.... green girl, Thenks. :-) 9717, აუ, შენ რა ლადო ხარ, ტო! ბაო, ჩემი ცხოვრება ხარ! ბოა, ბიძი, გაკოცეე. პატარა მავნე.

• პრინცეეეეეს, გენაცვალეე გულში. :) მპუა! პატარა მავნე.

• რაო? მის რეალი არავის რძლობას არ აპირებს! თელავის სიამაყეს გგონიათ, გავუშვებთ სადმე? ლიკ, მითხარი, რომ ტყუილი თქვეს. დავიგვიანე, ნუთუ? დაწერე, რომ ტყუილიაა! მიხო.

• სვანი თავს მოიკლავს და თავიდან შვიდ ტყვიას ამოუღებენ. :) როგორ ხართ, მგზავნელებო? აგენტი8-07.

• კამ-კამ, ახალი მგზავნელი ხარ? გაგიცნოოზ. ჰო, მართლა, ესპანეთის ფანი ვარო, გაიხარე შენ! იქნებ ნიკიც მიგეწერა? ნიკოლ, კაი გოგჩო ხარ. კიკო მენატრებააავ! სადაა? მის რეალი.

• ჰოო, იქნებ მითხრათ, ვის რძლობას მიპირებთ? საინტერესოა, უჩემოდ გადაუწყვეტიათ... ა-ნი ვინ არის? იქნებ ნიკი მაინც თქვა, ჩემზე კარგად რომ იცი ჩემი პირადი? მის რეალი.

• „გზის" ერთგული მკითხველი ვარ, ვგიჟდები ამ ჟურნალზე. ყველანი მაგრები ხართ, მგზავნელებო. 9717, ძალიან მომწონს შენი გზავნილები. გკოცნით ყველას. :) პუკუ.

• მის რეალ, შენ წერ ამ ლექსებს? ისე, რა უბედურებაა, რა არის ეს გამოსათხოვარი ცერემონიები? რა ყველა ერთნაირად ატყდა, მივდივარო. კაბის კალთების დახევა გინდათ?

• „გზის" ფურცლებიდან ყველა სიყვარულს ეფიცებით ერთმანეთს, სინამდვილეში კი არ ყოფილხართ ისეთი თბილები, როგორც ჩანხართ. ეს განსაკუთრებით პარიჟანკას ეხება.

• სიყვარული ბრმააო და ვიღაც მლიქვნელი მზის მაგივრად მის რეალს ხედავს. აი, მესმის თაყვანისცემის კულტი. მის რეალ, არ გრცხვენიათ, ასეთი მეგობრების? პირანია.

• კამ-კამა, ნიკე, სენაკელი ტოპმოდელი და დატანჯული გოგო, ჩაფურჩქვნილ ბოლმის ბუკეტს და შხამს აფრქვევენ. ჩემს გულთან ახლოს მყოფებს — მოკითხვა. კახელო-616.

• მაფიოზა, ლუნას დეიდა ვარ და განცხადებებში ვწერივარ. მე დამიკავშირდი და მოგცემ ანას ნომერს. რატომ უნდა მაფიოზას გაცნობა, აზრზე არ ვარ. გრუზინკა.

• ილინ. ულრმესი მადლობა. როგორც გითხარი, შენთან ვალში ვარ და მთხოვე, რაც გინდა. კუჭუხიძე გურგენს ვულოცავ იუბილეს. გაუფრთხილდი, ბრატ, შენს საერთო განძს. გრუზინკა.

• მაფიოზას მინდა ვუთხრა, რომ არ გვიცნობს, მაგიტომ მსჯელობს ფოტოებით. კანიბალკა და სესი რეალში სულ სხვანაირები და უფრო ლამაზები არიან. ჩემზე სხვამ თქვას. ლორელაი.

• უდაბნოში წყურვილით რომ ვკვდებოდე, წყლის უკანასკნელ წვეთს დაგითმობდი. განა იმიტომ, რომ შემეცოდებოდი? არა!

• მე ძველი მგზავნელი ვარ. იცით, როდინდელი? როცა იყო ჩიპჩაპი, ფიროსმანა, სტიქია ამესიჯებდა. ვბრუნდები. მოკითხვა ყველას. მეიდნელი ჯადო.

• მოვიკითხავ ათენში მყოფ ჩემს უსაყვარლეს დედიკოს, სონიკოს და მის მფარველ ანგელოზს, მაკას. მაკ, ძალიან სიცოცხლე ხარ. მეიდნელი ჯადო.

• ყველანი ასე კარგები როგორ ხართ? ძალიან მიყვარხართ, გაკოცეთ ყველას. მარ, გულს ნუ დამწყვეტ, დამიბეჭდე. პანკუშკა.

• ისეთი საყვარლები და არაჩვეულებრივები ხართ, რომ ჩემდა უნებურად შემიყვარდით. ძალიან მინდა თქვენთან და მიმიღებთ? მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. ხონსკი.

• რას ნიშნავს 9717? ჭინჭარივით მსუსხავი ენა და მუცლის ასატკივებელი იუმორი გაქვს. გინდა, ჭინჭარა დაირქვა? არა და არა! დაე, მშვიდობა იყოს გზავნილიორკში!

• მარი, სიხარულო, ცოტა ხნით შემოგირბინეთ. მინდა, თბილი მოკითხვები და დიდი მონატრებით და სიყვარულით სავსე მესიჯი დაგიტოვო. როზი, ნიკოლ, 9122, მგზავნელებო, გკოცნით. ამალთეა.

• სალამი „გზაელებს", როგორ ხართ? ხომ ხართ მაგრად? როგორ დაიკარგეთ ტოო, პულსივით! თუ მე დავიკარგე ცამეტიანი კლუჩივით? ჰო, მართლა, ახლა ვიყავი კულინართან. უგემრიელეს კერძებს ამზადებს. ჰოდა, ერთი რეცეპტი მეც ჩავიწერე. ახლა გეტყვით და აუცილებლად ჩაიწერეთ, ძაან მაგარია. დავიწყოთ: აიღეთ ერთი ჩაის კოვზი, წვრილად დაფქვილი, წითელი წიწაკა, დაუმატეთ ცოტა მსხვილად დაფშვნილი წითელი აგური, კარგად აურიეთ ერთმანეთში და ხელის წრიული მოძრაობით ნაზად მიმოიფანტეთ თავზე. ახლაა ყველაზე საინტერესო მომენტი. ე.ი, რა ხდება შემდეგ! ტილი შეისუნთქავს წიწაკას, დააცემინებს, დაჰკრავს აგურის ნაფხვენზე თავს და მოკვდება, შემდეგ ნანადირევს წამოაგებთ შამფურზე, თონეში ჩაჰკიდებთ (იმიტომ, რომ ბუხარში არ დაეტევა), კარგად შებრაწავთ, შემდეგ ჩახვალთ მარანში, ამოიტანთ ადესას ღვინოს, შემდეგ დაუძახებთ სამეგობროს და და-

ნარჩენი თქვენი ფანტაზიისთვის მომინდვია. რაებს ვბოდავ, არა? თუმცა, რას ვბოდავ, მაგარი პრიკოლი კია და, თუ გინდათ, გაიღიმეთ. ჯეჯე.

• ახლა, მგზავნელებო, იცით, სად ვარ? სიღნაღში! ძალიან მაგარია, კარგ დროს ვატარებ. გკოცნით, ყველა მიყვარხართ. ცირა.

• „გზა“ არ მაქვს და ვერ წავიკითხე, ბავშვებო, რას წერთ. არადა, რამდენი ვეხვეწე მამას, „გზა“ არ დაგავიწყდეს-მეთქი. გაკოცეთ ბევრი. ცირა.

• ლანძღავთ? ე.ი. პოპულარულები არიან და რაღაც ისეთი აქვთ, რაც თქვენში შურს იწვევს. ნუ აიქაფეთ პირი მის რეალის, განძის მაძიებლის და სხვათა მიმართ. კანიბალები ხართ?

• გადამრიე ბაო, გოგოვ, თუ მამჩნევდი, არც მეგონა, მიყვარხარ და ჩემი გული სამუდამოდ დაგემონა. დალოცვისთვის ზღვა მადლობა, მოფერება, კოცნა — ტონა. კამელიას უყვარხარო!

• 9717, დიდი მადლობა მოკითხვისთვის, მეც მოგიკითხავ დიდი სიყვარულით. გუ-ათენო, მეც ხონელი ვარ, იქნებ გიცნობ? სახელი და გვარი მითხარი, რა. პატარა მავნევ, გკოცნი. პრინცესა.

• მარის ვცემ პატივს და არ მოგწერ პასუხს, კახა. ყველა მგზავნელს ლუნა გჯობიათ. მაგარი საყვარელი ყოფილა. დატანჯულო გოგო, რაო, გაგაბრაზეს ქალბატონებმა? დაიკიდე! კავალა.

• გრუზინკას ზღვა სიყვარული ამ გულიდან არ გაქრება, ძმა რომ მყავდეს თათარ გოგოს, ჩემი რძლობა არ ასცდება. უგრძესი მადლობა, მოლოცვისთვის, ფერიავ! კამელიას უყვარხარ!

• მოვიკითხავ ყველა მგზავნელს, განსაკუთრებით, ვისაც ქუთაისი და მით უმეტეს — ხონი უყვარს. გაიხარე, გუათენო, შენს ლამაზ გოგოსთან ერთად. ხონელი ხარ? ხონსკი.

• რაც მაგრები ვართ, მთიულები ვართ. მოვიკითხავ ყველა მთიულსა და სვანს. ძაან მაგარი ხალხი ხართ. განსაკუთრებით — კვიციანები და ახალაშვილები. მიკალქააალთ! თაკო.

• პრივეტები, კუპრა, როგორ ხარ? მოგიკითხავთ ათენიდან, დიდი სიყვარულით. დღეს შაბათია და ორ დაბადების დღეს ერთად აღვნიშნავთ. გამოიცანი, ვისი დაბადების დღეებია? რომ იცოდე, როგორ გვენატრები. მით უმეტეს, ყველაზე პატარა ეჭვიანს. ხომ იცი, რა დღეშია. ვაი, არ გეცოდები, რა დღეში ვარ? დილას ვაკო, შუადღეს ვაკო, საღამოს ვაკო. ვაიმეე! გვიყვარხარ, კუპრა და მაგრად გვენატრები. ეკა.

• მარიამ, ადამიანის გაგიჟებისთვის თუა სასჯელი, უნდა გიჩივლო. გაგიჟებით მიყვარხარ. მსოფლიოში საუკეთესო მოქანდაკეს ვიპოვი, შენს ოქროს ქანდაკებას გავაკეთებინებ მობილურით ხელში და გულის ადგილას უდიდეს ბრილიანტის ზოდს ჩავასმევინებ! კამელიას უყვარხარო, შეშლილია და აპატიეო. გკოცნი დაუთვლელს.

• ბალი გავიცანი. ჰოდა, მაგრად ვჭამეთ მსხალი. კიიდო ერთი მგზავნელი გავიცანი, მაგრამ ნიკი არ მახსოვს. რა გქვია, ბოშო? აუუ, ეს თათია მგონი, ახალია თუ ნიკი აქვს შეცვლილი? მაგის შურისძიებაზე რამდენი ვიცინე! მაგარი ტიპია. კიიდო, მის რეალს თავი დაანებეთ, არ გამაბრაზოთ, თორემ ჩაგაშხამებთ საახალწლოდ გოზინაყს და ჩურჩხელას. გეიგეთ? ისე, რავა ყველას ვევასები, ჰა? ცირა, გაგეცნობი, არაა პრობლემა. ეე, მადონაა, ასე რამ მოგანდომა გოგო, ჩემი თავი? მადონა ერთი მასწავლებელი მყავდა. ჰოდა, გამაბრაზა, დავცხე აპერკოტი, გედევანიშვილივით ორმაგი ტულუპი შეასრულა ჰაერში და ძირს ავარიულად დაეშვა. ჰოდა, აღარ შემაწუხო, თორემ მის ბედს გაიზიარებ.

• ვაკო, იმის საშუალება არ მომეცა, რომ დაგელაპარაკო. ჟურნალის მეშვეობით გეტყვი: მომენატრე, ძალიან. ჩემი სიხარულები. ხარ. ვაკო, არ იდარდო, თავს გაუფრთხილდი, გთხოვ. შენთან ვარ მთელი არსებით. შენი ტკივილი ჩემი ტკივილია, ჩემო პატარავ. ხომ იცი, რა დღეში ვარ. რა გესწავლება? ვერაფერს ვეღარ გეტყვი. შენი პატარა ეჭვიანი.

• კოდორის ხეობიდან უპირებენ ქართველებს გამოყრას და მიშა აფხაზეთს დაიბრუნებს? სადაა მეგობარი ქვეყნები, ასე რომ ტრაბახობს ეს ცრუპენტელა ხელისუფლება? ვაი, ჩვენს თავს!

• თუ საპირისპირო სქესის ადამიანი მომწონს, მას ან მე ვეყვარები, ან არავინ. ახლაც მომწონს ერთი სიხარული და მისთვის ვიბრძოლებ. საერთოდ, ვისაც ვუყვარვარ, ის მძულს ვისაც არა, ის მიყვარს და ის ჩემი მიზანია. მარ, შენ ჩემი მიზანი ხარ, ნახე, თუ არ შეგაყვარო თავი! მის რეალ, მაგარი ხარ. კავალ, წადი, რა, სადმე. გაკოცეთ. ადიდასი.

• მარი, ეს სამი დღეა, „მობილი-ზაციაში“ გასაგზავნ მესიჯს ვწერ, ვშლი, ვწერ, ვშლი. მაგარი გაბრაზებული ვარ. ჰმ! მაპატია თურმე, ბიჭმა, ვერ უყურებთ, ერთი? მოიცადე, ისე არ ამოვწყდები, „ჯავრი შევჭამო მტრისანი“. ისე, სენაკსა და თელავს მინიატიურული, ნეიტრონული ბომბები არ აწყენდა, ხომ იცი. აუ, ცოტა ნაკლებად რომ მყვარებოდი, მე ვიცი, რასაც მივწერდი. კავალა.

• hi ხალხებს. ტატუსია, ქალ, როგორ ხარ? მადლობა, ნიკის გადარქმევისთვის. აზრი ჩამაწოდე. ამიერიდან ვოტ ტაკ, უკარება ვიქნები. გაკოცეთ, თქვენი უკარება. ვოტ ტაკ!

• მის რეალია თუ ვიღაცაა, ცოტა ტვინი გაირემონტოს, რას ემლიქვნელებით, გზავნილიორკის მზეო? მარი შტატიდან ამოაგდეთ? გამოვიდა გოგო თაყვანისცემის კულტი! მის ამბიცია.

• რამაზი კოსა კარშია. დავხვდით ციხის კართან ყველა და წავიყვანეთ სახლში. კოსა, ძამი, მიყვარხარ. მადლობა ყველას, ვინც კოსას დაეხმარა გაჭირვებაში.

• შენ ხარ ოცნება, შენ ხარ სინათლე, შენ ხარ ცის ნამი ცოდვილ მიწაზე! შენ ხარ სითბო და შენ ხარ ალერსი, მეც მოგეფერე ახლა, ამ ლექსით. გრუზინკა, მიყვარხარ! კამელია.

ვინც მთელი დღე მუშაობს,
მას თეთრის შოკნის
დრო ან ჰქვს.

მიყვარხარ



• უზომოდ მიყვარდი... სად გადაგკარგეს, სად... მაინც იმ გრძნობით მიყვარხარ! შენ მენატრები, გელა, ტკივილამდე. ძალიან მიყვარხარ!

• ანდრო, ძალიან მიყვარხარ, ჩემი ცხოვრება ხარ. შენი ბაჩი.

• ჩემმა მეუღლემ, ინგამ, იმავე ირმამ მინდა იცოდეს, რომ ძალიან მიყვარს და მთელი ცხოვრება მეყვარება. შენ ჩემი ოცნების ქალი ხარ და ნუ მებუტები ხოლმე უმიზეზოდ.

• ჩემო სიცოცხლევ და სიყვარულო, არჩილ კოდიაშვილო, უზომოდ მიყვარხარ. გაკოცე ბევრი. შენი შეშლილი ბავშვი, მეიდნელი ჯადო.

• ნინო მეკიძევ, ვიცი, რომ „გზას“ კითხულობ. ნინი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ შენ სხვას ეკუთვნი და შენი თაფლისფერი, ლამაზი თვალებიც. დამსხვრეული ოცნება დამრჩა. მგზავრი.

• ჯონი მახაჭაძე, ჩემო სიცოცხლევ, უსაზღვროდ მენატრები, ჩემო ძვირფასო, უფალს ვავედრებ ჩვენს მომავალს... გკოცნი და გეფერები. შენი მეუღლე, მადონა ჭრელაშვილი.

• შენ ამ ქვეყანაზე ყველაზე კეთილი ხარ და ამ სამყაროში ყველაზე წმინდა ხარ. მთელ დედამიწაზე ყველაზე ლამაზი ხარ, გრუზინკა, გაგიჟებით მიყვარხარ! კამელია.

• 25 ივლისს, დაბადების დღეს ვულოცავ ნათია ვარდოსანიძეს. ჩემი სიცოცხლე ხარ, ნათ, ჩემი ყველაზე საყვარელი ბიძაშვილი ხარ. ღმერთი გფარავდეს, ცუნცულ. მიყვარხარ. მაესტრო.

• ლუნა, დაბადების დღეს გილოცავ, სიცოცხლე ადამიანო. მხოლოდ სიყვარული, ღიმილი, ბედნიერება და წარმატება იყოს შენი მეგზური ცხოვრებაში. მაგრად მიყვარხარ. მაესტრო.

• 25 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ კამელიას. შენი გზავნილები არ მოჰკლებოდეს „გზას“! აქვე ჩემს თავსაც ვულოცავ, ჩვენ ხომ ერთ დღეს ვართ დაბადებული. მონარქი.

• კამი, დაბადების დღეს გილოცავ, ანგელოზო. მთელი სულითა და გულით გისურვებ ულამაზეს ცხოვრებას. სიყვარულმა გაგინათოს სიცოცხლე. მაგრად გაფასებ. ვიცი, მიცნობ. ნისლიანი ქუჩა.

• ჩემს საყვარელ დეიდას, შორენა კაკაბაძეს და ბიძას, ვახტანგ ჯოხიძეს! ორივეს გილოცავთ დაბადების დღეს. იხარეთ და იბედნიერეთ. გფარავდეთ უფალი. დათო გაგანიძე. ხონი.

• კამელია, უღრმესი მადლობა, იუბილე რომ მომილოცე. მეც მინდა მოგილოცო და ყველაფერი საუკეთესო გისურვო. ჯანმრთელად და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ! მიყვარხარ. ლუნა.

• ლუნა, გილოცავ დაბადების დღეს, საუკეთესო სურვილებით. იასამანო და ზოლიანო, გაიხარეთ! ზოგი კი, ჯობია, ლანძღვის ნაცვლად ინტელექტამდე ამაღლდეს. განძის მაძიებელი.

• შენა ხარ ჩემი სიყვარული, მთვარეც, ვარსკვლავიც და მზეც! ჩემო ახდენილო ოცნებავ, გილოცავ დაბადების დღეს! მიყვარხარ, ჩემო შუმახერო, მენატრები. შენი კამელია.

• დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო კამელიაო,/ სიხარული, სიყვარული, სითბო არ მოგკლებოდესო,/ შენს ოჯახთან, მუდამ იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი,/ გაახარებ ჩემს გულს ძლიერ,/ თუ იქნები ბედნიერი. მაფიოზ, მეც მინდა შენი ნომერი, ძალიან. მოკითხვა ნიკოლს. მგელკაცა, რატომ დამივიწყე? მიყვარხართ! ლუნა.

• ჩემს დაიკოს ვულოცავ დაბადების დღეს (29.07). შოკა, კენჭივით იყავი შენს პატარა ოჯახთან ერთად. მარი, პატარა კახელს ჩემგან გულთბილი სალამი. კახელო-616.

• ჩემთვის ყველაზე ძვირფასს, ჩემს შვილიშვილს, ილია ჭიკაიძეს ნათელა ბებო ულოცავს 23 ივლისს, დაბადების დღეს. ბედნიერი და გაბრწყინებული მენახე, ჩემო პატარა ანგელოზო. ბებოს სიხარული და ოცნება ხარ. გკოცნი და გეფერები შორიდან. ღმერთის მფარველობა, ჯანმრთელობა და ბედნიერი მომავალი გქონდეს, ჩემო ოცნებავ.

• ელზა დაგელიშვილს და კობა მამუკელაშვილს ვულოცავ გაბედნიერებას. გისურვებთ, ჩემო ლამაზებო, სიყვარული, სიხარული და ღმერთის მფარველობა იყოს თქვენი მეგზური. ნათელა მამიდა.

• უმშვენიერეს ქალბატონს, გულიკო გრიგოლიას 24 ივლისს ვულოცავთ დაბადების დღეს. ღვთის წყალობა და მადლი არ მოჰკლებოდეს. ძალიან გვიყვარხართ. ციური და ინგა.

ვულოცავ

• ლუნა და იჯო, გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარით მრავალს. ღმერთი გფარავდეთ. აბეზარა.

• საბერძნეთში, ლელა ბიცოლას ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ღვთის შემწეობას და ყველაფერს საუკეთესოს. გვიყვარხარ და გვენატრები. ანა, მერი, ნინო, თამუ და ირინა.

• ჩემს სიცოცხლე ბიჭს, გიო ონიანს ვულოცავ დაბადების დღეს. მალე გნახავ, ბონძღი.

ყურაღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

რა გავლენას ახდენს ორსულობაზე მადა

ზაფხულის დადგომისთანავე, ზედმეტი კილოგრამები ყველა ქალს გაცილებით მეტად აღელვებს. ამ დროს პირველ რიგში დიეტა ახსენდებათ, მაგრამ დიეტის დაცვა არც ისე იოლია. ყველას არ ყოფნის ძალა, რომ ის ბოლომდე მიიყვანოს. არსებობს მადის „მოტყუების“ რამდენიმე ხერხი, რომლებსაც ახლა გაგაცნობთ.



1. ბალანსირებული საუზმე, სადილი და ვახშამი

საუზმეში ჩართე ბურღულის ფაფა. მის გადამუშავებას ორგანიზმი დიდ დროს ანდომებს და შიმშილის შეგრძნება დიდი ხნის განმავლობაში არ შეგაწუხებს. თანაც, ბურღულის ნაწარმი ხელს უშლის ცხიმის დაგროვებას და წყლის შეკავებას.

მთავარია, არასოდეს თქვა უარი საუზმეზე. სადილისთვის ყველაზე აუცილებელი კომპონენტი სალათი გახლავთ. ვიტამინებით მდიდარი ბოსტნეულის ასორტი ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას ხელს უწყობს.

ვახშმად კარგი იქნება ბოსტნეულთან ერთად მირთმეული ხორცი ან თევზი.

2. მცირე ულუფები

უმჯობესია, ჭამო ხშირად და ცოტა. მაგალითად, დღეში სამჯერ, დანაყრებამდე მირთმევას, ჯობს 6-ჯერ მიირთვა და მაგიდიდან მშიერი ადგე. ასეთ შემთხვევაში მუდმივად დანაყრებული იქნები. იმისათვის, რომ საკვების რაოდენობა აკონტროლო, უმჯობესია, მომცრო ზომის, ცისფერი ან ლურჯი თეფშები შეიძინო და სადილის კოვზის ნაცვლად დესერტის კოვზით ისარგებლო. უნდა ჭამო ნელა და საკვები კარგად დაღეჭო. საკვების მიღების პროცესი 20 წუთს მაინც უნდა გაგრძელდეს, რადგან სწორედ ეს დროა საჭირო საიმისოდ, ორგანიზმმა „გაიგოს“, რომ დანაყრებულია.

3. მხოლოდ მაშინ ჭამე, როცა გშია

თუ მხოლოდ მაშინ შეჭამ, როცა მოგშივდება, ამით ზედმეტი ცხიმის დაგროვებას ხელს შეუშლი. გარდა ამისა, გადაჭარბე ტელევიზორის წინ ან კითხვის დროს ჭამას. ამ დროს ძნელია, საკვების რაოდენობა აკონტროლო.

4. პროდუქტი, რომელიც მადას ამცირებს

პირველ რიგში, ეს ტკბილეულია, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით უნდა მიირთვა. იმისათვის, რომ შიმშილის გრძნობას თავი დააღწიო, 1 კარამელი ან 2 ნატეხი შოკოლადიც საკმარისია.

შიმშილის გრძნობას ასევე ახშობს 1 ჭიქა უცხიმო რძე. პროტეინების ასეთი რაოდენობა ჭამის გაგრძელების სურვილს გიკარგავს.

5. ხალხური საშუალებები

მადის ერთ-ერთი, ყველაზე დიდი მტერი ნიორი გახლავთ. გასრისე 3 კბილი ნიორი და დაასხი 1 ჭიქა, ანადუღარი, ოთახის ტემპერატურამდე გაცივებული წყალი. ასეთი სახის ნაყენი (1 სუფრის კოვზი), ძილის წინ უნდა მიიღო. ასევე შეიძლება, 1 კბილი ნივრის მთლიანად, დაუღეჭავად გადაყლაპვა, მაგრამ ეს მეთოდი მხოლოდ მათ გამოადგებათ, ვისაც კუჭ-ნაწლავის მოქმედება წესრიგში აქვთ.

8. ოხრახუში და პიტნა

1 სუფრის კოვზ ოხრახუშს ან რამდენიმე ღერ პიტნას 1 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხი. ნაყენი შიმშილის გრძნობას 2-2,5 საათის განმავლობაში გააქრობს.

7. ლეღვი და ქლიავი

ლეღვისა და ქლიავის 500 გრამ ნაყოფს 3 ლიტრი წყალი დაასხი და ადუღე მანამ, ვიდრე ნახევარი ლიტრი წყალი არ აორთქლდება. ასეთი სახის ნაყენი, ნახევარი ჭიქის ოდენობით, ჭამის წინ უნდა მიიღო.

8. სუნელები

სუნელები და არომატიზატორები მადას აღვიძებს და შიმშილის გრძნობას აძლიერებს. ამიტომ, ისინი შეზღუდული რაოდენობით უნდა მიიღო. რაც უფრო მწარე საკვებს მიიღებ, მით უფრო მალე მოგშივდება.

9. ტომატის წვენი

უშუალოდ ჭამის წინ მიიღე 1 ჭიქა ტომატის წვენი და უბრალო ან მინერალური წყალი. ამ ხერხით მადის დაქვეითებას შეუწყობ ხელს და 1/3-ით ნაკლებ საკვებს მიიღებ.

10. არომათერაპია

ამერიკელმა მეცნიერმა, ალან ჰირშმა მადის დამთრგუნველი 10 სურნელი აღმოაჩინა. ეს გახლავთ ვანილის, გრეიპფრუტის, ანისის, წიწაკის, კამის, ვაშლის, პიტნის, ბანანის, ვარდისა და ლავანდის სურნელი. თუ ამ მცენარეების არომატულ ზეთს ჭამის დროს გამოიყენებ, მადა დაგიქვეითდება.

11. გამაჯანსაღებელი აზრები

თუ საკვებზე ფიქრი არ გასვენებს, წარმოიდგინე მაინც, როგორი იქნები რამდენიმე წლის შემდეგ, თუ ორგანიზმს აჰყვები. ●

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-29

შეუსრიფებელი ანა

დაბრუნება

ნაწილი მეორე

ინგა ჯაყელი

...ყველაფერი ერთმანეთში აირია: ჯერ ბავშვობაში გადავვარდი და კიდევ ერთხელ დამეხანჯლა სული ტკივილებით, მერე კი მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალწინ ისე ჩამიქროლა, თითქოს, აჩქარებული ტემპით მიჩვენებდნენ შავ-თეთრ ფირს... ამ ყველაფრის შემდეგ ისეთი რამ ვიხილე, მივხვდი, ეს აღარ იყო წარსულში განცდილი — „ეკრანზე“ ნისლი ჩამოწვა, რაღაც ძალამ ბუმბულივით ამიტაცა და საოცარი სისწრაფით დამატრიალა. სანამ რაიმეს დავინახავდი, ხმა გავიგონე: მზად ხარ, რომ საკუთარ წარსულს და მომავალს თვალი გაუსწორო?.. არ ვიცოდი, რა მეპასუხა და ამ ხმის პატრონის დანახვას ამაოდ ვცდილობდი...

— სანამ ცოცხალი ხარ, ვერ დამინახავ. მე იმ სამყაროს სული ვარ, სადაც ცოცხლებს ბევრის უფლება არ ეძლევათ...

ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემი დავინახე, რომელსაც კისერზე უღელი ედგა და დაჩოქილი გახლდათ. მისი დანახვა არ მესიამოვნა და შიშის გარდა, ვერაფერი ვიგრძენი.

— შენ მისთვის ჯოჯოხეთური ტანჯვის შემსუბუქება შეგეძლო! — მომესმა ისევ ხმა. — მაგრამ ახლა, ის ორმაგად დაისჯება იმის გამო, რომ სულში ასეთი ზიზღი დაგიტოვა და იმის გამოც, რამაც შენი ძმის ბედისწერა გაამრუდა და დაღუპვამდე მიიყვანა!..

ამის შემდეგ მამაჩემი გაქრა და დათო დავინახე. მას თვალებიდან ცრემლი სდიოდა. მომიახლოვდა, გულში ჩამიკრა და ისეთი რაღაცები მითხრა, რომ დღემდე გაოგნებული დავდივარ... როცა რეალურ სამყაროს დავუბრუნდი, თავი მუსიე დიუპონის კალთაში მედო, ის კი თმაზე მეფერებოდა. მან უცნაური გემოს მქონე ჩაი დამალევინა, რომელმაც საბოლოოდ რეალობის შეგრძნება დამიბრუნა.

— მუსიე დიუპონ, თქვენ მართლა ჯადოქარი ყოფილხართ! — მომიხდა აღიარება.

— ახლა ხომ გჯერათ, რომ წინასწარ ვიცოდი, იმ ღამეს რაც შეგვემთხვეოდა?

— მე ხომ თქვენთვის არაფერს წარმოვადგენდი? ასე რომ, მშვიდად შეგეძლოთ, ამ სიტუაციისთვის თავი აგერიდებინათ...

— თუ სხვის სიცოცხლეს არაფრად ჩავაგდებდი, სიმშვიდეს ვეღარ ვეღირსებოდი. იმ დღეს უფალმა მეც დამაკისრა გარკვეული მისია და ამისთვის ვმადლობ ღმერთს! — მუსიე დიუპონმა პირჯვარი გადაისახა. მივხვდი, კათოლიკე იყო. ამ შემთხვევის შემდეგ დავმეგობრდით. მე ხშირად მივდივარ მასთან, ყავას ვსვამთ და ვსაუბრობთ...

— მიმიყვან იმ ჯადოქართან? — მხარზე მოვებღაუჭე ირაკლის.

— მუსიე დიუპონის სახლი აქედან ათი წუთის სავალზეა... მასთან სტუმრობას გაბედავ?

— ოღონდ დათო ვნახო და მითხრას, თუ რატომ შეგვახვედრა განგებამ ერთმანეთს და ყველაფერზე თანახმა ვარ!..

მუსიე დიუპონი ირაკლის ისე შეხვდა, როგორც ძველ მეგობარს, მე კი ხელზე მეამბორა და მითხრა:

— შორი გზიდან მოსულ ჟალბატონს სურს, ზუსტად იცოდეს, რა მისია აკისრია, არა?!

არ ვაპირებ იმის დაწვრილებით მოყოლას, რაც მუსიე დიუპონის მიერ შეზავებული ბალახების წყალობით მართლაც, მისტიკურ ხილვაში მეუწყა. სიმართლე გითხრა, მსგავსი რამ სხვისგან რომ მომესმინა, ვერ დავიჯერებდი. უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ შემთხვევით არაფერი ხდება: დათოს გადარჩენა შეუძლებელი იყო, მან კი ჩემი გადარჩენა ნამდვილად შეძლო — რომ არა ის, დღესაც გიგი თეთრაძის ტყვეობაში ვიქნებოდი. ის კი იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებმაც ეშმაკს სული ნებაყოფლობით მიჰყიდეს. მართალია, გიგი ეკლესიაში დადის, სანთელს ანთებს, მოძღვარიც ჰყავს და მას აღსარებასაც აბარებს,

კალეიდოსკოპი

SMS-ურთიერთობები

Walt Disney Internet Group-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ირკვევა, რომ ამერიკელ მოზარდთა და თინეიჯერთა უმრავლესობას მობილური ტელეფონით სარგებლობა არ უყვარს. ისინი ერთმანეთთან ურთიერთობის დროს SMS-შეტყობინებებსა და მოკლე შეტყობინების სხვა საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას. ამერიკელთა უფროს თაობას კი SMS-ურთიერთობებს, სატელეფონო საუბარი ურჩევნია. კომპანიის წარმომადგენლები მოზარდთა ამ არჩევანს იმით ხსნიან, რომ ახალგაზრდებს სატელეფონო საუბრის გამო, სხვა საქმიანობიდან (მაგალითად: მეგობრებთან ურთიერთობა, ფილმის ყურება, კომპიუტერული თამაშები) მოწყვეტა არ სურთ. კომპანიის — C&G Research — მონაცემთა მიხედვით, დღეს მობილური ტელეფონი 10-13 წლის ასაკის ყოველ მეორე ამერიკელს და 19 წლის ასაკის მოზარდთა 83%-ს აქვს. მოზარდი დღეში საშუალოდ, 50-70 SMS-შეტყობინებას გზავნის (წელიწადში მინიმუმ 18000-ს). ახალგაზრდობა მობილური ტელეფონის საშუალებით, სოციალურ ქსელებთან ურთიერთობას ამყარებს, ფილმებს უყურებს და ახალ-ახალ გასართობს ეძებს. ■

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ამის შემდეგ მაინც აღარ იმრუშოს, დაშვებულ შეცდომებს იმეორებს და მოძღვარსაც ურევს უფლისკენ სავალ გზას. წესით, მისნაირებს მოძღვარი ზიარებას არ უნდა აძლევდეს!.. ჩემთან რომ მოვიდა, ძველებურად სცადა, სხვებთან შედარებით თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა. მისი საცოდაობით გული მომეწურა, რადგან უკვე ვიცი, არავინაა უფრო საცოდავი, ვიდრე ის, ვინც დაიჯერა, რომ არი, — აქ დამტოვე-მეთქი! მერე კი ერთ-ერთი ხის ძირას ჩავჯექი, სახე ხელებში ჩავრგე და ავტირდი. დათოს მანქანის დაძვრა არც უფიქრია — ათიოდე წუთი მელოდა, მერე კი მომიახლოვდა, ჩემ წინ ჩაიმუხლა, თავი ამაწევინა და ცრემლიანი სახე დამიკოცნა. მივხვდი, თავადაც ტიროდა... ცოტა ხანში დათო წამოდგა და ხელში ამიყვანა.

გავუძალიანდი:

— დამტოვე... მე ბედნიერი არასწუთისოფლის სიკეთე დამსახურებულად მიიღო. დროის საკითხია, თორემ გიგი და მისი მსგავსები, ადრე თუ გვიან, ცხოვრებას ძალიან ცუდად დაამთავრებენ — მათ ისეთი უბედურება დაატყდებათ თავს, რომ შესაძლოა, სიკვდილიც სანატრელი გაუხდეთ... დათომ განსაცდელს ამარიდა — გიგის ბოროტებას აყოლილი, მეც მხოლოდ შურისძიებაზე ვფიქრობდი და ის რომ არ გამოჩენილიყო, არ ვიცი, რა მოხდებოდა. ჩემთვის რომ ეკითხათ, გიგის არც შვილი უნდა გასჩენოდა, არც — შვილიშვილი. უფრო მეტიც, ზოგჯერ მას სიკვდილსაც ვუსურვებდი, რადგან მეგონა, ეს ჩემი სიმშვიდისთვის იყო აუცილებელი. არადა, ასე ფიქრის რა უფლება მქონდა?! როცა გიგი გავიცანი, ის უკვე სხვას ეკუთვნოდა, თავისი ცხოვრება ჰქონდა და მე ჩემი გზა უნდა მეპოვა...

— თუნდაც, ნიკა ვაწაძესთან ერთად...

— უბედურება ის არის, რომ ჩემნაირები ლანგრით მორთმეულ ბედნიერებას ვერ აფასებენ... მაგრამ იცი, ნიკას აშკარად არ ეყოფოდა ძალა ჩემს „გადასარჩენად“. იმ ღამეს დათოს ადგილას ის რომ ყოფილიყო, წარმომიდგენია, რაც მოხდებოდა — დამსვამდა და დილამდე მორალს წამიკითხავდა, თავადაც ცხარე ცრემლებით იტირებდა, მეც ამატირებდა და ალბათ, ჭკუაზეც შემშლიდა...

წამიერი ბედნიერება...

რაც არის, არის, უნდა გავამხილო ის, რაც ადრე არ გიამბე და მიხვდები, რატომ ვერ შემიცვლის დათოს ვერავინ. რესტორანში ჩვენს პირველ შეხვედრას რაც მოჰყვა, უკვე იცით. იმ ღამეს მანქანები თითქმის არ მოძრაობდნენ. ჩვენ ცენტრალურ ტრასაზეც არ ვიყავით გამოსულები, როცა დათოს მანქანის გაჩერება მოვთხოვე. კარი გავაღე, ხელჩანთა ავიღე, გადმოვედი და კაცს ვუთხარი, — დამტოვე-მეთქი! მერე კი ერთ-ერთი ხის ძირას ჩავჯექი, სახე ხელებში ჩავრგე და ავტირდი. დათოს მანქანის დაძვრა არც უფიქრია — ათიოდე წუთი მელოდა, მერე კი მომიახლოვდა, ჩემ წინ ჩაიმუხლა, თავი ამაწევინა და ცრემლიანი სახე დამიკოცნა. მივხვდი, თავადაც ტიროდა... ცოტა ხანში დათო წამოდგა და ხელში ამიყვანა.

გავუძალიანდი:

— დამტოვე... მე ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ... აღარ მინდა იმ ყალბ სამყაროში დაბრუნება, სადაც სიხარული არ არსებობს... სიცოცხლე მომბეზრდა!..

დათომ მანქანის კაპოტზე შემომსვა. მის თვალებზე ისევ ბრწყინავდა ცრემლები. მან ხელი ზურგს უკან წაიღო და ცოტა ხანში რევოლვერი შეათამაშა:

— მზად ხარ, რომ ორივემ თავი მოვიკლათ და დავამთავროთ სიცოცხლე, რომელშიც ყველაზე ბედნიერი ის ორიოდე საათია, რომელიც ერთად გავატარეთ?!.

იმწუთას შიში არ მიგრძნია, პირიქით, სიკვდილი ყველაზე სწორი გამოსავალი მეგონა. ამიტომაც, თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, მერე კი მისი ჩემს ხმას მიუგდო ყური და აღმოხდა: ღმერთო, გვაპატიე!..

იმ ღამით სახლში არ ამომყვა. განშორებისას ვუთხარი ის, რასაც ვგრძნობდი:

— ცხოვრებისგან ყველაფერი მივიღე, რასაც ვიმსახურებდი ან არ ვიმსახურებდი. შენ ჩემი გადარჩენა შეგიძლია! იცოდე, უშენოდ უამრავ შეცდომას დავუშვებ...

ტუჩებზე ხელი ამაფარა, დამელოდეო! — მითხრა და შეტრიალდა...

ხომ ვიცი, რომ მკვდარია, მაგრამ დღემდე ველოდები და ასე მგონია, კიდევ მომიწყობს სიურპრიზს. დათო ის ფენომენია, რომელსაც სიკვდილიც ვერ დაამარცხებს — მკვდარი არ იყო, ანა-მარია რომ მაჩუქა? მან ყველაზე დიდი განძი სწორედ შვილის სახით დამიტოვა. გოგონა საოცრად ჰგავს მამას — მისი თვალები, შუბლი, ტუჩები და მანერები აქვს. მშვენივრად იცი, ანგელოზი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ მკვდარი დათო ათას ცოცხალ კაცს მირჩევნია, მასავით არც ვინმე მიყვარს და არც მეყვარება...

— გიგიზე აღარ გეკითხები, მაგრამ რას ეუბნები ნიკას, რომელსაც თავისებური იმედიც კი მიეცი? — ვკითხე ანას.

— ნიკა სხვა ფენომენია... სხვათა შორის, ჯერ არ მინახავს — უკრაინაშია მივლინებით და ორიოდე დღეში დაბრუნდება. იცი, ჩვენი ბიზნესი თითქმის აეწყო... ანა-მარიას შესახებ მან ჯერ არაფერი იცის, დიდი სიურპრიზი ელოდება...

მისი სახე ხელისგულებში მოვიქციე და გიჟური ვნებაც შემომენთო

ხელი ზურგს უკან წაიღო და ცოტა ხანში რევოლვერი შეათამაშა

სახე ხელისგულებში მოვიქციე და გიჟური ვნებაც შემომენთო: ჯერ სახე დავუკოცნე, მერე — კისერი, შემდეგ პერანგის ღილები შევუხსენი... დათომ ჰაერში გაისროლა და იარაღი ხელიდან გაუვარდა... ასე მეგონა, ვარსკვლავებს შორის დავფრინავდით და როცა დედამიწაზე „დავეშვით“, დავიკვნესე:

— ახლა სიკვდილისთვის ნამდვილად მზად ვარ!..

დათოს გული ისე უძგერდა, მიკვირს, რომ არ გაუსკდა. მან მხეცივით იღრიალა და მანქანის სახურავს მუშტი დასცხო:

— რისთვის, ღმერთო, რისთვის?.. რატომ დამცინი? რატომ მაწამებ? რას მოითხოვ ჩემგან?..

დათოს მოვეხვიე და „მამაო ჩვენოს“ კითხვა დავიწყე... ის მალე დამშვიდდა,

— დარწმუნებული ვარ, არ ეწყინება...

— მეც ასე მგონია, მაგრამ ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენ შორის იმაზე მეტი სიახლოვე იყოს, რაც აქამდე გვქონდა. მე და ანა-მარიას დათოს ვერავინ შეგვიცვლის, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც...

საათი ოთხს უჩვენებდა, სადაცაა თავზე დაგვათენდებოდა.

— მოდი, ზოგი რამ ხვალისთვისაც შემოვინახოთ! — მითხრა ანამ და შუქი გამორთო...

P.S. *ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99).71.89.39.*

დასასრული შემდეგ ნომერში

ლუდით თქმული სადღეგრძელო...

ინგა ჯაყელი

პრინციპში, სადღეგრძელო და ისიც ლუდით თქმული, ჩვენს შემთხვევაში, ალბათ სულაც არაა მთავარი, რადგან ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ზაზამ თალიკოს ერთადერთი ქალიშვილი მოსტაცა და შეიძლება ითქვას, ძალით შეეჭრა სახლში ზედსიძედ. სამართლიანობის თვალსაზრისით, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზაზამ მანანა სწორედ ქონების გამო მოსტაცა თალიკოს, თორემ სხვა არაფერი უვარგოდა ნაფერებ დედისერთას. როგორც ზაზამ აღიარა — თუ კუნაპეტი სიბნელე არაა საძინებელში და ფანტაზიაც არ მოიშველია კაცმა, ძნელია მანანას მსგავსთან სარეცლის გაზიარებაო! — სწორედ ისეა საქმე.

ზაზა კი გარეგნობით მართლაც ვარსკვლავებს წყვეტს, მაგრამ რად გინდა?! — მოწყვეტილი ვარსკვლავებით დაპურებული ოჯახი ვის უნახავს და ბიჭს სამუშაოს გაგონებაც არ უნდა: ბირჟა, ძმაკაცები, ჭორაობა და... ლუდი!

რადგან ლუდი უყვარს, სადღეგრძელოებიც ეხერხება, თან ისეთი „გულში ჩასახუტებელი“, ძმაკაცები არწმუნებენ: თუ მეინდომებ, წიგნს გამოსცემ იმფერს, რიგში დეიტაცებენო!..

ბადრის სიდედრი რომ დაასაფლავეს და მეორე დღეს ნამცეცობაზე შეიკრიბნენ ბიჭები, „პახმელიისთვის“ ლუდით რომ დაეღწიათ თავი, მაშინ თქვა ის სადღეგრძელო ზაზამ, შემთხვევით რომ მოჰკრა ყური მისმა სიდედრმა — თალიკომ.

— შენსას კი არა, იმ სიდედრს გოუმარჯოს, ბადრია, ვინც პირველი მიეწევა სულგანათლებულ დარეჯანას და ჯოჯოხეთში შეასწრებს, პირველ რიგში, ჩემს „დედიკოს“ — თალიკოს დავლოცავ!..

თალიკო კი, მისდა ჭირად, გვერდით ოთახში იყო თურმე და მეზობლებს არეული სახლის დალაგებაში ეხმარებოდა, დიდი რკინის „პოლისჯოხით“ წმენდდა იატაკს და სწორედ ის ჯოხი სდრუზა თავში უკნიდან მიპარულმა საძულველ სიძეს...

მოულოდნელობისგან დაბნეულმა ზაზამ გაღიმება მოასწრო მხოლოდ და გაითიშა, დარჩა ისე გაღიმებული... ბიჭები კი, იმის ნაცვლად, ძმაკაცს მიშველებოდნენ, იმის შიშით — ჩვენც არ მოგვხვდესო! — კისრისტეხით გაცვივდნენ ღია კარში...

თალიკომ კი შემოირტყა დოინჯი და რაც წლებისა განმავლობაში სათქმელი ჰქონდა დაგროვილი, ერთბაშად მიუშვა ნიაღვრად:

— შე უნიფხვო, უპატრონო, უსაქმურო, უსიყვარულო, უფხო, უფულო, უმაქნისო, უტ...ო და უტვინო!..

მის კივილზე მოცვენილ ქალებსაც არ მისცა ზაზას მიშველების უფლება, სტაცა ხელი ჭუჭყიანი წყლით სავსე ვედროს და სახეში შეასხა იატაკზე გაშოტილს... როცა ვერც ამ პროცედურამ მოიყვანა ზაზა გონს, თალიკომ წიხლი მიაყოლა „უხერხულ ადგილზე“. გამწარებულმა ზაზამ თვალი კი გაახილა, მაგრამ ისე უაზროდ, ვიღაცამ დაიგმინა და თალიკო გვერდზე გასწია:

— სიძე კია და არც მე მეხატება ჩემი გულზე, მარა მაი მეტისმეტი მოგვივიდა!..

გამოძახებული „სასწრაფო დახმარების“ ექიმმაც რომ ვერ ამოაღებინა ხმა ზაზას, „ხელები დაიბანა“ და პოლიციასაც თავად გამოუძახა:

— ეს განზრახ მკვლელობის მცდელობაა!..

— ტიტუ-უ! — შეიცხადეს ქალებმა — აღარ ეშველება რამე?!

— არა, არც მაგისი საშველი იქნება და არც მაგისი სიდედრის! — კატეგორიული იყო ექიმი.

...ცოტა ხანში, ზაზა „სასწრაფომ“ წაიყვანა, თალიკო — ბადრაგმა!..

ძმაკაცებმა მეორე დღეს მოინახულეს ზაზა, რომელიც რეანიმაციაში იწვა რაღაც აპარატზე მიერთებული და რატომღაც ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— რა აცინებს ამ უბედურს?! — ამოიოხრა და ცრემლი მოიწმინდა ბადრიამ და ის იყო, ცალი თვალიც გაახილა ზაზამ, დაიჩურჩულა:

— უცხო ხომ არაა ვინმე ახლოში?! — მერე კი აღიარა: — თალიკოს ჯინაზე არ მოვკვდები, იმდენ ფულს დავცინცლავთ მე და ჩემი ექიმი „მკურნალობისთვის“, რო სიცოცხლის ბოლომდე გვეყოფა „პივის“ სასმელად, უკვე მოველაპარაკე და თანახმაა, ისეთ მძიმე დიაგნოზს დამისვამს, ციხის კედლებსაც ვახეხვინებთ ცოტა ხანს თალიკოს... წლობითაც გავუშვებდით „სროკზე“, მარა ვიღაცამ ხომ უნდა იმუშაოს და არჩინოს ოჯახი?!.

— სად ნახე ის ღვთისპირიდან გადავარდნილი და შენზე უფრო ეშმაკი ექიმი?! — გაიკვირვეს ბიჭებმა.

— ფულის სუნზე ეშმაკიც თავად მოდის და ყველა ძაღლი-მამაძაღლი! — თქვა ზაზამ და ისევ მილულა თვალები, რადგან რეანიმაციის კარი ვიღაცამ ჭრიალით შეაღო.

ვიშვიშით გალაგდნენ ბიჭები გარეთ... თითქმის ყველას შეშურდა ზაზასი და თანახმანიც იყვნენ „პოლისჯოხის“ მოხვედრაც აეტანათ თავში, ოღონდ საძულველი სიდედრებისთვის მოქუჩებული ფულების „ამოტყავება“ მოეხერხებინათ, ბადრია იყო შედარებით „მშვიდად“, დარეჯანი მკვდარი იყო და აღარც ფული უნდოდა მისი და აღარც დანახვა. პრინციპში, მისიც შურდათ ბიჭებს... ■

მარიეტის ნიძანი



დასაწყისი „გზა“ №24-29

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ირაკლიმ ჩაიღიმა.

— მე ვარ უგულო? შენ? შენ ვინ ხარ, ჰაეროვანი არსება? ცარიელი სული და გული?

— დაახლოებით.

უნდა წავიდეს, უნდა გაჩუმდეს, ადგეს და წავიდეს. უნდა... ან არ უნდა...

— სხვა გიყვარს? — ჰკითხა თაკომ მოულოდნელად.

— ეგ შენ არ გეხება.

— ეს პასუხი არ არის.

„წადი! არ უპასუხო!“ — თავის თავს ეწინააღმდეგებოდა პირადი მცველი.

— ჰო, სხვა მიყვარს, დაკმაყოფილდი?

— რატომ, რატომ გიყვარს სხვა?

— ასეა ცხოვრება მოწყობილი და იმიტომ. როცა უყვართ, განა ეკითხებიან — რატომ? უყვართ იმიტომ, რომ უყვართ.

— სულელი ხარ.

— მომისმინე, პატარავ... ჯობია, დაწვე და დაიძინო.

— მაგრამ შენ მე გინდივარ. ხომ მართალია?

— წადი, რა!

— გამოტყდი.

მორჩა, უნდა წავიდეს! ირაკლი წამოდგა და კარისკენ ნაბიჯი გადადგა.

— სად მიდიხარ? ეს ხომ შენი ოთახია, რატომ გარბიხარ?

— შენი იდიოტობების მოსმენა არ მსურს.

— მოიცა, არ წახვიდე, — თაკომ უკანიდან ხელი მოხვია და ლოყა ზურგზე მიადო. — გესმის მაინც, რომ მიყვარხარ? ისე, უბრალოდ მიყვარხარ.

მამაკაცმა არ უპასუხა.

— შენგან არაფერს ვითხოვ, დედას გეფიცები.

— მადლობა ღმერთს, გამიმართლა, — ჩაიცინა მორიელმა.

— მე შენ უბრალოდ მიყვარხარ, თვითონაც არ ვიცი, რატომ.

— რას მელაპარაკები!

— ჰო, რატომღაც ასე მოხდა. ადამიანებს ყოველთვის რაღაცის გამო უყვარდებათ სხვა ადამიანები. სილამაზის, ინტელექტის, მიმზიდველობის, წარმატების, სიმდიდრის, სიძლიერის გამო.

— ამ თვისებათაგან მე არც ერთი არ გამაჩნია, ასე რომ, წადი, მოისვენე.

— სწორედ ეგაა საქმე. არც ერთი არ გაგაჩნია, მე კი მიყვარხარ.

— თანაგიგრძნობ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები.

— ტყუი! შენ ჩემ მიმართ გულგრილი არა ხარ. მე შენ მოგწონვარ.

— მოწონება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიყვარულს.

— ეგეც მართალია, მაგრამ... ნუთუ, სულ არ გიყვარვარ? სულ ცოტათი მაინც?

გოგონამ წინიდან მოუარა და მავედრებელი მზერა მიაპყრო, თითქოს მისი პასუხის სისწორის შემოწმება სურსო.

ღმერთო, როგორ შეიძლება ასეთ მომენტში მამაკაცი შეუვალი დარჩეს?! არ შეიძლება, არაფრით შეიძლება... მაგრამ ის ხომ ბავშვია, მთლად ბავშვი. მათ შორის უზარმაზარი ასაკობრივი სხვაობაა, შვილად შეეფერება.

— მომისმინე, პატარავ... საქმე ისაა, რომ...

— რომ შენი გული დაკავებულია, არა?

— რაღაც ამდაგვარი.

— როგორ ფიქრობ, იმ შენს გულში ორი ქალი ვერ დაეტევა? როგორმე რომ მოინდომო, იქნებ ჩემთვისაც გამონახო ადგილი. გთხოვ, გამიგო. შენგან არაფერი მინდა. არაფერი! არც ცოლობას გთხოვ, არც ფულს... უბრალოდ, შენთან მინდა, ეგ არის და ეგ.

— თაკო, მოვრჩეთ ამ ლაპარაკს. ეს დიალოგი არსად არ მიგვიყვანს, უაზრობაა მხოლოდ.

— გემუდარები, არ წახვიდე. არაფერს გთხოვ, მხოლოდ შემეხე, მარტო ის მინდა, რომ ჩამეხუტო. არ ვიცი, რა მიზიდავს შენში ასე ძალიან, მაგრამ სურვილს ვერ ვერევი... — ჩურჩულებდა გოგონა.

ყველაზე ვერაგული ამ წუთებში მხოლოდ ის იყო, რომ ირაკლის ერთხელ უკვე ჰქონდა მოსმენილი მსგავსი სიტყვები... ნანასგან. სწორედ თაკოს ბაგეებიდან მათი გამეორება იწვევდა მამაკაცში პროტესტს. პატარს კი არ ჰქონდა უფლება, ელაპარაკა და ეგრძნო ისე, როგორც ნანა გრძნობდა ოდესღაც. თაკო პატარა, განებივრებული თავხედი გოგონა იყო, ნანა კი... ნანა მისი სულის ნაწილი, მისი... თუმცა მაინც უღალატა მის სიყვარულს...

და ირაკლი მიხვდა, რომ თაკოს მიერ წარმოთქმული, სწორედ ის ერთხელ გაგონილი სიტყვები მისი სულის დახურულ კარს ნელ-ნელა აღებდა. კარს, რომელიც მას აქამდე საგულდაგულოდ დაგმანული ეგონა.

თაკო მიუახლოვდა და მკლავები კისერზე მოხვია, ტუჩებით ყელზე შეეხო. ირაკლიმ ცივად მოიშორა გოგონას ათრთოლებული ხელები, ოდნავ უკან უბიძგა და ოთახი დატოვა.

ჯანდაბა! მის გულს ბაგაბუგი გააქვს, საგულეში აღარ ეტევა. რა ქნას, როგორ შეაგნებინოს, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება? კარს ხომ არ ჩაკეტავს, ბოლოს და ბოლოს! შეფიქრიანებული პირადი მცველი გარეთ გავიდა და სახლის შემოგარენის შემოწმებას შეუდგა. ცივი

ნიავი ესიამოვნა. სახე ღამის სიბნელეს შეუშვირა. ოფლით დაცვაროდა მაღალი შუბლი. ახლაღა იგრძნო, როგორი დაძაბული იყო. ერთი ამოიგმინა და მოეშვა. კარგა ხანს იყურყუტა ეზოში, ყველა კუთხე-კუნჭული შეამოწმა და უკან შებრუნდა. ფრთხილად შეაღო ოთახის კარი... თაკო წასულიყო...

დაძინებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. წამოწვა და ფიქრი განაგრძო. ცოტა არ იყოს, შერცხვა. დაამცირა ბავშვი. ასე არასდროს მოქცეულა, არასდროს დაუმცირებია ქალი. თან შეეცოდა... რცხვენოდა და ეცოდებოდა... და ეს ორი გრძნობა რაღაც შეუცნობლად ერწყმოდა მესამეს, რომლისთვისაც არ სურდა სახელი დაერქმია... თუმცა არც იყო საჭირო... ის თავად ირქმევდა სახელს... ეს სურვილი იყო. სწორედ ამ სურვილმა შეძლო მისი გაქვავებული გულის გათბობა...

ღამის დარჩენილი ნაწილი მამაკაცმა ნანაზე ფიქრს დაუთმო, გაიხსენა მისი ღალატი. თითქოს ახლა მიხვდა იმას, რაც წლების წინ გამოეპარა — რას ნიშნავდა ქალის უმისამართო, მოხეტიალე ღიმილი, უმიზეზოდ რომ გამოეხატებოდა ტუჩებზე... მაშინ წამითაც არ უფიქრია ირაკლის, წამითაც არ დაუშვია, რომ ეს მოახლოებული სიყვარულის მაუწყებელი ღიმილი იყო, სხვა სიყვარულის და არა მისი... მაშინ ნანას ჯერ კიდევ უყვარდა იგი, ემზადებოდა მასთან გამოსათხოვებლად და სხვის შესაყვარებლად... მერე თანდათან გაუცხოვდა, გაცივდა, ცდილობდა, გაჰქცეოდა მის სიახლოვეს... ვერც მაშინ მიხვდა ვერაფერს, ვერ მიხვდა, რადგან არ ელოდა, არ სჯეროდა... რომ მიმხვდარიყო, შეეძლო კი მისი შეჩერება? ან იყო კი საჭირო შეეჩერებინა? ან იქნებ, თავად უნდა ეთქვა, წადი, რადგან ასე გადაწყვიტე, წადი მასთანო?.. მაგრამ ირაკლიმ ვერ გაიგო, ვერ მიხვდა, ვერ შეამჩნია. ამიტომაც წავიდა მშვიდად ავლანეთში... ეგონა, დაელოდებოდა ქალი...

ბოლოს აღმოაჩინა, რომ ამ ყველაფერს ღალატი ერქვა. მისი საუკეთესო მეგობარი და საყვარელი ქალი დიდხანს ატყუებდნენ თურმე... შეეძლო, ეპატიებინა ორივესთვის, მაგრამ არ აპატია, რადგან დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში — ისინი უნდა მოსულიყვნენ მასთან და პირდაპირ ეთქვათ, ასე და ასეა, ძმაო, საქმე, ამიტომ უნდა გაგვიგო... გაუგებდა... გაუგებდა და აპატიებდა კიდეც... ასე კი რა გამოვიდა? საშინელება...

ახლა რას ფიქრობს? ახლა სხვა ჭკუაზეა. ახლა უკვე ხვდება, რომ ესმის მათი — შეუძლებელს ითხოვდა ორივესგან. მისთვის რომ სიმართლე ეთქვათ, თავიანთ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ დარწმუნებულნი, ურთიერთობას კი დრო სჭირდება. ჰოდა, სწორედ ამ დროის უკმარისობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ისინი მალევე დაშორდნენ ერთმანეთს — ნანამ ვერ იგუა განსხვავებული ტიპის მამაკაცი...

მერე შერიგება და პატიება სთხოვა ირაკლის.

არ შეურიგდა, არ აპატია...

ნანობს? არ იცის, არასდროს დაფიქრებულა ამაზე. არც ის იცის, რას განიცდიდა, როცა ხელახლა მობრუნებული, თვალცრემლიანი ქალი უკან მიღებას სთხოვდა.

ისეთი გულგრილი იყო-ო-ო...

სწორედ ისეთი, როგორიც ახლა, ორიოდე საათის წინ — გულგრილობა და სურვილი ერთმანეთს ებრძოდა, მაგრამ თავად გრძნობას არ ერქვა სახელი, არ ერქვა, რადგან ის გრძნობა სიყვარული არ იყო...

არც სიძულვილი იყო... არც ზიზღი...

არ იცის, რა იყო...

რაღაც იყო... უსახელო... უგრძნობი და უსახური...

— სად მიდიხარ? — დილით, უძილობისგან თვალებდაწითლებულმა თაკომ ირაკლი თავით ფეხებამდე შეათვალიერა.

— წავალ, პროდუქტს მოვიტან, რაღაც ხომ უნდა ვჭამოთ, — პირადმა მცველმა ტელეფონის ნომრის აკრება დაიწყო.

— მეც წამოვალ, — წამოხტა გოგონა.

— არსადაც არ წამოხვალ, აქ იყავი და დამელოდე, მე მალე მოვბრუნდები, — უბრძანა მამაკაცმა.

— არა, წამოვალ, მომწყინდა შინ ჯდომა, გთხოვ, — შეეხვეწა თაკო.

— ალო, გიო, შენი ნახვა მინდა, სად იქნები?

— ...

— უკვე გამოვდივარ... კარგი, მოვალ... ათ წუთში მანდ გავჩნდები. რა თქვი?.. ჰო, ფულიც მინდა და თან სალაპარაკო მაქვს... კარგი, კარგი. — მორიელმა ყურმილი დაკიდა და თავი ჩალუნა.

— კატეგორიულად მოვითხოვ, წამიყვანო. ცოტა სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ, ასე არ შემიძლია.

— სად ჩაყლაპავ, მაღაზიაში? — დასცინა ირაკლიმ.

— თუნდაც, — გაჯიუტდა გოგონა. — გარდა ამისა, შენ როგორ უნდა შეარჩიო პროდუქტი, რა გესმის ამის?

— სია ჩამომიწერე, პატარავ, და რაც საჭირო იქნება, ყველაფერს მოვიტან.

— აბა, როგორ აგიხსნა, მაგალითად, საქონლის ხორცის რა ნაჭერი მინდა? თვითონ უნდა ვნახო. — ჯიუტობდა თაკო.

მამაკაცი გაჩუმდა.

— ხომ წამიყვან? — თაკო გვერდით მიუჯდა და მხარზე ხელი დაადო.

— წამოდი, ჰა, რადგან არ იშლი... ოღონდ, ერთი პირობით — რასაც გეტყვი, უსიტყვოდ შეასრულებ, გასაგებია?

— გასაგებია, — გახარებული გოგონა სირბილით გაეშურა ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

— დროზე, ორ წუთში მზად უნდა იყო, — დაადევნა მამაკაცმა.

გოგონა მალევე მობრუნდა, სპორტულად ჩაეცვა — ჯინსის შარვალი და თეთრი მაისური, გრძელი თმა აეწია და კეპიანი ქუდის ქვეშ დაემალა.

ირაკლიმ ჯერ გიოს გაუარა ოფისში, სადაც დაახლოებით ოცი წუთი დაყო, ფული გამოართვა, მომხდარზე დაელაპარაკა და დირექტივებიც მისცა, მერე კი თაკოსთან ერთად მარკეტი დალაშქრა.

მთელი კვირის მარაგი წამოიღეს. თაკომ ყველაფერი იყიდა, რაც მის გულს და სულს გაუხარდებოდა — შოკოლადით დაწყებული, ნაყინით და ჩიფსით დამთავრებული. პატარა ბავშვივით იყო — სასუსნავები უყვარდა.

— ჩიფსში შეიძლება, ადამიანმა ამდენი ფული გადაყაროს?! რა უცნაურები ხართ ეს მდიდრები, ფული რაში დახარჯოთ, არ იცით. — საყვედურობდა უკანა გზაზე გოგონას.

ამ ლაპარაკში იყო, რომ მოულოდნელად სარკეში მათ უკან მომავალი შავი ჯიპი შენიშნა. არ შეიმჩნია, თან თაკოს ელაპარაკებოდა, თან სარკეს თვალს არ აცილებდა. აშკარა იყო, ვიღაც მოსდევდა.

სანამ მოიფიქრებდა, რა გაეკეთებინა, ჯიპი უკვე მოახლოვდა. მიხვდა, მის მანქანას დაცხრილვა არ ასცდებოდა. მოულოდნელად დაამუხრუჭა და მარცხნივ აიღო საჭე. საბურავების გულის გამაწვრილებელი ღრჭიალი გაისმა.

— თაკო, დაბლა ჩასრიალდი და შეძლებისდაგვარად დაიმალე, — ხმადაბლა უთხრა გოგონას და მჭიდროდ დასახლებულ ვიწრო ქუჩაზე გადაუხვია.

რამდენიმე ხანს ოლროჩოლრო გზით იარეს. მანქანის იატაკზე ჩაცუცქული თაკო ხელებით სავარძელს ჩაჰფრენოდა და თვალებგაფართოებული მისჩერებოდა პირად მცველს. მდევარი არსად ჩანდა. ნუთუ აუბნია გზა-კვალი?! ამის გაფიქრება იყო და შავმა ჯიპმა „მერსედესს“ წინიდან ჩაუჭრა გზა. გამოსროლილი ტყვია უეცრად საქარე მინას მოხვდა. თაკომ მთელი ხმით შეკივლა და იმის გაფიქრებალა მოასწრო, ნაყიდი სურსათი აღარაფერში დაგვჭირდებაო.

ისინი ორმა გარემოებამ გადაარჩინა: ერთი ის იყო, რომ „მერსედესის“ მინები ტყვიაგაუმტარი იყო, მეორეც — დაძაბული პირადი მცველი არ დაბნეულა, საჭეს მთელი ძალით ჩააფრინდა, მანქანა უკან დახია და მერე მთელი სისწრაფით გაექანა ჯიპისკენ, რომელშიც ორი სათვალიანი ტიპი იჯდა. ცოტაც და ორივე მანქანა ერთმანეთს შეასკდებოდა, მდევარს რომ არ შეშინებოდა: მძღოლმა მომენტალურად დაქოქა ჯიპი და მეორე ქუჩაზე შეუხვია.

ირაკლის მთელი სისწრაფით მიჰყავდა მანქანა. როგორც იქნა, მათი სახლი და დაცული ზონაც გამოჩნდა.

— ამიერიდან ჭიშკრის გარეთ აღარ გახვალ, — უხეშად მიუბრუნდა ფერწასული ირაკლი გოგონას, როცა მანქანა ფარეხში დააყენა. — და მეორეჯერ არც იოცნებო, რომ ჩემი დაყოლიება სცადო. ეს პირველი და უკანასკნელი იყო. თუ არა და, გავეთავისუფლები და რაც გინდა, ის გააკეთე. — დასძინა გაყინული ხმით.

თაკო დუმდა, პირადი მცველი ცამდე მართალი იყო.

— შეამჩნიე, ის ორი ტიპი როგორ დაიბნა? ეს საუკეთესო მომენტი იყო მოლაპარაკებისთვის, — ხმა შეურბილდა მამაკაცს, ცოტათი გაიღიმა კიდეც. — შენ რომ არ მჯდარიყავი მანქანაში, შენ გამო რომ არ შემშინებოდა, აუცილებლად გავჩერდებოდი და მკაცრად დაველაპარაკებოდი მათ... და ისე მკაცრად დაველაპარაკებოდი, ძვლებიც არ შერჩებოდათ სხეულზე მთელი.

— მე რომ არ ვმჯდარიყავი მანქანაში, არც არავინ დაგედევნებოდა, სროლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, — ნიშნის მოგებით აღნიშნა გოგონამ.

ახლა ირაკლი გაჩუმდა. ამწუთას თაკო იყო მართალი.

მან გამჭოლი მზერა ესროლა მამაკაცს და გატრიალდა. სამზარეულოში შევიდა, რათა ნაყიდი პროდუქტები ამოელაგებინა და თავ-თავის ადგილას დაეწყო. ვერ დაეჯერებინა, რომ ვიღაცას მისი მოკვლა უნდოდა. სისულელედ ეჩვენებოდა, დაუჯერებლად. არადა, მცდელობა ნამდვილად იყო, ამ ფაქტს ვერსად გაექცეოდა. ასეთ რამეს შემთხვევითობას ვერ მიაწერდა...

— ირაკლი, ღმერთი გწამს? — ჰკითხა მოგვიანებით, როცა სუფრას შლიდა.

— არა, — ხმადაბლა უპასუხა მამაკაცმა.

— ბედისწერის?

— შეიძლება...

— აბა, მაშინ მითხარი: თუკი ბედისწერა აუცილებლად სიკვდილს გიმზადებს, ღირს კი წინააღმდეგობის გაწევა?

ირაკლი ჯერ გაჩუმდა, შემდეგ კი მძიმე, უცნაური ხმით ხმადაბლა თქვა:

— ბედისწერა შენ გიცავს, თამარ, და ეს უნდა დაინახო, ნუ სცოდავ; უმადურობა არ უნდა გამოიჩინო.



„თამარ“ — მას არ შეუთავაზებია ირაკლისთვის, ასე ოფიციალურად მიემართა. აგერ, თითქმის ორ კვირაზე მეტია, ერთად ცხოვრობენ და ეს სახელი პირველად დაუძახა. რაში დასჭირდა? ნუთუ, ამით უნდა აგრძნობინოს, რომ მათ შორის დაახლოების მანძილი არ შემცირდება?! ვერც მისი უცნაური ხმის ტემბრს ჩასწვდა. რატომ შეეცვალა ასე ხმა პირად მცველს?..

ამას მხოლოდ ღამით მიხვდა, როცა მამაკაცმა მორიგი შემოვლა განახორციელა. გოგონას ესმოდა მისი საოცრად მსუბუქი ნაბიჯების ხმა, მაქსიმალურად ჰაეროვანი და უწონო, თითქოს ცდილობდა, თავისი სხეულის სიმძიმე ჰაერში აეტანა. მისი წონის ადამიანისთვის ეს ნამდვილად არ იყო ადვილი მოსახერხებელი, მაგრამ თაკო მიხვდა, როგორ ახერხებდა იგი ამას. ავღანეთი... იქ ჯარისკაცებს სიარულსაც ასწავლიდნენ, ცოცვასაც, სროლასაც და... იმასაც, როგორ მომკვდარიყვნენ.

და ისინი კვდებოდნენ, ძალიან, ძალიან ახალგაზრდები, ცხოვრება ჯერ წესიერად არც ჰქონდათ დაწყებული, მათ ასახიჩრებდნენ, აგლეჯდნენ ხელებს და ფეხებს. ირაკლიმ კი შეძლო, ეს ყოველივე გადაეტანა, იმ საშინელებიდან უვნებელი გამომძვრალიყო. მას ბედისწერა იცავდა. სწორედ ამიტომ ჰქონდა უცნაური ხმა, როცა თაკოს მოძღვრავდა.

აი, თურმე რა ყოფილა — მას ბედისწერა იცავს. და ირაკლის, როგორც სხვას არავის, მისთვის შენიშვნის მიცემის უფლება ჰქონდა: ნუ სცოდავ; უმადურობა არ უნდა გამოიჩინოო. ყოფილმა ჯარისკაცმა კარგად უწყოდა, რას ნიშნავდა ბედის გაღიმება.

პირადი მცველის ნაბიჯები მის კართან შეწყდა. სიჩუმეში მამაკაცი მის სუნთქვას უგდებდა ყურს. თაკო დაიძაბა, ოდნავ წამოიწია. შემოვა კი?

ამის სურვილი კლავდა, მაგრამ თან ეშინოდა კიდეც. რისი? თავადაც არ იცოდა. თან სურდა მისი სიახლოვე, თან შიში ეუფლებოდა. იქნებ, ირაკლი მართალი იყო? მათ შორის ხომ ძალიან დიდი ასაკობრივი სხვაობაა! ეყვარება კი ბოლომდე? ვაითუ, მალევე მოჰბეზრდეს! იქნებ, არც უყვარს, მხოლოდ მისი სიძლიერე ხიბლავს და ეს ჰგონია სიყვარული? პატარა გოგონებს ხომ სჩვევიათ ძლიერი, დაკუნთული და იარაღიანი მამაკაცებით აღფრთოვანება! გარდა ამ სიძლიერისა, რა ხიბლავდა მასში? ის, რომ უცოლო იყო? თუ ნაიარევი სახეზე? თანაც ორი: ერთი — წარბთან, მეორე — ტუჩის კუთხეში. არა მგონია, ასეთმა რამემ ბევრ ქალში გამოიწვიოს ვნებიანი ენთუზიაზმი. იქნებ, მის თვალებში მიმალული იდუმალი ჭინკები? ან იქნებ ის, რომ მამაკაცი გამუდმებით მის გვერდით იყო და არც დღე, არც ღამე სხვაგან არ მიდიოდა? კი თქვა, სხვა მიყვარსო, მაგრამ ეს რომ მართალი იყოს, რა გული მოუთმენდა, ის სხვა ერთხელ მაინც არ ენახა ამდენი ხნის განმავლობაში. ტელეფონით მაინც ხომ მიაწვდენდა ხმას?! იქნებ, ერთადერთი, რაც მას სურს, ის არის, რომ მხოლოდ მოეფეროს, მისი სითბო იგრძნოს, მისი სიახლოვე, მის ფართო მკერდში თავჩარგულმა მშვიდად დაიძინოს?! ამის გაფიქრებაზე გაეღიმა, რადგან კარგად იცოდა, რომ მისთვის ეს ძალიან მცირე იქნებოდა, თაკო ვერ დაკმაყოფილდებოდა ამ მცირედით, მას მეტი უნდოდა და ეს ნდომა იმდენად ძლიერი იყო, უკან არაფერზე დაიხევდა. რა მოხდება, მასაც რომ გაუჩნდეს იგივე სურვილი? ახლა, ამწუთას შემოვიდეს და ჩაეხუტოს, მოეფეროს, აკოცოს!.. რა მოხდება, თუკი მისი პირადი მცველი...

არაფერიც არ მოხდა, არც არაფერი მოიმოქმედა. გოგონას სმენას ისევ ჰაერივით მსუბუქი ნაბიჯების ხმა მისწვდა, რომელიც მის კარს თანდათან შორდებოდა.

სასოწარკვეთილი პირქვე დაემხო და ბალიში ჩაიხუტა. ძალიანაც კარგი, არ უნდა და ნუ უნდა, უიმისოდაც იოლას გავა. ლოგინში ნახევარი საათის წრიალის შემდეგ, როგორც იქნა, ჩაეძინა...

...ჩაეძინა იმისთვის, რომ ირაკლის მკლავებში გაღვიძებოდა. ის მის გვერდით, თხელ საბანზე ზემოდან იწვა ჩაცმული და მხარზე ნაზად უსვამდა ხელს.

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა —

თაკოს დაეჭვებული მზერა, რომელსაც ეს ყველაფერი სიზმარი ეგონა და ირაკლის დაძაბული გამომეტყველება, თითქოს ეს-ესაა, დანაშაული ჩაიდინა და ბოდიშის მოსახდელად ემზადებაო...

— როგორც იქნა... — ჩურჩულით წარმოთქვა მამაკაცმა და ხელი ჩამოიღო მისი მხრიდან.

— რა მოხდა? — გატოკებას ვერ ბედავდა თაკო.

— მთელი ღამე ყვიროდი ძილში, ძალიან შემაშინე. კინაღამ „სასწრაფოს“ გამოვუძახე. ცუდი სიზმარი ნახე?

— არაფერი მახსოვს, არ ვიცი, — თაკო გაოგნებული მისჩერებოდა პირად მცველს.

— იძულებული გავხდი, ღამე აქ გამეთია, ვერ გავბედე შენი მარტო დატოვება. იცი, რამდენჯერ სცადე წამოხტომა?! სადღაც გარბოდი.

— მართლა? ალბათ, გუშინდელი საშინელება ჩამყვა.

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ. მადლობა ღმერთს, გათენდა და შენც დამშვიდებულს გაგეღვიძა. — გაუღიმა მამაკაცმა და წამოდგა.

როგორ არ უნდოდა თაკოს, ირაკლი ამდგარიყო, როგორ სიამოვნებდა, როცა მის გვერდით იწვა, როცა მისი ძლიერი მკლავების სიმხურვალე ათბობდა. ადვილი შესაგრძნობი იყო, როგორ სწყუროდა ამ მკლავებს ქალის სინაზე, ალერსი... ქალური ალღოთი იმასაც მიხვდა, რომ მამაკაცი მზად იყო მის შესაყვარებლად. ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი — საკმარისი იყო, თაკოს ახლა ხელები გაეწვდინა, მის მკერდს შეხებოდა, რომ მამაკაცი თავდავიწყებით გადაეშვებოდა ვნების მორევში, მაგრამ რატომღაც არ მოინდომა...

ირაკლი სიტყვის უთქმელად გავიდა, უკან არც მოუხედავს, მაგრამ უზარმაზარი სითბო დატოვა. სწორედ ამ სითბოსგან გრძნობდა თავს თაკო სრულიად დაუცველად. ეს თანაგრძნობის სითბო უფრო იყო, ვიდრე სიყვარულის, ნდომის ან მონატრების.

ამიტომაც არ მოინდომა...

და სწორადაც მოიქცა...

კარგი ქნა, რომ არ მოინდომა...

„ცოტა ხნით ისიც იყოს მოლოდინში. ცოტათი ისიც დაიტანჯოს, არაფერი უჭირს. ეს უფრო დიდი ნაბიჯი იქნება შემდგომი დაახლოებისკენ. ვერაგული ხრიკია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ამართლებს. ალბათ, იმიტომ, რომ უბოროტო ხრიკია, დამსახურებული სიყვარულის მოსაპოვებლად მიმართული.

კარგი ქნა, რომ არ მოინდომა...“

და თვალები ცრემლებით აევსო.

რამდენი წელია, მარტოსულად გრძნობს თავს... მას შემდეგ, რაც დედა აღარ ჰყავს. სანამ მამა მეორედ დაქორწინდებოდა, თითქოს კიდევ არა უშავდა, მაგრამ ოჯახში მერის შემოსვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია. იგი საბოლოოდ გარიყული აღმოჩნდა. მისთვის აღარავის ეცალა, მამას — განსაკუთრებით. ყურადღების ცენტრში მხოლოდ მერი იმყოფებოდა — ყველანი მის გარშემო ტრიალებდნენ, ყველანი მის დაკრულზე ცეკვავდნენ, მისით იყვნენ აღფრთოვანებულნი, მხოლოდ მისთვის არ იშურებდნენ ქათიანურებს და... იყო ერთი გნიასი. თაკო ვიღას ახსოვდა?!

რა უცნაურია... ოდესღაც ის ბედნიერი იყო და თავს საოცრად მყუდროდ და დაცულად გრძნობდა.

მერე უბედური გახდა და თავისთავად — დაუცველიც.

ახლა? ახლა ისევ დაცულად გრძნობს თავს — ირაკლი მის გვერდითაა, მის გამო სიცოცხლეს სწირავს. ეს რას ნიშნავს? ნუთუ კვლავ ბედნიერია? თუ ასე არ არის, მაშინ რატომ გრძნობს თავს ასე დაცულად? ჰო, ბედნიერია, მისი არსებობით არის ბედნიერი, მისი ახლოს ყოფნით არის ბედნიერი და კიდევ იმით, რომ... მამაკაციც მზად არის ამ ბედნიერების მისაღებად და გასაზიარებლად. ამაში თაკო ღრმად არის დარწმუნებული. ცრემლები მოიწმინდა და უმისამართოდ გაიღიმა. მოულოდნელად კარი გაიღო და ირაკლიმ შემოიხედა.

— რა გჭირს, თამარ?! — გაოცებული დააკვირდა.

გოგონას მეტიც არ უნდოდა? ღრიალი მორთო! გულამოსკვნით ტიროდა, თან რცხვენოდა, რადგან ამ ცრემლების ახსნა არ შეეძლო. ამავდროულად ეგონა, რომ ხმამაღალი ქვითინით თავის უსუსურობასა და სისუსტეს უსვამდა ხაზს და ამით, საყვარელი მამაკაცის თვალში, ძლიერი ქალის იმიჯს სამუდამოდ დაკარგავდა.

— მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ, მაპატიე... თავი ვერ შევიკავე. — სლუკუნით იმეორებდა.

ირაკლი საწოლზე ჩამოუჯდა და მისი თავი მკერდზე მიიხუტა. თაკო რაღაცას უხსნიდა, ძალიან რთულად და ძალიან გრძლად. ირაკლი კარგა ხანს უსმენდა, მაგრამ მისი ნათქვამიდან ვერაფერი გაიგო და ბოლოს შეაწყვეტინა:

— რა სისულელეა, სადამდე გინდა გისმინო?! ადექი და მაჭამე რამე, კუჭი მიხმება.

გემრიელად ისაუზმეს. როცა ყავის სმაზე გადავიდნენ, ირაკლი მხოლოდ მაშინ ალაპარაკდა:

— უკან, ეზოში, ბლის ხესთან გალავნის ქვეშ მიწაა გამოთხრილი, დილით შევამჩნიე. დაცვის გაძლიერება მოგვიწევს, ასე შეიძლება რამე გამომეპაროს. დაცვას უკვე შევატყობინე, საჭირო ზომებს მიიღებენ.

— კიდევ ვინმე უნდა მოვიდეს? — ყურადღებით მიაჩერდა გოგონა.

— ჰო, რამდენიმე კაცს უახლოეს დღეებში გამოგზავნიან, როგორც კი გამოთავისუფლდებიან სხვა საქმეებიდან, იმის მიხედვით. მანამდე უფრო ფხიზლად ყოფნა მოგვიწევს.

— მე-ეც?

— შენ არა, ჩვენ, ვინც დაცვაში ვართ, იმათ, — გაეცინა ირაკლის.

— დიდი ორმოა?

— ორმო არ არის, უფრო თხრილია. უკვე ამოვავსეთ. როგორც ჩანს, დილამდე ვერ მოასწრეს კარგად გამოთხრა, ინათა თუ არა, მიატოვეს და გაიქცნენ.

— ღმერთო ჩემო, რა უნდათ ჩემგან, მე რა დავაშავე?! თუ ასეთი მაგრები არიან, მამაჩემი ეძებონ, მე რა შუაში ვარ?! იმდენსაც ვერ ხვდებიან, რომ მამაჩემს ასე არ ვეძვირფასები...

— ნუ ამბობ ასე. გურამს ძალიან უყვარხარ, ვიცი.

— კი, როგორ არა, დღედაღამ ჩემზე ფიქრობს! სულ ფეხებზე არ ვკიდივარ?! მაგას მარტო თავისი მერი აინტერესებს და მეტი არავინ.

— მეტჯერ აღარ გაიმეორო ეს სიტყვები, გასაგებია? თუ რამე პრეტენზიები გაქვს, მამაშენს მოახსენე, ჩემთან არ გინდა ამაზე ლაპარაკი.

— კარგი, მაპატიე. შენს ძმაკაცს ელაპარაკე?

— რომელ ძმაკაცს?

— გიგას.

— რა თქმა უნდა, წუხელვე დავურეკე და ყველაფერი მოვუყევი.

— მერე?

— მერედა, იმ ჯიპის პატრონის ვინაობას დაადგენენ და გამოიძახებენ დასაკითხავად.

— როგორ უნდა დაადგინონ?

— ნომრის და სერიის მიხედვით.

— ნომერი საიდან უნდა გაიგონ?

— გაიგეს უკვე, მე ვუთხარი.

— შე-ენ? — თვალები დააჭყიტა თაკომ. — შენ რა, იმ მომენტში მაგის თავი გქონდა, რომ ნომრები წაგეკითხა და დაგემახსოვრებინა?

— ეს ჩემი პროფესიაა, სხვა რა მევალება? — უდარდელად აიჩეჩა მხრები მორიელმა.

— ნუთუ ასეთი მაგარი ხარ თუ ჩემს მოსაჩვენებლად აკეთებ ამას? — ეჭვნარევი მზერა სტყორცნა გოგონამ.

— ნუ მაბრალებ იმას, რაც არაფერში მჭირდება. მე მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ, იმას, რაშიც ფულს მიხდიან. მორჩა და გათავდა.

— დავიჯერო, მხოლოდ ფულის გამო მიცავ ასე გულმოდგინედ?!

მამაკაცი ადგილზე გაქვავდა. თაკოს მოეჩვენა, რომ მუდმივად მშვიდ და აუღელვებელ მორიელს წამით სახე გაუფითრდა.

— მხოლოდ ფულის გამო — არა, — თქვა მოგვიანებით, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ და ჩანგლით ყავის ფინჯანს აუტეხა წკარუნი.

— აბა, კიდევ რისთვის? — არ მოეშვა გოგონა.

მამაკაცმა თვალი გაუსწორა და ჯიქურ მიაჩერდა.

— იმ სიყვარულისთვის, რომელიც შენ დამანახვე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაბეჭდვეთ თვალი.

1. რომელი ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის სიტყვები: „სლოვო „გრუზია“ უ მენია ვსეგდა ვიზივაეტ ჩუვსტვა კომფორტა“?
2. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ რესტავრაციის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შედეგად, ნახატიდან გაქრა აივნის ორი კოლონა, სადაც მონალიზა იჯდა. რესტავრაციის შემდეგ რა დაკარგა თავად „ჯოკონდამ“?
3. რომელ ინგლისელ მწერალს ეკუთვნის სიტყვები: „პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულების სასარგებლოდ და გასახარად“.
4. ინგლისში დღემდე შემორჩა ტრადიცია: ის, ვინც წლის დასაწყისში დადებდა მსგავს პირობას და მას მთელი წლის განმავლობაში არ დაარღვევდა, ქალაქის ხარჯზე, ჯილდოდ ღორის ბეჭს მიიღებდა. 1144 წლიდან 1908 წლამდე, ამგვარი ჯილდოს მიღება მხოლოდ 8 კაცმა შეძლო. რა იყო აუცილებელი ამ ჯილდოს მისაღებად?
5. რომელი სოფლიდან გაიტაცეს ლეკებმა დავით გურამიშვილი?
6. დაასახელეთ სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში, რომლის მოსახლეობის 40 პროცენტს იტალიელები შეადგენენ.
7. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ვინ მიაცილებდა გარდაცვლილთა სულებს ჰადესში?
8. ვინ დაამარცხა ფილიპე მაკედონელმა ქირონეის ბრძოლაში?
9. რომელ სახელმწიფოში მოხდა პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია?
10. რა პროფესიისაა არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი — ბილარდო?
11. რა იყო ნერონის უკანასკნელი სიტყვები?
12. რატომ ვერ გახდება არნოლდ შვარცენეგერი შეერთებული შტატების პრეზიდენტი?
13. რამდენჯერ აირჩიეს პრეზიდენტად ფრანკლინ რუზველტი?
14. ეს უნგრელი კომპოზიტორი, ყოველი ნაწარმოების დასრულების შემდეგ, თავს მძიმე ავადმყოფად გრძნობდა. დაასახელეთ იგი.
15. დაასრულეთ პეპი გრძელიწინდას სიტყვები: „ნამდვილი მანდილოსანი მხოლოდ მაშინ იჩიჩქნის ცხვირს, როცა...“

ანეკდოტები

***

სამი ქალი წყაროსთან ჭორაობს.

— ჩემს მიტუას იქ ჩავუყავი ხელი და ცივი ჰქონდა, — ჰყვება ერთი.

მეორე დღეს მეორე ჰყვება:



— მეც ჩავუყავი ჩემს შაქრუას ხელი და იმასაც ცივი ჰქონდა.

მესამე დღეს, ის ქალი, რომელსაც ხმა საერთოდ არ ამოუღია, წყაროსთან აღარ მივიდა. შინ მიაკითხეს. ხედავენ — თვალი ჩალურჯებული, ყბა გვერდზე მოქცეული, ნეკნი კი გატეხილი აქვს...

— რა დაგემართა?

— ქმარმა მცემა!

— კი, მარა რა დააშავე?

— რა და ჩავუყავი იქ ხელი და ცხელი ჰქონდა. ჰოდა, ვკითხე, — მიტუას და შაქრუას თუ ცივი აქვთ, შენ რათა გაქვს ცხელი-მეთქი?..

***

— ბესოიამ ნერვები დამაგლიჯა და დღეს დილას მაგრად მივუეჟე!

— ამნაირი რა დაგიშავა?

— სულ გაწუწურაქდა!.. სამი თვეა, ჩემს ცოლთან დაძვრება და ერთი ხეირიანი პომადაც ვერ უყიდა მაგ მათხოვარმა...

***

განცხადება: „ვარ 16 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. მაქვს ფრიადოსნის დიპლომი, არ ვსვამ, არ ვეწევი... 200 დოლარი საათში“.

***

სვანი ტელევიზორს უყურებს. უცებ, მაცივარი აგრუხუნდა. სვანი სიხარულით ფეხზე წამოხტა და ყვირის:

— ვაა, შუქი მოვიდა, შუქიიი!

***

ჩოხატაურის რკინიგზის სადგურში კაცი მორიგეს ეკითხება:

— თბილისის მატარებელი ჩამევიდა?

— არა.

— არც მეექვსე ვაგონი?

***

— შალიკია, გაიგე, ბიჭიკიას დედა რომ მოკვდენია? გასვენებაში არ წავიდეთ?

— სად არის გასვენება?

— საფიჩხიაზე.

— უჰ, მაი შორსაა, შენთან რომ იყოს, წამევიდოდი.

***

ვიწრო, ბნელ მოსახვევში ვიღაც ახმახმა ახალგაზრდა ქალი გააუპატიურა. ქალი წევს გატრუნული. კაცი ეკითხება:

— შინ რომ მიხვალ, ქმარს რას ეტყვი?

— სიმართლეს მოვუყვები. ვეტყვი, — ქუჩაში რომ მოვდიოდი, ვიღაც ახმახმა ხელი მტაცა და ორჯერ გამაუპატიურა-მეთქი.

— რატომ ორჯერ?

— ახლა არ მითხრა, მეტი აღარ შემიძლიაო.

***

ოსმა სვანს სასამართლოში უჩივლა, — ენა გამომიყოო.

— მერე ადექი და შენც გამოუყავი, — ასწავლა მოსამართლემ.

— გამოვუყავი, სენი წირიმე, მაგრამ მაგან თვალები დახუჭა.

***

ქორწილის მეორე დღეს ქმარი ცოლს ეუბნება:

— ორი ჩვეულება მაქვს, რომელთანაც, გინდა თუ არა, შეგუება მოგიწევს.

— ასეთი რა ჩვეულებებია?

— თუ დაინახე, რომ სამსახურიდან სახლში მოსულს ქუდი უკან მაქვს გადაწეული, იცოდე, იმ დღეს ყველა სურვილს შეგისრულებ, მაგრამ თუ ქუდი წინ მექნება ჩამოფხატული, თვალით არ დამენახვო, თორემ, ვაი შენი ტყავის ბრალი!..

— გასაგებია, ძვირფასო, მაგრამ მეც მაქვს ორი ჩვევა.

— რა ჩვევა?

— თუ სამუშაოდან მოსულმა დაინახე, რომ ფანჯარასთან ვზივარ ხელსაქმით ხელში, იცოდე, იმ დღეს რაც არ უნდა მთხოვო, ყველაფერს შეგისრულებ, მაგრამ თუ დოინჯშემოყრილი, ეზოში მდგარი დამინახე, იცოდე, სულ ფეხებზე მკიდია, როგორ გახურავს თავზე ქუდი.

***

ლოთი ექიმთან მივიდა. ხელები უკანკალებს...

— მიშველე, ექიმო!

— როგორც ჩანს, ბევრს სვამთ.

— არა, ექიმო, ნახევარზე მეტი მეღვრება.

***

პარტიზანებმა ებრაელს პროკლამაციები მისცეს და უთხრეს, — ქალაქში გაავრცელეო. ებრაელი წავიდა და ერთი თვის შემდეგ გამოჩნდა:

— ამდენ ხანს სად იყავი?

— როგორ თუ სად ვიყავი? — აჯაჯღანდა ებრაელი. — ეს რა „ტავარი" შემომტენეთ, ერთი თვე მოვუნდი გაყიდვას...

***

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

— აბა, ვინ იცის, რა ჰქვია ადამიანს, რომელსაც არავინ უსმენს, ის კი გაუთავებლად ლაპარაკობს და ლაპარაკობს?

— მასწავლებელი!

***

— ქმარს რატომ ეყრები?

— ხელი გამარტყა და იმიტომ!

— ბოდიში არ მოგიხადა?

— ვერ მოასწრო.

— ეგ როგორ?

— „სასწრაფო დახმარების" მანქანით წაიყვანეს.

***

სიძემ კარი გაალო და ჩანთებით დატვირთული სიდედრი შერჩა ხელში.

— გამარჯობა, დედიკო,

დიდი ხნით ჩამოხვედი?

— სანამ არ მოგბეზრდები, შვილო...

— უჰ, ეს რა მითხარი?! ჩაი მაინც დაგელია, შე ქალო...

ჟონეშის საპარჭიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს.
2. წარბები.
3. ჯონათან სვიფტს.
4. წლის განმავლობაში ქმარი ცოლს არ უნდა წასჩხუბებოდა.
5. ლამისყანიდან.
6. არგენტინა.
7. ჰერმესი.
8. ბერძნები.
9. ნიდერლანდებში.
10. ექიმი-გინეკოლოგი (რატომღაც, მისი კრიტიკისას ოპონენტები ამ ფაქტს ყოველთვის ხაზს უსვამდნენ).
11. „ეჰ, რა მსახიობი ვიღუპები!.."
12. იმიტომ, რომ ამერიკაში არაა დაბადებული.
13. ოთხჯერ.
14. ფერენც ლისტი.
15. „...არავინ უყურებს".

***

სვანი ექიმთან მივა. ექიმი ეკითხება:

— რა გტკივათ?

— ექიმი შენ ხარ და მე მეკითხები, რა მტკივა?

ძვირფასო მკითხველებო!

ეს ფოტო ნორჩმა მკითხველმა, თბილისელმა დაკო გუნთაიშვილმა გამოგვიგზავნა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.



როგორ მამაკაცს უნდა ერიდოს ქალი

შეგვიძლია, რამდენიმე სასარგებლო რჩევა მოგაწოდოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში უნდა ერიდოთ მამაკაცთან ურთიერთობას. თუ ხშირად ხდება ისე, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებშია აღწერილი, მაშინ წინასწარ შეეგუეთ იმ აზრს, რომ თქვენს ურთიერთობას სასიკეთო დასასრული არ ექნება.

მაშ ასე, ერიდეთ მამაკაცთან ურთიერთობას, თუ...

1. გეუბნებათ, რომ მას პირველ სიყვარულს აგონებთ.

მას ან სძულს, ან ჯერ კიდევ ახსოვს ის: ორივე შემთხვევაში, წაგებული ხართ.

2. მეგობრები არასდროს არაფერს გეკითხებიან მის შესახებ.

თუ თქვენს საუკეთესო მეგობარს არ აინტერესებს, თქვენი და თქვენი რჩეულის ურთიერთობის დეტალები, საკუთარ თავს ჰკითხეთ: რატომ? ექვიანობს?! — ნაკლებსარწმუნოა. ალბათ ეს უფრო იმით აიხსნება, რომ მეგობარი თქვენს ურთიერთობაში სასიკეთოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ უყვარხართ და გულს არ გტკენთ.

3. შინ ურეკავთ, მისი ოჯახის წევრები კი ცივად გპასუხობენ.

თუ თქვენი ზარი მისთვის მნიშვნელოვანია, მისი ახლობლები უხეშად არ დაგელაპარაკებიან.

4. ფიზიკური სიახლოვის შემდეგ, თქვენდამი ინტერესი დაკარგა; გახდა ცივი, უხეში, გულგრილი, ირონიული ან თავდაჯერებული.

ეს ნიშნავს, რომ აჩქარებულხართ და ახლა ბედნიერება სხვაგან უნდა ეძებოთ.

5. ავიწყდება თქვენი დაბადების დღე.

6. ძალზე გულჩათხრობილია, იშვიათად გიზიარებთ განცდილს.

თავიდან ეს თავშეკავებულობა მოგწონდათ კიდეც, მაგრამ ახლა... ფხიზლად იყავით: თუ საყვარელი მამაკაცი კითხვებზე არ გპასუხობთ, უეჭველია, თქვენდამი გულწრფელი არ არის ან რაღაცას საგანგებოდ გიმალავთ.

7. პაემანს ყოველთვის კვირის ბოლოს ან რომელიმე, გარკვეულ დღეებში გინიშნავთ.

თავიდან ამის საწინააღმდეგო არაფერი გქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, მისი ნახვის სურვილი სულ უფრო და უფრო ხშირად გეუფლებათ; გსურთ შეხვდეთ სამუშაო დღეებშიც ან თუნდაც — ორი დღე ზედიზედ. თუ ასე არასდროს ხდება, ე.ი. თქვენ მას არ არ უყვარხართ ისე, როგორც სიყვარულზეც ოცნებობდით.

8. მეორე შეხვედრისას გეუბნებათ — „მიყვარხარ".

ეს თითქოს არარეალურია. „მართლა ვუყვარვარ?" — ეკითხებით საკუთარ თავს. შეიძლება მართლაც უყვარდეთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩვეულებრივი, ქალების მუსუსი გირევდეთ თავგზას.

9. თავს შეუძლოდ გრძნობთ, ის კი თქვენს ამბავს არც კითხულობს.

10. ავიწყდება ყველაფერი, რაც თქვენ გიკავშირდებათ.

ის, რომ მას არ ახსოვს თქვენი საყვარელი ფერი, წვრილმანი როდია — მამაკაცს, რომელსაც მას ნამდვილად უყვარხართ, ასეთი წვრილმანები არასოდეს დაავიწყდება.

11. არ გაცნობთ მშობლებს, დედმამიშვილებს, მეგობრებს.

12. ეუბნებით, რომ დასასვენებლად მიდიხართ, ის კი ბედნიერ მგზავრობას და სასიამოვნო დროის ტარებას გისურვებთ.

თუ ოდნავ მაინც არ გაგრძნობინათ, რომ მოენატრებით, არ გამოგიტყდათ, რომ ძალიან უნდა თქვენთან ერთად წამოსვლა, საკუთარ თავს ახალი მეგობარი უსურვეთ.

13. სრულიად არ ეჭვიანობს თქვენზე.

14. გადაჭრით ვერასდროს ვერაფერს გეუბნებათ.

თუ თქვენს წინადადებაზე — ერთად გაატაროთ გამოსასვლელი დღეები, გპასუხობთ: „შეიძლება", ანდა: „ვნახოთ, მოგვიანებით დაგირეკავ" — ყველა საბაბი გაქვთ, იფიქროთ, რომ ის უფრო მაცდურ წინადადებას ელის. თუ მას ნამდვილად უყვარხართ, სიხარულით, უყოყმანოდ მიიღებს თქვენს შეთავაზებას.

16. ის ჩინებულად გრძნობს თავს... უთქვენოდ.

თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს უმეტესწილად თქვენ გარეშე სტუმრობს, არასდროს ახსენდებით, როცა მეგობრებთან ერთად რესტორანში მიდის, გონების ხმამ უნდა გიკარნახოთ, რომ თქვენ მისი ოცნების ქალი არ ხართ.

17. ამბობს, რომ „სერიოზული კავშირებისთვის" მზად არ არის.

თუკი ფიქრობთ, რომ თქვენნაირი ქალი ჯერ არ შეხვედრია და არ იცის, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული, თავს იტყუებთ! გახსოვდეთ: მამაკაცი ქალისგან განსხვავებით, ყოველთვის კმაყოფილია საკუთარი ცხოვრებით და ფრთხილობს, თუ მისგან ბევრს ითხოვენ.

18. და კიდევ ერთი: ყური მიუგდეთ შინაგან ხმას — ხანდახან მაინც...

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო
ქ. თბილისი
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

სარეცხი ფხვნილი და ალერგიული რეაქცია

სინთეტიკური სარეცხი ფხვნილები კარგად რეცხავს, აცილებს ლაქებს და დეზინფექციას უკეთებს თეთრეულს. ყველა გასაყიდი ფხვნილი წინასწარ შემოწმებულია და თუ მათ სწორად გამოიყენებთ, არავითარი საშიშროება არ მოგელით... აუცილებლად დაიცავით ინსტრუქცია, რომელიც სარეცხი ფხვნილის ყუთს აწერია. იქ მითითებულია, თუ რა რაოდენობის ფხვნილი უნდა ჩაყაროთ. არასოდეს ამოიღოთ იგი თვალის ზომით: გადაჭარბებულმა დოზამ, შესაძლოა, ალერგია გამოიწვიოს. განსაკუთრებული სიფრთხილე ფეხმძიმე ქალებს მართებთ. ფხვნილი, რომელიც სარეცხი მანქანებისთვისაა გათვალისწინებული, არ გამოიყენოთ ხელით რეცხვისას და არავითარ შემთხვევაში – ჭურჭლის გასარეცხად.

ხელებზე ფხვნილის ნაწილაკების დარჩენისას, მოსალოდნელია კანის სიმშრალე, ქავილი და ანთებაც კი. თუ მიზეზიანი კანი გაქვთ, რეცხვის წინ წაისვით სპეციალური კრემი ან ჩაიცვით თხელი, რეზინის ხელთათმანები. როცა რეცხვას მორჩებით, ხელები საპნით დაიბანეთ და დამარბილებელი მალამო შეიზილეთ. ფხვნილის ნაწილაკები სასუნთქ გზებში რომ არ შეგეჭრათ, ვარცლში (ან მანქანაში) მისი ჩაყრისას ძალიან ნუ გადაიხრებით. როცა რეცხვას დაასრულებთ, აუცილებელია, პირსა და ყელში წყალი გამოივლოთ და სამრეცხაო გაანიავოთ.

თუ ცხვირში გაჭედვის შეგრძნება, ცემინება, ლორწოვანი გამონადენი, ყელში ქავილი, მშრალი ხველა, თვალების წვა და ცრემლის დენა დაგეწყოთ, ეს უკვე ალერგიული რეაქციის ნიშნებია და საჭიროა, მაშინვე შეწყვიტოთ ფხვნილის ხმარება. შემდგომში კი სხვა სარეცხი ფხვნილი ან სულაც მხოლოდ სარეცხი საპონი გამოიყენეთ.

მხედველობაში იქონიეთ, რომ სარეცხი ფხვნილი ქსოვილზე ილექება, ამიტომ (ხელით რეცხვის შემთხვევაში) იგი რამდენჯერმე გაავლეთ ჯერ თბილ, შემდეგ კი ცივ წყალში. ბუნებრივი ქსოვილი უფრო დიდხანს ავლეთ, რადგან ფხვნილი მას უფრო ძნელად შორდება, ვიდრე სინთეტიკურს.

გარეცხვის წესები

ჰიგიენისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანისთვის მარტო იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რა აცვია, არამედ იმასაც, თუ რამდენად სუფთაა ტანისამოსი.

ჰაერგამტარობის მხრივ, პირველი ადგილი უჭირავს ბამბას. შემდეგ მოდის, სელის, აბრეშუმის და სინთეტიკური მასალები.

სინთეტიკური და ნატურალური ქსოვილების გაჭუჭყიანების ხარისხის შედარებამ დაგვანახვა, რომ სინთეტიკური ქსოვილისგან დამზადებული ტანისამოსი ნაკლებად ჭუჭყიანდება. ამავე დროს, აქვს სტატიკური ელექტროდენის მუხტების დაგროვების უნარი, რის გამოც, მტვრის უმცირეს ნაწილაკებს იზიდავს.

7-10 დღის გაურეცხავი ბამბეულის ჭუჭყის 4-5% ორგანული და მინერალური წარმოშობისაა, რის გამოც ქსოვილის ჰაერგამტარობა შესამჩნევად იკლებს, ამიტომ ბამბის თეთრეული, რეკომენდებულია, გაირეცხოს კვირაში ერთხელ; ნატურალური, ნარევი ბოჭკოებისგან დამზადებული ტანსაცმელი ხმარებიდან — მე-2, მე-3 დღეს; ნეილონის წინდები, მამაკაცის სინთეტიკური ქსოვილის პერანგები და ქალის ბლუზები კი სასურველია, ყოველდღე გაირეცხოს.

თეთრეულის ჰიგიენურ თვისებებზე გავლენას ახდენს რეცხვის მეთოდი. თუ რეცხავთ სარეცხი საპნით ხისტ წყალში და გარეცხილს მაშინვე ცივ წყალში ავლებთ, ქსოვილი გაუხსნელი საპნის წვრილი, თეთრი ნაწილაკებით იფარება. ეს ხისტი წყლის ბრალია. მისი დარბილება კი შესაძლებელია საჭმელი და სარეცხი სოდის თანაბარი რაოდენობის ნარევით (1 ჩ/კ ნარევი 1 ლ წყალზე) ან ნიშადურის სპირტით (1 ჩ/კ ნიშადურის სპირტი 1 ლ წყალზე).

რეცხვის ზოგიერთი მეთოდი ცუდად მოქმედებს ქსოვილზე. მაგალითად, მაღალი ტემპერატურა, მექანიკური ზემოქმედება, ხეხვა, გაჭიმვა.

◆ შალი და აბრეშუმი, ტუტის ზემოქმედებით, ძლიერი გაცხელების შედეგად პეწს კარგავს. ხელოვნური აბრეშუმი (ვისკოზური) წყალში დასველებისას კარგავს სიმაგრეს. ამიტომ ძალზე ფრთხილად უნდა გაირეცხოს და ასევე ფრთხილად გაიწუროს.

◆ სინთეტიკური ქსოვილის ბოჭკოები (ნეილონი, ლავსანი) მაღალ ტემპერატურაზე რბილდება, იწელება და მისგან შეკერილ ტანსაცმელს ფორმა ეკარგება. ამიტომ ეს ქსოვილები 60 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურის წყალში უნდა გარეცხოთ და 100-120 გრადუსამდე გაცხელებული უთოთი გააუთოოთ.

◆ ოჯახურ პირობებში, სარეცხი მანქანით სარგებლობისას წინასწარ დაახარისხეთ თეთრეული ფერისა და ქსოვილის მიხედვით.

◆ ბამბისა და სელის ქსოვილები შეიძლება ერთად გაირეცხოს; ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმისგან, ასევე სინთეტიკური ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილები კი — ერთად.

◆ შალის ქსოვილები სასურველია, მიიტანოთ ქიმწმენდაში ან ხელით გარეცხოთ. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-29

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დილით ქარვასლას მიაშურა გუელმომ. ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა: რაც შეიძლება მალე უნდა გაეყიდა ვენეციიდან ჩამოტანილი საქონელი, რომ დროულად გაეგრძელებინა გზა, ჩასულიყო ჰინდუსტანს და მერე ჩინეთისკენ წაეყვანა ქარავანი.

სხვა დროს ასე არ აჩქარდებოდა; რამდენიმე დღე ივლიდა ბაზარში, ფასებში გაერკვეოდა, ვაჭრებს შეიპირებდა. მერე, დაიკავებდა თავის ადგილს რიგში და საქონელს გამოფენდა. ახლა სხვანაირად აპირებდა საქონლის გასაღებას. მოგება იმდენად არ აინტერესებდა, უბრალოდ, სასწრაფოდ ხელის გაცლა სურდა — ვენეციური საქონელი: ბროლი, ქარვა, ბეწვეული და ტოლედოს დაშნები რაც შეიძლება მალე უნდა გაეყიდა. საქონლის ნაწილს დაიტოვებდა. ის შორეულ ჩინეთში, იქაური ვაჭრებისთვის საჩვენებლად და მათი ფასის გასარკვევად სჭირდებოდა. ამონაგები ფულით კი სპარსული საქონელიც უნდა შეეძინა: ხალიჩები, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, რაშიც ეგზომ დახელოვნებულნი იყვნენ ბაღდადელი ოსტატები. ეს სპარსული საქონელიც ჩინელთათვის უნდა წარედგინა და ფასზეც მოლაპარაკებოდა.

სახელგანთქმული არაბული ცხენების ყიდვაც უნდოდა გუელმოს. მთელი რემა უნდა ჩაეყვანა ჰინდუსტანს. მცხუნვარე უდაბნოს ბინადარი ცხენი ძნელად ეგუებოდა იქაურ ნესტიან ჰავას, მაგრამ მაინც მოსწონდათ ჰინდუსტანში ფიცხი და ქარზე სწრაფი ბედაურები; ფასსაც შესაბამისს იხდიდნენ მათში. ამონაგები ფული კი სახელგანთქმულ ჰინდურ მარგალიტად უნდა ექცია, რომელიც კარგად იყიდებოდა ნებისმიერ ქვეყანაში.

იმ დღეს მუროჩი პირველად მოხვდა ბაღდადის ბაზარში. მანამდე ჰასანს ერთხელაც არ გაუყვანია სასახლიდან. ეშინოდა, მის იერს, სპარსული ენისა და წესების უცოდინარობას არ გაეცა მისი ქართველობა და ქრისტიანობა. ახლა კი საშიში არაფერი იყო. ვენეციელების გვერდით, არავის გააკვირვებდა უცხო იერის კაცის ხილვა. იმ დროს სელჩუკები ფრანკებს ეომებოდნენ და ყოველ ევროპელ ქრისტიანს მოსისხლე მტრად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეს არ ვრცელდებოდა ვენეციელებზე. ბაღდადის ხალიფა ვაჭრობის განვითარებით იყო დაინტერესებული და ყველა ბაღდადელს, ვინც ვენეციელს შეავიწროებდა, სასტიკი სასჯელი ემუქრებოდა.

ბაღდადის ბაზარზე უფრო უცნაური სანახაობა ჯერ არასოდეს ენახა მუროჩის. ვრცელ მოედნებზე აურაცხელ ადამიანს მოეყარა თავი. ვაჭრებს მწკრივად გაეწყოთ დახლები და დუქნები. ვისაც დახლი არ ჰქონდა, პირდაპირ მიწაზე გაეშალა საქონელი. ვაჭრებს შორის, მილეთის მყიდველი მიმოდიოდა. იქ იყვნენ ჩალმებსა და წითელ მოსასხამებში გამოწყობილი მეომრები, გლეხები, მონები, რომლებიც თავჩაქინდრულნი მისდევდნენ ბატონებს, ჭრელაჭრელა კაბებში გამოხვეული დერვიშები, ცხვირში რგოლგაყრილი ვაკანიანები, მოლები, ხოჯები, შავჩადრიანი დედაკაცები. დროდადრო უდაბნოს მკვიდრი ბედუინები ჩამოიქროლებდნენ არაბული ცხენების ჭენებით. შვენოდათ უზანგზე მიმაგრებული მაღალი შუბები და სირაქლემის შავი ბუმბულით შემკული მუზარადები.

ყურისწამღებად გაკიოდნენ წყლის, თაფლისა და შარბათის გამყიდველები. პურის მცხობელები თავზე შემოდგმული სავსე ხონჩებით დაეძებდნენ მუშტარს. ყოველი მხრიდან ისმოდა მათი ყვირილი:

„აგიფ ჯა შაბაშ!“ — „ჩემგან იყიდეთ პური!“

ცხვირში მილგაყრილი ციგანი დედაკაცები სამოსზე ებღაუჭებოდნენ გამვლელ-გამომვლელს და მარჩიელობას სთავაზობდნენ.

ტანშიშველი ინდოელი ფაკირები მოპირულ ხმლებზე გადიოდნენ, შუბის წვერებზე წვებოდნენ და ალს ყლაპავდნენ.

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილ ტყვეებსაც მოჰკრა თვალი. ჟანგიან გალიებში ჩაემწყვდიათ ვაჭრებს და ყვირილით უხმობდნენ მყიდველს.

ქარვასლაში უკვე ელოდნენ გუელმოს. ბაღდადელი ვაჭრები კარგად იცნობდნენ ვენეციელს. ისიც იცოდნენ, რომ საუკეთესო საქონელს ჩამოიტანდა. ამიტომაც ცდილობდნენ, ყველასთვის დაესწროთ და პირველები გარიგებოდნენ ვენეციელ ვაჭარს.

გუელმომ შუადღემდე ივაჭრა ჩქარობდა, მაგრამ მაინც სარფიანად ყიდდა ვენეციიდან ჩამოტანილ საქონელს. მერე კი ყველასთვის მოულოდნელად დაკეტა დუქანი და მომლოდინე მუშტარი მეორე დღისთვის დაიბარა.

— რატომ? კარგად ვაჭრობ, გავაგრძელოთ. რისთვის იბარებ იმ ხალხს ხვალისთვის? — გაუკვირდა ჰასანს.

— დღეისთვის კმარა. ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი და ღამისთვის ვერ გადავდებ, — უპასუხა ჰასანმა.

— რა საქმე?.. გუშინ არაფერი გითქვამს, — თქვა ჰასანმა.

— აბუ-ჯაკის-ნიშაპურას ზურმუხტი უნდა ვიყიდო, — უპასუხა გუელმომ.

გაუკვირდა ჰასანს. აბუ-ჯაკის ზურმუხტი ხორასნიდან და ქერმენიდან ჩამოჰქონდათ ბაღდადს. ქერმენი ჰინდუსტანისკენ მოგზაურობისას უნდა გაევლოთ. იქ უფრო იაფი ეღირებოდა სახელგანთქმული მწვანე ზურმუხტი და რისთვის უნდა ჩავარდნილიყო ვენეციელი ზედმეტ ხარჯში?

— აბუ-ჯაკის ზურმუხტი უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ვენეციიდან ჩამოტანილი მთელი საქონელი. ფასზეც არ დავიხევ უკან, რაც არ უნდა დამიფასონ, მაინც ვიყიდი. ისე ფეხს არ გავადგამ ბაღდადიდან, — ამ სიტყვებთან ერთად, გუელმომ საკინძე გაიხსნა, კისერზე ჩამოკიდებული მოკიაფე ქვა დაანახვა და ლაპარაკი განაგრძო: — ეს ქვა მამაჩემმა ბაღდადში პირველი ჩამოსვლისას მიყიდა. მას მერე არასდროს დავშორებივარ და ზარალიც არ მინახავს. ასეთივე მინდა ჩემი ვაჟისთვის, — მაშინ კი მიხვდა ჰასანი, რაც სურდა მის სტუმარს.

აბუ-ჯაკის-ნიშაპურას თვალისმომჭრელი ზურმუხტი არნახულად ხიბლავდა მნახველს, მაგრამ მარტო ამისთვის არ იზიდავდათ მისი ფლობა. ჯადოსნურ ძალას მიაწერდნენ ამ ზურმუხტს. ამბობდნენ, — უბედურებისგან იცავს, ადამიანს თვალისჩინს უძლიერებს, მტერს აძლევინებს და იღბალს მატებსო. კიდევ ამბობდნენ, — ზურმუხტის მფლობელს ყველა, კარგი თვალით შეხედავს და თავისიანივით მიიღებსო.

ზარაფების უბანი არაფრით ჰგავდა ბაზარს. აქ პატიოსანი თვლებითა და უძვირფასესი ქსოვილებით ვაჭრობდნენ. ამ საქმეს კი ხმაური და აურზაური არ უყვარდა. ერთ სახელოსნოში ქალები დაზგებთან ტრიალებდნენ. აქ აბრეშუმი და ხავერდი ოქრომკედით იქარგებოდა. გვერდით სახელოსნოში ჰინდუსტანელი ოსტატები მარგალიტს ხვრეტდნენ, ოქროს ძაფზე ასხამდნენ და ულამაზეს ყელსაბამებს აკეთებდნენ. ყოველი მხრიდან ერთი ციდა ჩაქუჩების რაკარუკი ისმოდა, რომლითაც ზარაფები ოქროს ნაკეთობებზე მუშაობდნენ. თვით ნაკეთობები კი ქუჩიდან ბადით გამოყოფილ დახლებზე იყო გაშლილი. დახლებს ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ზედამხედველები. თავისი წესებით ცხოვრობდა ზარაფთა უბანი. ბაღდადში ქურდებს არ სწყალობდნენ და სასტიკადაც სჯიდნენ, მაგრამ რომელიმე ცუნდრუკს ბაზარში ლელვი, ბროწეული ან ხმიადი რომ აეცოცებინა, გაჯოხავდნენ. ზარაფთა უბანში ქურდობისთვის კი ბევრად სასტიკი სასჯელი იყო დაწესებული. აქ ქურდობისთვის ადგილზევე მოჰკვეთდნენ მარჯვენას. იქნებ, მოეკლათ კიდეც. ესეც ხშირად ხდებოდა და როგორც წესი, მკვლელს საყვედურსაც კი არ ეუბნებოდნენ.

ჰასანისა და გუელმოს გამოჩენამ უმალ გამოაცოცხლა ზარაფთა უბანი. აქაური ოსტატები კარგად იცნობდნენ ჰასანს და იმასაც ხვდებოდნენ, რომ სახელგანთქმული ვაჭარი ვენეციელ სტუმარს სასეირნოდ და ოქროს საჭვრეტად არ მოიყვანდა.

ყველას ერთმა ჩია და სახედაკენკილმა მოხუცმა დაასწრო. ჰასანს მიეახლა და ჰკითხა:

— რას ინებებთ, ბატონო?

როცა გაიგო, რომ ჰასანი და მისი ვენეციელი სტუმარი აბუ-ჯაკის ზურმუხტს დაეძებდნენ, დუქანში შეიპატიჟა და თავისი საქონლის ქებას მოჰყვა.

მოხუცი გაუთავებლად ლაპარაკობდა და თანაც მაგიდაზე პატიოსან ქვებს ალაგებდა. მიმზიდველი იყო მათი ციალი. თითქოს ის პატარა ოთახიც გაანათა. გუელმომ ვერ გაუძლო ცდუნებას და ერთი მოზრდილი ზურმუხტისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ჰასანმა მაშინვე შეაჩერა და მოხუცს რომ ვერაფერი გაეგო, ბერძნულად უთხრა:

— ამ ვაჭართან ნუ გამოაჩენ შენს უცოდინარობას, თორემ კიდევ დიდხანს ილაყბებს და უვარგისი ზურმუხტის შემოჩეჩებას შეეცდება.

— უვარგისის?! ასეთი ლამაზი ქვა ცხოვრებაში არ მინახავს! — გაუკვირდა გუელმოს.

— ეგ ქვა უვარგისია. ელვარების მოსამატებლად, დიდხანს ამყოფეს წყალში. მერე ხავერდით აპრიალეს და ბნელში შეინახეს. ახლა მზის სინათლე მოხვდა და ელვარება დაიწყო, მაგრამ ორიოდ კვირაში გაცივებული ნაკვერჩხალივით მინავლდება, ელვარებაც გაუქრება და ბოლოს, უბრალო კენჭად მოგეჩვენება. ასეთ ზურმუხტს, მოძულებულ ნათესავს თუ აჩუქებენ, სხვაში კი ვერაფერში გამოიყენებენ. — აუხსნა ჰასანმა და მოხუცს ანიშნა: ეგ ზურმუხტი არ მოგვწონს, სხვა გვიჩვენეო.

თითქოს ჯადოქროზაო, ისე სწრაფად გააქრო მოხუცმა უვარგისი ზურმუხტი. მერე კარადიდან თოფრა გამოიღო და მაგიდაზე სხვა ქვები გაშალა. თვალისმომჭრელად აკიაფდა მზის სხივებში მოხვედრილი ზურმუხტი. უჩვეულო მოცისფრო ათინათი დაჰკრავდა მწვანე ქვას.

ჰასანს გაფრთხილებული ჰყავდა გუელმო, მაგრამ ვენეციელმა მაინც ვერ შეიკავა თავი — აღტაცებულმა აიტაცა მოზრდილი ქვა და მზეზე გახედა.

მოხუცმა უმალ გუდას მოხსნა პირი

და სწრაფად ალაპარაკდა:

— შეხედეთ, ბატონო... ეს ხომ ზურმუხტი არ არის, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავია!.. ხედავთ, როგორ ელვარებს, როგორი გამჭვირვალე და კამკამაა! ალაჰს ვფიცავ, ოცდაათი წელია, ვვაჭრობ და ასეთი ქვა ჯერ არ მინახავს. — მოხუცმა მიმოიხედა და ჩურჩულით განაგრძო: — გეხვეწებით, ნურავისთან გამამხელთ... პატიოსანი ხალხი ჩანხართ და მიტომაც გენდობით. ეს ქვა თვით მეფე სოლომონის საგანძურიდანაა. მერე რაღაც გზებით წინა ხალიფასთან მოხვდა. ხალიფამ ერთ თავის დიდებულს უსახსოვრა ეს ქვა. მან კი მე მომყიდა. ახლა ხომ ხვდებით, რა ფასიც მაქვს გადახდილი მასში... შეხედეთ, ბატონო, შეხედეთ და თავად თქვით: განა, გინახავთ ასეთი ელვარება?.. მარტო ალაჰის თვალები თუ ბრწყინავს ასე...

ალბათ კიდევ ბერს იტყოდა მოხუცი, მაგრამ ჰასანის სიცილმა ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— სცოდავ, მოხუცო. პატიოსან ხალხს ატყუებ და ამაზე ალაჰს იფიცებ!

— რას ამბობ, ბატონო?! მაგ ცოდვას როგორ ჩავიდენ?! მეც მსმენია, რომ ზოგიერთი ყალბ ქვას აბუ-ჯაკის ზურმუხტად ასაღებს, მაგრამ მე ასეთი რამ არასოდეს ჩამიდენია. მაგას არც ჩემს ჭაღარას ვაკადრებ და არც თქვენნაირ პატიოსან ბატონებს! — სწრაფად მიუგო მოხუცმა.

— მაშინ, სანთელი მომიტანე. მინდა, შენს პატიოსნებაში დავრწმუნდე! — ბრძანა ჰასანმა.

— განა მართლმორწმუნე სიტყვაზე არ ენდობა თანამოძმეს?! მე პატიოსანი ვაჭარი გახლავართ და არასოდეს მივაჭრია ყალბი ქვით, მაგრამ როგორც ვხედავ, ვერ ერკვევი, ბატონო, პატიოსანი ქვების ავკარგიანობაში. — ჩაიბურტყუნა მოხუცმა, ქვები თოფრაში ჩააბრუნა და მეზობელ ოთახში გავიდა.

— ახლა რატომღა დაიწუნე ის ქვები? — ჰკითხა გუელმომ.

— პირველად მართლაც, ზურმუხტი გვიჩვენა, მაგრამ უვარგისი იყო ის ქვები. ახლა კი სხვა უბრალო თვალს გვაჩეჩებდა. ეგ ილეთი მარტო გამოცდილმა ზარაფებმა იციან და საიდუმლოდ ინახავენ. რაღაც წამალში ამყოფებენ თვალს, ვიდრე ზურმუხტისფერს არ მიიღებს. ამგვარი ქვით მართლაც, მოატყუებენ გამოუცდელ მყიდველს, მაგრამ მცოდნე კაცი მაინც ამოიცნობს სიყალბეს. ყალბი ზურმუხტი ნამდვილთან შედარებით, მჩატეა და როცა გაათბობ, სპეციფიკური სუნი ასდის. მიტომაც ვთხოვე ჩვენს მასპინძელს სანთლის მოტანა. ისიც მიხვდა, რომ ვცნობდი სიყალბეს. — უპასუხა ჰასანმა.

— არ მიყვარს საქმის ასეთ ხალხთან დაჭერა. ვაჭრობა — ვაჭრობაა. ეგ კი ცრუ და უპირო კაცი ყოფილა. წავიდეთ, ამ უბანში სხვა დუქნებიცაა! — ბრაზი მოერია გუელმოს, მაგრამ ჰასანმა შეაჩერა:

— კარგად ვიცნობ აქაურ ვაჭრებს. სხვაგანაც იგივე მოგველის. ახლა აღარ ღირს წასვლა. ჩვენი მასპინძელი უკვე მიხვდა, რომ ვერ გაგვაბრიყვებს და ახლა საუკეთესო ზურმუხტს მოგვართმევს. თუ არ მოგეწონა, მაშინ მოვძებნით სხვა დუქანს. — დაამშვიდა ჰასანმა.

მოხუცი მალე დაბრუნდა ოთახში და მაგიდაზე მოზრდილი ზურმუხტი დადო. სულ სხვანაირი იყო ეს ქვა. უმალ მიხვდა გუელმო, რაც განასხვავებდა ნამდვილ აბუ-ჯაკს ყალბისგან. არც მსუბუქი იყო, მოცისფროდაც აღარ ირეკლავდა მზის სხივებს. მწვანედ კამკამებდა. მისი ცქერისას ეგონა, უკიდეგანო მწვანე ველს

გაჰყურებდა.

მოხუცსაც დაეტყო, რომ აღარ ტყუოდა. აღარც თვალები უციმციმებდა ეშმაკურად და სიმშვიდეც დაჰკარგვოდა. თვალს ვერ აშორებდა ქვას და გამალებული იფშვნეტდა აკანკალებულ ხელებს.

ჰასანმა ყურადღებით დაათვალიერა ზურმუხტი. აღარც უკითხავს გუელმოსთვის: მოგწონს თუ არა ეგ ქვაო? მაშინვე მოხუცს მიუბრუნდა და ვაჭრობა გაუმართა.

დიდხანს ივაჭრეს. მოხუცი არ თმობდა, მაგრამ ჰასანი უფრო ჯიუტი აღმოჩნდა. ბოლოს, მაინც თავისი გაიტანა და ვაჭარი ფასზე დაითანხმა, მაგრამ გამყიდველმა ამის მერეც განაგრძო წუწუნი. განუწყვეტლივ იმეორებდა: ასეთი ცუდი დღე ჯერ არ მქონია. ჩალის ფასად დაგითმეთ ზურმუხტი. მოგებად ერთი დირჰემიც არ დამრჩენიაო!.. მისი წუწუნით თავგაბეზრებულმა ჰასანმა ზურმუხტი ხელში ჩაუდო და გუელმოს გადაულაპარაკა:

— არ მინდა, ამ მოხუცის ცოდვაში ჩავდგე. მაგას სხვა საფასურის მიღება უნდა. ჩვენ კი მეტი ფული არ გვაქვს. წავიდეთ, იქნებ, სხვაგან უფრო იაფად ვიყიდოთ ზურმუხტი.

ამის თქმა იყო და, მოხუცმა წუწუნი შეწყვიტა, ზურმუხტი სწრაფად დაუბრუნა ჰასანს და მოკრძალებით ჰკითხა:

— კიდევ რით გემსახურო, ბატონო?

მაშინ, გუელმომ თავისი გულსაკიდი უჩვენა და ჰკითხა:

— ასეთ ბუდეში თუ შეგიძლია ზურმუხტის ჩასმა? ოღონდ ბუდეც და ჯაჭვიც საუკეთესო ოქროსი უნდა იყოს.

თანხმობით უპასუხა მოხუცმა:

— საუკეთესო ზარაფს დავავალებ მაგ საქმეს, ოღონდ საფასურის გადახდა მოგიწევს.

გუელმომ მაგიდაზე დირჰემებიანი ქისა დააგდო და გააფრთხილა:

— ეს საწინდარია. დანარჩენს, ბუდეში ჩასმულ ზურმუხტს რომ ჩამაბარებ, მერე მიიღებ. მაგრამ ვაი, შენი ტყავის ბრალი, ნამუშევარი თუ არ მომეწონა ან კიდევ, რაიმე სიყალბე თუ შევნიშნე. იცოდე, აღარც ეგ ფული შეგრჩება და აღარც — თავი!

ჰასანის სასახლეში დაბრუნებისას უცნაური ამბავი შეემთხვათ...

აბუ-ჯაკის ზურმუხტზე ვაჭრობამ ბევრი დრო წაიღო, სადაცაა, ჩამობნელდებოდა. ჰასანი კი შინ დაბრუნებას ჩქარობდა, ამიტომაც სხვა გზით წამოიყვანა მუროჩი და ვენეციელი სტუმრები. ეს გზა ღარიბთა უბნის, ვიწრო და ბინძურ შუკებზე გადიოდა, მაგრამ ასე უფრო მალე დაბრუნდებოდნენ შინ.

ახლა ბაღდადი ისეთი ცოცხალი და ხმაურიანი აღარ ეჩვენა მუროჩის. შუკა, ალიზის ქოხმახებს შუა გადიოდა. ირგვლივ ძონძებში გამოხვეული გლახაკები მიმოდიოდნენ. ისინი მოწყალების თხოვნასაც კი ვერ ბედავდნენ. იარაღასხმული მხედრების შემჩნევისას, აქეთ-იქით გარბოდნენ. ვინც გაქცევას ვერ ასწრებდა, მოკუნტული ეცემოდა მიწაზე, რათა მხედრებს მათრახი არ გადაეკრათ ან ცხენებით არ გადაეთელათ.

გზის ნახევარი გავლილი ჰქონდათ, როცა საპირისპირო მხრიდან ყვირილი გაისმა. მერე მოსახვევიდან შავმოსასხამიანი კაცი გამოვარდა, რომელსაც სახე შებურვილი ჰქონდა.

შავმოსასხამიანმა ორიოდე ნახტომი გააკეთა. ამ დროს მის უკან იარაღასხმული მხედრები გამოჩნდნენ. ჰასანმა და მისმა თანამგზავრებმა მხედრებში ხალიფის შავხიფთანიანი მცველები ამოიცნეს.

ჰასანის დანახვაზე, მოსასხამიანი მამაკაცი შედგა. მერე უეცრად მოსხლტა ადგილიდან და ალიზის კედელს შეახტა. ჩანს, ქოხის ბანზე გადაეწყვიტა გასვლა, რათა თავი დაეღწია მდევრისთვის.

ამის დანახვაზე, შავხიფთანიანთა მეთაურმა იყვირა:

— ხალიფის სახელით... დაიჭირეთ ბოროტმოქმედი და მკვლელი!

მუროჩის, გუელმოსა და გვიდოს სულაც არ აღელვებდათ ხალიფის სახელით გაცემული ბრძანება და არც უცდიათ გაქცეულის შეჩერება. მაგრამ მათთვის მოულოდნელად, ჰასანმა ცხენს დეზი ჰკრა, ქოხთან მიაგდო, სატევარი იშიშვლა და მთელი ძალით სტყორცნა.

სატევარმა შხუილით გააპო ჰაერი და ბეჭის თავზე დაერჭო ლტოლვილს. მამაკაცმა ყრუდ დაიკვნესა. ცოტა ხანს კიდევ შეიკავა თავი, მაგრამ ჭრილობამ მაინც იმძლავრა და ღონემიხდილი კაცი ბრაგვანით დაასკდა მიწას. ყველას ეგონა, რომ ვეღარ წამოდგებოდა, მაგრამ დაჭრილმა მაინც აზიდა სხეული, თან, უცნაური, წვერმოკაუჭებული ხანჯალი მოიმარჯვა და გააფთრებული ღრიალით ეცა ჰასანს.

ჰასანი მზად დახვდა. ელვასავით დაუქნია ხმალი და მხარი ჩაუჩეხა. მამაკაცი მოწყვეტით დაეცა, ერთი-ორჯერ გაიქნია ფეხი და გაირინდა. ამასობაში შეტაკების ადგილზე შავხიფთანიანებიც მიიჭრნენ. მათი მეთაური ცხენიდან ჩამოხტა, მამაკაცი შეათვალიერა, მერე ჰასანს ამოხედა და უთხრა:

— ვცნობ შენს დაკვრას, ალი ჰასან. ერთის შემოკვრით მოგიკლავს. მადლობას გეტყვი ამისთვის და ხალიფასაც მოვახსენებ შენს ერთგულებას, მაგრამ ჯობდა, არ მოგეკლა. ეს ბერი მარტო არ იყო, ამხანაგი ახლდა. იმან გაქცევა მოასწრო და ამისგან უნდა გამოგვერკვია მეორე ბერის სამალავი.

— ალაჰი სწყალობდეს ხალიფას!.. — ჰასანმა ხელი მუსლიმთა წესისამებრ, მკერდზე მიიდო, მერე პირსა და შუბლზე ამოიტარა და შავხიფთანიანთა მეთაურს უთხრა:

— ბრაზი დაიოკე, ისმაილ. პირყვითელა ბარტყი არა ხარ და თავადაც იცი, რომ ეგ ამხანაგს არ გათქვამდა. მოკვდებოდა და თან გაიყოლებდა საიდუმლოს.

— მაინც ვცდიდი და თუ არ გათქვამდა, ჩემი ხელით მიიღებდა სიკვდილს! — ცივად წამოისროლა შავხიფთანიანმა.

— მაშინ, თავად უნდა მოგეხელთებინა და ჩემთვის არ უნდა გეთხოვა შველა! — დაცინვით თქვა ჰასანმა. მერე ცხენიდან გადაიხარა, ცხედარს ჭრილობიდან თავისი სატევარი ამოაძრო და ცხენს დეზი ჰკრა.

— რისთვის მოკალი ის კაცი? — ჰკითხა მუროჩიმ, როგორც კი შავხიფთანიანები თვალს მიეფარნენ.

— დაგავიწყდა, ვინ ვიყავი წარსულში?.. შავხიფთანიანი ერთხელ დებს ერთგულების ფიცს და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურება ხალიფას... ესაც რომ არა, ბრძანება, რომელიც ხალიფის სახელით გაიცემა, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. ყურად რომ არ მეღო შავხიფთანიანთა ათისთავის ბრძანება, ხვალ ყველანი ხერხემალგადამტვრეულები ვეყრებოდით ბაღდადის კარიბჭესთან! — უპასუხა ჰასანმა.

— შეგეძლო, მოგეგერიებინა ან თუნდაც დაგეჭრა. შენ კი გამეტებით დაჰკარი, სასიკვდილოდ! — ბრაზით შენიშნა მუროჩიმ.

— ამით სამსახური გავუწიე. მაგას უსისხლოდ ვერ დაიჭერდნენ. ვინმეს მაინც წაიმძლვარებდა წინ. მერე თავად მოისწრაფებდა სიცოცხლეს და თუ ვერ მოასწრებდა და ცოცხლად ჩაუვარდებოდა ხელში, საშინელი წამებით ამოხდიდნენ სულს.

— ვინ იყო ის კაცი? ბოროტმოქმედი? — განაგრძო მუროჩიმ.

— ბაღდადში ხილის ქურდიც და მძარცველიც ბოროტმოქმედად მიიჩნევა. ის კაცი კი მკვლელი იყო. თუ მას უბრძანეს, აუცილებლად დაღვრის სისხლს. თავადაც დაიღუპება, მაგრამ მაინც შეიწირავს ვინმეს. — უპასუხა ჰასანმა.

— შენ რომ ბერად მოიხსენიე?.. თქვენში ბერებიც მკვლელები არიან?! — გაუკვირდა მუროჩის.

— შენ ბევრი რამ არ იცი სპარსეთის შესახებ. ჩვენში მაგ ხალხს „მთის ბერებს“ უწოდებენ. დიდი ხნის წინ ეგვიპტეში გაჩნდა ისლამს განდგომილთა სექტა, მაგრამ იქ ვერ მოიკიდეს ფეხი და სპარსეთს შემოეხიზნნენ. მათ ბელადს ერქვა ჰასან ბენ საბახი. ძალიან ძლიერი, თავზე ხელაღებული და სასტიკი კაცი ყოფილა. მან ეგვიპტიდან დევნილთაგან შექმნა სექტა, რომელმაც თავს ასასინელები უწოდა. მალე, მზაკვრობით, ღალატითა და მოსყიდვით, ბენ საბახმა დიდი გავლენა მოიპოვა. მერე დაიკავა ჩრდილოეთ სპარსეთის მთიანეთის ციხეები,

მათ შორის, მთავარი, მიუვალი და ყველაზე დიდი ციხე — ალამუთი და თავი ცოცხალ ღმერთად გამოაცხადა. მასზე მლოცველთ კი ხალხმა „მთის ბერები“ უწოდა... საშინელი მკვლელები არიან ასასინები. საკუთარი თვალით არავის უნახავს, მაგრამ ჰყვებიან, რომ ალამუთის მახლობლად, მიუვალ ხეობაში, ზღაპრული სილამაზის ბაღი აქვთ გაშენებული. საოცარი ყვავილები და უცხო ხეხილი ხარობს იმ ბაღში. მთის კალთებზე შეფენილია მარმარილოთი ნაგები სასახლეები, მთის ანკარა წყაროები შადრევნებად სცემს მათ აუზებში. ღვინო, თაფლი და შარბათი კი მარმარილოს მილებიდან იღვრება. სასახლეში ჰურიათა მსგავსი, ულამაზესი ასულები ცხოვრობენ. ამ ბაღით უნერგავენ ასასინები თავიანთ მიმდევრებს ღმერთის ერთგულებას. მათი რჯული ბრმად მორჩილ მორწმუნეებს, საიქიო ნეტარებას ჰპირდება. ბენ საბახი კი ყველას ჩააგონებდა, რომ მის გამგებლობაში იყო სამოთხის კარი და ის მარტო მათთვის გაიღებოდა, ვინც ცოცხალი ღმერთის ყველა ნება-სურვილს აღასრულებდა. ამის დასადასტურებლად, ასასინები თორმეტი-თოთხმეტი წლის ყმაწვილებს ბანგით აძინებდნენ და მათთვის შეუცნობლად გადაჰყავდათ ზღაპრულ სასახლეში. გამოღვიძებული ყმაწვილები სამოთხეში გრძნობდნენ თავს. ულამაზეს ბაღში, ჰურიათა მსგავსი ქალიშვილები დაგოგმანებდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, უსრულებდნენ ყველა სურვილს, ართობდნენ და ათასგვარი ნუგბარით უმასპინძლდებოდნენ. რამდენიმე დღის მერე, ყმაწვილებს ისევ აბრუებდნენ და შეუცნობლად აბრუნებდნენ შინ. ბენ საბახი თავისთან იხმობდა იმ ახალგაზრდებს და ეკითხებოდა:

— სად იყავით ეს დღეები, ჩემო ერთგულო შვილებო?

ისინიც პასუხობდნენ, — თქვენი წყალობით, სამოთხე მოვინახულეთო, — და სხვათა თანდასწრებით ჰყვებოდნენ, თუ რა გადახდათ თავს იმ „სამოთხეში“.

— მე ხომ დაგპირდით, რომ ვინც მემსახურება, მას მარადიული ნეტარება ელის! — გაოცებულ და აღტაცებულ ქვეშევრდომებს ეუბნებოდა ბენ საბახი და იმ დღიდან ისინი სულითა და ხორცით მას ეკუთვნოდნენ. მათთვის არ არსებობდა ბრძანება, რომლის შესრულებაზეც უარს იტყოდნენ. თვითმკვლელობაზეც კი თანახმანი იყვნენ, ოღონდ სამუდამო ნეტარება და აღთქმულ სამოთხეში მოხვედრა დაემსახურებინათ. ბენ საბახი მარტო ერთი მიზნისთვის — მკვლელობისთვის იყენებდა ყურმოჭრილ მონად ქცეულ ქვეშევრდომებს. ამ მკვლელებს — მულიდებს უწოდებდნენ. ისინი კლავდნენ ყველას, ვინც მათ ბატონს გაანაწყენებდა. სელჩუკთა არაერთი ამირა თუ ხალიფა ემსხვერპლა შეშლილ ასასინთა თარეშს. სპარსეთში მოსვლისას, სელჩუკებმა არაფერი იცოდნენ მათ შესახებ და ისევე მოინდომეს ასასინთა სამფლობელოების დაპყრობა, როგორც დანარჩენი სპარსეთი დაიმორჩილეს. მაშინ გამოიღეს ხელი ასასინებმა. პირველსავე ლაშქრობას სელჩუკთა სარდლები შეეწირნენ. წესი აქვთ მულიდებს ასეთი: მარტო მსხვერპლის მოკვლა არ კმარა, ყველამ უნდა გაიგოს, რისთვის, ვისი ბრძანებითა და ვისი ხელით მოაკვდინეს მსხვერპლი. ხომ ნახე იმ ასასინის წვერმოკაუჭებული ხანჯალი?! ჰოდა, ისინი მარტო იმ ხანჯლით კლავენ მსხვერპლს, თანაც — ყოველთვის ხალხმრავალ ადგილას, ქვეშევრდომთა თვალწინ და მერე აღარ გარბიან. იქ რჩებიან და ამაყად აცხადებენ, რომ ესა



და ეს მოიკლა ამისა და ამის ბრძანებით და ამიერიდან იცოდეს ყველამ! ვინც ასასინებთან მტრობას ჩამოაგდებს, იგივე ბედი მოელის!.. რა თქმა უნდა, იმ მულიდს წამებაში ამოხდება სული, მაგრამ მაინც სიხარულით იღებს სიკვდილს: ის ხომ დარწმუნებულია, რომ სიკვდილისთანავე საოცნებო სამოთხეში, ულამაზეს ჰურიებთან მოხვდება... აი, ასეთები არიან „მთის ბერები“ და ის შავმოსასხამიანი ასასინიც მათი მოდგმისა იყო.

მე არ ვიცი, რა მოხდა სასახლეში. რაც სამსახურს ჩამოვშორდი, არაფერი ვიცი ხალიფასი და კარისკაცთა ამბისა. ჩემი სამსახურის დროს, ერთხელ სცადეს ასასინებმა ბაღდადის პატრონის მოკვლა. მაშინ ვივარგეთ შავხიფთანიანებმა. ორი მულიდი მეჩეთში მიმავალ ხალიფას დაესხა თავს. ორივე იქავ ავჩეხეთ. ხალიფა გადარჩა. მერე კი ასასინებთან შერიგება მოახერხა და მათაც შეწყვიტეს მტრობა. ალბათ ახლა ისევ რაღაცით გაანაწყენა ბაღდადის პატრონმა და ისევ გამოგზავნეს მკვლელები. ამჯერად გაუმართლა ხალიფას. შავხიფთანიანებს არ გამოეპარათ მკვლელი, მაგრამ მეორე გაჰქცევიათ. იქნებ, ორნიც არ იყვნენ და მათი ამხანაგები სადღაც სასახლის სიახლოვეს დაძრწიან. შავხიფთანიანები არ შეწყვეტენ მათ ძებნას. მთელ ბაღდადს გადაატრიალებენ და თუ ასასინებს მიაკვლენენ, ტანჯვა-წამებაში ამოხდიან სულს. ამიტომაც მისდევდნენ ასეთი გაშმაგებით იმ მულიდს. ხომ ნახე, ისრის ხმარება არც კი უცდიათ. განა, იმ ათისთავმა არ იცოდა, რომ ასასინს ვერაფერს წამოაცდენინებდა. მოკვდებოდა და მაინც არ გათქვამდა ამხანაგებს, მაგრამ მულიდის ცოცხლად დაჭერა დიდ ხმაურს ატეხდა სასახლეში. ის ათისთავი ერთგული სამსახურისთვის, ხალიფის წყალობას დაიმსახურებდა და იქნებ, ასისთავობაც მიეღო. ახლა კი ეს აღარ მოხდება. იქნებ, დასავჯონ კიდეც.

— დასავჯონ? ათისთავი თავგამოდებით მისდევდა იმ მკვლელს და ამისთვის შეიძლება, დასავჯონ?! — გაუკვირდა მუროჩის.

— მისდევდა, მაგრამ ჩვენ რომ არ გადავყროდით, ასასინი თავისი ამხანაგივით, მიიმალებოდა. ხალიფის მოსისხლე მტრის ხელიდან გაშვება კი მძიმე დანაშაულია... მაგრამ ახლა ესეც არ არის საქმე. ის, რაც იხილე, გაკვეთილად გაიხადე. შორი გზა გველის. ასასინი მკვლელები კი მარტო ბაღდადში არ დაძრწიან, მათ ყველგან აქვთ გადგმული ფესვები. ჰინდუსტანშიც არიან და ყველა იმ ქალაქში, რომელსაც გზად გავივლით, სადმე თუ გადააწყდი, ერიდე! გახსოვდეს, რომ ისინი დაუნდობელი მკვლელები არიან!..

— რა ხელი აქვთ ჩვენთან, ჩვენ ხომ არ ვმტრობთ მათ ბელადს? — ჰკითხა მუროჩიმ.

— არა... ვაჭრებს არაფერი ესაქმებათ ასასინებთან, მაგრამ ჩვენ ბაღდადის დროშით ვივლით, მათ კი ხალიფისთვის სასიკვდილო განაჩენი ჰქონიათ გამოტანილი და მათი სამფლობელოების სიახლოვეს გავლისას, შეიძლება, მსტოვრებად მიგვიღონ... კიდევ ერთი რამ იცოდე. ისინი ყოველთვის ინიღბებიან. შეიძლება, ვაჭრის სახით მოვიდნენ. დერვიშის, მათხოვრის ან თუნდაც ქრისტიანი ბერის იერი მიიღონ. მათ მოკაუჭებულ ხანჯალს მარტო მაშინ დაინახავ, როცა მკერდში დასაძგერებლად მოგიქნევენ. ძნელია მათი ამოცნობა, მაგრამ არის ერთი რამ, რაც უცილობლად გასთქვამს: წამონთებული მზერა. ასეთი მარტო შეშლილებს აქვთ და ისინი მართლაც შლეგები არიან. თუ ჩვენს სიახლოვეს ასეთი მზერით შენიშნე ვინმე, ნუღარ იფიქრებ, მაშინვე შემოჰკარ ხმალი. შემოჰკარ ისე, როგორც გჩვევია. ამით თავსაც გადარჩენ და ჩვენც გადაგვარჩენ!.. — თქვა ჰასანმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Tika kandelaki: ` sad, visTan, rodis da dReSi ramdenjer~...

რუსეთში თინა ჯანდელაჯი ბრენდი გახლავთ. მისი სახელი არ ქრება ბომონდური ქრონიკებიდან. მის შესახებ იგონებენ ჭორებს და ბევრი მსოფლიო მარჯა ცდილობს, თინა თავის სახედ აქციოს. თავისი ოცნებების, გეგმებისა და მოგონებების შესახებ თინამ ინტერვიუ ერთერთი ინტერნეტსაიტის ჯორესპონდენტს მისცა.

მეუღლესთან ერთად

— ინტერნეტიდან გახდა ცნობილი, რომ პროგრამა „დეტალი“ ისევ გამოჩნდება ეკრანზე. ეს მორიგი ჭორია თუ სიმართლე?

— „დეტალი“ თითქმის 1 წლის წინ, 2007 წლის დეკემბერში დახურეს, რადგან მისი რეიტინგი მაღალი არ იყო. თუმცა, სტაბილური ნამდვილად გახლდათ. მანამდე გადაცემა 2006 წელს დაიხურა. ზოგიერთი ამას იმით ხსნიდა, რომ მე, როგორც ტელეწამყვანი, აუდიტორიისთვის საინტერესო არ ვიყავი. სინამდვილეში კი საქმე ის გახლავთ, რომ „CTC“-ს თავისი აუდიტორია ჰყავს და განსხვავებული ფორმატი აქვს. ამ არხზე არ არიან პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და მეცნიერები, ხოლო რაც შეეხება შოუბიზნესს, გადაცემის არსებობის დროს თითქმის ყველა გვყავდა მოწვეული, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა და რესურსი ამოვწურეთ. შემდეგ სტუმრებს მეორე წრეზე ვიწვევდით. ხან ტანისამოსი გამოვიცვალე, ხან რესპონდენტს მწვავე კითხვები დავუსვი, მაგრამ გადაცემის გმირის მეორედ გამოჩენას გამართლება ვერ მოვუძებნეთ. გადაცემამ უბრალოდ, სიცოცხლისუნარიანობა დაკარგა და დაიხურა.

— მიუხედავად ამისა, 2007 წელს გადაცემა ისევ გამოჩნდა.

— დიახ, არხის ხელმძღვანელობამ გადაცემის განახლება გადაწყვიტა. რადგან არხზე საინფორმაციო პროგრამა არ გადის, მათ მიიჩნიეს, რომ პირდაპირ ეთერში ცოცხალი საუბრით ამ ვაკუუმს ამოავსებდნენ. მაშინ ვთქვი, რომ სიამოვნებით წავიყვანდი რომელიმე ტოქშოუს, რენატა ლიტვინოვასთან ერთად.

— რატომ მაინცდამაინც მასთან ერთად?

— უბრალოდ, რენატა ძალიან მიყვარს და რასაც ის აკეთებს, ყველაფერი მომწონს. არხის ხელმძღვანელობას უფრო მეტად რომ მოეწადინებინა, ალბათ, მის დათანხმებას შეძლებდა. რენატამ ყოველდღიურ ეთერზე უარი განაცხადა. გადავწყვიტეთ, რომ მე და რენატა გადაცემას რიგრიგობით წავიყვანდით. საქმეში ჩემი მეგობარი, კირილ სერებრენიკოვი ჩავრთეთ და გადაცემა უკვე 3 წამყვანთან ერთად გავიდა ეთერში. მიუხედავად ამისა, გადაცემის რეიტინგი 4 თვის შემდეგაც უცვლელი დარჩა და ის დახურეს. მე კი ვაგრძელებ საკუთარ თავზე ახალი ამბების კითხვას: რომ ფეხმძიმედ ვარ, ჩემს ოჯახში უცხოპლანეტელები მოფრინდნენ, დეგენერატები მიტევენ და „დეტალი“ ბრუნდება.

— გამოდის, ახლა მთლიანად „ყველაზე ჭკვიანზე“ ხართ გადართული?

— თუ მხოლოდ ტელევიზიაზე ვსაუბრობთ — კი. თუ წინათ მე

ოჰ, რა ძნელია, საიდუმლოს გათქმისგან თავი შეიკავო...

უბრალოდ, წამყვანი ვიყავი და ვლადიმირ ოსელედჩიკი — ჩემი შეფი, ახლა ჩვენ პარტნიორები ვართ. შევქმენით კომპანია „OK-პროდაქშენ“ და გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ პროდიუსერები და მწარმოებლები ვართ. ეს გადაცემა ეთერში მომავალ სეზონშიც გავა. უკვე დიდი ხანია, ამ პროექტით ვარ დაკავებული, მაგრამ ახლა მისით კაპიტალურად დავინტერესდი. ძალზე საინტერესოა, იყო არა მხოლოდ დაქირავებული თანამშრომელი, რომელსაც ნებისმიერ დროს გამოცვლი, არამედ — თავად ახდენდე გავლენას ამა თუ იმ პროცესზე.

— რის შეცვლას გეგმავთ?

— პირველ რიგში, ამ გადაცემის პიარით დავკავდები და მის პოპულარიზებას შევეცდები. ძალიან მინდა, გადაცემის მონაწილეებს დახმარება გავუწიოთ. ჩვენ ადრეც ვეხმარებოდით ნიჭიერ ბავშვებს, მაგრამ ეს უსისტემო მიდგომა გახლდათ. ახლა ყველაფერს სისტემურად გავაკეთებთ, რომ ბავშვებს, რომლებიც ჩვენს გადაცემაში მიიღებენ მონაწილეობას, აქტიურად დავუჭიროთ მხარი. პირველ რიგში, მატერიალურ მხარდაჭერას ვგულისხმობ. გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად ბავშვები სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოდიან. თამაშის მიმდინარეობის პროცესში, მათ საცხოვრებლით უზრუნველვყოფთ, მაგრამ თუ

მათ სურთ, რომ სწავლა აქ გააგრძელონ, დამხმარე არავინ ჰყავთ. ჩემზე უკეთ კი არავინ იცის, რა ძნელია ასეთ სიტუაციაში ყოფნა. არც მე მქონდა საშუალება, იქ მესწავლა, სადაც მინდოდა.

— სად გსურდათ განათლების მიღება?

— მთელი ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში, მოსკოვში სწავლაზე ვოცნებობდი, მაგრამ ჩემს მშობლებს ამის საშუალება არ ჰქონდათ. მე კი ვოცნებობდი და ვოცნებობდი... შემდეგ მათ გაყიდეს დიდი ბინა და შედარებით მომცრო შეიძინეს, რომ მოსკოვის რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ინსტიტუტში მესწავლა. ახლაც კი მახსოვს ის თანხა. ახალი ბინის პარტონს ძალიან ბევრი ვევაჭრეთ და როგორც იქნა, ვიყიდეთ ბინა, რომელშიც 4 ათასი დოლარით ნაკლები გადავიხადეთ. სწავლის საფასურის გადასახდელად ზუსტად 3.770 დოლარი, ბილეთისთვის კი 100 დოლარი მჭირდებოდა. კიდევ 100 დოლარი სახარჯოდ მომცეს. ვიცი, რომ ბევრი ბავშვია, ვისაც სწავლის სურვილი აქვს, მაგრამ ყველა მშობელი არ არის მზად, ამის გულისთვის ბინა გაყიდოს. ზოგიერთს კი გასაყიდიც არაფერი აქვს.

— გადაცემა მართლაც შესანიშნავია და შვილებთან ერთად სიამოვნებით ვუყურებ ხოლმე. როგორ ახერხებთ ბავშვებთან უშუალო კონტაქტის დამყარებას? იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითოეული მათგანის მეგობარი ხართ.

— საკმაოდ ინფანტილური ვარ და ბავშვებთან მეგობრობა კარგად გამომდის. ისინი ისე მიყურებენ, როგორც თავისიანს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ

კსენია სობჩაკთან სკანდალური კოცნა

ასაკით უფროსი ყველაფერში უფროსია. მე ასეთი დედა და ასეთი წამყვანი ვარ. გადაცემის მსვლელობისას არ ვთამაშობ. ეს არის ყველაზე მთავარი, როცა ბავშვებთან ურთიერთობ.

— ამჟამად კიდევ რით ხართ დაკავებული?

— ერთი საკმაოდ დიდი და სერიოზული პროექტი მომწიფდა. ამ საიდუმლოს გაგიმხელთ. 100-სერიიან სერიალში სათამაშოდ მიმიწვიეს და დაგენაძლევებით, რომ ვერ გამოიცნობთ, ვინ იქნება ჩემი პარტნიორი. ფილიპ კირკოროვი! სერიალის რეჟისორი ნინა ჩუსოვაა. ამის მეტს ახლა ვერაფრს გეტყვით. ვერც სახელწოდებას და ვერც სიუჟეტს. როდესაც ყველაფერი იურიდიულად გაფორმდება, მაშინ სიამოვნებით გეტყვით ყველაფერს. დამიჯერეთ, ეს იქნება ძალზე სასაცილო და ორიგინალური სერიალი.

— როგორც ვხვდები, ეს იქნება კომედიური სიტუაციები?

— დიახ, სწორად მიხვდით.

— ძალიან დაგვაინტრიგეთ. სულ ცოტა რამ კიდევ გვითხარით.

— გადაღებები დაიწყება 1-ელ ოქტომბერს და სერიალში საუბარი იქნება... ოჰ, რა ძნელია, საიდუმლოს გათქმისგან თავი შეიკავო... (*იცინის*)

სერიალში ჩემი პარტნიორი კირკოროვი იქნება

ეს იქნება 2 ადამიანის თავგადასავალი, რომელსაც პროფესია აერთიანებს. სწორედ მათი საქმიანობის დროს იქმნება უამრავი კურიოზული სიტუაცია.

— ცოტა ხნის წინ გამოვიდა თქვენი წიგნი: „იყო თინა კანდელაკი ანუ სილამაზის ინსტრუქტორი“. თქვენ თქვით, რომ ეს ავტობიოგრაფიული წიგნია. თუმცა, ვინც ის შეიძინა, თქვენი ბიოგრაფიიდან ყველაზე საინტერესო ფაქტები ვერ აღმოაჩინა.

— ეს გახლდათ ერთი პატარა ხუმრობა. თუმცა არავინ მომიტყუებია. სწორედ ისე ვხდები, ისე ვვარჯიშობ და ისე ვცხოვრობ, როგორც წიგნშია აღწერილი. სიმსუქნისკენ ვარ მიდრეკილი და მთელი ცხოვრება დიეტაზე ყოფნა მიწევს. ყოველდღე ვვარჯიშობ და შემიძლია, ჩემი მიღწევების შესახებ ყველას ვუამბო და გამოცდილება გავუზიარო. ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ კი იქ მართლაც არაფერი წერია. იმის შესახებ, თუ სად, ვისთან, როდის და დღეში რამდენჯერ, 32 წლის ასაკში ამაზე ლაპარაკი სასაცილოდ მიმაჩნია.

— ნამდვილი მემუარების დაწერას ხომ არ გეგმავთ? ან ბავშვებისთვის სახელმძღვანელოს გამოშვებას...

— როგორც ჩემი ერთი მეგობარი ამბობს, მთავარია, რულონამდე არ მიხვიდე. იმ რულონს ვგულისხმობ, რომელსაც ტუალეტში ვიყენებთ. მთავარია, ამ რულონზე არ დაიწყო წერა. მე მწერალი არ ვარ, ხოლო სახელმძღვანელოს დაწერის არავითარი უფლება არ მაქვს. საამისოდ, მეცნიერული ხარისხი უნდა გქონდეს. არ მინდა, ჩემს თავზე იმაზე მეტი ავიღო, ვიდრე შემიძლია და არ მინდა, ვინმეს თავი იმაზე მნიშვნელოვნად მოვაჩვენო, ვიდრე სინამდვილეში ვარ.

მოამზადა მარი ჯაშარიძემ

სარჩელი SUBWAY-ს წინააღმდეგ

ნიუ-იორკელმა ჯონ აგნესინიმ სწრაფი კვების ქსელის — Subway რესტორანში საყვარელი სენდვიჩი იყიდა და ის იყო, პირველი ლუკმა გემრიელად ჩაკბიჩა, რომ მოულოდნელად ბუტერბროდში დანის ბასრი პირი შენიშნა. „ვერც კი წარმომიდგენია, თუ რა მოხდებოდა, დანის პირი რომ არ შემემჩნია. 18-სანტიმეტრიანი დანა ის საგანია, რომლის საყვარელ სენდვიჩში აღმოჩენას არაფრით ელი“, — ამბობს აგნესინი, რომელმაც პოპულარული ქსელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საკომპენსაციოდ, მისგან 1 მილიონი დოლარის გადახდას მოითხოვს. „საბვეის“ პრესმდივანი კვინ კეინი ამბობს, რომ ფირმა ამჟამად, აგნესინის სარჩელთან დაკავშირებული ფაქტების გადამოწმებით არის დაკავებული. „ჩვენი კომპანია პროდუქციის უსაფრთხოებასა და მომხმარებლის აზრს უდიდეს დროსა და ყურადღებას უთმობს“, — აცხადებს იგი. ჯონ აგნესინის ადვოკატი მისი კლიენტისათვის წინასწარი განზრახვით ზიანის მიყენების მცდელობას არ გამორიცხავს და პირობას დებს, რომ მისი ეჭვების დადასტურების შემთხვევაში კომპანიას ძალზე სერიოზული პასუხისგება მოუწევს!

ანასექსუალური ჯესიკა ალბა სექსუალურობასა და ჩეულ ფორმას იბრუნებს

სულ ცოტა ხნის წინ ჯესიკა ალბას ქალიშვილი — ჰონორ მარი შეეძინა. მშობიარობამდე 1 თვით ადრე მსახიობმა და ბავშვის მამამ — კეშ უორენმა ბევერლი ჰილზში იქორწინეს. „ბ თვეში სახლის შეძენა, დაორსულება და გათხოვება — უდიდესი სტრესის გამომწვევია. მსგავსი გადაწყვეტილებები მთელ ცხოვრებას ცვლის, მაგრამ მე ძალზე მშვიდად ვარ და ეს ურთიერთობები ბედნიერებას მანიჭებს“, — ამბობს მსახიობი, რომელმაც ჟურნალ „კოსმოპოლიტენის“ ბრიტანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში გულახდილად თქვა, რომ ორსულობის პერიოდში საკუთარი თავი არ მოსწონდა. — უფრო არასექსუალურად თავი არასდროს მიგრძნია. არაფერს შევცვლიდი, მაგრამ ზედმეტი წონისგან გათავისუფლება კი ნამდვილად მინდოდა“, — განაცხადა 27 წლის ვარსკვლავმა.

სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად საპირისპირო მოსაზრებისაა ანჯელინა ჯოლი, რომელიც ირწმუნება, რომ ორსულობის დროს თავს „ძალზე სექსუალურ ქალად შეიგრძნობს“.

2007 წელს ჟურნალის — FHM მიერ „პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალად“ დასახელებულმა ჯესიკა ალბამ ორსულობის შემდგომ, ჩვეული ფორმა უკვე აღიდგინა. გოგონას — ჰონორ მარის დაბადებიდან მცირე ხანში ბავშვის პირველი ფოტოსურათები ჟურნალმა OK! 1,5 მლნ დოლარად შეიძინა. როგორც ამბობენ, ჯესიკა ფოტოსურათების გაყიდვას არ აპირებდა, მაგრამ შეთავაზებულ წინადადებაზე უარი არ თქვა. ჟურნალს ფოტოების გამოქვეყნების უფლება აქვს და შემოდგომაზე სურათების კიდევ ერთ სერიას მიიღებს, რომელსაც პატარა ჰონორს, მადლიერების დღეს გადაუღებენ.

ჯესიკა მერი ალბა 1981 წლის 28 აპრილს ქალაქ პომონაში დაიბადა. ცოტა ხანში ოჯახი ბილოქსიში (მისისიპის შტატი) გადავიდა საცხოვრებლად, 3 წლის მერე ჯესიკას მამა, რომელიც ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებში მსახურობდა, ისევ კალიფორნიაში დააბრუნეს, შემდეგ კი დელ რიოში (ტეხასის შტატი) გადაიყვანეს... გოგონა 10 წლის იყო, როდესაც ალბების ოჯახი მომთაბარე ცხოვრების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ისევ კალიფორნიაში დასახლდა.

მსახიობობაზე 5 წლის ასაკიდან ოცნებობდა, მაგრამ მისი კარიერა 2 წლით ადრე — 3 წლის ასაკში დაიწყო. ჯესიკამ სამსახიობო ოსტატობის შესწავლას 12 წლისამ მიჰყო ხელი; 9 თვის შემდეგ ჯესიკას უკვე საკუთარი აგენტი ჰყავდა... პირველი სერიოზული სამსახიობო გამოცდილება სერიალში — „ბევერლი ჰილზი 90210“ — შეიძინა, შესამჩნევი როლი კი ახალგაზრდულ ფილმში „ბანაკი არსად“ (1994 წ.) ითამაშა და მას შემდგომ უამრავი ბრწყინვალე მრავალპლანიანი სახე შექმნა. სწორედ ასეთი იყო სერიალში — „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ — ჯესიკას მიერ შექმნილი, პატარა არამზადა გოგოს სახე. სერიალების გადაღებების დროს ჯესიკამ ავსტრალიასა და კანადაში იმოგზაურა და პოპულარულ სატელევიზიო ტოქშოუშიც მიიღო მონაწილეობა. 90-იან წლებში ბევრს მუშაობდა ტელევიზიაში. ითამაშა ფილმებში: „უკოცნელი“, „ზარმაცი ხელები“ და სრულიად ახალგაზრდამ, „ჰოლივუდის იმედის“ რეპუტაცია მოიპოვა. 2001 წელს ჯესიკა ალბა Maxim`s Hot 100 Babe List-ის პირველ ნომრად დაასახელეს. ■



10 მნიშვნელოვანი ფაქტი ჯესიკა ალბას ცხოვრებიდან

- ჯესიკას, მის დედას და ბებიას კისერზე ზუსტად ერთნაირი, ყვავილის ფორმის სვირინგი აქვთ;
- ბავშვობაში ჯესიკა ასთმით იყო დაავადებული;
- უყვარს ჰიპჰოპი (Timbaland, David Gray, Miss Elliot);
- საყვარელი ფერი — მელნისფერი;
- ბიჭს პირველად 7 წლის ასაკში აკოცა;
- ბიჭთან პირველი კონტაქტი 11 წლის ასაკში ჰქონდა;
- საყვარელი დღე: პარასკევი;
- ნერვიულობის დროს თმის კულულს თითზე იხვევს;
- მისი ერთადერთი ნაკლი: უამრავი ფეხსაცმელი აქვს.
- წონა 63 კგ, თქოების გარშემოწერილობა — 86,6 სმ.

დემიდანტი სკარლეტ იოჰანსონი

ცოტა ხნის წინ, მუსიკალურ სარბიელზე მსახიობ სკარლეტ იოჰანსონის დებიუტი შედგა და ახლა მან საკონცერტო მინიალბომიც გამოუშვა. 7 კომპოზიციისგან შემდგარი დისკი Live Session EP ინტერნეტმაღაზიის iTunes-ის მეშვეობით, ექსკლუზიურად ვრცელდება. თითოეული კომპოზიციის ფასი 99 ცენტია, მთელი ალბომის კი — 5,99 დოლარი. იოჰანსონის სადებიუტო ალბომის — Anywhere I Lay My Head-ის მსგავსად, იოჰანსონი საკონცერტო დისკზეც, ტომ უეისტის რეპერტუარში შემავალ კომპოზიციებს ასრულებს. ალბომი — Anywhere I Lay My Head — 2008 წლის მაისში გამოვიდა და პრესაში გამანადგურებელი შეფასებები მიიღო. ■

რობინ უილიამსი — მსოფლიოში საუკეთესო მამა

ფილმში — „მსოფლიოში საუკეთესო მამა“ — მთავარ როლს მსახიობი რობინ უილიამსი ითამაშებს. მისი გმირი — ლიტერატურის პედაგოგი ლანსი შვილის მიერ სიკვდილის წინ დაწერილ წერილს გააყალბებს, რათა ცნობისმოყვარე ადამიანებს შვილის გარდაცვალების გარემოებები დაუმალოს. საქმე ისაა, რომ ლანსის ვაჟი მასტურბაციის დროს მომხდარი, უაზრო, უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა და მამამისი ოჯახის ღირსების გადარჩენას ცდილობს. ლანსის მიერ დაწერილი წერილი მისი თანხმობის გარეშე, პრესის ფურცლებზე მოხვდება და ლიტერატურულ სენსაციად გადაიქცევა. ლიტერატურული კარიერის გასაგრძელებლად, ლანსი შვილის ყალბ დღიურებს წერს... ფილმს რეჟისორი ბობ გოლდსვეიტი გადაიღებს. გადაღებები ივლისის ბოლოს სიეტლში დაიწყება. ■

მაიკლ ჯექსონი — ყველა დროის საუკეთესო საცეკვაო კომპოზიციის ავტორი

რადიოსადგურის — BBC Radio 2 — მსმენელთა შორის ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მაიკლ ჯექსონის სიმღერა — Billie Jean — ყველა დროის საუკეთესო საცეკვაო კომპოზიციად აღიარეს. ეს სიმღერა მუსიკოსმა 1982 წელს გამოშვებული ალბომისთვის — Thriller შექმნა. 1983 წელს კომპოზიცია, ცალკე სინგლად გამოიცა, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ჰიტაღლუმებზე პირველი ადგილები დაიკავა და „გრემის“ ორი პრემიით აღინიშნა. გამოკითხვის თანახმად, მეორე ადგილი დონა სამერის 1977 წლის დისკოჰიტმა — I Feel Love — დაიკავა. ლიდერთა სამეულში აღმოჩნდა აწ გარდაცვლილი ჯეიმს ბრაუნის სიმღერა Get Up (I Feel Like Being A) Sex Machine. ■

მუსიკოსები უზრუნველყოფილი სიმოხისთვის იმსახურებენ

ევროკავშირმა საავტორო გადარიცხვათა შესახებ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა პროექტი გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, მუსიკოსები საჰონორარო გადარიცხვებს 95 წლის განმავლობაში მიიღებენ. მოქმედი კანონის თანახმად, ეს ვადა 50 წლით განისაზღვრება. პროექტის

მიხედვით, შემსრულებელი 95 წლის მანძილზე რადიო და ტელეეთერით გადაცემული თითოეული სიმღერისთვის 150-დან 2.000 ევრომდე მიიღებს. ეს გეგმა ჯერ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა უნდა მოიწონონ. საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი პირობას დებს, რომ ევროკავშირში მისი თავმჯდომარეობის პერიოდში ამ კანონპროექტის მიღებას მოახერხებს. ამგვარად, სიმღერის ავტორს კუთვნილი თანხა სიცოცხლის განმავლობაში გარანტირებული ექნება, მემკვიდრეები კი ავტორის გარდაცვალების შემდგომ, მას კიდევ 70 წლის განმავლობაში მიიღებენ. საავტორო უფლებათა მოქმედების ვადის გაზრდის აქტიური მომხრეა პოლ მაკარტნი, რომელიც დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი სწორედ საავტორო გადარიცხვების წყალობით გახდა. მისი აზრით, მუსიკოსებისთვის, რომელთაც მაღალი პენსიის იმედი არ აქვთ, უზრუნველყოფილი სიბერის ერთადერთი იმედი საავტორო გადარიცხვებია. ■

თანამედროვე კასანდრა

რეჟისორ როლანდ ემერიხის ფილმ-კატასტროფაში — „2012“ — ერთ-ერთ მთავარ როლზე ამერიკელი მსახიობი ვუდი ჰარელსონი მიიწვიეს. მსახიობი მის გმირს ბერძენ წინასწარმეტყველ ქალს — კასანდრას ადარებს, რომელმაც ტროის დაცემა იწინასწარმეტყველა, მაგრამ მას არავინ დაუჯერა. „ჩემი პერსონაჟი სამყაროს კარს მომდგარი კატასტროფის შესახებ აფრთხილებს, მაგრამ მას გიჟად მიიჩნევენ“, — ამბობს ჰარელსონი. ფილმის სიუჟეტი მაიას ტომის წინასწარმეტყველებას უკავშირდება, რომლის თანახმად, 2012 წლის 12 დეკემბერს სამყაროს აღსასრული დადგება. კატაკლიზმის შემდგომ გადარჩენილი ადამიანები სიცოცხლის შენარჩუნებისთვის იბრძვიან... სურათში, ვუდი ჰარელსონის გარდა, დენი გლოვერი და ჯონ კიუსაკი ითამაშებენ. ■

დენი დე ვიტოს ახალი ფილმი

მორგან ფრიმენი, პირს ბროსნანი და ფილმის — „მონანიება“ ნორჩი ვარსკვლავი სირშა რონანი მსახიობისა და რეჟისორის — დენი დე ვიტოს ახალ ოჯახურ სათავგადასავლო სურათში — „შარლოტ დოილის ჭეშმარიტი აღიარება“ ითამაშებენ. დე ვიტომ ფილმის სცენარი თავად დაწერა და საფუძვლად საკუთარი საბავშვო მოთხრობა დაუდო, რომელიც ავის ფსევდონიმით გამოაქვეყნა. თხზულება 13 წლის გოგონას შესახებ მოგვითხრობს, რომელმაც 1832 წელს ინგლისიდან ამერიკაში გემით იმოგზაურა. მოხუცი ზანგი სტიუარდი ზაქარია გოგონას აფრთხილებს, რომ გემზე კაპიტნის წინააღმდეგ აჯანყება მზადდება... დენი დე ვიტოს მიერ გადაღებული წინა ფილმი — შავი კომედია „დიუპლექსი“ ეკრანებზე 2003 წელს გამოვიდა. ფილმში მთავარი როლები ბენ სტილერმა და დრიუ ბერიმორმა ითამაშეს. ■

ფილმის „მარმარილო“ გადაღება რობერტ როდრიგესის პირადი ცხოვრების გამო ჩაიშალა

The New York Post-ის ჭორების რუბრიკა უკვე იუწყებოდა იმის შესახებ, რომ რობერტ როდრიგესი და მსახიობი როუზ მაკგოუენი ერთმანეთს დაშორდნენ. როგორც ჩანს, ამ განხეთქილებამ რეჟისორის რამდენიმე პროექტის განხორციელება ეჭვქვეშ დააყენა. როგორც ცნობილია, როდრიგესი როუზ ვადიმის ფილმის — „ბარბარელა“ (1968 წ.) რიმეიკის გადაღებას აპირებდა, სადაც მთავარი როლი როუზ მაკგოუენს უნდა ეთამაშა. სურათის პროდიუსერის დინო დე ლაურენტინის განცხადების თანახმად, ახალი ფილმი 1968 წელს გადაღებული სურათის სრული რიმეიკი არ იქნება. „სიყვარულით და სექსით“ აღსავსე სათავგადასავლო ფილმი დამოუკიდებელი პროექტი უნდა იყოს. როდრიგესი მრავალრიცხოვანი კომიქსისა და 1985 წელს შექმნილი ფილმის პერსონაჟის — წითური სონიას შესახებ შექმნილი ახალი ფილმის პროდიუსერიც უნდა ყოფილიყო. მთავარი როლის შემსრულებლად კი მაკგოუენის მოწვევას აპირებდა. როდრიგესისა და მაკგოუენის კიდევ ერთი ერთობლივი პროექტი — ტელესერიალი Women in Chains („ქალები ბორკილებში“) უნდა ყოფილიყო... როგორც ამბობენ, წყვილის დაშორების მიზეზი ფილმის „ბარბარელა“ დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა იყოს, რადგან სტუდიები როდრიგესისგან სხვა მსახიობის მიწვევას მოითხოვენ. ■

დევიდ კრონენბერგის საოპერო დემიური

გაზეთის The Guardian ცნობით, 2008 წლის 2 ივლისს პარიზის შატლეს თეატრში ოპერის — „ბუზი“ პრემიერა შედგა, რომელიც დევიდ კრონენბერგის მიერ 1986 წელს გადაღებული ამავე დასახელების ფანტასტიკური ტრილერის მიხედვით შეიქმნა. სადირიჟორო პულტთან თავად პლასიდო დომინგო იდგა.



65 წლის კანადელი კინორეჟისორის, დევიდ კრონენბერგისთვის ეს დადგმა საოპერო თეატრში მიღებული პირველი გამოცდილებაა. სპექტაკლისთვის მუსიკა ორგზის „ოსკაროსანმა“ ჰოვარდ შორმა შექმნა, რომელიც კინოფილმის ორიგინალური საუნდტრეკის ავტორია. ოპერის სიუჟეტი ფილმის შინაარსისგან არაფრით განსხვავდება: მეცნიერი სეტ ბრანდლი (ფილმში ეს როლი ჯეფ გოლდბლიუმმა ითამაშა) ტელეპორტაციის სფეროში მუშაობს. ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს დაშვებული შეცდომის გამო, მეცნიერის სხეული ბუზის დნმ-ს მიიღებს. მუტაციის შედეგად, ბრანდლი უცნაურ ურჩხულად გადაიქცევა. მეცნიერის მუშაობას თვალყურს ადევნებს ჟურნალისტი ვერონიკა, რომელიც საცოდავი მუტანტის ტანჯვა-წამებას ვერ გაუძლებს და ფინალში ურჩხულს კლავს... გაზეთის The Guardian მიმომხილველი იუწყება, რომ ოპერის ავტორებმა მაყურებელი დაინდვეს და ყველაზე საშინელი ფიზიოლოგიური მომენტები სცენაზე არ გადაიტანეს, მაგრამ სპექტაკლი „სუსტი ნერვების“ პატრონთათვის მაინც არ არის განკუთვნილი... ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

„ჭიპილიას მარშით“ ქუთაისიდან – მოსკოვში

ანი აგულავა

ბავშვობიდან მუსიკოსობაზე მეოცნებე, ხელმოკლე ქუთაისურ ოჯახში გაზრდილი ბიჭი ვერ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე საქართველოს ფარგლებს მიღმა იცხოვრებდა. ის კი არა, თბილისში გადმოსვლაზე ფიქრიც კი ზედმეტად ეჩვენებოდა. და, მაინც, თავდაუზოგავი შრომით, გამჭრიახობით, ბავშვობის ოცნება აისდინა. დღეს ლევან ძაგნიძე დიდ საესტრადო სცენაზე არ ციმციმებს, მაგრამ მოსკოვში, ცნობილ რესტორან „სულიკოში“ წარმატებული მუსიკოსია. იწვევენ სამთავრობო ბანკეტებსა და სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, მუშაობს მანანა თოდაძის სტუდიაში, წერს ფონოგრამებს, ჰყავს არცთუ მცირერიცხოვანი აუდიტორიაც, რომელსაც მოსწონს ლევანის მიერ საკუთარი არანჟირებით შესრულებული მუსიკაც. ყველაფერი კი ქუთაისში პოპულარული „ჭიპლიას მარშით“ დაიწყო.

„ჭიპილიას მარში“

— ერთი ჩვეულებრივი, ცელქი და მოუსვენარი ქუთაისელი ბავშვი ვიყავი. ენა რომ არ ჰქონდეს, ყვავი წაიღებდაო, ნათქვამი რომაა, ხომ გაგიგონიათ, ზუსტად ჩემზე იყო ზედგამოჭრილი, მოწყენილს ვერასდროს მნახავდა კაცი, სულ ვიცინოდი და სხვებსაც ვაცინებდი. ჩემს ხუმრობას თანაკლასელები ისე იყვნენ მიჩვეულები, რომ არ ეგონათ სერიოზული შეკითხვის დასმაც თუ შეძლო და რაც უნდა მეთქვა, სიცილით იგუდებოდნენ. მუსიკა ბავშვობიდან მიყვარს, მაშინ ვოცნებობდი, ქუთაისში დიდი საკონცერტო დარბაზი ამეშენებინა და იქ საკუთარი გალა-კონცერტი ჩამეტარებინა. მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ ეს ოცნება ოცნებადვე დარჩებოდა, რადგან უსახსრობის გამო თბილისში სწავლასაც კი ვერ მოვახერხებდი. ქუთაისში ვითვისებდი მუსიკას. იმდენად გვიჭირდა, რომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, 15 წლის ასაკში მუშაობა ქუთაისურ ბარში დავიწყე, რა თქმა უნდა, მუსიკოსად. რეპერტუარში ერთი სიმღერა მქონდა — „ჭიპილიას მარში“. დრო გადიოდა... რამდენიმე მეგობარმა თბილისში გადავწყვიტეთ „კარიერის“ გაგრძელება და სულ მალე, ჩვენი სიმღერები თბილისურ რესტორნებშიც აჟღერდა. ბევრს ვშრომობდი, ფულს ვაგროვებდი, რომ კონსერვატორიაში ჩამებარებინა, რვაას დოლარამდე მჭირდებოდა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ამ თანხის შოვნა გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა ჩემთვის: თავიდან ბიჭებთან ერთად ქირით ვცხოვრობდი, შემდეგ დედაც ჩამოვიყვანე ქუთაისიდან და ცალკე ბინა დავიქირავეთ, რამაც ჩემი ყოველთვიური ხარჯები კიდევ უფრო გაზარდა.

დიდ რუსეთში მონატრებული ქუთაისური რცხილა და ახდენილი ოცნება

თბილისსაც შევეჩვიე, ჩემი ხასიათის გამო ყველასთან ადვილად ვპოულობდი საერთო ენას, ადამიანებს მოსწონთ მხიარულ და პოზიტიურ ხალხთან ურთიერთობა. ვმუშაობდი და ისევ ჩემი ოცნების განხორციელებაზე ვფიქრობდი, ერთ რესტორანს მეორე ცვლიდა, დღეებს — თვეები, წლები... ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში წასვლა შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. ჩემი გეგმებიც მაშინვე შეიცვალა, ჯერ ბინა უნდა მეყიდა, სწავლა მოიცდიდა. დედაჩემი ძალიან განიცდიდა, სულ ამბობდა, ჩემს შვილს ბავშვობაც წაართვა ცხოვრებამ და მგონი, აღარც სტუდენტობა ეღირსებაო. მოსკოვში ჩასულს მალე მომენატრა საქართველო, მშობლიური კუთხე. ნოსტალგია ქართველების საერთო სენიაო ამბობენ. ყოველღამ უცნაურ სიზმარს ვხედავდი: ჩემი სახლის წინ ჩემთან ერთად გაზრდილ რცხილას. მოგვიანებით ამ მონატრებაზე სიმღერაც კი დავწერე. მოსკოვში სულიერად ქართული ეკლესია და მოძღვარი დამეხმარა. თანდათან ისევ ჩემი ოპტიმიზმით სავსე ბუნების წყალობით გავუშინაურდი უცხო ქალაქს და დავფუძნდი. მატერიალურადაც მდგომარეობა უკეთესობისაკენ წავიდა და... ბინაც ვიყიდე!

ვეუხვია კუტივაძე, კახა ლელუაშვილი, ალესია დუბროვა, ჯეირან გაგოშიძე და ლევან ძაგნიძე

დაუდევრობამ დეპორტაციას გადამარჩინა

ჩვენსა და რუსებს შორის ურთიერთობა რომ დაიძაბა და ხალხს პანტაპუნტით რომ „ადეპორტებდნენ“, სწორედ მაშინ უნდა გამომეტანა ვიზა და აღარ დამცალდა, საკონსულო რაღაც სამდღიანი ვიზის გაცემას შეგვპირდა, რომლის საშუალებითაც, მოსკოვიდან „დეპორტის“ გარეშე შევძლებდით წამოსვლას, მაგრამ იქ დარჩენის შანსი არ იყო, უნდა წამოვსულიყავით. დეპორტაციას სასწაულებრივად გადავურჩი. ვიზის ასაღებად საკონსულოში მისულმა აღმოვაჩინე, რომ ფოტოსურათი არ მქონდა

თან, ჩემმა დაუდევრობამ გამაბრაზა, მაგრამ სხვა რა გზა იყო, უნდა ჩამერბინა და სადმე ფოტო გადამეღო. გავედი თუ არა, იქაურობა „ომონის“ ბიჭებით აივსო და 30-მდე ქართველი აიყვანეს, მათ შორის ჩემი მეგობრებიც... ძმაკაცმა დამირეკა და მითხრა, იქურობას არ გავკარებოდი. თბილისში ბაქოს გავლით ჩამოვედი, „დეპორტის“ გარეშე, რა თქმა უნდა. ცხადი იყო, რომ მთელი ამ არეულობის დამთავრებამდე თბილისში უნდა მემუშავა. შინ თავაწეული ვბრუნდებოდი, უკვე საკუთარი ბინა მელოდა და მოსკოვიდანაც გაცილებით მეტი გამოცდილება მომყვებოდა, ასე რომ, საამაყო ნამდვილად მქონდა. ქართული რეალობა რომ ვიხილე — ისევ გაჭირვებული ხალხი, ისევ დარდიანი სახეები, — გული დამეწვა და დავფიქრდი — აქ როგორ ვცხოვრობდი-მეთქი? მოსკოვური რიტმიდან თბილისურზე გადართვა, სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა. ჩემს საქმეს მაინც ვაკეთებდი — რესტორანში ვმუშაობდი, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, როგორც კი საშუალება მომეცემოდა, უკან დავბრუნებულიყავი. ეს დღეც დადგა.

მანანა თოდაძესთან ერთად

„სულიკო“

დიდ სცენაზე ნამდვილად არ ვარ, ვმუშაობ მოსკოვში, ქართულ რესტორან „სულიკოში“, რომელსაც ძალიან ბევრი სტუმარი ჰყავს. 5-წევრიანი ანსამბლი ვართ: მე, ჯეირან გაგოშიძე, ვეფხვია კუტივაძე, კახა ლელუაშვილი და ერთი „ნახევრად ქართველი“ (ასე ვეძახით მშვენიერ რუს გოგონას) ალესია დუბროვა. ხშირად გვიწვევენ სამთავრობო ბანკეტებზე, ბატონი ზურაბ წერეთლის გალერეაში და სხვადასხვა პრეზენტაციაზე, ფონოგრამებსაც ვწერ მანანა თოდაძის სტუდიაში; მოსკოვში ჩვენ მიერ შესრულებული სიმღერები მოსწონთ. ალესია დუბროვასაც ვასწავლით ქართულ წერა-კითხვას და სიმღერასაც. ერთხელ „ჩემი გმირი გიწოდე“ რომ იმღერა (სხვათა შორის, უაქცენტოდ მღერის ქართულად), ერთი მამაკაცი წამოდგა მაგიდიდან, ალესიასთან მივიდა და ნახევარი საათი სიყვარულს უხსნიდა; რომ აღარ მოეშვა მივედით და ვუთხარით, — ძმაო ტყუილად ნუ ირჯები, ეგ გოგო რუსია და არ ესმის რას ეუბნები-თქო. გაგიჟდა კაცი, ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ალესიამ, რომელიც 5 წუთის წინ ასე „ქართულად“ მღეროდა „ჩემი გმირი გიწოდეს“, ქართულად ლაპარაკი არ იცოდა და საერთოდაც არ ესმოდა ენა... ცნობილი ადამიანები „სულიკოს“ ხშირი სტუმრები არიან: მაგალითად, ჩვენს რესტორანში ყოფილან: ვალერი მელაძე, დათო ხუჭაძე, ლელა წურწუმია, ანსამბლი „ფორტე“, ხელოვნებიც, პოლიტიკოსებიც...

უსიყვარულოდ არც მოსკოვი ვარგა

წარმატებების ფონზე ერთი რამ აკლდა ჩემს გულს და მივხვდი, რომ ეს სიყვარული იყო. ვაპირებ ოჯახის შექმნას, ჯერჯერობით მე და ჩემს მომავალ მეუღლეს რუსეთ-საქართველოს საზღვარი გვაშორებს. საერთოდ, საქართველოში ვაპირებ ცხოვრებას, მაგრამ ჯერ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, და დადგება იმის დროც, რომ თბილისისკენ გამოვეშურები, ჩემი საყვარელი ადამიანებისკენ და წამოვალ აუცილებლად, ისევ „ჭიპილიას მარშის“ ღიღინით. ■

ვეფხვია, კახა, ლევანი და ჯეირანი

მარეხ ჭონიშვილი

„აზიატი“ არ ვარ, მაგრამ არ მომწონს, როცა გოგოს ზამთარში მოკლე კაბა აცვია და გამომწვევად გამოიყურება. ჩემს ცოლს ასე ჩაცმას ავუკრძალავ“, — მითხრა „ქლაბ-შოუს“ ერთ-ერთმა აქტიურმა სახემ, ამჟამად ჯენტლმენმა. როცა მას დავურეკე და ჩვენს რუბრიკაში მონაწილეობა შევთავაზე, მკითხა: როგორ სასიძოს ეძებთ, დიპლომიანს თუ უდიპლომოსო?..

— გამიმართლა, ამ რუბრიკაში ახლა რომ მომიწვიეთ — დიპლომი უკვე ავიღე და შესაბამისად, დიპლომიანი სასიძო გახლავართ (*იცინის*).

— რომელი სასწავლებელი დაამთავრე?

— ბათუმის საზღვაო აკადემია.

— შენი პროფესიით აპირებ მუშაობას?

— იმ საქმით, რომელსაც ახლა ვემსახურები, უკმაყოფილო არ ვარ. თუ ისე მოხდა, რომ სამსახური დავკარგე (დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება), მაშინ, შეიძლება, ჩემი პროფესიით ვიმუშაო.

— საზღვაო აკადემიაში ჩაბარება რამ გადაგაწყვეტინა?

— პერსპექტიული და შემოსავლიანი საქმეა. თუ მოინდომებ, კაპიტნობას მიაღწევ, კაპიტნის ხელფასით კი უპრობლემოდ იცხოვრებ. გარდა ამისა, მამამაც მთხოვა, საზღვაო აკადემიაში მესწავლა.

— ამიკო, შენი ოჯახი გაგვაცანი.

— დიდი ოჯახი მაქვს. მისი წევრები არიან: დედა, მამა, ბებია, ძმა, 3 წლის და და მე. დედა საზღვაო აკადემიის კანცელარიაში მუშაობს, მამა კი ფიზიკოსია და ამჟამად, საზღვაო აკადემიაში ლექციებს კითხულობს. ბებიაჩემის პროფესია კი „ბებიობაა“ (*იცინის*)!

— რამდენი წლის ხარ?

— 21-ის.

— როგორ ფიქრობ, რა არის შენი დადებითი თვისება?

— მიმაჩნია, რომ ბევრი მეგობარი მყავს. ასე რომ, მიჭირს თუ მილხინს, გვერდით ყოველთვის მყავს ადამიანი, ვისაც შემიძლია, ჩემი ამბავი გავუზიარო. მეუბნებიან, რომ უმცროს-უფროსობა არასდროს მეშლება. ასაკით უფროს ადამიანს ყოველთვის ზრდილობიანად ვესაუბრები.

— ამიკო, დამოუკიდებლად ცხოვრება შეგიძლია?

— თავიდან თბილისში რომ ჩამოვედი, მარტო ვცხოვრობდი და საკუთარ თავს შესანიშნავად ვუვლიდი. სარეცხი მანქანა არ მქონდა და ტანსაცმელს ხელით ვრეცხავდი. სხვათა შორის, შესანიშნავად ვაუთოებ. ახლა საცხოვრებლად ნათესავებთან გადავედი.

— როცა მარტო ცხოვრობდი, ალბათ, კერძებსაც თავად ამზადებ-

დიპლომიან სასიძოს ეშხიანი გოგონები მოსწონს

„ჩემს ქორწილში ყველა ჩემი საყვარელი ადამიანი იქნება“...

დი, არა?

— კი და მერწმუნე, ძალიან გემრიელი კერძების მომზადება ვიცი. მიყვარს შემწვარი კარტოფილი და მას არაჩვეულებრივად ვწვავ. წვნიანი კერძების გაკეთებაც შემიძლია.

— რა მავნე ჩვევები გაქვს?

— ვეწევი სიგარეტს და როგორც ყველა ქართველ კაცს, მიყვარს ალკოჰოლური სასმელი, მაგრამ ბევრს არ ვსვამ. ისე, თვეზე მეტია, ლუდიც კი არ დამილევია. ასევე, ჩემს მავნე ჩვევად სხვებს ის მიაჩნიათ, რომ მეგობარი გოგონასაგან ყოველთვის ყურადღებას ვითხოვ. ვეუბნები, — ხშირად დამირეკოს და მითხრას, სად არის, ვისთან ერთად და რას აკეთებს...

— როგორი გოგონები მოგწონს?

— შეიძლება, ცოტა ბანალურია, მაგრამ გარეგნობას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, ჩემი ესმოდეს და ჩემი მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

— დავიჯერო, შენთვის გოგონას გარეგნობას მნიშვნელობა მართლა არ აქვს?

— ახლა, მთლად მახინჯი არ უნდა იყოს. მასზე არავინ უნდა თქვას, — ამიკოს ეს ვინ მოუყვანიაო! ეშხიანი გოგონები მომწონს.

— აქტიური გოგონები არ გხიბლავს?

— გოგო არც ზედმეტად პასიური უნდა იყოს და არც — აქტიური. შეიძლება, გოგო მომეწონოს, მაგრამ თუ შევამჩნიე, რომ აქტიურობს, მის „შესაბმელად“ „ჩალიჩის“ დაწყება აღარ მომინდება.

— შენმა მეუღლემ საოჯახო საქმეების კეთება უნდა იცოდეს?

— რა თქმა უნდა. მან ის საშინელი ტვირთი უნდა მომაშოროს, რასაც სარეცხის რეცხვა, სახლის დალაგება და ჭურჭლის დარეცხვა ჰქვია. ძალიან მესიამოვნება, თუ ჩემი მეუღლე დილით საჭმელს და სუფთა ტანსაცმელს მომართმევს და სამსახურში ღიმილით გამიშვებს.

— ისეთი გოგო რომ შეგიყვარდეს, რომელსაც საოჯახო საქმეები არ ეხერხება, რას იზამ?

— ვასწავლი, რა პრობლემაა! მთავარია, ზარმაცი არ იყოს და სწავლის სურვილი ჰქონდეს.

— მეუღლეს ჩაცმულობას თუ გაუკონტროლებ?

— „აზიატი“ არ ვარ და ცოლს არაფერს ავუკრძალავ, მაგრამ საშინლად არ მომწონს, გოგოს ზამთარში მოკლე კაბა რომ აცვია და გამომწვევად გამოიყურება. ჩემმა ცოლმა ასე ჩაცმა თუ დააპირა, აუცილებლად ავუკრძალავ. აი, ზაფხულში კი პრობლემა არაა, რაც უნდა, ის ჩაიცვას.

— ქართულ ტრადიციებზე რას იტყვი?

— ქართული ტრადიციები მომწონს. განსაკუთრებით, ქართული სუფრის ტრადიცია: ის, რომ სუფრას ჰყავს თამადა, მოადგილე, მერიქიფე და ის, რომ ყველაფერი წესის მიხედვით მიდის.

— შენ თუ გითამადია?

— დაბადების დღეებზე მითამადია, ქორწილებში კი ჯერ ვერ „ვქაჩავ“ (*იცინის*). „ქლაბ-შოუში“ პირველად რომ მოვედი, ბიჭებმა სუფრა გაშალეს და თამადად ვართე აირჩიეს, მე კი მისი მოადგილე გახლდით.

— მერე?

— მითხრეს, — დაკისრებულ მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვიო.

— ამბობ, რომ ქართული ტრადიციები მოგწონს. წესით, საცოლის ხელი შეყვარებულის მშობლებს უნდა სთხოვო...

— კონკრეტულ შემთხვევაში როგორ მოვიქცევი, არ ვიცი... ისე, ძალიან მინდა, შეყვარებული მოულოდნელად მოვიყვანო ცოლად ანუ გავიპაროთ, ამ დროს ჩვენ გვერდით მხოლოდ მისი და ჩემი მეგობრები იყვნენ, მშობლებს კი ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ მოგვიანებით შევატყობინოთ. ასე დაოჯახებას თავისებური მუღამი აქვს...

— როგორი ქორწილი გინდა, რომ გქონდეს?

— მინდა, რომ ჩემს ქორწილში ყველა ჩემი საყვარელი ადამიანი იყოს და რადგან ასეთები ძალიან ბევრნი არიან, ალბათ, დიდი ქორწილის გადახდა მომიწევს.

— როგორ ფიქრობ, დაქორწინების შემდეგ წყვილმა ცალკე უნდა იცხოვროს?

— კარგია, როცა ახალდაქორწინებული წყვილი ცხოვრებას დამოუკიდებლად იწყებს. ცოლს რომ მოვიყვან, შევეცდები, ცალკე ვიცხოვროთ.

— განათხოვარ გოგოს თუ შეირთავ?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. არავინ იცის, ცხოვრებაში რა შეემთხვევა. ვეცდები, განათხოვარი გოგო არ შემიყვარდეს და ცოლად ისეთი მოვიყვანო, როგორიც მე მეკადრება.

— საკურორტო რომანი თუ გქონია?

— კი, მქონია, მაგრამ ამას უფრო ფლირტს დავარქმევ, რომელიც დასვენების პერიოდში იწყება და იქვე მთავრდება. თუმცა, გამონაკლისებიც ხდება. მაგალითად, შარშან, ბათუმში, მე და ჩემმა მეგობარმა ოთხი გოგო გავიცანით და მათთან დღემდე ვმეგობრობთ. ამ გოგონებიდან ერთ-ერთი ჩემი ძმაკაცის მეუღლე გახდა, ახლა ბავშვს ელოდებიან და ნათლია მე უნდა ვიყო.

— ჰობი თუ გაქვს?

— ჩემი ჰობი ცეკვაა. ბავშვობიდან ვცეკვავ, ამის გარეშე არ შემიძლია. ღამის კლუბებშიც იმიტომ დავდივარ, რომ ვიცეკვო. ზოგმა თუ არ დალია, ისე ვერ იცეკვებს, მე კი ამისთვის ალკოჰოლის მიღება არ მჭირდება.

— შენთვის გოგოს გარიგება თუ უცდიათ?

— კი, ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა უთქვამთ: კარგი ბიჭი ხარ და ერთი კარგი გოგო უნდა გაგაცნოთო, მაგრამ ასეთი რაღაცების წინააღმდეგი ვარ. მაქვს საკუთარი გემოვნება და სხვისი ჩარევის გარეშეც ავარჩევ ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით იქნება.

P.S. ჩემი აზრით, ამიკო მშვენიერი, თანაც — დიპლომიანი „სასიძოა“. მაშ ასე, გოგონებო, იაქტიურეთ! გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(55). 45.48.50. გპირდებით, ამიკო ერთ-ერთ თქვენგანს აუცილებლად შეხვდება.

■



დაბადების დღეებზე მითამადია, ქორწილებში კი ჯერ ვერ „ვქაჩავ“

ღვთის დიდებითა და ცათა სარგებელად განვლო წუთისოფელი

„კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხონებაი და მეცნიერებასა ჭეშმარიტებასა მოსვლაი, რომელი — იგი გამოუთქმელითა მით განგებულებითა თავისთა უმჯობესთა ყოველთასა განაწესებს და მიუწვდომელითა სახიერებითა თვისითა თვითოეულთა უამთა შინა ღირსთა და სათნოთა თვისთა გამოაჩინებს სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებლად ღმრთეებისა თვისისა“, — ამ სიტყვებით იწყებს წმინდა გიორგი მთაწმინდელი ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი მამების — იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრების აღწერას. მართლაც რომ ღვთის დიდებით და კაცთა სარგებელად განვლეს წუთისოფელი ღირსმა მამებმა. 25 ივლისს ერთ-ერთი მათგანის — წმინდა იოანეს ხსენების დღეა. ეს არის დღე, როდესაც ღირსმა მამამ მიწიერი ცხოვრება დატოვა და ზეციური გვირგვინით შემოსილი, უფლის წმინდანთა დასს შეუერთდა. ჩვენ კი, დედამიწაზე მყოფ მოკვდავთ, მფარველად და ღვთის წინაშე მეოხად გვექცა...

შორენა მერკვილაძე

მამა იოანე, ერისკაცობაში — ვარაზვაჩე ჩორდანელი X საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. ტაოელ დიდებულთა შთამომავალი საქართველოს მეფის, დავით კურაპალატის კარზე მიღებული და წარჩინებული მთავარი გახლდათ. სიბრძნით, გონიერებით, სისპეტაკითა და კიდევ მრავალი სიკეთით იყო შემკული. მამაცი და მხნე მებრძოლი. გული ღვთისმოშიშებითა და სიყვარულით ჰქონდა აღსავსე. უფლის სიყვარულმა სძლია — ვარაზვაჩემ ყოველივე დაუტევა, რაც კი საერისკაცო ცხოვრებასთან აკავშირებდა: ოჯახი, სიმდიდრე, მიწიერი პატივი და დიდება და ყველასგან მალულად განეშორა „სამყოფელსა თვისსა“. დიდებულთა ოთხთა ეკლესიათა ლავრას მიადგა ღვთის მორჩილი და მოყვარული მონა. ლავრაში მოღვაწე მამებს — მოსეს და გელასის გაუმხილა ვინაობა და სურვილი ბერად შედგომისა. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა იოანე: „და ჟამ რაოდენმე ღვაწლითა ძლიერითა მორჩილებასა მისცა თავი თვისი და ყოველნი იგი მუნ მყოფნი მოღვაწენი განაკვირვნა“.

მალე მამა იოანემ საქართველოდან წასვლა განიზრახა. მცირე აზიის დასავლეთ კიდურზე, ულუმბოს მთაზე მდებარე მონასტერს მიადგა, სადაც ერთხანს, ჯორთა და კარაულთა მომვლელ მეჯინიბედ მსახურობდა.

იმხანად ბიზანტიის კესარმა რომანოს მეორემ მეფე დავით კურაპალატს „უბოძა ზემონი ქუეყანანი“, სანაცვლოდ კი საქართველოდან მძევლად წაიყვანა წარჩინებულ ოჯახთა ძენი. მათ შორის იყო მამა იოანეს 5 წლის ვაჟი ექვთიმეც. ღირსმა მამამ ორი წლის შემდეგ შეიტყო შვილის ამბავი და კონსტანტინოპოლში გაემართა. დიდი პატივით მიიღეს კეისრის სასახლის კარზე მამა იოანე, რადგან კარგად უწყოდნენ სახელი და მადლმოსილება მისი. იმპერატორმა თხოვნა შეუსრულა და შვილი უკანვე დაუბრუნა. იოანემ ყრმა ექვთიმესთან ერთად, კვლავ ულუმბოს მთას მიაშურა.

მამა იოანე ყოველთვის გაურბოდა კაცთაგან განდიდებასა და პატივს. ერჩივნა, უფლის წინაშე ჩუმად და ფარულად ეღვაწა, არადა, ძალზე განითქვა სახელი, ღვთივშემოსილ მამას უდიდეს პატივს მიაგებდნენ. ამიტომაც განერიდა ულუმბოს და „კვალად უცხოებასვე მიჰმარა“ — ძე თვისა და რამდენიმე მოწაფე იახლა და ათონის წმინდა მთისკენ გაემართა.

იქ მისული იოანე, ათანასე დიდს ეახლა, რომელიც მის მიერვე დაარსებულ დიდ ლავრაში მოღვაწეობდა. მასთან ერთად დაემკვიდრა: „და აქვნდა თავი თვისი ფარულად და ყოველთავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით და უდრტვინველად იქმოდა“.

აქ, საქართველოში ღვთის გზაზე შედგომის სურვილმა საერო ცხოვრება დაატოვებინა მამა იოანეს უფროს ძმას — თორნიკე ერისთავს, „მონაზონ იქმნა“ და რაკი მამა იოანე ულუმბოს მთაზე ეგულებოდა, ისიც იქით გაეშურა. მაგრამ მამა იოანე იქ აღარ დახვდა. თორნიკემ მისი ახალი სამყოფლის შესახებ შეიტყო და თვითონაც ათონის მთას მიადგა. სიხარულით მიეგებნენ ძმები ერთურთს.

თორნიკესაც იოანე უწოდეს. ამიერიდან, ორი იოანე განადიდებდა მთაწმინდიდან ღმერთს — იოანე-ვარაზვაჩე და იოანე-თორნიკე...

უფალმა ინება და წმინდა მთიდანაც განადიდა მთაწმინდაზე მოღვაწე ძმების სახელი. მრავალმა ქართველმა მიაშურა ათონს. მთაწმინდაზე ქართველთა მომრავლებამ ძმებს ახალი სავანის დაარსება გადააწყვეტინა. განიზრახეს და აღაშენეს კიდეც, ათანასე დიდის ლავრისგან მოშორებით — „უდაბნოსა შუენიერსა“ ეკლესია წმინდა იოანე მახარებლის სახელობისა. სენაკებიც ააგეს და მათთან მოღვაწეობის მსურველ ქართველ ბერებთან ერთად, ახალდაარსებულ სავანეში დამკვიდრდნენ...

გამოხდა ჟამი. „იქმნა განდგომილებაი სკლიაროსისაი“ — აზიურ პროვინციათა მმართველი — ბარდა სკლიაროსი ბიზანტიის საიმპერატორო კარს აუჯანყდა. მას სრულიად დაეპყრო და შეეკრა გზები. ბიზანტიის იმპერიის მმართველობა იმხანად, გარდაცვლილი იმპერატორის, რომანოს მეორის თანამეცხედრეს — დედოფალ თეოფანეს უხდებოდა, რადგან ტახტზე მისი მცირეწლოვანი ვაჟები — ბასილი და კონსტანტინე ისხდნენ. სკლიაროსის თავდასხმის მოლოდინში ძრწოდა საიმპერატორო სასახლე. დედოფალმა და მისმა ერთგულმა პირებმა საქართველოსკენ მიაპყრეს მზერა: ჩვენი შემწე, დავით კურაპალატის გარდა არავინაა, მხოლოდ ქართულ ხმალს შეუძლია ჩვენი დახსნა, — ითქვა საიმპერატორო სასახლეში. მაგრამ ქართველთა მეფის წინაშე გასაგზავნად ისეთი კაცი იყო საჭირო, რომელიც აჯანყებული ბარდა სკლიაროსის შეკრულ გზებზე გააღწევდა. ასეთი კაცი, მთაწმინდაზე მოღვაწე იოანე-თორნიკეყოფილი აღმოჩნდა. ადვილი არ იყო მამა იოანეს დაყოლიება: მან ხომ მონაზვნის სამოსი შეიმოსა და სამუდამოდ სურდა საერო საქმეებისგან ჩამოშორება. საგონებელში ჩავარდნენ მამა იაონე-ვარაზვაჩეყოფილი და ათა-

ნასე დიდიც, მაგრამ ბოლოს კონსტანტინოპოლის სასახლეში წასვლა სთხოვეს. სთხოვეს და დაიყოლიეს კიდეც მრავალბრძოლაგამოვლილი, ერთ დროს გამოცდილი სარდალი...

დედოფალ თეოფანესაც დიდი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა მამა იოანეს წინაშე: ავედრებდა დაობლებულ შვილებს, „სიკვდილზე უმძიმესია ჩემთვის კვლავ საერო საქმისადმი ჩემი მიქცევა, მაგრამ არ ვიცი, რაი ვყო. ალბათ თქვენს წმინდა მეფობას უარს ვერ შევბედავ“, — უთხრა ბოლოს და საქართველოში წასასვლელად მოემზადა...

თორმეტი ათას რჩეულ მებრძოლს უხმო მეფე დავით კურაპალატმა, თორნიკეყოფილს კი კვლავ „თორნიკობა“ დაევალა. ჰალისის პირას შეებრძოლნენ ბარდა სკლიაროსს ქართველები. უფალმა მოხედა ქართველებსა და ბიზანტიის ყრმა კეისრებს — სძლიეს და უკუაქციეს სკლიაროსი...

ბრძოლის ველზე მოპოვებული ნადავლი: „ოქროი, ვერცხლი, სტავრაი და სხვაი ესრევითარი“ ორ ნაწილად გაყო იოანე-თორნიკემ, ნაწილი „ლაშქართა განუყო“, ნაწილი კი ათონის მთაზე წასაღებად გაამზადა. შემდეგ, ქართველთა მეფეს ეახლა, სიყვარულით გამოეთხოვა კურაპალატს და „კვლავ მთაწმინდასვე მოიქცა“: თან, წმინდა მთაზე მოღვაწეობის მსურველი ბერმონაზონნი და მონაზვნობის მსურველნი წაიყვანა.

კიდევ გაიზარდა ქართველ მოღვაწეთა რიცხვი მთაწმინდაზე. რაკი ახალი სავანის დასაარსებლად, „საფასეც“ ჰქონდათ, ახალი ქართული ლავრის დაარსება განიზრახეს მამა იოანე-თორნიკემ, მამა იოანე-ვარაზვაჩემ და ათონის მთაზე მოღვაწე სხვა ქართველმა ბერებმა... მართლაც, აიგო ქართველთა მიერ დიდი ლავრა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობისა — „ივერი“, „ივერიონი“ ანუ — „ქართველთა“..

რამდენიმე წელი კიდევ ერთად განადიდებდნენ ღმერთს ფიცხელი მოღვაწეობით ათონის მთიდან ქართველი ძმები — მამა იოანე-თორნიკე და მამა იოანე-ვარაზვაჩე. როგორც მამა გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს: „არცა თუ შესაძლებელ არს ქველის საქმეთა მათთა თითოეულად წარმოთქმაი“... და დადგა ჟამი მამა იოანე-თორნიკეს ამა სოფლიდან გასვლისა: „ღმერთმან შეუნდვნა ცოდვანი მისნი და საუკუნესა ცხორებასა ღირს ყო“, — წარმოთქვა მამა იოანე მთაწმინდელმა, ხორციელი და სულიერი ძმის მიმართ...

იოანე-თორნიკეს მიცვალებამდეც ჰქონდა თურმე მამა იოანეს უცხო ქვეყანაში სამოღვაწეოდ წასვლის განზრახვა, მაგრამ ძმის გამო არ გაუმხელია, მისი გარდაცვალების შემდეგ კი გაამჟღავნა. თავის ძესა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად, „სპანიად“ — ე.ი. ესპანეთში, იქ დასახლებულ ქართველებთან წასვლა ჰქონდა განზრახული...

ავიდოსს მიადგნენ ათონიდან წასული ქართველნი, რათა იქიდან გაჰყოლოდნენ ესპანეთისკენ მიმავალ ხომალდს, მაგრამ რაკი დანამდვილებით არა უწყოდნენ, მამა იოანე, ავიდოსის მმართველთან მივიდა, რომელიც მისი ძველი ნაცნობი და ახლობელი გახლდათ. მასპინძელი სიხარულით მიეგება ღირს მამას, მაგრამ როდესაც მისი განზრახვა შეიტყო, იწყინა. მის გადარწმუნებას ცდილობდა, მაგრამ რაკი მამა იოანე თავისას არ იშლიდა, მტკიცედ უთხრა: არასგზით არ შემიძლია შენი გაშვება: შენ, წმინდა მამაო კარგად უწყი, როგორი პატივისცემა და სიყვარული აქვთ ჩვენს კეისრებს შენი, ამიტომ თვითონ განსაჯე, რა სასჯელს დამატეხენ თავზე, თუკი მათ დაუკითხავად გაგიშვებ ჩვენი ქვეყნიდან; მეფეებს შენი განზრახვის შესახებ შევატყობინებ და რასაც მიბრძანებენ, იმას ავასრულებო...

კეისრებმა კონსტანტინოპოლში დაიბარეს მამა იოანე და მისი მხლებლები. იმპერატორის სასახლეში დიდი პატივით მიიღეს, შემდეგ კრძალვით შეჰკადრეს: „წმინდანო მამანო, ჩვენ დიდი სიყვარული გვაქვს თქვენი სიწმინდისა და სისპეტაკისა, რაი არს ესე, რომ ჩვენგან ილტვით და უცხოსა ქვეყანასა წახვალთ?“ პასუხად ეს მიუგო მამა იოანემ: მე ცოდვებით დამძიმებული ერისკაცი ვიყავი. ყოველთვის უცხო მხარეში წასვლის განზრახვა მედო გულში, სადაც ნაცნობთ ვერც წავაწყდებოდი და სამუდამოდ ყველასგან ხორციელად დაკარგული სულის ცხონებაზე ვიზრუნებდი. მაგრამ ჩემთან მოულოდნელად მოვიდა თორნიკე და ამის გაკეთება ვერ მოვახერხე, რადგან მისი მიტოვება არ შემეძლო; ახლა მაინც, როდესაც თორნიკე ამქვეყნად აღარ არის, მსურს, ყველასგან გავთავისუფლდე, შორს წავიდე და მხოლოდ სულზე ვიზრუნოო.



იოანე-თორნიკე

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაიყოლიეს კეისრებმა მამა იოანე, ხელი აეღო განზრახვაზე და კვლავ საბერძნეთში დარჩენილიყო. ერთხანს კონსტანტინოპოლს ისტუმრეს სასურველი და საპატიო სტუმარი, შემდეგ კი კვლავ მთაწმინდას მიაშურა, თან კეისართაგან დიდძალი საბოძვარი მიჰქონდა...

მცირე ხნის შემდეგ სნეულებამ მიაჯაჭვა სარეცელს ღირსი მამა: „ნეკრისისა სენითა მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა. და მარადის ჰმადლობდა ღმერთსა და ესრეთ მხიარული იყო სენსა მას ზედა სასტიკსა, ვითარცა საფასესა ზედა დიდძალსა და ვითარცა პატივსა და ნიჭსა სამეუფოსა“. მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ მწყემსმთავრობა, სამონასტრო ცხოვრების წინამძღვრობა აღარ შეეძლო. ივერიონის მონასტერზე მზრუნველობა თავის ძეს — ექვთიმეს დაავალა. უარობდა ექვთიმე, ბოლოს თავმდაბლად და მორჩილად მიიღო ხორციელი და სულიერი მამის ნება, მაგრამ მამის დაუკითხავად „არარას იქმოდა“.

კიდევ ერთხელ იხმო სიკვდილის მოახლოების ჟამს მამა იოანემ მონაზონი შვილი და ათონის ქართულ სავანეთა წინამძღვრობა გადაულოცა. დალოცა, დამოძღვრა და უხმო, ათონზე მოღვაწე ძმათა კრებულს. უკანასკნელად აკურთხა და შეაგონა ისინი და მიესვენა „ხელთა ძისა თვისისა“. ნეტარი მამის წმინდა და მართალი ცხოვრებით განწმენდილი ნეშტი იმ ლუსკუმში დაკრძალეს, სადაც მისი სულიერი და ხორციელი ძმა — იოანე-თორნიკე განისვენებდა. წმინდა მამათა მიწიერ სამყოფელზე ექვთიმე მთაწმინდელმა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი ააშენა: „და რომელნიცა სარწმუნოებით მოუხდებიან მათ სამარხს, მადლისა და ლხინებისა ღირს იქმნებიან. რამეთუ ეშმაკეული მოუხდა მას ოდესმე და სვა კანდლისა მისგან, რომელი ეკიდა საფლავსა ზედა მისსა, და მეყსეულად განიკურნა და ადიდებდა ღმერთს“...

■



გაბრიელი

უმდიდრესი ემიგრანტები

შაჰის შეგობარი აკაკი ხოშტარიას ოქროს ცოშრები, „მაღლიერი“ ბოლშევიკები და მწირლებისთვის ნაბოძები სასახლე

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ამერიკასა და ჩრდილოეთ ჩინეთში, მანჯურიაში მცხოვრებ უმდიდრეს ქართველ ემიგრანტებზე — გრიგოლ კობახიძეზე (ჯორჯ კობი), გიორგი მაჩაბელზე, დიმიტრი მეტრეველზე, ვასილ დუმბაძეზე, ალექსი მდივანზე, ავთანდილ მერაბაშვილზე, ოთარ ხალდასტანიშვილზე, ივლიანე ხაინდრავაზე, თამარ გომართელსა და ილიკო მხეიძეზე. ამჯერად, „ირანელ“ მდიდარ ქართველებზე მოგითხრობთ.

წერილი მეათე.
წინამორბედი წერილები იხ. „გზა“ №16-29

რუსუდან დაუშვილი

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბევრმა ქართველმა თავი სპარსეთს (ირანი 1935 წლამდე სპარსეთად მოიხსენიებოდა) შეაფარა. მათ შორის იყვნენ 1908 წლის სპარსეთის რევოლუციის მონაწილეები, რომლებიც ამ ქვეყანას კარგად იცნობდნენ. სპარსეთის რევოლუციაში ქართველთა მონაწილეობაზე დაწვრილებით მოგვითხრობს ემიგრანტი ვლასა მგელაძე მოგონებათა წიგნში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების თხოვნით, სახელოვანმა სარდალმა გიორგი მაზნიაშვილმა ბათუმიდან თურქები გარეკა და აჭარა საქართველოს შეუნარჩუნა, 1923 წელს ის სპარსეთში 5 წლით მაინც გააძევეს. ასეთი რამ სხვა მეომრებსაც შეეხოთ. პარიზში გამოცემულ წიგნში — „ლტოლვილთა საძვალენი“ — სპარსეთში გარდაცვლილთა საკმაოდ ვრცელი სიაა შეტანილი.

თეირანის ქართულ კოლონიას 30-იან წლებში ექიმი ჯღარკავა თავმჯდომარეობდა, მდივანი — ნიკოლაიშვილი იყო, ხაზინადარი — სხირტლაძე. არსებობდა ეროვნული კომიტეტიც. მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პარიზულ ლეგაციასთან, სპარსეთში მცხოვრები ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ საქველმოქმედო შეწირულობების შეგროვებაში. მათ შესახებ ქართული ემიგრანტული პრესა ინფორმაციას ხშირად ბეჭდავდა. რეფორმატორ რეზა-შაჰს სპეციალისტები აკლდა, ამიტომ მათ საბჭოთა რუსეთიდან იწვევდა. საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ, როდესაც რუსეთმა სპარსეთს ვალები ჩამოაწერა, რკინიგზები, ხიდები, გზები უსასყიდლოდ გადასცა, სპარსეთი იძულებული გახდა, მისი მოთხოვნებისთვის ანგარიში გაეწია: ახალგადმოსულები უკან დაებრუნებინა, ლტოლვილები კი საბჭოთა საზღვრიდან ქვეყნის სიღრმეში გადაესახლებინა, რათა ისინი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ შეჭრილიყვნენ. მიუხედავად ამისა, სპარსელთა სიმპათიები ლტოლვილთა მხარეს იყო — ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილ ტახტის მემკვიდრეს შაჰმა ქართველი ჩაგუნავა გააყოლა, რომელიც 8 წელი ემსახურებოდა მას და წვრთნიდა სპორტის სახეობებში. პოლკოვნიკი მიქელაძე თავრიზიდან გამოიძახეს და თეირანში მეფის პირადი ცხენოსანი ათასეული ჩააბარეს.

საქართველოდან სპარსეთისაკენ მიმავალი გზა ლტოლვილებს დაეხშოთ. როგორც სპარსეთიდან პარიზში წერდნენ, — თუ მათ სხვა რომელიმე სახელმწიფოსგან ვიზა არ ექნათ, უკან დააბრუნებენო. მიუხედავად ამისა, ახალ ნაკადს საზღვარი შემდეგაც გადაულახავს, მათ შორის, გემით ჩასულა 24 კაცი, მაგრამ სპარსეთის ხელისუფლებას უკან გაუბრუნებია. ამიტომ პარიზში მყოფმა, საქართველოს მთავრობამ სპარსეთის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, ლტოლვილები საბჭოთა მხარისათვის არ გადაეცა.

სპარსეთის ეკონომიკაში დიდი როლი შეასრულა აკაკი ხოშტარიას „რუსეთ-სპარსეთის სანავთობე ამხანაგობამ“ („რუპენტო“) და ბანკმა, მისმა წარმომადგენლებმა — ნიკო ელიავამ, მელიტონ რუსიამ, გიგუშა ერისთავმა, ამბაკო ჭელიძემ და სხვებმა. სხვათა შორის, 1925, 1926 და 1927 წლებში სპარსეთში ჩატარებულ სილამაზის კონკურსში „დედოფლები“ გახდნენ: გიგუშა ერისთავის მეუღლე — მერი შერვაშიძე, ივანე სვანიშვილის მეუღლე — ოლია და ამბაკო ჭელიძის მეუღლე — სარა. სარასთვის შაჰს ცხენების მთელი რემა უჩუქებია. ასევე გამორჩეული ფიგურა გახლდათ სპარსეთში პირველი რკინიგზის მშენებელი, მხატვარ ავთანდილ ვარაზის ბიძა — ივანე ვარაზაშვილი.

აკაკი ხოშტარია ემიგრაციამდე, საქართველოში უმდიდრეს კაცად მიიჩნეოდა — დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილებისა და მიტროფანე ლაღიძის მსგავსად, თუმცა ქართველი საზოგადოება მას ყველაზე ნაკლებად იცნობდა, მით უმეტეს, თანამედროვე, რადგან ემიგრაციაში წავიდა და მისი სახელი დიდი ხნის განმავლობაში ტაბუირებული გახლდათ; საბჭოთა პერიოდში, ძალზე მოკრძალებულად, მხოლოდ ერთხელ — 1926 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილ, სპარსული პოეზიის მთარგმნელის, ამბაკო ჭელიძის მოგონებებში იყო ნახსენები. ამ ბოლო წლებში მასზე რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა, მათ შორის საყურადღებოა ლალი მიქელაძის, ლიანა ნაკაიძის, ნონა კუპრეიშვილისა და ფარნაოზ წულაიას ნაშრომები.

აკაკი ხოშტარია დაიბადა 1873 წელს, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში, ტახტის აზნაურ — მეთოდე ხოშტარიას ოჯახში, რომელსაც სამეგრელოს საეკლესიო მიწების გამგებლობისა და ავტორიტეტის გამო, „დიდ მეთოდეს“ უწოდებდნენ. ადგილობრივ ეკლესიას ხოშტარიების გვარის წარ-

ოლია სვანიშვილი

აკაკი ხოშტარია, სპარსეთში მცხოვრებ ქართველებთან ერთად

მომადგენელი, მრავალი მოძღვარი ემსახურებოდა, მათვე ევალებოდათ XI საუკუნეში მოჭედილი ხატის, შემდგომში განთქმული — სუჯუნის წმინდა გიორგის ხატის დაცვა.

აკაკიმ სხვა გზა აირჩია: დაამთავრა ოდესის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი და გაგრაში პრინც ოლდენბურგის მებაღე-დეკორატორად და სუპერინტენდანტად იმუშავა. 1905 წელს დაქორწინდა ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველის, ცნობილი კომერსანტის — ეგნატე თურქიას ქალიშვილზე, მინადორაზე და კომერციულ საქმიანობას მიჰყო ხელი. მსოფლიო ომამდე აზერბაიჯანში ნავთობსარეწები შეიძინა, ბაქოში ბანკი დააარსა და რამდენიმე ფაბრიკა აამუშავა. იქ მაშინ მოზრდილი და მდიდარი ქართული სათვისტომო არსებობდა, რომლის მჭიდროფარე კულტურული ცხოვრების შესახებ ძალზე სახიერად მოგვითხრობენ: მსახიობი თამარ წულუკიძე თავის მოგონებათა წიგნში — „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“ და ქართველი ემიგრანტი მერაბ კვიტაშვილი წიგნში — „ფიქრები საქართველოზე“. აქვე ვიტყვით, რომ ბატონი მერაბის მამა — სიმონ კვიტაშვილი „რუპენტოს“ 5 დირექტორიდან ერთ-ერთი გახლდათ.

სხვათა შორის, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მამაჩემის ბაბუა — ვანო დაუშვილიც აჰყოლია ნავთობსარეწების ბუმს და ბაქოში რესტორანი გაუხსნია. ბებიაჩემი იხსენებდა: „როცა ჩემი მამამთილი რაჭაში ჩამოდიოდა და ფული ჩამოჰქონდა, დედამთილი ტანსაცმლის მოწესრიგებისას საყვედურობდა — ჯიბეში ქაღალდის ფული ჩაიდე, ოქროს ფული ჯიბეს გიხევსო. როცა 1920 წელს ბოლშევიკებმა ბაქო დაიკავეს, ვანოს ურმებზე ტომრებით ოქრო დაუტვირთავს და ზედ ძველმანები დაუყრია, მაგრამ საზღვარზე გაჩხრიკეს და მთელი ოქრო წაართვეს, სახლში მარტო ის ოქრო ჩამოჰყვა, რაც ჩექმებსა და ჯიბეებში ჰქონდა ჩაყრილი“.

1917 წლის რევოლუციის წინ, აკაკი ხოშტარიას თბილისში რამდენიმე საწარმო ჰქონდა — მექანიკური, მეტალურგიული, სამიწათმოქმედო მანქანების ფაბრიკები, დამოუკიდებელ საქართველოში — 1918-19 წლებში კი საპნის ფაბრიკა და მეტალურგიული ქარხანა აამუშავა. იყო ამიერკავკასიის ბანკის გამგეობის წევრი. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით, მან გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის, დააარსა ტრანსკავკასიური ბანკი და სატრანსპორტო კომპანია.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ფინანსურ დახმარებას უწევდა ნოე ჟორდანიას მთავრობას. ამერიკასა და იტალიაში იყიდა 4 გემი და მათ — „საქართველო“, „თამარ მეფე“, „შოთა რუსთაველი“ და „ნოე ჟორდანია“ უწოდა.

დიდი კომერსანტისა და ქველმოქმედის — დავით სარაჯიშვილის ცხოვრება და გარდაცვალების შემდეგ 1911 წელს გამოქვეყნებული მისი საოცარი ანდერძი სამაგალითო იყო აკაკი ხოშტარიასათვის, რომელმაც ქართველი საზოგადოების თხოვნით, აუქციონზე შეიძინა სარაჯიშვილის სახლი (დღეს მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე, მწერალთა კავშირის სასახლე), რომელშიც მსოფლიო ომის დროს დაჭრილთათვის ლაზარეთი ჰქონდა გახსნილი.

წარმატებული კომერსანტი დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწეც გახლდათ. პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს და ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებიც ხშირად იყრიდნენ თავს აკაკი და მინადორა ხოშტარიების სტუმართმოყვარე ოჯახში. წყვილს შვილი არ შესძენია, მაგრამ ისინი ძალიან ზრუნავდნენ ნაშვილებ მუსენკაზე და ძმისშვილებსა და დისშვილებზე.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 30 ივნისის დადგენილებით, რევკომმა ხოშტარიას მთელი ქონების ნაციონალიზაცია გამოაცხადა, სარაჯიშვილის სახლის გარდა, რომელიც მრეწველმა და მეცენატმა ქართველ მწერლებს უსახსოვრა. მაგრამ მომხდარმა ვერ გატეხა აკაკი და ის კვლავ განაგრძობდა სამშობლოსა და ახალი ხელისუფლების დახმარებას. მაგალითად, ფაქტობრივად ემიგრაციაში წასულმა, დააფინანსა 1922 წელს გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის წევრები — გიორგი ჩიჩერინი, მიხაილ ვრონსკი, ბუდუ მდივანი; შეხვდა სტალინს და დააარსა კომპანია „ხოშტარია-სსრკ ურთიერთობა“, რომელმაც სპარსეთიდან, დამშეულ ბაქოში ფქვილი შეიტანა (ამ ფქვილისგან დამზადებულ პურს ხალხი „ხოშტარიას პურს“ უწოდებდა); ბუდუ მდივანთან ერთად, ცდილობდა თურქეთთან ურთიერთობის აღდგენას, ბათუმში ან თბილისში კერძო ბანკის დაარსებას და ამ მიზნით, ლენინსაც კი შეხვდა. იმის ნაცვლად, რომ ასეთი ნიჭისა და კავშირების მქონე კაცი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ, ბოლშევიკებმა პურის ფქვილის შეტანისათვის, ფინანსური ანგარიშსწორების ნაცვლად, ხოშტარიას დაპატიმრება გადაწყვიტეს, რისგანაც ის ბუდუ მდივნის საიდუმლო დეპეშამ იხსნა. ლავრენტი ბერიამ მას „ავანტიურისტ-კაპიტალისტი“ უწოდა, სერგო ორჯონიკიძემ კი ბუდუ მდივანი და მის გვერდით მდგომი ხოშტარია „დატუქსა“ — რომ მათი დაარსებული „ოტომანთა ბანკი“ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის სამსახურში აღმოჩნდებოდა...

ამ და სხვა ბრალდებების გამო, ბუდუ მდივანი რეპრესირებულ იქნა. ხოშტარიაც საბოლოოდ წავიდა ემიგრაციაში, ჯერ — თურქეთში, შემდეგ — საფრანგეთში, პარიზში, სადაც ხოშტარიების ოჯახი ქართული ემიგრანტული საზოგადოების ცენტრად იქცა. 1922 წელს მინადორა ხოშტარიას მიერ მოწყობილი საახალწლო მეჯლისი, რომელიც შემდეგ ტრადიციად იქცა, დიდხანს ახსოვდა პარიზის საზოგადოებას.

ხოშტარია ისეთივე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ემიგრაციაში, როგორითაც საქართველოში, იმდენად, რომ რევაზ გაბაშვილის ცნობით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სტამბოლში მომავალი მთავრობის სავარაუდო შემადგენლობაში ფინანსთა მინისტრის პოსტზე სწორედ მის წარდგენას აპირებდა.

აკაკი ხოშტარია პარიზიდან სპარსეთში ჩავიდა. ჯერ კიდევ 1913 წელს, მან 99-წლიანი კონტრაქტი დადო ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონების მიწების „ასათვისებლად“ და ახლა იქ გააგრძელა საქმიანობა. იგი დაახლოებული იყო რეზა-შაჰთან, რომელიც დიდად აფასებდა, სპარსეთის ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის: პირველი რკინიგზა, პირველი ავტომობილი, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაცია „რუპეტო“, კომერციული სახლი „რუპეტო“, ელექტროფაბრიკა, ხეტყის, მატყლის, თევზის, ხიზილალის წარმოება და ა.შ. — ეს ყველაფერი გამოჩენილი ქართველის სახელთან იყო დაკავშირებული. თეირანში მისი განუყრელი თანამგზავრი და სამართალმცოდნე იყო ჰანიბალი — ალექსანდრე პუშკინის შვილთაშვილი.

იმ პერიოდისათვის ხოშტარია 60 მილიონის მფლობელი იყო და „სპარსეთის უგვირგვინო შაჰსაც“ უწოდებდნენ. ის იყო სპარსეთში მცხოვრებ თუ ლტოლვილ ქართველთა მფარველი და დამხმარე, მაგრამ ვერაფერით დაეხმარა თავის ახლობლებს — სამშობლოში დარჩენილი მისი ძმის, გიორგის ოჯახი ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან წლების განმავლობაში განიცდიდა დევნა-შევიწროებას, 1937-1938 წლებში დახვრიტეს გიორგის ორი ვაჟი — კაკი და მეთოდე, მთელი მათი ქონება კონფისკაციას დაუქვემდებარეს და ოჯახის დანარჩენი წევრების თვალწინ გაყიდეს. მათი შთამომავლებიდან დღეს ხოშტარიების გვარს აგრძელებს მეთოდეს ვაჟი, ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარია.

ამ ტრაგიკულ მოვლენებს — ძმის ოჯახის განადგურებას აკაკი ხოშტარია ვერ მოესწრო. მან სპარსეთში დაკრძალა თავისი საყვარელი მეუღლე მინადორა, თვითონ კი 1932 წელს პარიზში გარდაიცვალა.

3-4-დოლარიანი ხელფასი, ოჯრის იარაღის არსენალი და ტერაქტებით განთქმული ქალაქი

ამბობენ, რომ ერაყი ნებისმიერი ისტორიკოსისა თუ არქეოლოგის ოცნების ქვეყანაა. სწორედ აქ დაირწა უძველესი ცივილიზაციების აკვანი. ერაყის ტერიტორიაზე დღესაც წააწყდებით ძველი სირიელების, შუმერებისა და ბაბილონელების ნაქალაქევს. სამწუხაროდ, დღეს ერაყი მსოფლიოს ყველაზე „ცხელ წერტილადაა“ გამოცხადებული და ტურისტული მიმზიდველობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. იქ, სადაც ტერორიზმი მძვინვარებს, ორი ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი ასრულებს სამშვიდობო მისიას. ქართველები ერაყში სხვადასხვა კომპანიასთან კონტრაქტის საფუძველზე მსახურობენ და ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის შედეგად გაჩანაგებული ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობენ. აღმოსავლეთმცოდნე **გიორგი ლეჟავა** ერაყში წელიწადზე მეტხანს მუშაობდა. ბაღდადიდან ის ცოტა ხნის წინ დაბრუნდა და საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

რატომ ემადლიერებიან ერაყელები სადამ ჰუსეინს

ემა ტუხიაშვილი

— ე.წ. სამხედრო კოალიციის გარდა, ერაყის რეაბილიტაციაზე კერძო კომპანიებიც (მათ შორის, ნავთობსა და სამშენებლო ბიზნესზე ორიენტირებული) მუშაობენ. ყველა ამ კერძო სუბიექტს უსაფრთხოების გარანტია სჭირდება, რისთვისაც კერძო დაცვის სამსახურს ქირაობენ. ასეთ დაცვის კომპანიებში კი, მეტწილად, ყოფილი სამხედროები მუშაობენ. მათ შორის არიან ამერიკელები, ბრიტანელები, ყოფილი სამხედროები ერაყის მეზობელი ქვეყნებიდან და ქართველებიც. გაგიკვირდებათ, მაგრამ კერძო კომპანიების დაცვის უზრუნველყოფაზე ერაყში მანდილოსნებიც მუშაობენ. განსაკუთრებით სახიფათოა დაცვის გარეშე საავტომობილო ტრანსპორტით გადაადგილება და რაიმე ტვირთის გადატანა. ასეთ დროს შესაძლოა, თავდასხმა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან განხორციელდეს... ერაყში ერთერთ დაცვის კომპანიაში, თარჯიმნად ვმუშაობდი. ჩვენი კომპანია სამშენებლო კომპანიის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა.

— შენი პროფესიიდან გამომდინარე, აღმოსავლეთის ქვეყნებს კარგად იცნობ. როგორი იყო შენი პირველი შთაბეჭდილება ერაყში ჩასვლისას?

— როგორც აღმოსავლეთმცოდნეს, ერაყი ყოველთვის მაინტერესებდა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს სისტემატურად ვადევნებდი თვალს, მაგრამ როდესაც 2007 წლის დასაწყისში, ბაღდადში პირველად ჩავფრინდი, იქ ისეთი დაძაბული მდგომარეობა დამხვდა, როგორსაც ნამდვილად არ ველოდი. ჩასვლისთანავე ჯავშანჟილეტი ჩამაცვეს, მოგვიანებით კი იარაღის გამოყენებაც ვისწავლე... 2007 წლისგან განსხვავებით, ახლა ერაყში სიმშვიდეა. სახიფათოც რომ არაფერი ხდებოდეს, დაცვის კომპანიებს კანონი ავალდებულებს, პროცედურების დაცვით იმოქმედონ, რადგან მცირედი უყურადღებობაც კი შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს. თავიდან, ამ პროცედურების გავლა ჩემში მძაფრ შეგრძნებებს იწვევდა. მაგალითად, მთლიანად დაჯავშნული ავტომობილით გადავადგილდებოდით, დაცვის თანამშრომლებს კი სპეციალურად გაკეთებული საცეცხლურებიდან იარაღი ჰქონდათ გაყოფილი, მაგრამ მალე, ერაყული ცხოვრების ყოველდღიურობას მეც შევეგუე. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ვხედავდი, ჩვენი უსაფრთხოება პროფესიონალების ხელში იყო. მათ შორის, ქართველი ბიჭებიც არიან.

— ტერაქტები ხშირად ხდება; ერაყის მთავრობა, სამართალდამცავები ტერორისტების წინააღმდეგ ვერაფერს ახერხებენ?

— ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ადვილი შესაძლებელია, პოლიციის უნიფორმის ქვეშ იმალებოდეს ადამიანი, რომლიც რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთანაა შეკრული. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა პოლიციის ფორმაში გამოწყობილ ტერორისტებს უცხოელები გაუტაციათ, ხოლო ის, თუ რა შედეგებით მთავრდება მსგავსი აქტები ერაყში, თავადაც მოგეხსნებათ. ამის გათვალისწინებით, ერაყული პოლიციის მიმართ ნდობის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ მათ მოსახლეობაც კი აღარ ენდობა. ამ ბოლო დრო კიდევ უფრო დაიძაბა დაპირისპირება შიიტ და სუნიტ მუსლიმანებს შორის. მართალია, ეს დაპირისპირება დღეს არ დაწყებულა, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ ერაყის ყოფილი პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის დიქტატორული მმართველობის დროს გარკვეულწილად ჩახშობილი გახლდათ. ასეთი მტრობის მიუხედავად, ერაყში დამოყვრებულ შიიტებსა და სუნიტებსაც შეხვდებით. არის ერაყული ოჯახები, სადაც მეუღლეებიდან ერთი მუსლიმანი შიიტია, მეორე — სუნიტი. ადგილობრივი მოსახლეობა ერაყის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, აიად ალავის ძალიან ემადლიერება. ამბობენ, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ქვეყანაში შედარებით მშვიდი მდგომარეობა იყო. ახლანდელი მთავრობის ხელმძღვანელი — ნური ალ-მალიკი კი, იქაურების აზრით, ძალზედ სუსტი მმართველია. ერაყის კიდევ ერთი პრობლემა არაკვალიფიციური კადრებია. ისინი, ვისაც პოლიტიკურ თუ სხვა მნიშვნელოვან სფეროში მოღვაწეობის გარკვეული



გამო[illegible]დილება ჰქონდათ, ემიგრაციაში იმ[illegible]ებიან...

— ტერორისტების პოტენციური სამ[illegible]ნე ვინ არის?

— პირველ რიგში, ამერიკელი [illegible]ედრები, მაგრამ არც კერძო დაცვის [illegible]სახურების თანამშრომლებს ინდობენ. [illegible]რაყელებში უცხოელები აგრესიას იწვევენ. სამწუხაროდ, იქ მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბალი განათლების მქონეა. არადა, არაბულ ქვეყნებს შორის ერაყის კულტურა (სამუსიკო ხელოვნება, ფერწერა, ქანდაკების ხელოვნება) ერთ-ერთი საუკეთესო იყო. შექმნილი ვითარების გამო, ერაყის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი იორდანიაში, ეგვიპტესა და სირიაში გაიხიზნა. ერაყში დარჩა ის მოსახლეობა, ვინც ქვეყნიდან გასვლა სახსრების უქონლობის გამო ვერ შეძლო. რა თქმა უნდა, მტრულად განწყობილი მოსახლეობის გარდა, ერაყში ისეთებიც არიან, რომლებსაც უცხოელებთან თანამშრომლობა, მათთან ურთიერთობა სურთ. სწორედ ამის გამო, მტრულად განწყობილი არაბებისგან მათაც ემუქრებათ საფრთხე, რადგან ასეთებს მოღალატეებად მიიჩნევენ. მოკლედ, არაბებმა შეიძლება გაიტაცონ თანამემამულე, თავი მოჰკვეთონ და „მოღალატის“ დასჯის რიტუალი მოსახლეობაში ჩანაწერის სახით გაავრცელონ. მეტსაც გეტყვით, ერაყში ასეთი ჩანაწერების ყიდვა ნებისმიერ ადგილას შეიძლება... არაბ ტერორისტებს მტრების წინააღმდეგ ბრძოლის რამდენიმე სახის სტრატეგია აქვთ შემუშავებული. მაგალითად, თვითმკვლელი შახიდი შეიძლება, დანაღმული მანქანით მოძრაობდეს და ავტომობილების საცობში მოხვედრისას თავი აიფეთქოს, ზოგიერთს კი ასაფეთქებელი მოწყობილობა ტანსაცმლის ქვეშ აქვს დამაღული და მსხვერპლთან მიახლოებისას მოჰყავს მოქმედებაში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ტერორისტები დანაღმულ ავტომობილს ქუჩაში აჩერებენ და მის დეტონაციას მათთვის სასურველ დროს, ტელეფონით ან რადიოსადგურის მეშვეობით ახდენენ. ძირითადად, ასეთ ხერხს მაშინ მიმართავენ, როდესაც გზაზე ამერიკული სამხედრო „ჰამერების“ გამოჩენას ელიან.

— სადამ ჰუსეინმა ერაყში რა მემკვიდრეობა დატოვა? მის აურაცხელ ქონებაზე ხომ ლეგენდები დადის.

— ერაყელებს ჰუსეინის მდიდრული სასახლეები დარჩათ, სადაც ძირითადად, ამერიკული სამხედრო ბაზებია განლაგებული. სადამი არნახული დიქტატორი იყო და რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა. ერაყს, მასთან ერთად, მისი შვილებიც გაანაგებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ჰყვება, რომ ჰუსეინის დროს ერაყის საზოგადოება ორ კონტრასტულ ნაწილად გაიყო: იყვნენ ძალიან მდიდრები და უკიდურესად ღარიბები, პრივილეგირებულები და დაჩაგრულები. მას შემდეგ, რაც ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის გამო ერაყზე მკაცრი ეკონომიკური სანქციები გავრცელდა, მოსახლეობა უკიდურესად მძიმე ყოფაში აღმოჩნდა. ამბობენ, რომ მაშინ, ერაყელი მასწავლებლის და ოფიცრის ხელფასი თვეში 3-4 დოლარს არ აღემატებოდა, ამ დროს კი ჰუსეინი გრანდიოზული მშენებლობით იყო დაკავებული. მან ააშენა მოედანი ორი ვეებერთელა, გადაჯვარედინებული ხმლით, რომლის ქვეშაც აღლუმისას მის ჯარს უნდა გაევლო. ჰუსეინს განდიდების მანია სჭირდა და თუ ადგილობრივ მოსახლეობას დავუჯერებთ, ამბობდა: ამ ხმლებიდან ერთი მე მიჭირავს, მეორე კი შუა საუკუნეებში ცნობილ არაბ ლიდერს, სალა ჰუდინსო. ჰუდინი არაბების ისტორიაში გმირის სახელით შევიდა, სწორედ მან შეძლო იერუსალიმიდან ჯვაროსნების განდევნა... მართალია, ომის პერიოდში ჰუსეინის ბევრი ძეგლი განადგურდა, მაგრამ ბაღადადის შენობების კედლებზე კვლავ წააწყდებით ერაყის დიქტატორი ლიდერის უამრავ პორტრეტს. როდესაც ჰუსეინის ქონების კონფისკაცია მოხდა, აღმოაჩინეს ოქროს და ვერცხლის საბრძოლო იარაღის უნიკალური კოლექცია. მაგალითად, მთლიანად ოქროსგან დამზადებული „კალაშნიკოვის“ მარკის ავტომატური იარაღი. ერაყში ყოფნისას ვნახე დოკუმენტური ფილმი სადამ ჰუსეინზე, რომელიც ფრანგ ჟურნალისტს ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებამდე გადაუღია. ამ ფილმში დიქტატორი ჰუსეინის პიროვნება ზედმიწევნით კარგადაა აღწერილი. თურმე, როდესაც ჰუსეინი დიეტას იცავდა, მთელი ერაყის მოსახლეობა იძულებული იყო, დიეტური საკვები მიეღო. ასევე, შესაძლებლობა მქონდა მენახა, თუ როგორ ასწავლის სადამი მოსახლეობას კბილის ჯაგრისის გამოყენებას და აქვე იძლევა რეკომენდაციას, რამდენჯერ უნდა დაიბანოს დღეში ქალმა და რამდენჯერ — მამაკაცმა. მოგეხსენებათ, ჰუსეინის მთავრობა, მთლიანად მინისტრთა კაბინეტი მისი ნათესავებით იყო დაკომპლექტებული. ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში სადამი ხუმრობს, — შინაგან საქმეთა სამინისტროში ისეთი კორუფციაა, რომ ქრთამის პრეისკურანტი კედელზე აქვთ გამოკრულიო. ამბობენ, სადამი მეტად დაუნდობელი ადამიანი იყო, საკუთარი ქალიშვილიც კი დააქვრივა, ხოლო როცა მისმა უფროსმა ვაჟმა — უდაიმ მამის საყვარელი გამოასალმა სიცოცხლეს, სადამმა შვილის მოკვლა განიზრახაო. შეშინებულ უდაის იორდანიის მეფისთვის უთხოვია თავშესაფარი, მაგრამ ჰუსეინი იქაც მისწვდა. უდაიმ იცოდა, რომ მამამისს წინ ვერავინ აღუდგებოდა და ამიტომაც, თვითმკვლელობა სცადა. იორდანიის მეფემ სადამ ჰუსეინის გადარწმუნება შეძლო და მისი წყალობით უდაი სიკვდილს გადაურჩა. ერაყის დიქტატორს საქვეყნოდ განუცხადებია: ჩემმა თითმაც რომ მიღალატოს, არ დავფიქრდები, ისე მოვიჭრიო. ერაყელები ჰუსეინს მხოლოდ ერთი რამის გამო ემადლიერებიან — თავისი მმართველობის პერიოდში მან ნანგრევებიდან აღადგინა უძველესი ქალაქი ბაბილონი. ■

წარჩინების საძიებლად პეკინში მიმავალი „კონკია“ და მომავალი ჩემპიონის აშლობარაში სიბარბაცის კოლოფზე...

იმისათვის, რომ ოდესმე ლეგენდად იქცე, ამ ლეგენდის წერა უნდა დაიწყო... „მთავარია, პირველი ნაბიჯები უშეცდომოდ გადადგა, მერე ბევრი იშრომო, ზოგჯერ შეუძლებელიც კი გააკეთო და ამავდროულად, არასდროს დაგავიწყდეს, რომ სახელის მიღმა ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი დგას“, — ასე ფიქრობს 18 წლის ლუბა გოლოვინა, რომელიც ათენის ოლიმპიურ სარბიელზე პირველად იასპარეზებს...

თამარ ჯიშკარიანი

...21 ივლისი, თბილისი. „თბილისი-მერიოტის“ წვეულებათა დარბაზიდან ხმაური გამოდის. დარბაზში ძველი და ახალი სახეები ირევიან. კუთხეში, სავარძელში მოკალათებული, დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ექსპრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი მშვიდად ადევნებს თვალყურს გარშემო მყოფთ და ალბათ, ის დრო ახსენდება, როდესაც თავად მიუძღვრდა ქართველთა გუნდებს ოლიმპიადებზე.

აქ არის ყველა — ქალაქის მერი და ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები, ჩვენი „სპორტის მინისტრი“ და დეპარტამენტის თავმჯდომარე, სპორტსმენები და უამრავი ჟურნალისტი... მსოფლიო, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, მსახიობები... მოკლედ, ის ადამიანები, რომლებსაც თითოეულ ქართველ სპორტსმენზე შესტკივათ გული. და ამ ჩოჩქოლში, სპორტულ წარმატებებს ჩვეული საზოგადოების ყურადღება, შემოსასვლელში მდგომმა ქერათმიანმა, ცისფერვალება, სიფრიფანა გოგონამ მიიქცია, რომელიც წარმატების მოლოდინში კონკიას წააგავდა. ეს ლუბა გოლოვინაა. ბევრი მას, ქართული სპორტის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევს. თუმცა სპორტის ის სახეობა, რომელსაც ლუბა წარმოადგენს, ჩვენში, პოპულარობით სხვებს ჩამოუვარდება: ბატუტზე ხტომა საქართველოში შედარებით ხანმოკლე, მაგრამ „ხმაურიანი“ ისტორიის მქონე სახეობაა. სამგზის მსოფლიო და ხუთგზის ევროპის ჩემპიონს, რუსუდან ხოფერიას სჯერა, რომ ლუბას სახით მას ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა. „კარგი მომზადება და საღი აზრი“ — ეს ის ძალაა, რომელიც გამოცდილი სპორტსმენის აზრით, ლუბას წარმატებებს მოუტანს...



ზაზა კედელაშვილი

ოლიმპიური ლიცენზია გოგონამ მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა. საქართველოს წარმომადგენელს თურმე მსოფლიოს უძლიერეს ათეულშიც შეეძლო მოხვედრილიყო, მაგრამ რუსმა მსაჯმა არ დაინდო და ლუბას სავალდებულო ვარჯიშში (ამბობენ, ამ ვარჯიშში გოლოვინა მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებსაც კი არ ჩამოუვარდებაო) დაბალი ქულები დაუწერა. ბუნებრივია, გოგონაზე ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა, მაგრამ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება მაინც მოახერხა.

„შინაგანად, წყნარი და გაწონასწორებული ადამიანი ვარ. არ მიყვარს ხალხმრავალი შეკრებები. უფრო კომფორტულად, მეგობრების გარემოცვაში ვგრძნობ თავს. მიუხედავად იმისა, რომ სპორტს ბავშვობიდან მივდევ, მეგობრებისთვის დროს ყოველთვის ვიტოვებ. მათ ესმით, რომ სპორტი ჩემი პროფესია, სამსახური, და ცხოვრების ნაწილია. ცდილობენ გამიგონ და მხარში ამომიდგნენ“, — ამბობს ლუბა, რომელიც ისეთი მოუსვენარი ბავშვი ყოფილა, რომ 3 წლის ასაკში დედამისს, შვილის ენერგიის მოსათოკად, სასწრაფოდ, სპორტულ სექციაში მიყვანა განუზრახავს — იქნებ, ასე მაინც „მეშველოსო“. თავადაც სპორტსმენს, არც სახეობის შერჩევაზე უფიქრია დიდხანს. ერთ დღესაც, ლუბა დედის მწვრთნელმა ჩაიბარა. გოგონა ერთი წლის განმავლობაში სექციაში უბრალოდ ერთობოდა. 4 წლის ასაკიდან კი სპორტის ამ სახეობას სერიოზულად მოჰკიდა ხელი... შემდეგ იყო მრავალი შეჯიბრება და პატარ-პატარა წარმატებები.

„სტარტის მომენტი ყოველთვის მღელვარეა. მამა მუდამ ჩემ გვერდითაა, ზოგჯერ — დედაც. თუმცა უფრო ხშირად, ის ტელეფონით ცდილობს გამამხნევოს. იმისდა მიუხედავად, რომ ნებისმიერი სტარტისთვის მომზადებული, როგორც წესი, საკუთარ თავშიც დარწმუნებული ვარ, სპორტულ იარაღთან გასვლის წინ ოდნავ მაინც ვღელავ. ელემენტარულმა შეცდომამ შესაძლოა, მთელი შრომა წყალში ჩაგიყაროს“, — ამბობს ლუბა. ის პეკინში, ბატუტზე მხტომელთა ასპარეზობაზე პირველი მხოლოდ იმიტომ იასპარეზებს, რომ ამ სახეობაში მონაწილეთა შორის ასაკით ყველაზე ახალგაზრდაა: „რთულია, იყო პირველი, ეს დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს. თუმცა მეორე მხრივ, კარგიცაა, რადგან ვეცდები, მაქსიმუმი გავაკეთო“.

კარგად იცის, რომ პეკინში ძლიერი კონკურენციის პირობებში მოუწევს ასპარეზობა. იქ იქნება მისი ყველა ძირითადი და კონკურენტი — ირინა კარავაევა რუსეთიდან, რომელსაც მსაჯების ნაწილი უეჭველად „აუბამს მხარს“. ალბათ ისევე, როგორც ჩინელ შან შანს (წინა ოლიმპიადაზე მესამე ადგილი დაიკავა), რომელსაც მსაჯებთან ერთად, მასპინძლის სტატუსიც მიეხმარება. გერმანიის სახელით მოასპარეზე ქართველი ანა დოლონაძეც სერიოზული კონკურენტი იქნება... 18 წლის სპორტსმენმა ეს მშვენივრად იცის და მას შემდეგ, რაც არცთუ ისე შორეული ბავშვობის ოცნება აისრულა და ოლიმ-

პიადაზე მოხვდა, ახლა მის ფინალურ ეტაპზე გასვლასაც შეეცდება და — ვინ იცის?.. ოლიმპიადაზე ხომ სასწაულებიც ხდება!..

დედა, მამა, ნათესავები, მეგობრები... ლუბა ცდილობს, ის ხალხი ჩამოთვალოს, ვინც მისი სტარტის დროს (მამა — პეკინში, დანარჩენები კი — საქართველოში) ყველაზე მეტად ინერვიულებს. „შეყვარებული?“ — ვეკითხები მოულოდნელად. ლუბა მიყურებს, წითლდება და პასუხად, მხოლოდ მიღიმის... „კიდევ, ინერვიულებს მთელი მოსკოვის პროსპექტი, სადაც ვცხოვრობ და გავიზარდე, და მშობლიური 83-ე სკოლა“, — ოსტატურად დაუძვრა ჩემს ბოლო შეკითხვას გოგონა, რომელიც იმედია, პეკინში წარმატებით იასპარეზებს.

შემდეგ კი კვლავ ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება: გაიღვიძებს დილის 7 საათზე; ვარჯიშზე ზოგჯერ ისე წავა, რომ საუზმობაც კი დაავიწყდება... შემდეგ, 2-საათიანი წვრთინს ბოლოს, მასაჟს გაიკეთებს — ზურგი და მუხლები მუდამ კონტროლის ქვეშ უნდა ჰქონდეს... ამის შემდეგ, შინ დაბრუნდება და მიხვდება, რომ თურმე ძალიან მოშივებია... ცოტას დაისვენებს და — ისევ ვარჯიში... აი, მერე კი, თუ დრო დარჩა, აუცილებლად მეგობრებს შეუერთდება და იხალისებს... ოღონდ, ამ, ჩვეულ დინებას პეკინის შემდეგ დაუბრუნდება... მანამდე კი...

დავით ქევხიშვილმა ოლიმპიური ფიცი ჩაიკითხა... ქართველი ოლიმპიელები რიგრიგობით მიდიან მაგიდასთან და ფიცს ხელს აწერენ. სეოკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, გოგი თოფაძემ ლუბა გოლოვინას გვარიც ამოიკითხა...

ერთ-ერთ მაგიდასთან ჩემი კოლეგა, ელენე ბილიხოძე და ძიუდოისტი ზაზა კედელაშვილი მრგვალი მაგიდის გარშემო ვსაუბროთ. „...რომ მომიქნიოს და დამაწვინოს... არა, ეს არ მოხდება“, — ამბობს ზაზა და თან მაგიდაზე უპატრონოდ დაგდებულ სიგარეტის კოლოფზე რაღაცას ჯღაბნის. შემდეგ თანაგუნდელებს უერთდება... სიგარეტის კოლოფს დაჰყურებს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა და იმ დროს ნატრობს, როცა საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, სხვა ქვეყნების მსგავსად, საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს მოწევა აიკრძალება...

ამასობაში სიგარეტის პატრონიც ბრუნდება და ცდილობს, ცარიელი კოლოფი სანაგვეში გადააგდოს... „იქნებ, არ გადაგეგდო?“ — ვეკითხები მოულოდნელად. „რატომ?“ — მეკითხება და ცოტა არ იყოს გაკვირვებული მიყურებს. „კოლოფზე, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონის ავტოგრაფია. დააწერე რიცხვი, ადგილი და შეინახე“, — ვპასუხობ და უფასს შევთხოვ, რომ ზაზას ის ძალა და ენერგია შემატოს, რომელიც ოლიმპიადაზე წარმატებას მოუტანს. ისევე, როგორც საქართველოს გუნდის ყველა წარმომადგენელს.

ბოლოს, ყველამ სამახსოვრო ფოტო გადაიღო და ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრაზე გაემართა. იქ მათ სიურპრიზი ელოდათ: მიხეილ სააკაშვილი პეკინის ყველა ოლიმპიურ ჩემპიონს პრემიად, მილიონ ლარს დაჰპირდა... წარმატებული ოლიმპიელებისთვის სიურპრიზებს ამზადებს თბილისის მერიც... ეს სამთავრობო დაპირებები — ავანსად. ოლიმპიადაზე კი ქართულ დელეგაციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა და უკვე კარგად „დაბეჭდებული“ დროშა და ღვთისმშობლის ხატი მიაქვს, რომელიც უწმინდესმა და უნეტარესმა 2004 წელს აკურთხა და ათენში ჩვენებს პირველი წარმატებები მოუტანა. ■

ოლიმპიური ლიცენზია გოგონამ მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა

ოლიმპიადაზე ქართულ დელეგაციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა და უკვე კარგად „დაბეჭდებული“ დროშა და ღვთისმშობლის ხატი მიაქვს



რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ 14

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებული დარბაზიდან გაათავისუფლა

ქურდობისა და ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდადებული, 39 წლის ვალერი გურაშვილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უდანაშაულოდ გამოაცხადა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. პალატამ, მოსამართლე თამარ ალანიას თავმჯდომარეობით, გურაშვილის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი, გამამტყუნებელი განაჩენი უკანონოდ ცნო, გააუქმა და ამის საფუძვლად, საქმეში არსებული მტკიცებულებების უკმარისობა დაასახელა. აღსანიშნავია, რომ გურაშვილს სამართალდამცველები კონკრეტულად, 200 ლარის მოპარვასა და 65 გრამი ნარკოტიკული საშუალების — მარიხუანის შეძენა-შენახვაში სდებდნენ ბრალს. ბრალდება რაიონულმა სასამართლომაც დაადასტურა და გურაშვილს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით, გურაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გაასაჩივრა და პროცესიც მოიგო... ■

ჟურნალისტ შურპაევის სასტიკი მკვლელობის გამოძიება გრძელდება

რუსეთის „პირველი არხის“ ჩრდილოკავკასიელი კორესპონდენტის — ილიას შურპაევის სასტიკი მკვლელობის გამოძიება კვლავაც გრძელდება. ამ დღეებში სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილთა გვარები და რუსეთის პროკურატურის გადაწყვეტილება გამოაქვეყნეს. ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ გენპროკურორი ტაჯიკეთში მყოფი ეჭვმიტანილების რუსეთში ექსტრადიციას აღარ მოითხოვს. ჟურნალისტი ილიას შურპაევი 2008 წლის 21 მარტს, მოსკოვში დაქირავებულ ბინაში სასტიკად ნაწამები და მოკლული იპოვეს. შემთხვევის ადგილზე მისული მილიციელების გადმოცემით, გვამს კისერზე ქამარი ჰქონდა შემოჭერილი. გაირკვა, რომ მკვლელებმა მას ქამარი თავისსავე შარვალზე შემოხსნეს და შემდეგ იმით მოახრჩვეს. დანაშაული, როგორც ვარაუდობენ, დაყაჩაღების მიზნითაა ჩადენილი. მკვლელობის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა შურპაევის ბინა გაძარცვეს და დუშანბეში გაფრინდნენ. დანაშაულიდან მესამე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეჭვმიტანილები ტაჯიკეთის მოქალაქეები უნდა ყოფილიყვნენ. გამოძიების შედეგად, ეს ვარაუდი გამართლდა. ჟურნალისტის მკვლელობის ბრალდებით, ტაჯიკეთში 3 პირი — მასრუჯონ იატიმოვი და ძმები მუჰიდინოვები დააკავეს. ერთ-ერთი ძმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვაშია ბრალდებული, თუმცა კანონის თანახმად, მას ახლო ნათესავის, ამ შემთხვევაში, ძმის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას არ ავალდებულებს. ■

მანიაკმა ჟურნალისტმა ცავი კამერაში უცნაური ხერხით დაიხრჩო



მაკედონიური გაზეთის — „ნოვა მაკედონიას“ კორესპონდენტმა ვლადო ტანესკიმ ციხის საკანში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თვითმხილველების თქმით, მან წყლით სავსე კასრში თავი ჩაყო და აღარ ამოყო. თანასაკნელები ამბობენ, რომ ტანესკიმ ძალიან იტანჯა, თუმცა რატომ არ შეუშალეს მას ხელი ამაში, ჯერჯერობით არ განმარტავენ. ამჟამად გამომძიებლები სწორედ თვითმხილველების დაკითხვას აწარმოებენ. 56 წლის ტანესკი მაკედონიის პოლიციამ რამდენიმე თვის წინ საშინელი ბრალდებით — 3 ქალის გაუპატიურებისა და სადისტური მკვლელობისთვის დააკავა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, დანაშაული მან არ აღიარა, მაგრამ არც უარყო... გამოძიება ვარაუდობს, რომ მკვლელობები 2003-2008 წლებშია ჩადენილი. სამართალდამცველებმა ტანესკიზე ეჭვი მას შემდეგ აიღეს, რაც მის საგაზეთო პუბლიკაციებში საიდუმლო ცნობებს, თვით გამოძიებისთვისაც კი უცნობ დეტალებს წააწყდნენ. გამომძიებლები ამბობენ, რომ დაკითხვისას ტანესკი საეჭვოდ უემოციოდ იქცეოდა, არც შიში დასტყობია და არც სინანული. მათივე თქმით, დანაშაულების ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, ტანესკი მანიაკი უნდა ყოფილიყო. მსხვერპლად დამნაშავე ყოველთვის ქალს, თანაც ხანში შესულს (55-დან 80 წლამდე ასაკის) ირჩევდა, მათ ჯერ აუპატიურებდა, შემდეგ — კლავდა, ბოლოს მათ სხეულებს ანაწევრებდა, ცელოფანის პარკში ახვევდა და ქალაქ ქიჩევოს სხვადასხვა ადგილას აგდებდა... შემდეგ, ჩადენილი მკვლელობის დეტალებს ტანესკი „ნოვა მაკედონიის“ ფურცლებზე აქვეყნებდა.

დანაშაულების მოტივები გამოძიებას ჯერჯერობით არ დაუდგენია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ საშინელი ბოროტმოქმედების ჩადენამდე ტანესკი დედამისმა მიიყვანა. ახლობლების თქმით, ტანესკის მძიმე ბავშვობა ჰქონდა, განსაკუთრებულ ჩაგვრას ის თურმე დედისგან განიცდიდა. „არის ვერსია, რომ დედისგან განაწყენებულმა ტანესკიმ შურისძიება შუა ასაკში გადაწყვიტა და სწორედ იმ ქალებს კლავდა, რომლებიც გარეგნობით დედას აგონებდა. როგორც ვიცით, ქალი დიდი ხანია, გარდაიცვალა და მისი სიკვდილის დეტალებითაც დავინტერესდებით“, — აცხადებს გამომძიებელი. ■

„მერსედესის“ ახალი როდსტერი





გერმანულმა ტიუნინგ-კომპანიამ — AMG — რომელიც „მერსედეს ბენცის“ ქვეგანყოფილებაა, როდსტერის — SL65 AMG-BLACK Series — ფოტოები გამოაქვეყნა. ავტომობილის დებიუტი მიმდინარე წლის ოქტომბერში, პარიზის მოტორშოუზე შედგება. სიახლე ტურბინირებული ექვსლიტრიანი, თორმეტცილინდრიანი, 661 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რაც 40 ცხ.ძ-ით მეტია, ვიდრე სუპერავტოს — Mercedes-Benz SLR McLaren — სიმძლავრე. მას 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 3,9 წამში შეუძლია, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ-ია. SL65-თან შედარებით, ეს ტიუნინგ-ვერსია თითქმის 250 კგ-ით მსუბუქია, რადგანაც მისი სახურავი კარბონისგან დაამზადეს. გარდა ამისა, საგრძნობლად შემსუბუქდა ინტერიერიც, ასევე, მანქანის არაერთი დეტალი, ფოლადის ნაცვლად, ალუმინისგან დაამზადეს. სიახლე, რომელიც შეზღუდული ტირაჟით გამოვა, ევროპულ ბაზარზე 2009 წლის დასაწყისში გამოჩნდება და მისი ღირებულება დაახლოებით 309 ათასი ევრო იქნება. ■

ამერიკელი მძარცველების საყვარელი მანქანები

დანაშაულებათა ეროვნულმა ბიურომ (NICB) იმ მანქანების სია გამოაქვეყნა, რომლებსაც აშშ-ში ყველაზე ხშირად იტაცებენ. Forbes-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ მხრივ, ყველაზე დიდი პოპულარობით გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში გამოშვებული ავტომობილები სარგებლობენ. გასულ წელს აშშ-ში გატაცებული ავტომობილების სრული სია ასე გამოიყურება:

1. 1995 Honda Civic; 2. 1991 Honda Accord; 3. 1989 Toyota Camry; 4. 1997 Ford F-150 Series; 5. 1994 Chevrolet C/K 1500; 6. 1994 Acura Integra; 7. 2004 Dodge Ram Pickup; 8. 1994 Nissan sentra; 9. 1988 Toyota Pickup; 10. 2007 Toyota Corolla.

ჩვეულებრივ, გატაცებული ავტომობილების ფასი ძალიან დაბალია და ამიტომაც, მძარცველები მანქანებს ნაწილებად შლიან და მათ „შავ ბაზარზე“ ყიდიან. ■

„ოპელი“ ელექტრომობილების წარმოებას იწყებს

GM-ის ევროპული ქვეგანყოფილების პრეზიდენტმა, კარლ-პეტერ ფორსტერმა ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ოპელი“ ბაზარზე ელექტრომობილების გაყვანას გეგმავს. ერთ-ერთი მათგანი კონცეპტ-ავტოს — Flextreme — მოტივებზეა შექმნილი, ხოლო მეორეს უფრო მსხვილი ძარა და ფართო სალონი ექნება. როგორც მოსალოდნელია, ტრადიციული მოტორების მქონე მანქანებთან შედარებით, ელექტროძრავიანი „ოპელის“ ფასი დაახლოებით, 10 ათასი ევროთი მეტი იქნება. ფორსტერმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ელექტროამძრავიანი „ოპელის“ ავტომობილები, რომლებიც GM E-Flex-ის ჰიბრიდული ტექნოლოგიების გამოყენებით აიწყობა, ბაზარზე პირველად 2012 წლიდან გამოჩნდება. ელექტრომობილების წარმოება აშშ-ში დაიწყება, მოგვიანებით კი მას გერმანიაში გადაიტანენ. ამ ტიპის ეკოლოგიურად სუფთა მანქანების მასობრივი წარმოების დაწყების შეფერხების მიზეზად ფორსტერმა E-Flex-ის ტექნოლოგიათა დანერგვის სიძვირე და ელექტრომობილის მომხმარებელთა რიცხვის სიმცირე დაასახელა. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	I ულზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ᲓᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ჯეტა; 2. ტამტამი; 3. თაგორი; 4. კუბა; 5. კედი; 6. ბოლი; 7. სუმო; 8. გოდოლი; 9. ბაქო; 10. ჯიქი; 11. ტატრა; 12. აისბერგი; 13. მანაგუა; 14. ევრო; 15. ლიბერია; 16. სირბილი; 17. სიდრი; 18. რია; 19. ვიზირი; 20. ქორო; 21. კოლეჯი; 22. ბაიტი; 23. ქვა; 24. ნიუ; 25. კიო; 26. ჭიკარტი; 27. ფიზიკა; 28. ნანდუ; 29. პუმა; 30. ოფელია; 31. ნუტრია; 32. ბუ; 33. შტოფი; 34. აია; 45. გეგი; 36. გალიერა; 37. უთო; 38. სიდრი; 39. რუმინეთი; 40. სულელი; 41. ინა; 42. პერიოდი; 43. კარატი; 44. ბრაზილია.

სურათებზე: ჯასტინ ტიმბრელეიკი; ფინქი.

სიყვარულის ასაკი

ყოველთვის საინტერესოა იმის ცოდნა, თუ როგორი ადამიანია თქვენი რჩეული. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როცა ურთიერთობების პირველი ქარიშხალი ჩაცხრება, უპასუხეთ ამ ტესტის შეკითხვებს და თქვენ შეიტყობთ, მამაკაცთა რომელ ტიპს განეკუთვნება თქვენი რჩეული.

1. რას თამაშობს?

ა) ელექტროთამაშებს;

ბ) სასმლითა და პორნოფილმებით იქცევს თავს;

გ) ბილიარდს;

დ) დადის დოღზე.

2. მის სახლში:

ა) ელექტროხელსაწყოების სიმრავლე იგრძნობა;

ბ) უამრავი სასმელი და პორნოკასეტაა;

გ) უამრავი საოჯახო ინვენტარია;

დ) უამრავი ყოვლად გამოუსადეგარი, მაგრამ მეტად ორიგინალური ნივთია.

3. რისი კოლექცია აქვს?

ა) კომპიუტერული თამაშების;

ბ) თაყვანისმცემლების ქვედა საცვლის;

გ) სპირტიანი სასმელების და ლუდის კათხების;

დ) ანტიკვარული ნივთების.

4. დილაობით ფინჯანი ყავის სმის დროს რას კითხულობს?

ა) კომიქსებს;

ბ) პორნოჟურნალებს;

გ) ბიზნესსიახლეებს;

დ) მაღალი საზოგადოების ქრონიკას.

5. სად ისვენებს?

ა) საქართველოს ზღვის კურორტებზე;

ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ან კუბაში;

გ) უმეტესწილად, თურქეთში ან ეგვიპტეში;

დ) ევროპის საუკეთესო კურორტებზე.

6. რომელი ჟანრის მუსიკას უსმენს?

ა) „ტექნოს“;

ბ) როკს;

გ) მელოდიურ პოპსის ან ინსტრუმენტულ კრებულებს;

დ) ჯაზს ან კლასიკას.

7. სად სძინავს?

ა) კომპიუტერის სავარძელში თუ პატარა დივანზე;

ბ) ვებერთელა, გასაშლელ დივანზე;

გ) ორადგილიან იტალიურ საწოლში;

დ) ორთოპედიულ საწოლში.

8. მისი გამოსავლელი კოსტიუმია:

ა) ბოტასი, ჯინსი და სპორტული მაისური;

ბ) ჯინსი და ტვიდის პიჯაკი;

გ) კლასიკური, იტალიური ტიპის კოსტიუმი.

დ) სმოკინგი, ფრაკი.

9. რომელი სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობს?

ა) დადის ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით;

ბ) ტაქსით ან მამამისის ჯიპით;

გ) ხშირად იცვლის უცხოურ ავტომობლებს;

დ) საკოლექციო „როლს-როისით“.

10. რაზე ოცნებობს?

ა) საკუთარ ჯიპზე;

ბ) ინდივიდუალურ ჰარამხანაზე, რომელსაც საკუთარი თვითმფრინავით გამუდმებით თან ატარებდა;

გ) საოკეანო იახტაზე;

დ) საკუთარ კუნძულსა და ციხესიმაგრეზე.

11. მაცივარში აქვს:

ა) „მაკდონალდსის“ ჰამბურგერები;

ბ) ლუდი, ზეთისხილი და სოსისი.

გ) უამრავი უგემრიელესი სასუსნავი;

დ) მხოლოდ დელიკატესები.

ტესტის შედეგები

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „ა“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „თინეიჯერია“. ის ჯერ კიდევ თავად საჭიროებს მეურვეობას, მხარდაჭერასა და მზრუნველობას, ასე რომ, ყოველივე ამას თქვენ ვერ შემოგთავაზებთ. მაგრამ არ ინაღვლოთ — მასთან ყოველთვის გრძნობ, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. მის საზოგადოებაში ყოფნისას არასოდეს მოიწყენ. ის საოცრად მხიარულია და ზოგჯერ ეიფორიაშიც კი ვარდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის საიტზე ვირტუალური პარტნიორის მიერ გამოგზავნილ წერილს აღმოაჩენს ხოლმე. საკმაოდ რბილად მოეპყრით მას და ნუ იქნებით მეტისმეტად მომთხოვნი. მასთან საურთიერთოდ საუკეთესო პრინციპია: „ოლონდ ბავშვმა არ იტიროს და რითიც უნდა შეიქციოს თავი“. მაგრამ თუკი თქვენ მიიჩნევთ, რომ დედის როლში ყოფნა არ გაგამყოფილებთ, დროა, საფუძვლიანად დაფიქრდეთ.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „ბ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „მარადიული ყმაწვილია“. ის საკმაოდ ცნობისმოყვარეა, უყვარს რისკი და მძაფრი შთაბეჭდილებების განცდა. თუკი ცხოვრებაში პრობლემები ისედაც საკმაოდ გაქვთ და არც მძაფრი შეგრძნებების ნაკლებობას უჩივით, მაშინ ჩათვალეთ, რომ ამ ტიპის მამაკაცი თქვენ არ შეგეფერებათ.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „გ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „მამიკოა“. ის დარწმუნებულია საკუთარ თავში და ცხოვრებაში უკვე ბევრსაც მიაღწია. მას შეუძლია თქვენზე ზრუნვა და ამასთან, საოცრად პრაქტიკულია. ოღონდ გაფრთხილებთ, არ ეცადოთ მის მეურვეობას, დედობრივი მზრუნველობის გამოვლენასა თუ მასზე მზრძანებლობას: წინასწარ იცოდეთ, რომ მასთან ეს არ გაგივათ. მოდუნდით და „შვილიკოს“ როლს დასჯერდით.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „დ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „ბაბუაა“. გიხაროდეთ, თქვენ ძალზე გაგიმართლათ. არანაირი პრობლემა და საზრუნავი, ამასთან, უამრავი საჩუქარი. ის საკუთარ თავზე აიღებს ყველანაირ საზრუნავს და თავადვე მოაგვარებს ყველაფერს, რადგან ზურგს უკან კოლოსალური ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და კარგად იცის, როგორ უნდა ასიამოვნოს ქალს. მან იცის ცხოვრების გემო და სათანადოდ აფასებს კიდეც მას.

თუკი თქვენს პასუხებში სხვადასხვა ვარიანტი თანაბრად დომინირებს, მაშინ თქვენი მეგობარი ყველა ზემოჩამოთვლილი ტიპის თვისებების მატარებელია. დილაობით, ის „თინეიჯერია“, სადილობისას — „მარადიული ყმაწვილი“, საღამოობით — „მამიკო“, ღამღამობით კი — „ბაბუა“. თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი საპირისპირო თანამიმდევრობითაც იყოს. ყოველ შემთხვევაში, მისგან ყველაფერს უნდა ელოდეთ. სწორედ ამაშია მისი მომხიბლაობა!

ჰოროსკოპი

(24 - 30 ივლისი)

ვერძი:

თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რაც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. ეს კარგი დროა პირადი და სასიყვარულო ურთიერთობების გასარკვევად, ოჯახის წევრებთან დასაახლოებლად.

ხარი:

ეს არახელსაყრელი დროა კრედიტისა და ვალის ასაღებად. ასევე სჯობს, ახალი საქმის დაწყებისგანაც შეიკავოთ თავი. ხშირად განმარტოვდით, ხოლო უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

ტყუპი:

მგზავრობისა და დასვენებისას, შესაძლოა, ახალ სასიყვარულო ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი. გაუზიარეთ მეგობრებს თქვენი სადარდელი და ისინი აუცილებლად ამოგიდგებიან მხარში.

კირჩხიბი:

ამ კვირაში შეგექმნებათ მატერიალური პრობლემები, რაც შესაძლოა, პარტნიორებთან დაპირისპირების მიზეზიც გახდეს. ცუდი არ იქნება, თუ თავისუფალ დროს დასვენებას დაუთმობთ.

ლომი:

თქვენი რომანტიკულ-სასიყვარულო ურთიერთობები სასიკეთოდ განვითარდება. სწორედ ამის წყალობით ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. გირჩევთ, კონფლიქტური სიტუაციებისგან თავი შეიკავოთ.

ქალწული:

ამ კვირაში თანამიმდევრულად შეასრულეთ დაკისრებული მოვალეობა. ფრთხილად იყავით საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, რათა თქვენი საქციელით არ გააღიზიანოთ იგი.

სასწორი:

გაიზრდება თქვენი ამბიციები და შესაბამისად, შემოსავლებიც. პირადმა ცხოვრებამ შესაძლოა, უკანა პლანზე გადაინაცვლოს. კარგი დროა მოდუნებისთვის. უქმე დღეები ოჯახის წევრებს დაუთმეთ.

მორიელი:

ეს კარგი პერიოდია მოგზაურობისა და დასვენებისთვის. ეცადეთ, მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებისას არ გარისკოთ. სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამთ, კარგად დაფიქრდით და მერე იმოქმედეთ.

მშვილდოსანი:

სასურველია, ამ კვირაში ბუნების წიაღს მიაშუროთ. სასიკეთოდ ჩაივლის საშუამავლო, იურიდიული და სავაჭრო საქმეები. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს მეგობრების გარემოცვაში გაატარებთ.

თხის რქა:

კარგი პერიოდია მოლაპარაკებების გასამართავად, შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოსაწყობად. შეეცადეთ, ადრე დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. კარგი იქნება, თუ სამოგზაუროდ წახვალთ.

მერწყული:

თქვენი განწყობილება საგრძნობლად გაუმჯობესდება. კარგი დროა მეგობრებთან შეხვედრებისთვის. უქმე დღეები ოჯახის წევრებს დაუთმეთ და მათთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

თევზები:

კარგი დროა მოგზაურობისთვის. დიდი პროექტების განხორციელებაზე ხელი აიღეთ და ყურადღება ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ. შესაძლოა, საყვარელ ადამიანს თქვენი დახმარება დასჭირდეს.






იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	4	6	8	1	5	9	2	3
8	5	3	7	9	2	1	6	4
1	9	2	4	6	3	5	7	8
3	6	9	2	5	1	4	8	7
4	8	5	3	7	9	6	1	2
2	7	1	6	8	4	3	9	5
5	2	8	9	4	6	7	3	1
9	3	4	1	2	7	8	5	6
6	1	7	5	3	8	2	4	9

1	7	8	2	3	6	5	9	4
9	3	4	5	1	7	2	8	6
6	5	2	8	4	9	7	3	1
4	8	3	6	2	5	1	7	9
2	9	6	1	7	8	3	4	5
7	1	5	4	9	3	6	2	8
8	4	1	3	6	2	9	5	7
3	6	9	7	5	4	8	1	2
5	2	7	9	8	1	4	6	3

4	6	8	2	9	1	3	5	7
3	2	7	6	5	4	1	9	8
5	1	9	3	8	7	4	6	2
9	5	3	1	4	2	7	8	6
2	8	4	7	6	5	9	1	3
6	7	1	8	3	9	2	4	5
8	4	2	9	7	6	5	3	1
7	9	6	5	1	3	8	2	4
1	3	5	4	2	8	6	7	9

* მარტივი

	5	6			7			1
4					9		7	
7				1	3	2	6	
3				5			2	7
1				3	4			5
5	2				1			9
	3	1	8	9				2
	4		1					3
8			3			9	1	

** საშუალო

		3	2				7	6
5	9		8		6	2		
		4		3			9	
		1		2				3
8	3		7	1			6	9
4			3			1		
	4			7		6		
		6	4		3		8	7
7	5				2	3		

*** რთული

		2		3				8
	7	1			4	9		
		5					6	
		3	9				5	
2			8					6
	6						4	
	3						5	
		6	1			7	2	
5				8		6		

ფოტოკოშმარები

გაერთიანებული ტელეკომი

ყველაზე სწრაფი ინტერნეტი DSL

თვეში მხოლოდ 20 ლარად.

ინფორმაციისთვის და ჩეკისტარიისთვის

დარეკეთ

100-100 ან 100-900